

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ისტორია

**ნინო ხიდიშელი**

## **XX საუკუნის ქართული ბიოგრაფიული რომანი**

(კ. გამსახურდიას, ვ. ჭელიძის, ო. ჩხეიძის რ. ჭეიშვილის, ე. თავბერიძის,

და რ. ჩხეიძის შემოქმედების მიხედვით მიხედვით)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

თბილისი

2014

## შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I	
კონსტანტინე გამსახურდია – ბიოგრაფიული რომანი „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და გერმანულენოვანი სააზროვნო სივრცე.....	15
თავი II	
ვანტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ .....	43
თავი III	
ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია“ .....	71
თავი IV	
რეზო ჭეიშვილის „რკინის სახკომი“.....	87
თავი V	
ელგუჯა თავბერიძის „აირევი ივერია“.....	118
თავი VI	
როსტომ ჩხეიძის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ .....	131
თავი VII	
როსტომ ჩხეიძის „ბურჯი ეროვნებისა“.....	152
თავი VIII	
როსტომ ჩხეიძის „მზე და მწუხრი“ .....	176
ნაშრომის ძირითადი დასკვნები .....	190
გამოყენებული ლიტერატურა .....	193

## შესავალი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემის საგანი არის XX საუკუნის ქართული ბიოგრაფიული რომანების გამორჩეული ნიმუშები. საკვლევ მასალად წარმოდგენილია კონსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი“, ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია“, რეზო ჭეიშვილის „რკინის სახეობი“, ელგუჯა თავბერიძის „აირვეი ივერია“, როსტომ ჩხეიძის რამდენიმე პროზაული ტექსტი: „ბედი პავლე ინგოროყვასი“, „ბურჯი ეროვნებისა“ და „მზე და მწუხრი“.

**პრობლემის მეცნიერული შესწავლის ისტორია:** ჩვენს მიერ განსახილველად წარმოდგენილ ბიოგრაფიულ რომანებზე პერიოდულ გამოცემებში არსებობს ცალკეული სტატიები, დაწერილია არაერთი გამოსმაურება. ნაშრომში გათვალისწინებულია ყველა კრიტიკული წერილი, რომელიც საკვლევ თემატიკისათვის საინტერესო აღმოჩნდა. შესაბამისად, ეს თხზულებები გარკვეულწილად შესწავლილი და გაანალიზებულია. თუმცა კიდევ არაერთი პრობლემატური საკითხი დარჩა ყურადღების მიღმა. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ, ზემოთ დასახელებულ ლიტერატურულ ტექსტებზე კვლევა ფართოდ და სრულყოფილად წარმოგვედგინა.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ჩვენს მიერ განხილული ქართული ბიოგრაფიული რომანების სიღრმისეულ კვლევას, ანალიზს, თითოეული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის (ვისაც ეძღვნება ბიოგრაფიული რომანი – ნ.ხ.) შესახებ არქივებში, წიგნებში, ჟურნალებსა თუ გაზეთებში არსებული სხვადასხვა სახის მასალის გაცნობას და ამის შემდგომ, მათ შედარებას ჩვენს მიერ წარმოდგენილ მხატვრულ ტექსტებთან. ეს მეთოდი ხელს უწყობს შესაბამისი დასკვნების გამოტანას საკვლევ მასალაზე, მსჯელობის გაფართოებას.

**თემის აქტუალობა:** საქართველოში ბიოგრაფიულ რომანს საფუძველი ჩაუყარა იონა მეუნარგიამ მხატვრული ტექსტებით: „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ და „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. ამის შემდგომ ქართულ მწერლობას ამ ჟანრში შექმნილი არაერთი ტექსტი შეემატა.

როგორც წესი, თითოეული ავტორი ირჩევს სრულიად სხვადასხვა პერსონაჟს, განსხვავებული რანგის და დარგის მოღვაწეს; იქნება ეს მწერალი, მეცნიერი, რევოლუციონერი თუ ავანტიურისტი; ხატავს არა მხოლოდ მხატვრულ სახეს, არამედ თანმიმდევრულად მათ ბიოგრაფიასაც ჰყვება. ნაწარმოებებში გადმოცემულია რომელიმე გამოჩენილი, ცნობილი ადამიანის არაერთი ბიოგრაფიული პასაჟი მათი ცხოვრებისა. მწერლის ან საზოგადო მოღვაწის შემთხვევაში, ამ ყველაფერს ემატება ლიტერატურული მემკვიდრეობის წარმოჩენა.

**ბიოგრაფიულ რომანებში** გამოყენებულია დოკუმენტური, ისტორიული თუ საარქივო მასალა, მოგონებები, მემუარები, წერილები და პირადი ბარათები. განხილულ წიგნებში ვეცნობით მკითხველი საზოგადოებისთვის მანამდე უცნობ, გამოუქვეყნებელ საინტერესო მასალას, რომელთა მეშვეობითაც სრულყოფილად, ამომწურავად იკვეთება ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრება და ეს ყოველივე მხატვრულ ქარგაშია მოქცეული.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბიოგრაფიული რომანების მეცნიერული ანალიზი, მით უფრო, როცა უკანასკნელ ხანს ამ ჟანრის არაერთი მხატვრული ტექსტი გამოქვეყნდა, ხოლო ვრცელი მონოგრაფიული კვლევა ჯერ კიდევ არ არსებობს ქართულ ბიოგრაფიულ რომანებზე. როგორც ზემოთ მივუთითეთ, არსებობს ცალკეულ ნაწარმოებებზე მხოლოდ საინტერესო რეცენზიები.

**დისერტაციის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ განხილული რომანების მთავარი პერსონაჟების: იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ივანე მაჩაბლის, სერგო ორჯონიკიძის, ვასილ ბარნოვის, სოლომონ აშორდიას, პავლე ინგოროყვას, იაკობ გოგებაშვილისა და შიო არაგვისპირელის ცხოვრება-მოღვაწეობა არ წარმოვაჩინეთ მხოლოდ ნაშრომში გამოკვლეული მხატვრული ტექსტების მიხედვით. ჩვენ გამოვკვეთეთ სხვადასხვა კრიტიკული ნააზრევი, შეფასებანი ამა თუ იმ პერსონაჟზე, რომლებიც არსებობს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიოგრაფიულ რომანებში გათვალისწინებული მრავალი დოკუმენტური წყარო, რომელიც პერსონაჟის ან იმდროინდელი გარემოს ზუსტი ასახვისათვის აქვს გამოყენებული ავტორს, ჩვენ არაერთ საარქივო მასალასთან შევადარეთ (რამდენადაც მოგვეცა ამის საშუალება-ნ.ხ.), რათა მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ყოფილიყო, სად მთავრდებოდა რეალობა და სად იწყებოდა

მწერლის მხატვრული გამონაგონი. შესაბამისი დასკვნებიც წარმოვადგინეთ. საყურადღებოა, რომ ამ მეთოდით ბიოგრაფიული რომანის კვლევაზე მეცნიერული სიახლეა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ნაშრომში გამოყენებულია როგორც აღწერითი, დესკრიფციული, ასევე, შეპირისპირების მეთოდიც და მოცემულია ამ ტრადიციული ლიტერატურული მეთოდების სინთეზი. ასევე, კვლევაში წარმოვადგინეთ ტექსტის გარკვეული მონაკვეთების ნარატოლოგიური ანალიზი.

**ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება:** ნაშრომი შეიძლება საინტერესო იყოს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, სტუდენტებისა და მკითხველებისთვის.

ახლა მსჯელობას კონკრეტულად საკვლევ თემაზე შემოგთავაზებთ. რომანი დიდი ფორმის თხრობითი ნაწარმოებია. ის ფართო, მრავალფეროვანი თემატიკითა და რთული სტრუქტურით ხასიათდება. იგი, ისევე როგორც ბევრი სხვა ლიტერატურული ჟანრი, სხვადასხვა სახისაა. ამ სახესხვაობას განაპირობებს ის, თუ თხზულებაში რომელი მომენტია დომინირებული, უპირატესად სინამდვილის რომელ მხარეს ხატავს მწერალი. ამის მიხედვით არსებობს სოციალური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, სათავგადასავლო, ფანტასტიკური და სხვა რომანი. „ის ხასიათდება ცხოვრების განვითარების პროცესის ასახვით, სიტუაციებისა და ეპიზოდების სიმრავლით, სიუჟეტისა და კომპოზიციის სირთულით, მრავალრიცხოვანი პერსონაჟებითა და მათი ცხოვრების ყოველმხრივი წარმოსახვით. იგი ეპოქის, ადამიანების განსახიერების მხრივ განსაკუთრებული შესაძლებლობების ჟანრს წარმოადგენს“ (აღანია 1966:118).

გასათვალისწინებელია, რომ სახელწოდება „რომანი“ შუა საუკუნეებში გამოჩნდა და ამ ტერმინით აღინიშნებოდა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც შექმნილი იყო რომელიმე რომანულ ენაზე, როგორებიცაა: იტალიური, ფრანგული თუ ესპანური. XII-XIII საუკუნეებში იწერებოდა საზოგადოების დაბალი ფენის ცხოვრების ამსახველი მცირე თხრობითი ნაწარმოებები, რომელთაც იმისთვის, რომ ლათინურ ენაზე შექმნილი თხზულებებისგან განესხვავებინათ და გამოეყოთ, რომანულს უწოდებდნენ. უკვე მოგვიანებით, რომანის სახელწოდებით მოიხსენიება დიდი ფორმის თხრობითი ჟანრის ნაწარმოები.

რაც შეეხება კონკრეტულად ბიოგრაფიულ რომანს, ის დოკუმენტურ-ეპიკურ ჟანრს განეკუთვნება.

„ბიოგრაფია” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცხოვრების აღწერას, რომლის სხვადასხვა ხერხი არსებობს: მეცნიერული, მხატვრული...

**ბიოგრაფიულ რომანში** მხატვრულადაა აღწერილი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა დამყარებული მოგონებებსა, ისტორიულ წყაროებსა თუ საარქივო მასალებზე. ასეთ ნაწარმოებში ნაჩვენებია ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ცხადად არის ასახული მისი ხასიათი, დადებითი თუ უარყოფითი შტრიხები, ზნეობრივი მხარე.

მსოფლიო ლიტერატურამ არაერთი ბიოგრაფიული რომანის ნიმუში იცის. მწერლებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე და ამგვარ გამორჩეულ პიროვნებებზე დაწერილი პროზაული ტექსტები დღემდე ძალიან პოპულარულია. იწერება წიგნები, მათ ცხოვრებაზე იღებენ ფილმებს. ეს ჟანრი უკვე გამოკვეთილია ქართულ ლიტერატურაშიც, ხოლო უცხოურ მწერლობაში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია. სანიმუშოდ დავასახელოთ: სტეფან ცვაიგის „ბალზაკი”, „მარიამ სტიუარტი”, ანდრე მორუას „ბაირონი”, „სამი დიუმა”, „ოლიმპიო ანუ ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრება”, ირვინგ სტოუნის „წყურვილი სიცოცხლისა”, „მეზღვაური უნაგირზე” და სხვები, ხოლო ქართულ პროზაში: კოსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი”, ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა”, ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია”, „იტალიური დღიურები ბაირონისა”, აკაკი ბაქრაძის „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი”, ელგუჯა თაგბერიძის „აირევი ივერია”, „ნისლის ტიხარი”, „აკაკის ლანდი”, როსტომ ჩხეიძის „ალექსანდრე ორბელიანი”, „ყაზბეგიანა”, „იასე იანუსი”, „ბედი პავლე ინგოროყვასი”, „მდინარესა ზედა ქსნისასა”, „წერილები იტრიის წისკვილიდან”, „ავვისტოს შვილები”, „ბურჯი ეროვნებისა”, „მზე და მწუხრი”, „მგზავრი თიბათვის მზეში”, „მზის რაინდი”, ნაირა გელაშვილის „ფრიდრიხ ჰიოლდერლინი”, „ზრდის ბედნიერება ანუ მხატვარი პაულა მოდერზონ-ბეკერი”, შორენა ლებანიძის „ეს მე ვარ – ფიროსმანი” და სხვები.

ბიოგრაფიულ რომანში შერწყმულია მწერლის წარმოსახვის ცოცხალი ნიჭი და მკვლევარის სიზუსტე. ავტორი წესისამებრ, ქმის საინტერესო, დამაჯერებელ ფაბულას. იგი ისტორიაში ცნობილ პიროვნებაზე წერისას მის

ცხოვრებას აცოცხლებს, მხატვრულად წარმოაჩენს და შესაბამისად, ამ ჟანრის ნაწარმოებში მხოლოდ „მშრალი“ ფაქტები არაა მოწოდებული.

ბიოგრაფიულ რომანში, როგორც წესი, ნაჩვენებია ცნობილი ადამიანის ცხოვრების გზა. პიროვნების ფორმირება კი ისტორიულ ეპოქაში ხდება, ამდენად ისტორიული წარსულის ასახვა, მისი პერიპედები, სხვადასხვა ფაქტისა თუ მოვლენის დეტალური წარმოჩენა, ამ სახის ნაწარმოების აუცილებელ კომპონენტს შეადგენს.

სხვადასხვა წლებში რამდენიმე მეცნიერმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბიოგრაფიული რომანის შესახებ. ქრონოლოგიის პრინციპის დაცვით წარმოვადგენთ ამონარიდებს ჩვენთვის საყურადღებო ლიტერატურატურული წერილებიდან.

ალექსანდრე ქურიძე სტატიაში „ერთი ჟანრის სპეციფიკის გამო“ წერს: „მხატვრული ფანტაზია ბიოგრაფიულ რომანში არა მარტო ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში მონაწილეობს, არამედ თვით ფაქტის უფრო ღრმა წარმოსახვასაც ემსახურება. ამ ჟანრის ტექსტში გამონაგონი ისეა ჩაქსოვილი, რომ მკითხველისათვის შეუმჩნეველი რჩება, სად მთავრდება დოკუმენტი და სად იწყება ავტორი... მხატვრული ფანტაზიის გარეშე ბიოგრაფიული რომანის ნაცვლად, რომელიც ჩაფიქრებული აქვს მწერალს, თავს იჩენს ლიტერატურული მონტაჟი. მწერალი ექცევა დოკუმენტის ტყვეობაში. იგი მექანიკურად ცდილობს დაუკავშიროს ფაქტები ერთმანეთს. კერძოდ, იგი დოკუმენტური მასალის გარკვეულ რაოდენობას ანაწილებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: გმირის ბავშვობა, სიყმაწვილე, ხანდაზმულობის წლები და მათ შესახებ არსებულ ცნობებს აღწერს“ (ქურიძე 1981:112-113).

ვაჟა ჩოჩიას მოსაზრებით: „ჩვეულებრივი რომანის დაწერა უფრო იოლია, ვიდრე ბიოგრაფიულის. პირველ შემთხვევაში გაჰყვები შენს ქარგას, თუ გინდა, გამოგონილ ეპიზოდებსაც ჩაურთავ. ბიოგრაფიულ რომანში კი... როგორ გინდა, ამდენი ცხოვრებისეული დეტალის გათვალისწინება, ჩასმა სიუჟეტურ ქარგაში და ერთ მთლიანობად წარმოდგენა და არა მხოლოდ გმირის ცხოვრებისა, არამედ საერთოდ იმ ეპოქისა, რომელშიც იგი მოღვაწეობდა. ეს დიდი ნიჭის, დიდი შრომისა და მამულიშვილობის შედეგია“ (ჩოჩია 2011:48).

იონა მეუნარგიას თხზულებების I ტომი გამომცემლობაში „არტანუჯი“ 2010 წელს დაისტამბა. წიგნს წინ ერთვის როსტომ ჩხეიძის ვრცელი წერილი: „ბიოგრაფოსის ხვედრი და ვალი“ (სილუეტი იონა მეუნარგიასი), სადაც ავტორი

დამაჯერებლად მსჯელობს ქართველი მწერლის, კრიტიკოსის ნაწარმოებებზე და იქვე, ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „მოვალეობა და პროფესიული ჩვევა კი ის გახლდათ, რომ იონა მეუნარგიას ბედისწერის კარნახით უნდა ედო თავს ბიოგრაფიული ჟანრის დასამკვიდრებლად მონდომებული და დიდად წარმატებული მცდელობა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ (და არა მარტოდენ ლიტერატურულ) რეალობაში... ახალი ცხოვრება დასავლურ ლიტერატურას თანდათან სულ უფრო მეტი დოკუმენტურობისაკენ რომ უბიძგებდა, იონა მეუნარგია – როგორც იმ სამწერლო პროცესებში დრამად გათვითცნობიერებული პიროვნება – აჰყვებოდა ამ ტალღას და მთლიანად ბიოგრაფიულ ჟანრზე გადაერთვებოდა იმ საყრდენთა შესაქმნელად, რომელსაც ამ ჟანრის მომავალი უნდა დაფუძნდებოდა ქართულ სამწერლო მდინარებაში”(ჩხეიძე 2010:5). ამდენად, როგორც როსტომ ჩხეიძე მიუთითებს, ცნობილი მოღვაწის ბიოგრაფიულმა რომანებმა: „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა” და „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა” XIX საუკუნეში საფუძველი ჩაუყარეს აღნიშნულ ლიტერატურულ ჟანრს. სწორედ მითითებული თხზულებების შემდეგ დაიწერა მომდევნო ქართული ბიოგრაფიული რომანები.

სალომე კაპანაძე ლიტერატურულ წერილში „ზნეობის მარადიული გაკვეთილები” ზემოთ ხსენებულ ჟანრზე მსჯელობისას საყურადღებო დასკვნას გვთავაზობს: „იმ ზოგადი კანონების მიღმა, რომლითაც ბიოგრაფიული რომანი იმართება, რასაკვირველია, ყოველთვის დგას მწერლის აღქმის მანერა, მხატვრული დროისა და სივრცის ორგანულად განფენის უნარი, ფსიქოლოგიზმი, ანალიტიკური რეფლექსია, ნაციონალური და ინტერკულტურული მსოფლმხედველობა. თუ რამდენად კარგად იქნება ეპიკოს-მთხრობელის მიერ გარანდული რომანის ხვეულები, სწორედ ამ ოსტატობაზეა დამოკიდებული... ქართული რომანის სასიცოცხლო არტერია წილობრივად სწორედ ბიოგრაფიული რომანის წყალობით იძენს შეუცვლელ ფუნქციას. ჩვენი ეროვნულ-ფსიქოლოგიური ყოფისთვის ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრების განმხატვრულობას ნორმატიული მისია ენიჭება, ვინაიდან ბიოგრაფიულ რომანი ყოველთვის თანაარსებობს განცდათა ერთობლიობა, რომელიც ერს მსოფლმხედველობრივი კრიზისის საფრთხისგან გამოიხსნის”(კაპანაძე 2012:1).

გიორგი ლობჯანიძე ჩვენს საკვლევ თემაზე საუბრისას შემდეგს აღნიშნავს: „ბიოგრაფიული რომანი, ალბათ, მწერლობის ერთ-ერთი რთული ჟანრია, რადგან



ავტორს უამრავი შემოქმედებითი პლასტის გამოყენება უწევს და ეს პლასტები ისე უნდა გადადიოდეს ერთმანეთში, რომ მკითხველს სიყალბის განცდა არ შეუქმნას. ამისთვის ავტორი თავის თავში უნდა აერთიანებდეს როგორც ბელეტრისტის, ასევე მეცნიერის საუკეთესო თვისებებს და, რაც მთავარია, კარგად იცოდეს არა მხოლოდ რომანის პერსონაჟის ცხოვრების უწვრილესი დეტალები, არამედ, ზოგადად, პერსონაჟის საცხოვრებელი გარემოს, ეპოქის, იმდროინდელი საზოგადოებრივი თუ ყოფითი ტენდენციების მრავალი რეალია”(ლობჯანიძე 2013:94).

ახლა მოკლედ ვისაუბრობთ უცხოური ბიოგრაფიული რომანების შესახებ, რომელნიც გაცილებით ადრე შეიქმნა და როგორც ითქვამს, მათ ლიტერატურული ტრადიცია გააჩნიათ. ეს გამოგვადგება გარკვეული მეცნიერული დასკვნების და მხატვრული შეფასების განზოგადებისთვის. გამოვყოფთ ლიტერატურათმცოდნეობაში ყველაზე აღიარებულ და პოპულარულ ტექსტებსა და ავტორებს. ეს ჟანრი განსაკუთრებით საყურადღებო ევროპულ და ამერიკულ მწერლობაში ბოლო ათწლეულებში გამრავალფეროვნდა.

თავდაპირველად ვისაუბროთ სტეფან ცვაიგის თხზულებებზე. ის გახლდათ ავსტრიელი მწერალი. მან ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო „იმპრესიონისტული ლირიკით“, წერდა პიესებს, მაგრამ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ნოველებითა და ესეებით. მისი ნოველების დიდი ნაწილი გაერთიანებულია ციკლში „ჯაჭვი“. მწერალმა შექმნა ესეების სამტომეულიც. ამასთანავე, იგი ავტორია რამდენიმე საინტერესო რომანისა, მათ შორის გამოვყოფთ ორ მათგანს: „მარიამ სტიუარტი“ და „ბალზაკი“. ამ უკანასკნელი ნაწარმოების მთარგმნელი, აკაკი გელოვანი აღნიშნავს შემდეგს: „ბიოგრაფიული რომანის ცვაიგისეული სტილი სრულიად თავისებური და უზადოა ამ ჟანრში. ცვაიგის წიგნები ბალზაკზე, მაგელანზე, მარიამ ანტუანეტაზე, ფუშეზე და ასე შემდეგ – ესაა სხარტი, მახვილგონივრული, სახოვანი, დოკუმენტურად სწორი და საიმედო შრომები. შეიძლება შევნიშნოთ ერთგვარი სიმკაცრე, რაც ზღუდავს ფანტაზიის მეტ თავისუფლებას: არ არის დიალოგი. შემაერთებელი ეპიზოდები, ბინდით მოცული სურათების აღდგენის ცდა, რაც გაამდიდრებდა ისედაც მხატვრულ ნაშრომს”(ცვაიგი 1963:7).

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებ სტეფან ცვაიგის რომანზე „მარიამ სტიუარტი“, რომელიც გერმანულ ენაზე პირველად 1935 წელს გამოქვეყნდა.

ვიციტ, რომ მრავალ მწერალს და ისტორიკოსს იზიდავდა შოტლანდიის მეფის, იაკობ მეხუთეს ასულის, მარიამ სტიუარტის ცხოვრება. იგი თითქოს ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული: 6 წლისა შოტლანდიის დედოფალი გახდა, 17 წლისა – საფრანგეთის დედოფალი და ინგლისის ტახტის პრეტენდენტი, მაგრამ ბოლოს მან დაკარგა ტახტიც, გვირგვინიც... და სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა. მას 1587 წელს ინგლისის დედოფლის, ელისაბედის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს ფოტერინგეის ციხეში. ამ ორი ადამიანის ქიშპი და მტრობა მხოლოდ პირადული ხასიათის არ ყოფილა. ელისაბედისდროინდელი ინგლისი თანდათან ძლიერი ბურჟუაზიული სახელმწიფო ხდებოდა, ფეოდალურად დაქუცმაცებული შოტლანდია მეტოქეობას ვერ გაუწევდა მას. როგორც მიუთითებენ, დაპირისპირება დედოფლებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად იქცა კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს შორისაც.

შოტლანდიელი პირველი ლედის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება მრავალ მხატვრულ ნაწარმოებს დაედო საფუძვლად. ამჯერად მხედველობაში მაქვს სტეფან ცვაიგის ბიოგრაფიული რომანი „მარიამ სტიუარტი“. პროზაულ ტექსტში მწერალი აიდეალებს მარიამ სტიუარტს. იგი ნამდვილი, ჭეშმარიტი ოსტატის ფუნჯით გვიხატავს მის მოღვაწეობას.

რაც შეეხება ამავე მწერლის ბიოგრაფიულ რომანს „ბალზაკი“, აქ აღწერილია რეალისტური რომანის ფუძემდებლის, ბალზაკის მოღვაწეობა, შემოქმედება. ქმნილებათა მიმოხილვა მოცემულია მოკლედ, ისე, რომ მკითხველს არ მოაწყენს და არ წყვეტს კითხვას დიდ ადამიანზე.

ესაა დიდი ერუდიციით დაწერილი წიგნი მწერალზე, მხატვრულ რომლის ფანტაზიასაც შექსპირს ადარებენ. ის არის ფრანგი მწერალი, მის შემოქმედებას მთელს მსოფლიოში იცნობენ. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი. მან მოასწრო 85 რომანისა და მოთხრობის დაწერა, ამასთანავე, დატოვა ხუთამდე თხზულების მეტ-ნაკლებად სრული მონახაზი.

სტეფან ცვაიგი გვიამბობს შემოქმედებით პროცესზე, თუ როგორ ქმნის ბალზაკი რომანს. აქვე იგი მის ხასიათს აღადგენს, ასევე, გულთბილი ირონიითა და სინანულით ლაპარაკობს ფრანგი მწერლის სნობისტურ თუ პიროვნულ სისუსტეებზე, რისი მეშვეობითაც შემოქმედი რეალისტურად ასახავს მის ცხოვრებას.

ნაწარმოებში რელიეფურად ჩანს დიდი რომანისტის ნამდვილი პიროვნული და შემოქმედებითი სიდიადე. რომანში გაცოცხლებულია არაერთი ეპიზოდი

მწერლის მოღვაწეობისა, ხატოვნადაა აღწერილი მისი სატრფიალო თავგადასავლები.

სტეფან ცვაიგს უზადოდ აქვს დახატული ბალზაკის პორტრეტი, თუმცა მკრთალია ეპოქის ფონი. წიგნში ნაკლებადაა გაშუქებული რომანისტიკის პოლიტიკური და ლიტერატურული თვალსაზრისი, მისი მეგობრების წრე, კავშირ-ნაცნობობა ჰიუგოსთან, ჰაინესთან, შოპენთან, სანდთან, ლამარტინთან. ამისდა მიუხედავად, როგორც ლიტერატურისმცოდნეები აღნიშნავენ, „ბალზაკი“ ფრანგი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შედევრს წარმოადგენს.

გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ანდრე მორუამ, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ემილ ერზოვი, ბიოგრაფიული რომანის ჟანრი დაამკვიდრა დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში. მან შექმნა მრავალი თვალსაჩინო ადამიანის საინტერესო, ცოცხალი სახე. ამ ნაწარმოებებიდან ცნობილია: „არიელი ანუ შელის ცხოვრება“, „ბაირონი“, „ლეღია ანუ ჟორჟ სანდის ცხოვრება“. „ოლიმპიო ანუ ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრება“, „სამი დიუმა“, „ბალზაკის ცხოვრება“ და სხვები. ამასთანავე, იგი ავტორია ისტორიული გამოკვლევებისა, ლიტერატურულ-კრიტიკული ესეების, ნოველებისა და ფსიქოლოგიური რომანებისა.

ანდრე მორუას ბიოგრაფიულ რომანი „სამი დიუმა“ საკმაოდ პოპულარული, საინტერესო წიგნია, რომელიც მოგვითხრობს სახელოვანი ფრანგი მწერლების: ალექსანდრ დიუმა-მამის და ალექსანდრ დიუმა-შვილის ცხოვრებაზე. ამავე დროს გვაცნობს მეტად კოლორიტულ პიროვნებას, დიუმათა წინაპრის, გენერალ თომა-ალექსანდრ დიუმას მოღვაწეობას. აქედანაა ნაწარმოების სათაურიც „სამი დიუმა“. მნიშვნელოვანია, რომ ამ სამი დიდი ადამიანის ბობოქარ ცხოვრებას ფონად თითქმის საუკუნენახევრიანი ისტორია უდევს, ისტორია, რომელიც ხშირად სცილდება საფრანგეთის საზღვრებს.

ანდრე მორუა აღნიშნავს, რომ ჟორჟ სანდისა და ვიქტორ ჰიუგოს მოღვაწეობის შესწავლისას უამრავ ახალ მასალას წააწყდა დიუმა-მამის შესახებ და წერს: „მიზეზიც ეს გახლავთ, რომ რომანტიკოსების ცხოვრების ამსახველ ჩემს გალერეას ალექსანდრე დიუმას პორტრეტიც მივუმატე“ (მორუა 1982:3). მწერალი „სამი მუშეკტერის“ ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაღალ შეფასებას აძლევს.

„სამ დიუმაში“ გამოყენებულია დიუმა-შვილზე მანამდე გამოუქვეყნებელი უამრავი მასალა, წერილები, დღიურები, რამაც მის ნაკლებადცნობილ

ცხოვრებას ნათელი მოჰფინა და მკითხველს დაეხმარა დიუმა-უმცროსის, უკეთ გაცნობაში. ნაწარმოებში ასევე, ასახულია გენერალ დიუმას სამხედრო მოღვაწეობაც სხვადასხვა ბიბლიოთეკასა თუ არქივში დაცულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით.

ამერიკელი მწერალი ირვინგ სტოუნის ოცდახუთი წიგნის ავტორია (თუ არ ჩავთვლით მის პიესებსა და უამრავ დეტექტიურ ნოველას), მათ შორის ათი ბიოგრაფიული რომანია, იქნება ეს დოკუმენტური თუ მხატვრული, რომლებიც მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა. მრავალფეროვანია მწერლის გმირთა გალერეა. ესენი არიან: ვან გოგი, ჯეკ ლონდონი, მხატვარი ჯონ ნობელი, რეიჩელ ჯეკსონი, მიქელანჯელო, ფროიდი და სხვანი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი კი მისი სამი რომანია: „წყურვილი სიცოცხლისა“, „აგონია და ექსტაზი“ და „გონების ვნებანი“. პირველად დასახელებული ნაწარმოები მწერლის „შემოქმედებითი ნათლობაა“, რომელმაც ირვინგ სტოუნს დიდი საერთო აღიარება და წარმატება მოუტანა. საინტერესოა მისი დაწერის ისტორია: მან პარიზში, როზენბერგის გალერეაში თავდაპირველად ნახა ვან გოგის საოცარი ტილოები, რომელთაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე.

მოგვიანებით, სტოუნმა ამასთან დაკავშირებით დაწერა: „მსგავსი განცდა ცხოვრებაში არ მქონია, გალერეიდან გამოვედი თუ არა, ვიგრძენი, რომ არ შემეძლო კიდევ რამე არ შემეტყო ვან გოგის შესახებ. გადავიკითხე ყველაფერი, რაც ფრანგულად და ჰოლანდიურად მომხვდა ხელში. მაშინ სულაც არ მიფიქრია, ვან გოგზე წიგნი დამეწერა, მაგრამ მასზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა“ (სტოუნი 1974:552).

ახალ გატაცებას ისევ ევროპაში მოგზაურობა მოჰყვა. მან თითქმის ყველა ის ქვეყანა შემოიარა, სადაც კი ვან გოგი ყოფილა, რათა ზოგი ფაქტობრივი, ზოგიც მონაყოლი მასალა შეეკრიბა ვინსენტის მოღვაწეობაზე. ბიოგრაფიულ რომანში „წყურვილი სიცოცხლისა“, რომელიც 1934 წელს დაიბეჭდა, ავტორი ემყარება ფაქტობრივ მასალას. მისი ძირითადი წყარო არის ვან გოგის ძმისადმი მიწერილი წერილები. ირვინგ სტოუნმა მხატვრის მეგობრებისა თუ თავყვანისმცემლების მონათხრობიც შესანიშნავად ჩაურთო თხრობაში და აღიარებული ფერმწერის მღელვარე, დრამატული ცხოვრების სურათები დახატა.

ნაწარმოებში შემოქმედის ჭეშმარიტი, დამაჯერებელი სახეა მოცემული, სადაც ლოგიკურად ვითარდება ყოველი მისი მოქმედება. როგორც თხზულების

მთარგმნელი მანანა ანთაძე აღნიშნავს: „რომანში სათუთადაა შერჩეული გმირის მეტყველების ლექსიკა, მაშინაც კი, როდესაც წყდება ფაქტების ჯაჭვი. სტოუნს შველის მხატვრული ფანტაზიის ძლიერი უნარი, ბიოგრაფის აღლო და გმირის ხასიათის მეტისმეტად ღრმა ცოდნა”(სტოუნი 1974:553).

მნიშვნელოვანია ამერიკელი მწერლის ბიოგრაფიული რომანი „მეზღვაური უნაგირზე“. აქ აღწერილია ჯეკ ლონდონის მოღვაწეობა. ავტორმა თავისი წიგნისთვის გამოიყენა როგორც ჯეკ ლონდონის მიმოწერა, ისე მეგობართა და ახლობელთა მემუარები. ცნობილია, რომ იგი გაეცნო იმდროინდელ გაზეთებს, დაუახლოვდა მწერლის თანამედროვეებს, რომლებიც XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, როცა ეს წიგნი იქმნებოდა, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ.

ირვინგ სტოუნი ისწრაფვოდა, ისეთი ნაწარმოები დაეწერა ლონდონის შესახებ, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა და წარმტაცი საკითხავიც, რასაც მიაღწია კიდევ.

რომანის ბოლოსიტყვაში მითითებულია შემდეგი: „მიუხედავად წიგნის დოკუმენტური მასალით გამდიდრებისა, „მეზღვაური უნაგირზე“ მაინც მხატვრული ბიოგრაფიაა. აქედან გამომდინარე, იგი შეიცავს მხატვრული გააზრების ელემენტებსაც”(სტოუნი 1974:411).

ავტორმა წარმოსახვის წყალობით შეავსო მწერლის ბიოგრაფიის უცნობი დეტალები. ამასთანავე, მან უხვად გამოიყენა პასაჟები მისი არაერთი ნაწარმოებიდან. ტყუილად როდი გვაფრთხილებს იგი წიგნის შესავალში, რომ „ესაა მოთხრობა ჯეკ ლონდონზე, გადმოცემული მისივე სიტყვებით”(სტოუნი 1974:15).

ბიოგრაფმა ამბავი წარმტაცად და მომხიბლავად ასახა, ასევე, მან შეძლო, ჩაწვდომოდა შესანიშნავი ამერიკელი მწერლისა და ადამიანის ძირითად თვისებებს. შემოქმედმა სწორად გაიგო ჯეკ ლონდონის წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები. „მეზღვაური უნაგირზე“ – უაღრესად საინტერესო წიგნი, პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე განმსჭვალულია გულწრფელი სიყვარულით დიდი და ნიჭიერი მწერლისადმი. ეს ნაწარმოები არის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი ჯეკ ლონდონის ცხოვრებისა.

დასასრულს კი დაგეძნო, რომ ადამიანის პიროვნება მისი თანამედროვეობის ფონზე – ეს არის ირვინგ სტოუნის ბიოგრაფიული რომანის ძირითადი ხაზი. მას სწამს, რომ მხოლოდ ღრმა ჰუმანიზმი ანიჭებს

ლიტერატურულ ნაწარმოებს ღირებულებას, რაც თითოეულ სიტყვაში ნათლად შეიგრძნობა და ხიბლავს მკითხველს.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული უცხოური ბიოგრაფიული რომანებიდან წარმოჩინდა, რომ თითოეული მწერალი სხვადასხვა გამოჩენილ ადამიანს ირჩევს ნაწარმოების მთავარ პერსონაჟად, აღწერს მათი ცხოვრების გზას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას. შემოქმედი სრულყოფილად ასახავს ისტორიულ წარსულსაც, როცა ამა თუ იმ გმირს მოუწია მოღვაწეობა. აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებებში გამოყენებულია საარქივო თუ დოკუმენტური მასალა, მემუარები, მოგონებები, წერილები, რაც მკითხველს ეხმარება, სრული სურათი შეუქმნას დიდი პიროვნების ცხოვრებაზე. საზღვარგარეთული ბიოგრაფიული რომანის ჩამოყალიბებას, მის ისტორიას, განვითარებას დიდი ტრადიცია გააჩნიათ. თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაშიც დოკუმენტურ-ეპიკური პროზის ნაწარმოებები საკმაოდ აქტუალურია და მკითხველის მიდრეკილება თვალნათლივ იგრძნობა ამ კუთხით. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და გავრცობის საშუალებას იძლევა. ამჯერად კი წარმოვადგენთ ჩვენს კვლევას, მსჯელობას ქართული ლიტერატურის გამორჩეულ ბიოგრაფიულ რომანებზე. ჩვენ გავეცანით ხსენებული ჟანრის სხვა მხატვრულ ტექსტებსაც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ ნიმუშებით შემოვიფარგლებით ნაშრომის ფარგლებში (მოცულობის გათვალისწინებით).

## თავი I

### კონსტანტინე გამსახურდია – ბიოგრაფიული რომანი „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და გერმანულენოვანი სააზროვნო სივრცე

კონსტანტინე გამსახურდია – XX საუკუნის უდიდესი რომანისტი და უაღრესად ორიგინალური სტილის მწერალი გახლდათ. მისი შემოქმედება უანრობრივად მრავალფეროვანია. კლასიკოსის კალამს ეკუთვნის ლექსები: „თბილისური საღამო“, „ბერლინი“, „პარიზი 1919 წელს“, „საქორწინო“, „ფერადი, ფერადი!“, ნოველები: „ზარები გრიგალში“, „პორცელანი“, „ლილ“, „ფოტროგრაფი“, „ტაბუ“, რომანები: „დიონისოს ღიმილი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, ტრილოგია „მთვარის მოტაცება“, ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, ლიტერატურული წერილები, ესეები, დრამა. იგი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა, ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევდა მშობლიურ ენაზე გაცნობოდა ევროპის უმდიდრეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ის თანამედროვეობის იდეებით შთაგონებული შემოქმედი იყო, რომელმაც დიდად გაამდიდრა ჩვენი ენის ლექსიკური მარაგი უძველესი ქართული მწერლობის, ჰაგიოგრაფიული და საერთოდ, სასულიერო ხასიათის ძეგლებიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალი მეტყველებიდან. ასევე, თავისებური ელფერი მისცა პოეტურ სინტაქსს, სიტყვათა წყობას. ბესარიონ უღენტის მოსაზრებით, კლასიკოსმა მწერალმა: „თავის საუკეთესო ნაწარმოებებში საოცრად დაახლოვა და დაანათესავა ერთმანეთთან პოეზიისა და პროზის ენა, ლირიული და ეპიკური საწყისები. ეპიკური ჟანრის თხზულებებში ფართო გზა გაუხსნა ლირიკულ ნაკადს“ (უღენტი 1964:171).

კონსტანტინე გამსახურდია მხატვრული შემოქმედებაში და ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოკვლევებშიც აშუქებს მშობლიური, ამასთანავე, საზღვარგარეთის კულტურის მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, საინტერესოდ მსჯელობს ევროპული, რუსული, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ამის დასტურად საკმარისია აღინიშნოს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ წერილები, ნარკვევები მიუძღვნა შოთა რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანს, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძეს, ივანე ჯავახიშვილს,

ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, პლატონ იოსელიანს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე აბაშელს, შალვა დადიანს, კორნელი კეკელიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანს, გიორგი ნატროშვილს, გოეთეს, ლევ ტოლსტოის, ლეონარდო და ვინჩს, დანტე ალიგიერს, ბაირონს, თომას მანს, არტურ ლაისტს, რაინერ მარია რილკეს...

ქართული სიტყვის დიდოსტატის, კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნებაში ერთმანეთს ერწყმის რომანისტიკა და ლირიკოსის, ნოველისტიკა და ლიტერატურათმცოდნის, მთარგმნელისა და პუბლიცისტის ნიჭი. ჩვენში სალიტერატურო კრიტიკამ დიდი ხანია ღირსეულად შეაფასა ის ფასდაუდებელი მნიშვნელობა, რომელიც მისმა მრავალმხრივმა საქმიანობამ იქონია ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მკვლევარი ჩვენი ლიტერატურისა, რომელსაც არ გამოეთქვას აზრი ამ ორიგინალური პროზაიკოსის შემოქმედებაზე. ცნობილია, არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ჩვენ ზოგიერთ მათგანს გამოვყოფთ.

სერგი ჭილაია კრიტიკულ წერილში „კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემის გამო“ წერდა: „კონსტანტინე გამსახურდიას დამახასიათებელი სტილური თვისებაა ყურადღების გადატანა არა იმდენად სიუჟეტის გამოგონებაზე, რამდენადაც ხატვაზე, სურათოვნებაზე. გამსახურდია ხატვის ოსტატია უპირველეს ყოვლისა. ხასიათის გამოსახვა, მოვლენისა და საგნის აღწერა სიტყვიერ ხატოვნებას ეფუძნება. ამიტომ ის უდიდეს ყურადღებას უთმობს სიტყვიერი მასალის შერჩევას; აქ სიტყვა ეფუძნება არა იმდენად ხედვას, რამდენადაც მუსიკალობას, სმენას. XX საუკუნის ქართულ პროზაში გამსახურდიასავით არავის არ გაუერთიანებია პროზაში ხედვა და სმენა“ (ჭილაია 1968:110).

ლალი ავალიანი ჟურნალში „ქართული მწერლობა“ დაბეჭდილ ლიტერატურულ წერილში აღნიშნავს: „უმთავრესი, რაც დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ევროპაში ღრმა ცოდნასთან ერთად შეიძინა, იყო კიდევ უფრო გამძაფრებული ეროვნული ღირსებისა და სამშობლოს სიყვარულის მწველი განცდა.“

ღღეს გვაოცებს ოცდაერთი წლის ჭაბუკის ბრძნული, დადინჯებული მოსაზრებანი, გამოთქმული 1913 წელს გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე:



„გერმანელთა ცხოვრებაში ბევრი ნაკლოვანება შევამჩნიე: გაუთლელიობა, წვრილმანობა, წრეს გადასული ფორმალისტობა, მაგრამ იმავე დროს ბევრი ისეთი თვისება შემინიშნავს გერმანელების ხასიათში, რაც ბევრჯერ მინატრია ჩემი ერისათვის.

ესენია: მოვალეობის მტკიცედ ასრულება, ეროვნული თავმოყვარეობა, საკუთარი ძალღონის იმედი, თუმცა ხშირად გადაჭარბებული, მაგრამ მაინც ღირსი მიბაძვისა და პატივისცემისა”(ავალიანი 1990:145-146).

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა წიგნში „XX საუკუნის ქართული მწერლობა” ერთ თავი მიუძღვნა „დავით აღმაშენებლის” ავტორს. მან სრულყოფილად წარმოაჩინა პროზაიკოსის ცხოვრების გზა და ლიტერატურული მემკვიდრეობა. იგი მიუთითებს: „კონსტანტინე გამსახურდია ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, პროზის დიდოსტატია და ჩვენს ლიტერატურაში ბევრი სიახლის შემომტან-დამამკვიდრებელი... კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება არა მარტო ეპოქალური სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის დიდოსტატური ხელოვნებით იქცევა ყურადღებას, არამედ ისტორიისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა მეცნიერული განსჯის ობიექტურობითაც. როგორც მწერალი, ამ შემთხვევაში იგი წარმატებით უპასუხებს სამივე ამ უძირითადეს მოთხოვნას, რომლის წინაშეც დიდი რომანისტი დგება ხოლმე ეპოქალურ მოვლენათა მხატვრული წარმოსახვის დროს – მის რომანებში ბუნებრივი ძალდატანებით ერწყმის „დიდი ჯაფაც დიდი მეცნიერისა, მისსივე დიდი უნარიც დაკვირვებისა და პოეტის ფანტაზიაც”(ნიკოლეიშვილი 2002:249,254).

სოსო სიგუამ ფუნდამენტურად შეისწავლა კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული მემკვიდრეობა. მან ქართველი კლასიკოსის შემოქმედებას რამდენიმე წიგნი მიუძღვნა. ერთგან წერს: „გალაკტიონ ტაბიძესთან და „ცისფერყანწელებთან” ერთად მან შექმნა ქართული სიტყვის ესთეტიკა, ქართული მწერლობის ინტელექტუალური და გმირული სამყარო, რაც არის რუსთაველის ხაზის აღდგენა და გაგრძელება ახალ რეალიებთან მიმართებით.

„მთვარის მოტაცების” ავტორი სავსებით უნიკალური მოვლენაა ჩვენს ისტორიაში – ბიოგრაფიით, ერუდიციით, შემოქმედებით, გაუტეხელი სულით. ყოველ სფეროში, რასაც კი მისი კალამი გადასწვდა, შთამომავლობას დაუტოვა წარუვალი ღირებულებების ქმნილებანი – ლექსი, ნოველა, ესსე, თარგმანი, რომანი”(სიგუა 2013:22).

შეუძლებელია, ვისაუბროთ კონსტანტინე გამსახურდიაზე და მხოლოდ მის მხატვრულ ნაწარმოებებზე ვიმსჯელოთ. აუცილებელია მის პიროვნულ დიდებუებოვნებას, საოცარ ხასიათსაც გაუუსვათ ხაზი. სათქმელის დასტურად და უკეთ წარმოსაჩენად მოვიხმობ ამონარიდს რუსუდან ნიშნიანიძის წერილიდან „კონსტანტინე გამსახურდია“: „აუცილებლად იყოლიეთ მეგობარი. მეგობარი, რომელიც იქნება პირდაპირი და გულწრფელი“, – კატეგორიულად აცხადებდა დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი და ბრძანებდა: „იცით, რა არის ჩემთვის მეგობარი? ნამდვილად ის, ვისზეც ჩვენი დიდი სულხან-საბა ამბობდა: „ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია. ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბელია. ამხანაგი ჭირში მომხმარია, სნეულებასი მკურნალია, სიკვდილში თავისწამებია“. ჩემი ერთ-ერთი ასეთი მეგობარია მწერალი კონსტანტინე გამსახურდია... ჩვენ ერთი თაობის ხალხი ვართ, ჭირშიც გვიცდია ერთმანეთი და ღხინშიც. მე რომ საკუთარი ხმის მოპოვებისა და საკუთარი მანერის მიგნებას ვესწრაფოდი, კონსტანტინე გვერდში მედგა“... ასევე ედგა შალვა ნუცუბიძეს, რომლის მოსანახულებლად სოკოლნიკში პირველად მან გაბედა ჩასვალა (სოკოლნიკში შალვა ნუცუბიძე შინაპატიმრობაში იმყოფებოდა). ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. დიდხანს უსაუბრიათ კიდევ. ეს უნიჭიერესი თაობა არაერთხელ მდგარა განსაცდელის წინაშე”(ნიშნიანიძე 2002:297).

ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა 1909 წელს დაიწყო ქუთაისში გამოცემულ გაზეთებში „ფონსა“ და „კოლხიდაში“ გამოქვეყნებული ლექსებით. ამ დროიდან მოყოლებული სხვადასხვა ეპოქის მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა პრესაში კ. აბაშისპირელისა და სხვა ფსევდონიმებით. სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის ნიშნები მთელი სისრულით არის აღბეჭდილი მის ადრეულ ნოველებში, ნოვატორული სტილის ძიება კი ბოლომდე შერჩა მის შემოქმედებას.

იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ევროპაში მიდიოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად, იყო კონსტანტინე გამსახურდიაც. მან 1911 წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იქ სადაც, ილია ჭავჭავაძე სწავლობდა. მოგვიანებით კი ევროპაში გადავიდა და კენისბერგის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. ასე მოხვდა ჯერ კიდევ

სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი 1912 წელს გერმანიაში. იქ ყოფნის პირველი წელი მან გერმანულ ენაში ცოდნის გაღრმავებასა და ამ ქვეყანაში არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში გარკვევას მონაწილეობა. ერთი სემესტრის შემდეგ იგი ლაიფციგის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედებითი მემკვიდრეობის, ამასთანავე, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, ნიცშეს ნააზრევის ჩაწვდომას, ენერგიულად დაიწყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, ხელოვნებათმცოდნეობის დაუფლება.

მწერლის აზროვნებასა და შემოქმედებაში საქართველოს შემდეგ უმნიშვნელოვანესი იყო გერმანია, გერმანული კულტურა. სოსო სიგუა წიგნში „მარტვილი და ალამდარი“ წერს: „კონსტანტინე გამსახურდიას არაერთი კრიტიკოსი „გერმანული ქარის მთესველს“, გერმანოფილს უწოდებდა. თუ ეს თავიდან ახალგაზრდული გატაცება იყო, შემდეგ თანდათან მწერლის ცნობიერებას სპეციფიკური კვალი დაატყო, ჩამოუყალიბა შეხედულებათა სპეციფიკური სისტემა, რომლის ფორმა და არსი სათავეს იღებდა გერმანული სამყაროდან, მაგრამ მშობლიური გარემოს და ხალხის წინაშე მდგარი პრობლემების გასააზრებლად იყო გამიზნული“ (სიგუა 2003:9). გარკვეული დროის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა, განუწყვეტლივ ეცნობოდა ამ ენაზე შექმნილ მწერლობას. ის არასოდეს ივიწყებდა ამ ქვეყანას, კულტურულ სივრცეს, რომელმაც დიდი ცოდნა, გამოცდილება შესძინა, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს. აქვე დავძენთ, რომ 1919 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში საელჩოს ატაშედ მიაგვლინა და გარკვეული პერიოდი გერმანიაში დიპლომატიური მისიის შესრულებისას სამშობლოს საქმეს ემსახურებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დავით აღმაშენებლის“ ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მრავალფეროვანი, დიდი მასალა არსებობს. მეცნიერები მწერლის ცხოვრებას, შემოქმედებას არაერთი კუთხით წარმოაჩენენ. მიუხედავად ამისა, დღემდე არაა სრულყოფილად, ამომწურავად შესწავლილი ისეთი საკითხები, როგორცაა გერმანული თემა კლასიკოსის ნაწარმოებებში, მისი ნარკვევები გერმანულენოვანი ლიტერატურის შესახებ, აღნიშნული ეროვნების წარმომადგენელ შემოქმედთა ნიმუშების მისეული თარგმანები. ამის ნათელი დადასტურებაა ადრეული პოეტური შედეგები,

ნოველები, რომანი „დიონისოს ღიმილი“, „გოეთეს ცხოვრების რომანი“, არაერთი სტატია, ესე გერმანულენოვან მწერლობასა და მის ცალკეულ წარმომადგენლებზე.

გერმანული თემატიკის მაღალმხატვრულად დამუშავებით კონსტანტინე გამსახურდიამ ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენში ამ ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის პოპულარიზების საქმეში, მნიშვნელოვანწილად გაამდიდრა ქართული ლიტერატურა ახალი სახეებითა თუ პრობლემატიკით. გერმანიაში გატარებულმა წლებმა, იქ მიღებულმა ცოდნამ, შთაბეჭდილებებმა, გამოცდილებამ საგრძნობლად გაამდიდრეს მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია, რაც ნათლად გამოვლინდა მის არაერთ ქმნილებაში.

ვიდრე კონკრეტულად შევუდგებით კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „გოეთეს ცხოვრების რომანის“ განხილვას, მანამდე წარმოვაჩინოთ ქართველი მწერლის მიერ თარგმნილი გოეთეს ნაწარმოებები, რითაც თავისი ლიტერატურული დამოკიდებულება, პატივისცემა გამოხატა მისი ნაწერებისადმი.

კლასიკოსმა მწერალმა თავდაპირველად თარგმნა გოეთეს „შტრასბურგის კათედრალი“, რომელიც ფრაგმენტია დიდი მოაზროვნის სტატიის „გერმანული ხუროთმოძღვრების შესახებ“. ის გამოქვეყნდა 1924 წელს ჟურნალში „კავკასიონი“.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გოეთეს შემოქმედების უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ თარგმნა. აღნიშნული ნაწარმოები თავდაპირველად ი.ახალშენიშვილის მიერ შესრულებული ჩვენს ენაზე 1900 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო მეორე – გამსახურდიასეული 1928 წელს. როგორც არჩილ ხოტივარი მიუთითებს: „მიუხედავად თავისუფალი დამოკიდებულებისა სათარგმნი ტექსტისადმი, კონსტანტინე გამსახურდიას ეს თარგმანი ბევრად უკეთესია თავისი მხატვრული ღირსებით და უფრო სრულად გვაგრძნობინებს გოეთეს პოეტური სიტყვის თავისებურებებს, ვიდრე ი. ახალშენიშვილის შედარებით სუსტი, მაგრამ გაცილებით მშრალი და ნაკლებემოციური თარგმანი“(ხოტივარი 1978:211).

კონსტანტინე გამსახურდია არსებითად ყოველთვის ახერხებს დედნის სულის, მისი განწყობილების მაღალმხატვრულად გადმოტანას

ქართულ ენაზე. „თავისი თარგმანებით მან ღირსეული ამაგი დასდო საქართველოში გერმანელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის პოპულარიზების კეთილშობილურ საქმეს. ამასთან, გერმანულენოვანი ლიტერატურის ძეგლთა ქართულ ენაზე ამეტიყველებით, მწერალმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა ახალი თემატიკითა და სახეებით“ (ხოტივარი 1976:128). აქვე აღვნიშნოთ, რომ „დავით აღმაშენებლის“ ავტორმა ერთგვარად გააგრძელა გრიგლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ერეკლე ტატიშვილის, გერონტი ქიქოძის ტრადიცია და გარდა გერმანული პოეტური თუ პროზაული შედევრებისა, თარგმნა არაერთი ევროპული კლასიკური ლიტერატურის ცალკეული ნიმუში. საქართველოში მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთარგმნელობით საქმიანობას, რაც მშობლიური მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდათ. გამონაკლისი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არც კონსტანტინე გამსახურდია ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინე გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის გერმანული პოეტისა და მოაზროვნის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზების თვალსაზრისით. საქართველოში გერმანული კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლა ძირითადად XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო გრიგოლ ხავთასის, მიხეილ კვესელავას, ოთარ ჯინორიას, არჩილ ხოტივარის, გიორგი ნადირაძის, შოთა რევიშვილის და სხვათა მიერ.

სამართლიანად მიუთითებს კრიტიკოსი დავით ლაშქარაძე: „პირველი, ვინც შეეცადა ქართველი მკითხველისათვის გაეცნო „ფაუსტის“ ავტორის ბიოგრაფია, მისი შემოქმედების არსი და იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, იყო კონსტანტინე გამსახურდია“ (ლაშქარაძე 1983:110).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი რომანისტი დიდად აფასებდა, პატივს სცემდა გოეთეს, მის პიროვნებას და მხატვრულ ნაწარმოებებს. ამასვე მოწმობს მისი სიტყვები: „გოეთე იყო სწორედ მიბაძვის ღირსი. იგი დიდი ხელოვანი იყო არა მარტო მწერლობაში, თვით ცხოვრებაშიც“ (გამსახურდია 1965:97). სხვადასხვა წლებში მან გერმანელ მოაზროვნეზე როგორც პოეტზე, მეცნიერზე, ზოგადად, მის პიროვნებაზე

დაწერა არაერთი გამოკვლევა თუ წერილი. მათგან გამოვეყოფთ შემდეგს: „გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე“ (1921წ.) „გოეთე თუ მისტიკოსი“ (1922წ.) კრიტიკული ნარკვევი „გოეტე“ (1918წ.), „იოჰან ვოლფგანგ გოეტე“ (დაბადებიდან 200 წლისთავის გამო) (1947წ.).

მოვიხმით ამონარიდები თითოეული ზემოთ დასახელებული წერილებიდან თუ გამოკვლევიდან. მივყვით ქრონოლოგიურად. „გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე“. მას მკითხველი თავდაპირველად გაეცნო გაზეთში: „სოციალისტ-ფედერალისტი“. მწერალი „ფაუსტის“ ავტორზე შემდეგს წერს: „გოეთემ შვიდი ენა იცოდა: ძველი და ახალი. იგი სიუჟეტებს იღებდა ძველი საბერძნეთის, რომის, უნდოეთის, არაბეთის, სპარსეთის ხელოვნებიდან და მითოლოგიიდან და ყველაფერზე, რისთვისაც ხელთ კალამი მიუკარებია თამამად ეთქმოდა: „ეს ჩემია“.

ჩვეულებრივი მომაკვდავიც შეძლებდა დიდი ცოდნის და მუშაობის უნარით იმ სულიერი მასალის თვალის გადავლებას, წაკითხვას, გადაფურცვლას, მაგრამ ჩვეულებრიობა და დილეტანტობა მუდამ ზერელედ ტივტივებს, როგორც ნავთი წყალში, ხოლო გენიოსი სიღრმეში სწვდება.

გოეთე თვითონ ამბობდა: ყველაფერი მასალის „მონელებაშია“-ო. საქმე მასალის, სულიერი საზრდოს მონელება არისო. ამიტომაც რაც დილეტანტის ხელში მასალად დარჩება, მას გენიოსი დაიჩემებს, მიისაკუთრებს. რამდენმა მწერალმა სცადა გოეთემდის გერმანული ფაუსტის თქმულების „მიჩემება“, მაგრამ როცა გოეთემ ხელი მიაკარა, ყველანი დავიწყებას მიეცნენ“ (გამსახურდია 1921:3).

1922 წელს ჟურნალ „ილიონის“ პირველ ნომერში დასტამბულია კონსტანტინე გამსახუდიას საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველი ლიტერატურული წერილი „გოეთე თუ მისტიკოსი“. მოვიტანთ ფრაგმენტს: „გოეთე ერთადერთი გერმანელია, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წარმომადგენელი ევროპული ადამიანობის, რომელმაც აბსოლიტურ, ჰარმონიულ სრულყოფას მიაღწია. ამიტომაც განუყრელია მისი ქმნილება და მისი პიროვნება. გოეთეს ბიოგრაფიას, რომ არ მოეღწია ჩვენამდე, მისი ქმნილება მაინც ნათელი იქნებოდა ჩვენთვის. უკუღმა: ჩვენ მარტო მისი ბიოგრაფია რომ დაგვრჩენოდა, ჩვენ მაინც თითს გავიშვერდით მის პიროვნებაზე საჩვენებლად.

მისი ქმნილება პირწავარდნილი ტყუპია მისი პიროვნების...

საოცარია, რომ იგი ისეთივე დიდი მოაზროვნე და მეცნიერია, როგორც პოეტი. უკანასკნელ ორ საუკუნეში არც ერთი დიდი პრობლემა არ დასმულა ევროპის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რომელსაც გოეთე არ შეხებოდა, რომელზედაც გოეთეს არ მიეთითებია. ბიოლოგიაში, ბოტანიკაში, გეოდეზიაში, გეოგრაფიაში, მინერალოგიაში, ფიზიკაში, ყველგან უმუშავია გოეთეს, ყველგან გოეთეს ხელი ჩანს”(გამსახურდია 1922:27,31).

1928 წელს გამომცემლობამ „ქართული წიგნი“ გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკული ნარკვევი „გოეთე“. ის მომცრო ფორმის მონოგრაფიაა და სულ ოთხ თავს აერთიანებს. ესენია: „სიყრმე“, „სიჭაბუკე“, „სავესება“ და „აღსრულება“. აქ მოთხრობილია გერმანელი პოეტის ცხოვრება დაბადებიდან გარდაცვალებამდე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოქმედს ნაშრომისთვის მოძიებული მასალა, გოეთეს ცხოვრების, შემოქმედების შესწავლა მნიშვნელოვანწილად დაეხმარა ბიოგრაფიული რომანის „გოეთეს ცხოვრების“ დაწერისას.

კონსტანტინე გამსახურდიამ 1949 წელს გოეთეს დაბადებიდან 200 წლისთავს მიუძღვნა წერილი „იოჰან ვოლფგანგ გოეთე“. მწერალი გერმანელი პოეტის პიროვნებას სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს, საუბრობს მასზე, როგორც შემოქმედზე და ასევე, სამეფო კარის მსახურზე. ამონარიდი: „გოეთეს უნივერსალიზმს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს კულტურული კაცობრიობა, პოეზიის უდიდესი ქურუმი, ასევე დიდი ენციკლოპედისტი იყო, რომელსაც არამც თუ ხელი მიუწვდებოდა თავისი დროის მეცნიერებათა უდიდეს საუნჯეებამდე, არამედ თვითაც შეჰქონდა მათ წინსვლაში წილი... „ლორდ ბაირონს ორი ნაკლი აქვს, - ეუბნება ცნობილ საუბრებში ეკერმანს გოეთე, - ლორდობა და ინგლისელობა“. შესაძლებელი იქნებოდა ამ აფორიზმის გოეთესადმი მიბრუნება: გენიალურ გოეთეს ხანდახან ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ იგი გერმანელი ბიორგერი და ფილისტერი რჩებოდა გენიოსური რანგის მიუხედავად” (გამსახურდია 1949:3,4).

ახლა თვალი გავადევნოთ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას. იგი დაიბადა ქალაქ ფრანკფურტში, საიმპერიო მრჩევლის, შეძლებული ბიურგერის ოჯახში. ის ადრევე ამუღავნებდა განსაკუთრებულ ინტელექტუალურ თვისებებს. მომავალი გერმანელი პოეტი სწავლობდა ჯერ ლაიფციგის, შემდეგ კი სტრასბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. გოეთეს ინტერესი არ შემოფარგლულა მხოლოდ

იურისპრუდენციის შესწავლით. იგი დიდი მონდომებით ეუფლებოდა ლიტერატურას, ფილოსოფიას, ხელოვნების ისტორიას.

მან წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, მაგრამ როგორც გერმანული ლიტერატურის მკვლევარები აღნიშნავენ, მის ნაწერებს მიმბაძველობა ემჩნეოდა, განსაკუთრებით როკოკოს ლიტერატურული ეპოქის პოეტებს ბაძავდა და არ გამოიჩნეოდა მხატვრული ღირსებითა თუ ორიგინალობით. მოგვიანებით კი, შექმნა არაერთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები. დიდი გერმანელი მოაზროვნის შემოქმედებაზე საუბრისას ალი არსენიშვილი მიუთითებს, რომ: „გოეთე ფართოდ სარგებლობდა „თავისუფალი რიტმით“ და თეთრი ლექსებით, წინააღმდეგ კლასიკური პოეტიკის კანონებისა, რაც უფრო მეტ საშუალებას აძლევდა ავტორს გამოეხატა ბიურგერთა ცხოვრება და სულისკვეთება“ (არსენიშვილი 1981:198). აქვე დავძენ, მისი მსოფლიო ღირიკის შედეგები: ლექსები, დრამები და პოემები დამყარებულია ხალხურ საწყისებზე. ჩვენ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით.

გოეთეს თვალსაჩინო ნაწარმოებებია დრამები: „გეც ფონ ბერლიხინგენი“, „კლავიგო“ და „სტელა“. გერმანელმა მოაზროვნემ თავისი შემოქმედებითი აღმაველობის პერიოდში შექმნა შესანიშნავი რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, რომელიც დაწერილია დღიურების ფორმით, ისევე, როგორც რუსოს „ახალი ელიოზი“ და სტერნის „სანტიმენტალური მოგზაურობა“. ეს არის სოციალური რომანი, სადაც ჩაგრული ადამიანის განცდებია გადმოცემული. აქვე იკვეთება გერმანიის საზოგადოების იმ ნაწილის სახე, რომელიც შეტრფოდა თავისუფლებასა და სამართლიანობას, თუმცა ამ იდეალების პრაქტიკულად განხირციელებისათვის თავს მოწოდებულად არ თვლიდა.

1775 წლიდან გოეთეს ცხოვრებაში იწყება ახალი ეპოქა. იგი მიწვეულ იქნა ვაიმარის პრინცის, შემდგომში ჰერცოგის, კარლოს აგუსტუსის მიერ, რომელსაც ძალიან დაუახლოვდა. ის სხვადასხვა დროს გახლდათ სასამართლოს თავმჯდომარე, განათლების მინისტრი, ვაიმარის თეატრის დირექტორი, წარჩინებული მოხელე. სახელმწიფო სამსახურის პარალელურად გოეთე იმ პერიოდში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეუფლებოდა. ამის დასტურია მისი თხზულებები: „მცენარეთა მეტაფიზიკა“, „მეცნიერება ყვავილთა შესახებ“. ამასთანავე, შექმნა დიდებული ნაწარმოებები: „ვილჰელმ მაისტერი“, „ტასო“, „იფიგენია“ და სხვანი.



1789 წელს დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია. როგორც ვაიმარის ჰერცოგთან დაახლოებულმა პირმა, გოეთემ მონაწილეობა მიიღო, თუმცა ამ მოვლენის მოწინააღმდეგე გახლდათ. ამასთან დაკავშირებით მან რამდენიმე მხატვრული ტექსტი შექმნა.

გოეთეს კალამს ეკუთვნის უამრავი ეპიგრამა თანამედროვე მოვლენებზე და მწერლებზე, მონოგრაფიები სახვით ხელოვნებაზე, არაერთი წერილი მსოფლიო ლიტერატურის თემატიკაზე, ავტობიოგრაფია „პოეზია და სინამდვილე“, „მოგზაურობა იტალიაში“, „მოგზაურობა შვეიცარიაში“. ხანშიშესული პოეტის აზრებს გვამცნობს ასევე, „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ და „გოეთეს საუბრები კანცლერ ფორმულერთან“. გერმანელი პოეტის მთელ სიდიადეს, მხატვრულ ოსტატობას „ფაუსტი“ წარმოაჩენს. იგი აღნიშნულ ლიტერატურულ შედეგს მრავალი წლის განმავლობაში ქმნიდა. გრიგოლ ხავთასი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს აღნიშნულ ტექსტზე: „ფაუსტი“ არის გენიალური მხატვრული განზოგადება პირველ ყოვლისა იმ ამბებისა, რომლებსაც ადგილი აქვს მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების გერმანიის ცხოვრებაში“ (ხავთასი 1959:468).

ნაწარმოებში ნათლად იგრძნობა გერმანელი მოაზროვნის დიდი ერუდიცია, ღრმა, მრავალმხრივი განათლება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, გერმანელი და სხვა ხალხების მდიდარ ფოლკლორში.

ამრიგად, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის, დიდი მოაზროვნის, გოეთეს ღვაწლი და მნიშვნელობა არა მხოლოდ გერმანულ, არამედ საზღვარგარეთულ მწერლობაში განუზომლად დიდია.

განვიხილოთ კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული რომანი „გოეთეს ცხოვრების რომანი“, რომელიც 1934 წელს გამოიცა აკაკი ჭყონიას წინასიტყვაობით.

საინტერესოა, აღნიშნული ნაწარმოების დაწერის ისტორია, რის შესახებაც თავად ავტორი აღნიშნავს თხზულების ბოლოსიტყვაში: „ეს ნაშრომი საქართველოს სახელგამმა შემიკვთა გოეთეს იუბილეს გამო... მთელი კულტურული კაცობრიობა გამოეხმაურა გოეთეს სიკვდილიდან 100 წლის შერულების თარიღს: ევროპა, ამერიკა, ავსტრია, ჩინეთი და ინდოეთი. ასაგებია,

საქართველოს სახელგამის მიერ დაკისრებული მოვალეობის სიმძიმეს ჩემი ავტორული თავმოყვარეობაც ზედ ერთვოდა.

ამიტომ არც შრომა დამიზოგავს ჩემის მხრივ და არც სიყვარული ამ დიდი და ნათელი გენისადმი სათანადო პატივის მისაგებად... ეს წიგნი სავსებით მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს თემატურ გეგმაში. ცხადია, ნაყოფიერი მწერლისათვის ბიოგრაფიული რომანის დაწერა განსაზღვრულ რისკთანაა დაკავშირებული. ბიოგრაფიულ რომანში ავტორი გაცილებით უფრო ხელშეკრულია, ვიდრე ისტორიული რომანის წერისას, რადგანაც ამ უკანასკნელში ე.წ. გამოგონებით მომენტს (ინვენტიონ-ს) გაცილებით ნაკლები აქვს დათმობილი. ამ შემთხვევაში უდიდესი სიზუსტით უნდა ადვენო თვალი თარიღების სისწორეს და ასევე, გულმოდგინედ უნდა ალაგინო სათანადო ისტორიული ატმოსფერო. გარდა ამისა, კიდევ ერთი დიდი სიძნელე იყო ჩემს წინაშე; ჩვენში არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა გოეთესა და საერთოდ დასავლეთ ევროპის XVIII საუკუნის შესახებ“(გამსახურდია 2010:217).

წიგნის გამოსვლისთანავე ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა გრიგოლ ხავთასის საგულისხმო კრიტიკული წერილი. მნიშვნელოვანია მისი შეფასება კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიულ რომანზე. ამონარიდი: „ავტორი იძლევა საკმაოდ ბევრ მასალას, რომელიც საჭიროა ამ შესანიშნავი მწერლის ცხოვრების გასაგებად. წიგნის დადებით მხარედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მასალები, მიუხედავად მათი ქრონოლოგიული დალაგებისა, ცოცხლად და საინტერესოდაა დაწერილი... წიგნის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მასში ბიოგრაფიული მოვლენების ახლებურად ახსნის ცდაა მოცემული“(ხავთასი 1934:194).

„გოეთეს ცხოვრების რომანში“ კონსტანტინე გამსახურდია საინტერესოდ გადმოსცემს გერმანელი მოაზროვნის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას, ქრონოლოგიურად წარმოაჩენს მისი ცხოვრების მრავალ ეპიზოდს. ესენია: დაბადება, აღზრდა-განათლება, ოჯახი, არაერთი სასიყვარულო თავგადასავალი, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენა, ურთიერთობა მეგობრებთან თუ მის თანამედროვე მწერლებთან და იქვე ამუღავნებს თავის დამოკიდებულებას თითოეული აღნიშნული საკითხისადმი. ნაწარმოებში ოცდაცხრა თავია. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს: „ოქროს მამალი“, „საშიშარი სტუდენტი“, „შტრასბურგი“, „კლოპშტოკი, ჰერდერი და შექსპირი“, „შინმიბრუნებული“, „ვაიმარი“, „კარისკაცი თუ პოეტი?!“, „ბუნებისმეტყველი“, „მოგზაურობა

იტალიაში”, „შილლერი”, „ნაპოლეონი”, „ლორდ ბაირონი”, „ჩამქრალი თვალი” და სხვანი. სათაურები გარკვეულ დამოკიდებულებას გვიქმნიან უკვე წაკითხვისას. წიგნს ახლავს ბოლოსიტყვა და შენიშვნები. რომანის ავტორი დამაჯერებლად ხატავს გერმანიის პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობას, რომლის დროსაც მოღვაწეობდა დიდი პოეტი. მხატვრულ ტექსტში გამოყენებულია გოეთეს ნაწარმოებები, სამეცნიერო გამოკვლევები, სხვადასხვა წიგნი, ბარათი, წერილი, რაც მკითხველს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ცნობილი მოაზროვნის პიროვნებასა თუ მოღვაწეობაზე.

ბიოგრაფიული რომანი იწყება გერმანელი პოეტის დაბადების, აღზრდის გადმოცემით. გოეთე იზრდებოდა ოჯახურ მყუდროებაში, კომფორტულ გარემოში. სახლი საკმაოდ მდიდრულად, გემოვნებით იყო მოწყობილი. აქ იგრძნობოდა იტალიური ხელოვნების და ენის კულტი. ამის დასტურია ვოლფგანგის მამის, საიმპერიო მრჩეველი იოჰან კასპარ გოეთეს რომიდან ჩამოტანილი ფერწერული ტილოები და გამოცდილი იტალიელი პედაგოგის, ჯიოვინატის არსებობა მათ ოჯახში.

კონსტანტინე გამსახურდია წერს: „გოეტეანთ სახლის უკანა ფასადი თვალუწვდენ ბალებს გადაჰყურებს. აქვეა კეგელის მოედანი. მეორე სართულზე მდებარე „ბალის ოთახის” ფანჯრიდან ხედავს პაწია ვოლფგანგ ბუნების სტიქიონების ცვალებადობას; ყვავილთა ფურცვლობას, ხილის მოსვლას, ფოთოლთა ცვენას, წვიმას, ქუხილს, ელვასა და სეტყვას.

ხანაც კეგელის რაკარუკს ისმენს. მახლობელ ბალებსა და ეზოებში მეზობლების ბაღები კეგელს თამაშობენ, ხილს ჰკრეფენ და მხიარულად უივიან...”(გამსახურდია 2010:11). გოეთე ქალაქ ფრანკფურტში გამართულ არაერთ გასართობ ღონისძიებასაც ესწრებოდა და ხალისობდა. იგი გარკვეულ დროს დიდუდასთან ატარებდა, სადაც საბავშვო თოჯინების სპექტაკლებს დგამდნენ.

ბიოგრაფიულ რომანში პერსონაჟებად გვევლინებიან გოეთეს პაპა და მშობლები. საგულისხმოა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დახატული მათი პორტრეტები.

საინტერესო ადამიანი გახლდათ გოეთეს ბაბუა. ის განსწავლული, ნაკითხი ადამიანი იყო. მის კაბინეტში უამრავი წიგნის ნახვა შეიძლებოდა, უმეტესწილად იურიდიული ხასიათის, თუმცა მოგზაურობის მემუარები და აღმოჩენათა შესახებ დაწერილი ნაშრომებიც მრავლად მოიპოვებოდა.

მწერალი მიუთითებს: „ძველი ფრანკფურტელი პუნქტუალური მოხელე ისეთივე დიდის სიბეჯითითა და გულმოდგინებით უვლის თავის ბაღს, როგორც თავის სამსახურს ასრულებდა იგი.

დილით ადრე იგი ქალაქის საბჭოში მიდის, საქმეებს მოაგვარებს, ყოველთვის დროზე ბრუნდება შინ, ისაუზმებს, ოდნავ წასთვლემს და ბაღს მიაშურებს.

იგი მუდამ ოლიმპიური სიმშვიდით ეგებება დღის წასვლას და დღის მოსვლას, ცოტას ლაპარაკობს, არასოდეს სიფიცხეს არ იჩენს და არც არასოდეს უნახავს შვილიშვილს განრისხებული პაპა”(გამსახურდია 2010:16,17). ქართველი მწერალი გერმანელი შემოქმედის მოღვაწეობაზე წერისას ეყრდნობა გერმანელი პოეტის ავტობიოგრაფიულ წიგნსაც: „ჩემი ცხოვრება, პოეზია და სინამდვილე“. ჩვენი კვლევის უკეთ წარმოსაჩენად აღნიშნული ფრაგმენტი შევადარეთ ზემოთ მითითებულ ნაშრომთან, რომლის თარგმანიც დალი ფანჯიკიძეს ეკუთვნის: „ბაღის სამუშაოს ბაბუა ისევე რეგულარულად და ფუნქტუალურად ასრულებდა, როგორც თავის სამსახურის საქმეებს ეკიდებოდა: ძირს მანამ არ ჩამოვიდოდა, სანამ მომჩივანთა განცხადებებსა და სხვა სამსახურებრივ ოქმებს არ ჩაიკითხავდა. დილაობით რატკაუსში მიდიოდა, დაბრუნებისთანავე ისადილებდა, ნასადილევს თავის სავარძელში თვალს მოატყებდა და ასე მეორდებოდა ყოველდღე. ლაპარაკობდა ცოტას და აუჩქარებლად, არ მახსოვს, ოდესმე გაბრაზებული მენახოს”(გოეთე 200:252).

გამოიკვეთა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას არ შეუცვლია ფაქტები, მოვლენები. თარგმანში გარკვეული ცვლილებები შევნიშეთ, თუმცა ეს ბუნებრივია, ორი სხვადასხვა ადამიანის მიერ გადმოქართულებული ტექსტი იდენტური ვერ იქნებოდა.

ახლა რაც შეეხება იოჰან კასპერ გოეთეს, ისიც საკმაოდ განათლებული იყო და ცოდნას, წიგნიერებას აფასებდა. ამონარიდი რომანიდან: „მუდამ ბეჯითი, სერიოზული და საქმიანი მამა თავის კაბინეტში მუშაობს. პატარა ვოლფგანგის ყურადღებას იწვევს სანაქებოდ დაკაზმული წიგნები, ჰოლანდიურ გემოვნებაზე აკინძული ლათინი ავტორები, უწარჩინებულესს იტალიელ პოეტების ქმნილებები, ტორკვატო ტასოს ტომები საპატიო ადგილას უწყვიამამას... ამ ბიბლიოთეკასვე ამშვენებდა განსწავლული იურისტების, სჯულისმდებელთა ფილიანტები და ტომები”(გამსახურდია 2010:13-14). აქვე

მიუეთითებთ, რომ როგორც მთელს სახლში, ისე მამის სამუშაო ოთახში, საკოლექციო დარბაზებში გერმანული წესრიგი, სისუფთავე იყო გამეფებული.

იოჰან ვოლფგანგის დედა, კატერინა ელიზაბეტ ტექსტორი იყო ფრანკფურტის მერის, ჯოან ვოლფგანგი ტექსტორის ქალიშვილი. მას ასეთი სიტყვებით ახასიათებს ბიოგრაფიული რომანის ავტორი: „მარად საქმიანი, სათნო და გულმოლხენილი“. იგი საოცრად კეთილი, გულისხმიერი, ღვთისნიერი განათლებული ქალბატონი გახლდათ, რომელიც ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, იღვწოდა. მან მეუღლესთან ერთად, ვაჟის აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ბიოგრაფიულ რომანში ვკითხულობთ: „იგი მამასავით გულჩათხრობილია და ხანდახან ცივი... დედის გადაჭარბებული ჰერმენტიკური კლერიკალიზმთან მომიჯნავე სათნოება და ბიბლიისადმი ტრფიალი მასზე ჯეროვან ზეგავლენას არ ახდენს, ჯერ კიდევ ექვსი წლის ბაღლი სქეპტიკურად შესცქერის ებრაელების ღმერთის გულმოწყალებას.

სამაგიეროდ ბიბლიის მოტივებისა და ლუთერული თარგმანის სტილის მიბაძვა კეთილ ზეგავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე. ამავე მოტივების მიბაძვით სწერს იგი თავის „Poetische Gedanken uger Hollenfahrt Ghristi“ და პოემას „იაკობ“(გამსახურდია 2010:23-24).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული რომანის მიხედვით, გოეთე სიყმაწვილეში მოხელეების, ბიურგერების ოჯახებში გაზრდილ თანატოლებთან გართობასა თუ თამაშს ერიდებოდა, ჯირითის, ფარიკაობის გაკვეთილებზე გულს იცრუებდა. ისინი „უფანტაზიოდ და უსიცოცხლოდ ეჩვენებოდნენ ვოლფგანგს“(გამსახურდია 2010:29). მას ძალიან მოსწონდა უბირი ხალხის, ხელოსანთა შვილები. ერთ-ერთი ასეთი იყო მისი სიყრმის ამხანაგი ჰილადეს. სწორედ მას უკითხავდა თავის პირველ შაირებს მომავალი გერმანელი პოეტი. ის გოეთეს ლექსებს სიამოვნებით აცნობდა თავისი უბნის გოგო-ბიჭებს. ბიოგრაფიულ რომანში შესანიშნავადაა წარმოჩენილი დიდი მოაზროვნის ბავშვობის მეგობრები, მათი ცხოვრება. ფრაგმენტი მხატვრული ტექსტიდან: „მათ ადრე სიყმაწვილეშივე აღკვეთოდით სწავლის განგრძობის საშუალება, მცირეწლოვანნი შრომას შეებოდნენ, ზოგი უსახელო ვეჟილებს შიკრიკად ჰყავდათ, ზოგი თხოვნებს უწერდა მომჩივანთ, ამგვარად იოლად გამოდიოდნენ... სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდათ ამ ყმაწვილებს, იქ არ ლაპარაკობდნენ იურიდიული კარიერის გამო, არც ქალაქის საბჭოში დანიშნულ ბიუროკრატის ამბავი ესმოდა“(გამსახურდია 2010:30). თუმცა დაბალი წრიდან გამოსულ

თანატოლებთან ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გოეთეს მამამ სასტიკად აუკრძალა მათთან მეგობრობა, დროის გატარება და მანაც გაითვალისწინა მშობლის სურვილი, უფრო სწორად თუ ვიტყვით, მოთხოვნა.

მწერალი წერს, რომ გოეთემ ბავშვობაშივე შეიყვარა წიგნები. პატარა ვოლფგანგი ფრანკფურტელი ბუკინისტებისგან ორიოდ გროშად ყიდულობდა ზღაპრებს, მითოლოგიურ ლიტერატურას და სხვა ნაწარმოებებს. იგი სიყმაწვილეშივე გაიწავა ბერძნულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებში. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან: „მამა ზრუნავდა თავის მხრით და საუკუნის ატმოსფეროც ხელს უწყობდა ასე თუ ისე, სპარტანული აღზრდა მიედო ვოლფგანგს. ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა და მხატვრობა, რომელთაც დიდი ტრადიცია ჰქონდათ გოეტეანთ ოჯახში, აფაქიზებდა მის ხასიათს, ხოლო ბუნებას მისას რეფლექსიურ იერს აძლევდა, სამაგიეროდ მეომარი და ავანტიურისტული განწყობილება სუფევდა მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურასა და ყოფაში“ (გამსახურდია 2010:27).

ჩვენთვის საგულისხმოა გოეთეს გამგზავრება ლაიფციგში, სადაც იგი უმაღლესი განათლების მისაღებად ჩავიდა. ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ თავში „საშიშარი სტუდენტი“ ავტორი პოეტის ცხოვრების ამ ეპიზოდზე საინტერესოდ მოგვითხრობს. „პატარა პარიზად“ წოდებულ სავაჭრო და საუნივერსიტეტო ქალაქში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მამის მიერ გამოტანებული სარეკომენდაციო ბარათების საშუალებით ახალგაზრდა ჭაბუკმა მალე გაიცნო ბრაიტკოფების, შონკოფების და რაიხის – ლაიფციგელ არისტოკრატთა ოჯახები. იხატება მომავალი პოეტის პორტრეტი: „ბევრს მუშაობდა, ბევრს ისმენდა, ბევრს აკვირდებოდა ვოლფგანგი. ერთობოდა, ახალ საზოგადოებას აკვირდებოდა. საზოგადოებაში იგი იყო ჩუმი, მოკრძალებული, მაგრამ იმავე დროს ფრიად თავმოყვარეც. ყოველ შემთხვევაში პირველ სემესტრში იგი ბევრ დროს ხარჯავდა მისვლა-მოსვლაში, საუბრებში და პაექრობაში“ (გამსახურდია 2010:51). ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანელი პოეტის ლაიფციგელ მეგობრებში გამოირჩეოდა ბერიში, გრაფ ლინდაუს სახლთუხუცესი. იგი იყო ერუდიტი, ნიჭიერი ახალგაზრდა, შესანიშნავად ლაპარაკობდა, წერდა ფრანგულად. მას ძალიან უყვარდა ლიტერატურულ სალონებში სიარული, საუბარი და გემოვნებით ჩაცმა. „ფაუსტის“ ავტორი ძალიან აფასებდა მის ცოდნას, წიგნიერებას, „ენების შესწავლის ტალანტს და ხელწერას. ხელწერას თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად

ვოლფგანგიც. რადგან მას სჯეროდა, რომ კარგ ხელწერას, კარგი სტილიც უცილოდ თან სდევსო”(გამსახურდია 2020:56). მათი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელდა. ბერიშს ქალაქის დატოვება მოუწია, გოეთემ კი ხელოვნების დრამად შესწავლა გადაწყვიტა.

საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქი ფრანკფურტი (იმ დროს, როცა გოეთეს ცხოვრებაზე წერს მწერალი, ფრანკფურტი საფრანგეთის მმართველობაში იყონ.ხ.) გერმანულ და ფრანგულ კულტურათა მიჯნაზე იმყოფებოდა, რამაც ავტორის აზრით, დიდი გავლენა მოახდინა პოეტზე და სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი იქ უნივერსიტეტში გადასვლისა. ახალგაზრდა ვაიმარელმა ჭაბუკმა „გასაოცარის სისწრაფით შეითვისა ფრანგული და პირველი თავისი დრამატული ქმნილება ფრანგულად და ფრანგი ოსტატების გავლენით დაწერა... გოეთემ დრამა მისწინილობის წლებშიც აღიარა თავისი მიდრეკილება ფრანგული კულტურისადმი, ბავშობიდანვე დიდ გავლენას ახდენდა მასზე ფრანგული ენა და ლიტერატურა“(გამსახურდია 2010:23,67).

კონსტანტინე გამსახურდია შთამბეჭდავად აცოცხლებს გერმანელი ბრძენის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენის პერიოდს, გვამცნობს, თუ რა შეფასებები მოჰყვა იოჰანის სიჭაბუკისდროინდელი ლირიკული ნაწარმოებების გამოქვეყნებას და იქვე, თავის პოზიციასაც აფიქსირებს. ფრაგმენტი რომანიდან: „ამ ეპოქის პერიოდული პრესა მოწმობს, რომ გოეტეს ფრიად უხიაგო ტონით შეეგება კრიტიკა. წვრილფეხა კრიტიკოსები უდიერად აძაგებდნენ გოეტეს, ხშირად პორნოგრაფიასა და გადაჭარბებულ ეროტიზმს სწამებნენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ურჩევდა პოეტს ახალ გზას და მეთოდს შემოქმედებისას“(გამსახურდია 2010:61).

გამოითქვა მოსაზრება, რომ გოეთეს ლექსებს აშკარად ეტყობოდა მოტივების კუთხით ბიბლიისა და გერმანელი მწერლის, ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკის მიბაძვა.

ნაწარმოებიდან ცხადი ხდება, რომ გერმანელ კლასიკოსს გული აუცრუა მისი ქმნილებებისადმი ასეთმა უარყოფითმა რეაქციამ და თითქმის ერთი წლის მანძილზე არაფერი დაუსტამბავს, მხოლოდ თავის დას, კორნელიას უგზავნიდა ფრანგულ და ინგლისურ ლექსებს. პირადი მეგობრები: ჰერმანი, ცახარიე, კნებელი ამხნევებდნენ მას და ახალი შემოქმედებით სტიმულს ჰმატებდნენ. მართლაც, გავიდა რამდენიმე წელი და გოეთემ არაერთი შედევრი წარუდგინა მკითხველს. 1773 წელს გამოიცა დრამა „გოც ფონ ბერლინსინგენ“. აღნიშნულმა

მხატვრულმა ტექსტმა ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგი თვლიდა, რომ „ნოტებით უნდა გამოეცა“, სხვანი კი ამბობდნენ, „ისტორიას დალატობსო“. მომდევნო წელს კი რომანი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ დაისტამბა. ნაწარმოებში გამოყვანილი პერსონაჟი, ლოტტე გოეთეს იმუამინდელი საყვარელი ქალის, შარლოტტე ბუფფის პროტოტიპი იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ წერს კონსტანტინე გამსახურდია. ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან: „თუ „გოც ბერლინსინგენის“ პოეტურ ანდაზად გოეთემ შუა საუკუნეთა რაინდული ყოფა გამოიყენა, „ვერტერის ვნებანის“ ისტორიული ჩარჩო მე-18 საუკუნის ევროპული სინამდვილე იყო. ფრედერიკესთან გაყრის შემდეგ გოეთეს გულში სიცარიელე სუფევდა და ეს უფსკრული შარლოტტე ბუფფმა ამოავსო.

სინამდვილეში გოეთეს დაუპირისპირდა პრაქტიკული „გონების კაცი“ კესტნერი, ისე როგორც რომანში ვერტერს ალბერტი. ისევე, როგორც ვერტერის რომანში, გოეთე კოცნას გაუბედავს ლოტტეს და კეთილსინდისიერი, ბურგერული წესიერების მიხედვით აღზრდილი ქალი თავის საქმროს ამცნობს ამ ამბავს. ამის შემდეგ ლოტტე დაბეჯითებით უცხადებს ვოლფგანგს, რომ უკვე დანიშნული ქალისგან მას შეეძლება მხოლოდ მეგობრობა მოითხოვოს და სხვა არაფერი. „გოეთე იმ დღეს ფერმკრთალი და დარდიანი წავიდა“.

რამდენად ძლიერია გენიოსი პოეტის არა მარტო გამოგონილი სიტუაცია, არამედ პირადი განცდაც”(გამსახურდია 2010:107,108)

1887-89 წლებში დაიბეჭდა „იფიგენია თავრიდში“ და „ტორკვატო ტასო“. ამ უკანასკნელის შესახებ თავად წერდა: „იგი ჩემი ხორცია ხორთაგანი და ძველი ძვალთაგანი“, აქვე იწყებს იგი ელპენორს. ამ ქმნილებებში ყოველგან მუხად შარლოტტე ფონ შტაინ ჰყავდა არჩეული. წარმატების და გამარჯვების ამბავს მუდამ შარლოტტეს ატყობინებს პირველად. შარლოტტე პირველი მკითხველიც იყო”(გამსახურდია 2010:156). როგორც ზემოთ ვთქვით, შარლოტტე და „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ ავტორი ერთხანს გამიჯნურებულები იყვნენ.

ბიოგრაფიული რომანის ავტორი ერთ-ერთ თავში ერთდროულად მსჯელობს კლოპშტოკის, ჰერდერის, შექსპირის ზეგავლენაზე გოეთეს პიროვნებასა და შემოქმედებითი ფორმაციის პროცესში. ეს თვალნათლივ გამოვლინდა არაერთ ქმნილებაში. ამონარიდი: „გოეთემდის კლოპშტოკი შესდგა პირველად დიდი პოეტის განსაცდელით სავსე ეტლზე. ის უაღრესად



რელიგიური ბუნებისა იყო და მას არ გაძნელებია დიდი პოეტის სახელთან ერთად დიდად ზნეობრივი შარავანდედის მოხვეჭაც... ჰერდერი ფრიად თავმოთნე გახლდათ და გესლიანი ადამიანი იყო. იგი სავსებით არა ზოგავდა ახალგაზრდა გოეთეს ჭაბუკურ თავმოყვარეობას. ვოლფგანგი ითმენდა ოსტატის ჭირვეულობას, რადგან იგი განუზომლად ნეტარობდა ამ დიდი პიროვნებიდან გამომავალ ნათელის წილში“(გამსახურდია 2010:78-80). რაც შეეხება შექსპირს, არც გოეთე ყოფილა გამონაკლისი. იგი სიამოვნებით, დიდი ინტერესით, გულისყურით კითხულობდა მის პირველ პროზაულ თარგმანებს, ასევე ორიგინალში და როგორც კონსტანტინე გამსახურდია მიუთითებს: „შექსპირი გახდა მისთვის თვალშეუვლებ სახატედ, რომელშიაც ყოველი მისი ლიტერატურული გატაცება ერთბაშად თავს იყრიდა: ჰომეროსის სახეების გმირული პლასტიკა, დაბადების საკრალული პათეტიზმი, ოსსიანის პრიმიტიული ფანტასტიკა და საშინელების აპოლოგია. შტრასბურგშივე წარმოთქმულ სიტყვაში ვოლფგანგმა აღიარა: შექსპირის შეცნობის შემდეგ...

„მე ვიგრძენი, რომ ჩემი არსობა განუზომელად გავრცელდა, ყოველი ახლად და ახლად შეცნობილად მომეჩვენა, ამ უშველებელმა სინათლის ჩქერალმა მატკინა თვალნი... ზეწამოვიჭერ და პირველად ვიგრძენ რომ ხელ-ფეხი მესხა“(გამსახურდია 2010:84).

„გოეთეს ცხოვრების რომანზე“ საუბრისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონსტანტინე გამსახურდია ბიოგრაფიულ რომანში მხოლოდ ფაქტობრივი მასალის მოწოდებით არ შემოიფარგლება გოეთეს ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის აღწერისას. იგი დაწვრილებით, თანამიმდევრულად მოგვითხრობს ყველა იმ ადამიანის, პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოფის, ამასთანავე, ქალაქის, ქვეყნის შესახებ, რომელიც უშუალო კავშირშია კლასიკოსი პოეტის ბიოგრაფიასთან. განსაკუთრებით საყურადღებოა გერმანია და იტალია.

თავდაპირველად ვისაუბროთ ქვეყანაზე, რომელსაც თავადაც კარგად იცნობდა. მოვისხმობთ ამონარიდს: „გერმანული ფეოდალური ისტორია ერთ რამეში საქართველოსაც მოგვაგონებს: გერმანიასაც, როგორც ჩვენს ქვეყანას შუა საუკუნეთა მანძილზე ერთი და იგივე კულტურული ცენტრი როდი ჰქონდა.

მრავალ ტომებად, საჰერცოგოებად, სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას მრავალი პოლიტიკური ცენტრი მოეპოვებოდა, ამ პოლიტიკურ ცენტრებს,

სამეფოებსა და სამთავროების რეზიდენციებს, კულტურული ცენტრის ნიშანიც თან ახლდა.

ეს ხელს უწყობდა ერთი და იმავე კულტურის მრავალსახიერი აღნაგობის შემონახვას, გარდა ამისა, როცა მტერი, ან მტრული ცივილიზაციის შემოტევა მოახლოვდებოდა, კულტურის ცენტრშიც გადაინაცვლებდა, ასე რომ უკანასკნელი საუკუნეების პრუსიული პოლიციური სახელმწიფოს სატახტო – ბერლინი არასოდეს არა ყოფილა მთელი გერმანიის თავი და ტვინი, როგორც პარიზი საფრანგეთისათვის”(გამსახურდია 2010:140).

იტალია, უძველესი ანტიკური და ევროპული კულტურების აკვანი, მუდამ იყო შთაგონების წყარო დასავლელი პოეტებისა და მხატვრებისათვის. ვოლფგანგი იქ ჩასვლაზე სიჭაბუკიდანვე ოცნებობდა. გერმანელი ლიტერატორი მალტე შუხარტი წიგნში „გოეთეს ბიოგრაფიის მოტივები“ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ეს სურვილი ბავშვობაშივე განპირობებული იყო მამის აღფრთოვანებული მონათხრობის წყალობით იტალიის შესახებ და უამრავი ფერწერული ტილოსა თუ შავ-თეთრი ნახატის გამო, იტალიური მოტივებით, რომლებიც ფრანკფურტში მშობლების სახლის კედლებს ამშვენებდა“(შუხარტი 2010:65).

კონსტანტინე გამსახურდია ბიოგრაფიულ რომანში საგანგებოდ გამოყოფს თავს „მოგზაურობა იტალიაში“ და აქ გადმოსცემს, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ნანატრ ევროპულ ქვეყანაში გამგზავრებამ ვაიმარელ ბრძენზე. „გოტცის“, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებების“ ავტორმა ანტიკური თემატიკისკენ იბრუნა პირი. მან იქ დაასრულა „ემონტი“ – ტრაგედია, მისი ახალი პოზიციის გამომხატველი „იფიგენია თავრიდში“ – ანტიკურ სიუჟეტზე შექმნილი დრამა, რაც გერმანელი მკითხველისთვის სიახლეს წარმოადგენდა. საგულისხმო დასკვნას აკეთებს ავტორი: „მუდამ ასე ყოფილა: დიდი იდეური ნოვატორები და სტილისტური რეფორმატორები მუდამ ათეული წლებით წინ უსწრებდნენ თავის დროს და პოეტსა და მკითხველს შორის ეს ბადებს ხოლმე მარად ძველსა და მარად ახალ გაუგებრობას... მე წინ მიდევს გოეთეს „იტალიაში მოგზაურობის“ 1829 წლის გამოცემა... რამდენი რამ შეცვლილა მას შემდეგ გერმანულ მართლწერასა და გამომცემლობის ტექნიკაში!

ერთი უნდა ითქვას, გოეთეს ეს ქმნილება უბრწყინვალესი ძეგლია ევროპულ მოგზაურობათა ლიტერატურაში, მას სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ თუ შეედრება ამ მხრივ... როგორი სისადავით, ბრწყინვალე

სტილითაა იგი დაწერილი და ეს სისადავე იტევს დეტალების გენიოსური შენიშვნის უნარს და დიდ სიფაქიზეს თხრობისას. აქ ერთ წიგნში მეტყველებს შესანიშნავი ბუნებისმეტყველების მახვილი თვალი დიდი ერუდიტი ისტორიისა და კულტურისა და უფაქიზესი პოეტის კალამი”(გამსახურდია 2010:168-169,184).

იმ დროს, როცა ვოლფგანგი „ფაუსტზე“ მუშაობდა და ბუნებისმეტყველებით იყო გატაცებული, დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია, რომლის მიმართაც იგი კრიტიკულად იყო განწყობილი და არ ჩაბმულა ვაიმარის საზოგადოების ფუსფუსში. მოგვიანებით, ამ საკითხთან დაკავშირებით ის საუბრობს ეკერმანთან, საიდანაც ვრწმუნდებით, რომ გოეთემ სწორად გაიგო და ამასთან, შეაფასა აღნიშნული მოვლენის ისტორიული მნიშვნელობა და როლი. ამას გვერდი კონსტანტინე გამსახურდიამაც ვერ აუარა. ამონარიდი: „ხალხის დაბალი ფენების რევოლუციური ამბოხებანი მუდამ ამ ქვეყნის ძლიერთა უსამართლობის შედეგი ყოფილა. ამიერიდან არავითარ უსამართლობას შევეურიგდები და ამას უთუოდ ვიზამ, თუნდაც დემოკრატიის სახელითაც რომ მომიხდეს საომრად წასვლა... ასეთი იყო ჩემი აზრი მაშინაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი სახელები შემარქვეს, რომ მე მათი განმეორებაც მიმიძიძს... ისიც მართალია, მე არა ვყოფილვარ საფრანგეთის რევოლუციის დიდი მეგობარი, რადგან ამ რევოლუციის მეოხებით აღმოცენებული საშინელება ჩემს თვალწინ დატრიალდა და მისი კეთილი ნაყოფი ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩემთვის საცნაურ... მაგრამ არც თუ ბატონური ძალმომრეობის მეგობარი ვყოფილვარ ოდესმე“(გამსახურდია 2010:192).

კონსტანტინე გამსახურდიამ ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ თავს უწოდა „ნაპოლეონი“. პროზაული ტექტში იმპერატორი პერსონაჟად იკვეთება და გაცოცხლებულია 1808 წელს ვაიმარში ყოფნის პერიოდი. მისი სურვილისამებრ, გოეთე ეახლა ნაპოლეონს. მწერლის თქმით, დაწვრილებით არავინ იცის, თუ რაზე ისაუბრეს მათ. მიუხედავად ამისა, მან საინტერესო მასალა მოიძია და შესანიშნავად ჩაურთო თხზულებაში. ამონარიდი: „აუდიენცია ოქტომბრის ორისათვის დაინიშნა, „იმპერატორი, სწერს გოეთე, უშველებელ მრგვალ მაგიდას უჯდა და საუბრობდა... დამინახა თუ არა, მანიშნა: ახლოს მივსულიყავი, მე წინ წავიწიე, მაგრამ საპატიო მანძილზე შევდექი, ნაპოლეონმა ყურადღებით მომავლო თვალი და მითხრა: Vous etes un home! მე თავმოდრეკილი სალაში მივეცი”...

ნაპოლეონმა ამაგა ვოლტერის დრამა და სავსებით მოულოდნელად „ვერტერს“ შეეხო. შვიდგზის წაკითხული მაქვსო, ასე ამბობდა. „ვერტერი“ ეგვიპტეში თანა ჰქონდა ნაპოლეონს. უფრო მეტად გაოცდა გოეთე, როცა იმპერატორი „ვერტერის“ უკანასკნელ პასაჟებს შეეხო და შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობისა და ვნებიანი სიყვარულის ურთიერთში აღრევა აღნუსხვა და დაიწუნა კიდევ.

გაოცებული გოეთე დაეთანხმა ნაპოლეონს ამ საკითხში და სავსებით დაავიწყდა, რომ ჰერდერის მიერ გამოცემულ „ვერტერში“ ეს დეტალი შესწორებული იყო კიდევ”(გამსახურდია 2010:198).

ვაიმარში გამართულ ბალზე ნაპოლეონმა გოეთეს პარიზში ჩასვლა და „ცეზარის სიკვდილის“ დაწერა შესთავაზა და „ლეჟიონ დ'ონორის“ ორდენიც გადასცა. გერმანელ პოეტს არ მოუწონეს საფრანგეთის იმპერატორისადმი გამოხატული ტრფიალი და პატივისცემა. იგი თავისი ქვეყნის მტრად როდი ხედავდა მას, არამედ დიდ ფერომენად აღიქვამდა. ეკერმანთან ერთ დღეს საუბრისას აღნიშნა: „ნაპოლეონი მუდამ ანთებული იყო, მუდამ სამოქმედოდ მზად მყოფი. ყოველ ჟამს საკმარისი ენერგიით აღვსილი, როგორც კი რაიმეს მიზანშეწონილად დაინახავდა, მისვე მოქმედებას შეუდგებოდა. ცხოვრება მისი ეს ნახევარღმერთის ბრძოლიდან ბრძოლისგან, გამარჯვებიდან გამარჯვებებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა იყო. მასზე ითქმოდა სწორედ: მუდამ ანთებულიო. ამიტომაც ასე ბრწყინვალე იყო სვე მისი და ასეთი რამ მის მოსვლამდის არვის უნახავს და საეჭვოა მის შემდეგაც რომ ნახოს ვინმემ”(გამსახურდია 2010:199).

ჩვენ გერმანელი მოაზროვნის ზემოთ მოხმობილი სიტყვები შევადარეთ რეალურ წყაროსთან. ესაა „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“. წიგნი აკაკი გელოვანმა თარგმნა, რომელიც 1988 წელს გამოიცა. გთავაზობთ ფრაგმენტს: „ნაპოლეონს ნებისმიერ დროს ჰქონდა საკმარისი ენერგია, რომ განეხორციელებინა, მოეხდინა ის, რაც ხელსაყრელად და აუცილებლად მიაჩნდა. მთელი მისი ცხოვრება იყო სვლა ნახევრად ღმერთისა ბრძოლიდან ბრძოლამდე, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. მისი ამბავი შეიძლება თამამად ითქვას: ეს იყო ერთიანი გამონათების მდგომარეობა; რომ ბედი მისი ისეთი ბრწყინვალე იყო, როგორც მანამდე კაცობრიობამ არ იცოდა და არც ეცოდინება ალბათ არასოდეს, – სწორედ ასეთი გამონათების წყალობით”(ეკერმანი 1988:159).

როგორც დაინახეთ მოყვანილი ფრაგმენტიდან, კონსტანტინე გამსახურდია უცვლელად ტოვებს გოეთეს ნაზრევს ნაპოლეონზე. ცხადია, არის მცირედი განსხვავება და ეს არცაა გასაკვირი, რადგან პირველ შემთხვევაში „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ მწერლისეული თარგმანია, მეორე კი როგორც უკვე მივუთითეთ, აკაკი გელოვანისა. მთავარი და არსებითი ისაა, რომ ქართველი მწერალი ფაქტებს არ ცვლის.

„გოეთეს ცხოვრების რომანში“ საინტერესო პერსონაჟებად გვევლინებიან შილერი და ბაირონი.

გოეთესა და გერმანელი პოეტის, დრამატურგის მეგობრობაზე ბევრი რამ დაწერილა, როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. ბუნებრივია, ბიოგრაფიული რომანის ავტორისათვისაც მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობა. „შილლერი“ – ასე უწოდა ავტორმა თავს, სადაც ორი დიდი, მსოფლიო დონის მოაზროვნის თბილ ურთიერთდამოკიდებულებას აღწერს. მოვიძიეთ ისიც, რომ ინტერნეტში განთავსებულ ინგლისურენოვან საიტებზე, სადაც გოეთეზე ვრცელი ინფორმაციაა განთავსებული იგივე აზრია გამოთქმული: „არსებობდა რაღაც უდიდესი ზეგავლენა, რომელმაც ბევრად იმოქმედა ამ ორი პოეტის ცხოვრებაზე. ლიტერატურის ისტორიაში არ მოიპოვება ანალოგი მსგავსი მჭიდრო სიახლოვისა“ (<http://theatrehistory.com/german/goethe011.html>). ფრაგმენტი რომანიდან: „გოეთე ბედის მიერ გაღალებული სეფეწული იყო, ბრწყინვალე მინისტრი და უფრო ბრწყინვალე პოეტი. შილლერი უბრალო სამხედრო ფელდშერი იყო და სიკვდილის პირამდის ლუკმა პურისთვის იბრძოდა. ამ ქვეყნად წარმოუდგენელია პოეზიის გარეშე სხვა ძალა, რომელსაც შეეძლოს ორი ასეთი უკიდურესად განსხვავებული მდგომარეობის ადამიანის შეკავშირება“ (გამსახურდია 2010:193-194).

ავტორი ბიოგრაფიულ რომანში გოეთესა და ბაირონის ურთიერთდამოკიდებულებაზეც წერს. მწერალს მოჰყავს ის ამონარიდები წიგნიდან „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“, სადაც „ფაუსტის“ ავტორი მას ესაუბრება ინგლისელ ლირიკოსზე. მხოლოდ ამ სახითაა გაცოცხლებული ამ ორი დიდი პიროვნების ურთიერთობა.

ვაიმარელ ბრძენს ბაირონმა უძღვნა თავისი ტრაგედია წარწერით: „ბრწყინვალე გოეთეს“. ამ უკანასკნელმა კი უპასუხა ლექსით: „Ein freundlich wort kommt nach dem andern“. საგულისხმოა, რომ „თავდაპირველად გოეთეს არ

მოსწონდა ბაირონი, თუმცა როცა მისი შემოქმედება კარგად შეიცნო, აზრი შეიცვალა”(გამსახურდია 2010:206). შემდეგ კი დიდი ნიჭის მქონეს უწოდებდა ინგლისელ პოეტს. ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან: „ეკერმანთან საუბარში გოეთე აღიარებს: „მე მისი (ბაირონის) „Deformed Transformed” ისევე გადავიკითხე და უნდა გამოვტყდე: რაც დრო გადიდის, მისი ტალანტი უფრო და უფრო დიდად მეჩვენება... ჰიპოთონდრია ხელს უსლის ბაირონს, უამისოდ იგი შექსპირისა და ანტიკური პოეტების ბადალი იქნებოდა”(გამსახურდია 2010:206).

გერმანული ლიტერატურის კრიტიკოსის, არჩილ ხოტივარის მართებული მითითებით: „ღრმა ფსიქოლოგიზმით აღწერს კონსტანტინე გამსახურდია გოეთეს მრავალრიცხოვან სასიყვარულო თავგადასავლებს, მაგრამ ამასთან გვაფრთხილებს, რომ იგი „რომელიმე სნობისტურად განწყობილი კავალერის დარად ქალში მარტოდენ ფიზიკური სიახლოვის საგანს როდი სჭვრეტდა, არამედ მუზას, მადონას და აღტკინების მომგვრელს“ (ხოტივარი 1976:26).

გერმანელი შემოქმედის პიროვნებაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს მისი ურთიერთობა საზოგადოებასა და მეგობარ ქალებთან. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია დიდი პოეტის ვაიმარში ყოფნის პერიოდი, სადაც იგი ჩავიდა ჰერცოგ კარლ ავგუსტუსის მიწვევით და სამეფო კარის ცხოვრების ფერხულში ჩაება. რომანში ვკითხულობთ: „თავისი კონსერვატიზმის მიუხედავად, გოეტეს არ შეეძლო ამ საზოგადოების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ყოფილიყო, რადგანაც ეს „სოსიეტე“ XVIII საუკუნისა ქონებრივ და წოდებრივ იერარქიას ემყარებოდა. ხოლო ტალანტი ყოველივე ამის გარეშე მდგარა მუდამუამს. ხომ კარისკაცი იყო გოეტე, მაინც საპყრობილედ ეჩვენებოდა ეს საზოგადოება“(გამსახურდია 2010:158). იქვე, როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერს, გოეთეს და მისი არაეთი მეგობარი ქალის ურთიერთობა ამ საკითხზე არაერთგვაროვანი იყო. მათი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: „თუ გრეტხენ, ფრედერიკე, ლილი რომანტიულად, რუსსოსებურად განწყობილ გოეთეს ანტისოციალობისაკენ, ტიტანიზმისაკენ, ეგოცენტრიზმისაკენ მიაქანებდნენ, შარლოტტე ფონ შტაინ უფრო სოციალობისაკენ, საზოგადოებრივობისაკენ ეწეოდა გოეთეს დაუოკებელ ბუნებას“(გამსახურდია 2010:159).

ბიოგრაფიულ რომანში კონსტანტინე გამსახურდია არა მხოლოდ გოეთეს ღირსებაზე, ნიჭიერებაზე მსჯელობს, არამედ მის ნაკლს თუ უარყოფით მხარესაც წარმოაჩენს. მწერალი, რომელიც გოეთეს ლიტერატურულ

მემკვიდრეობას შესანიშნავად იცნობდა და აღიარებდა მის პიროვნებას, კარლ ავგუსტისადმი მიძღვნილი ლექსების დაწერის ფაქტი ნაკლად ჩაუთვალა. ამასთანავე, რომანში ამ საკითხზე საუბრის მიზეზიც შესანიშნავად განმარტა: „არაა საჭირო ადამიანური სისუსტის მიჩქმალვა, როგორც ამას ჩადიან გერმანელი ბიოგრაფები და მწერლები.“

როგორც ქართველი ავტორი, სავსებით შორს ვიჭერ ამგვარ ქალაქუნობას. მე მინდა თუმცა გენიოსი პოეტის, მაგრამ მაინც ადამიანის პორტრეტი დავხატო, სხვა არაფერი.

უთუოდ კარისკაცული ქედმოდრეკილობით სავსეა გოეთეს ლექსი „ილმენაუ“, რომელშიაც კარლ ავგუსტს დითირამებს უმღერის პოეტი. გაცილებით უფრო ამცირებს გოეთეს ჩვენს თვალში ლექსი „ჰერცოგისადმი“ (გამსახურდია 2010:146).

ბიოგრაფიული რომანის ბოლო თავში: „ჩამქრალი თვალი“ ავტორი ვოლფგანგის ცხოვრების ბოლო დღეებზე მოგვითხრობს და მოჰყავს საყურადღებო, საგულისხმო ნაწყვეტები ეკერმანის „გოეთესთან საუბრებიდან“, სადაც ის საინტერესოდ ხატავს ხელოვან საზოგადოებას, კიცხავს იმ პიროვნებებს, რომლებიც წინამორბედთა თუ თანამედროვეთა გამოცდილებას არ ითვალისწინებენ. მნიშვნელოვანია შემდეგი ამონარიდი: „ვგონებ მე ნება მაქვს ჩემს შესახებაც ორიოდ სიტყვა დავსძრა და გულწრფელად ვაღიარო: მართლაც მე ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალი რამ შემიქმნია და გამიკეთებია, რის გამოც უფლება მაქვს, კიდევაც ვიამაყო და თავი მოვიწონო. მე უთუოდ არაფერი შემრჩებოდა ხელში, განაგონის, ნანახის გარდაქმნისა და ოსტატურად კვლავ გადმოცემის უნარი რომ არ მქონებოდა“ (გამსახურდია 2010:209).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული რომანი მთავარი პერსონაჟის გარდაცვალების ეპიზოდით სრულდება. მიუხედავად უძღურებისა, გოეთე იმედს არ კარგავდა, დარწმუნებული იყო გამოჯანმრთელებაში. გაზაფხულის დადგომა უხაროდა. ამონარიდი: „დარაბა გამოადე, რათა მეტი სინათლე შემოვიდესო“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ენა ჩაუვარდა... მსახურებს და მახლობლებს ჰაერში გავლებული თითით ანიშნებდა თავის სურვილს. შემდეგ ამისა საჩვენებელი თითით სწერდა ჰაერში რაღაც იდუმალ სტრიქონებს... როცა მკლავში ღონე გამოეცალა, საბანზე გავლებული თითით სწერდა გამოუთქმელსა და დაუწერელს. დამსწრენი

ამხნევედნენ – თვით სასვენ ნიშნებსაც არა სტოვებდა. პირველი წინადადების პირველი ასო შეიცვანეს: ლათინური ვ. შემდეგ მაყურებლის გონებისათვის საკლებით მიუწოდებელი და შეუცნობი გახდა მის მიერ საჩვენებელი თითით ნაწერი... (გამსახურდია 2010:211-212).

ბიოგრაფიულ რომანში საგულისხმოა გოეთეს გარდაცვალების ეპიზოდი. მწერალი საუბრობს „ფაუსტის“ ავტორის ადასასრულზე და იმავედროულად „ახალი სიცოცხლის“ დაწყებაზე მიგვანიშნებს.

როგორც წესი, რომანებში, მხატვრულ ნაწარმოებებში უხვადაა სიმბოლოები, ალეგორიები, მეტაფორები და სხვა მხატვრული სახეები თუ ხერხები. ბიოგრაფიულ რომანში კი ისინი მწირადაა წარმოდგენილი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბიოგრაფოსი ძირითად ეყრდნობა დოკუმენტურ მასალას, ჩვენც სწორედ მათ (საარქივო მასალა, ისტორიული წყარო, მოგონებანი, ბარათები, წერილები – ნ.ხ.) წარმოჩენას მივანიჭეთ უპირატესობა „გოეთეს ცხოვრების რომანის“ კვლევისას და ასევე, სადისერტაციო ნაშრომში განხილული ამ ჟანრის ნაწარმოებებზე მსჯელობისას. ამ საკითხზე ზოგადად მაინც ვისაუბრებთ, რადგან ესენი პროზაული ტექსტებია.

„გოეთეს ცხოვრების რომანის“ მხატვრულ მხარეზე საუბრისას თავდაპირველად წარმოვაჩინოთ პეიზაჟის აღწერას. ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოა გოეთეს გამგზავრება სტრასბურგში. შესანიშნავად წერს კონსტანტინე გამსახურდია: „სტრასბურგ-ქალაქის ნაგებობანი და მისი მწვანეში ჩაფლული სანახები გადაეშალა თვალწინ გოეთეს. რაინისა და ილლერის წაღკოტოვანი ნაპირები მიმოიხილა ვოლფგანგმა, შორეული ნისლის გვირისტებივით კიდემემკული ტყეები, მშვიდად მთვლემარე ველები და კორდები. ელზასის წკანწკარა რუები ვერცხლის თასმებად ევლებოდნენ მინდვრებს და წაღკოტებს“ (გამსახურდია 2010:67).

მხატვრული სახეების: შედარებების, მეტაფორების, ეპითეტების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან: „გოეთეს ვაიმარში ჩამოჰყვა იტალიის ატლასისებრი ბრწყინვალეებისადმი სიყვარული, იგი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ვაიმარის ღრუბლიანი დღეების და გაუთავებელი თქორის შემყურე. სწუხდა ეს მოღუშული ცა ყოველგვარ ფერებს რომ ნთქავდა და აბათილებდა.

გოეთეზე იტალიაში მოგზაურობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. იგი ისევ სამხრეთს გასცქეროდა მზემოწყურებული. „უსახო და უაღნაგო გერმანიას“



აბაგებდა „ფორმადასრულებულ იტალიას“ მონატრებული” (გამსახურდია 2010: 184).

კონსტანტინე გამსახურდია მხატვრული ხერხების საშუალებით შესანიშნავად ხატავს გოეთეს ერთ-ერთი მეგობრის, ფრედერიკეს სახეს. ამონარიდი მხატვრული ნაწარმოებიდან: „ნათელი, აუღმღვრეველი მზერა ამშვენებდა ზღვისფერ თვალებს... ჭილის ქუდი ზონარივით გადმოეკიდა მხრის თავზე, საერთოდ იგი წრეში შემოსულ გაზაფხულსა ჰგავდა ვარდის ფურცლობისას ქვეყნად მოფენილს”(გამსახურდია 2010:87).

აქვე დავასახელებთ მაგალითებს, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია შედარებას, როგორც მხატვრულ ხერხს მიმართავს ბიოგრაფიულ რომანში: „სიყვარული და სიძულვილი ერთი და იმავე მედალიონის ორი სხვადასხვა მხარეა. ისინი ტოლად დადიან, როგორც შუქი და ჩრდილი”(გამსახურდია 2010: 195). ან კიდევ: „სიყვარულის საქმეს დაფიქრება ისევე სუსხავს, როგორც ვენახს ნაადრევი ყინვები”(გამსახურდია 2010:127).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეზე მსჯელობას აქ დავასრულებთ. გამოვლინდა, რომ ქართველი კლასიკოსი მწერლის მხატვრული ოსტატობა დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებშიც თვალნათლივ გამოიკვეთა. ამის დასტურია „გოეთეს ცხოვრების რომანიდან” ზემოთ მოხმობილი ამონარიდები.

დასასრულ დავსძენთ, კონსტანტინე გამსახურდიამ თხზულებაში დამაჯერებლად აღწერა გერმანელი მოაზროვნის – გოეთეს ცხოვრება, მოღვაწეობა. ამასთანავე, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ოსტატურად დახატა გენიალური პოეტისა და ადამიანის პორტრეტი, წარმოაჩინა მისი ღირსებაც და სისუსტეც. ეს იგრძნობა ნაწარმოების თითოეული გვერდის კითხვისას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ბიოგრაფიულ რომანში მწერალი ძირითადად ეყრდნობა ვაიმარელი ბრძენის შესახებ დაწერილ კრიტიკულ გამოკვლევებს, წერილებს, ბარათებს, პოეტის ავტობიოგრაფიას „პოეზია და სინამდვილე“, ეკერმანის „გოეთესთან საუბრებს“ და მრავალ ისტორიული ხასიათის მეცნიერულ ნაშრომებს, დავრწმუნდებით, რომ ის დაწერილია რეალურ მასალაზე დაყრდნობით და არა მწერლური ფანტაზიის შედეგად. ამაზე თავად კონსტანტინე გამსახურდია მიუთითებს რომანის ბოლოსიტყვაში: „გოეთეს შესახებ იმდენი დაწერილა კარგიც და ცუდიც, ყველაფერს თავი რომ მოვუყაროთ, ეს ყოველივე ერთ ქალაქშიც არ დაეჭოდა. ამიტომაც

გულმოდგინედ ხელახლა შევისწავლე მისი ავტობიოგრაფია („პოეზია და სინამდვილე“) ოცივე წიგნი, სამივე ტომი ეკერმანის „გოეთესთან საუბრებისა“, მეგობრებისა და მახლობლებისადმი მინაწერი და მათგან მიღებული კერძო ბარათები, გოეთეს ბუნებისმეტყველური ნაწერები, ხანდახან მისი ლირიკის გადათვალიერებაც მომიხდა.

რა თქმა უნდა, ამ მუშაობის შესრულებისას დიახაც გამოვიყენე ჩემი მრავალი წლის მუშაობა გოეთეს სემინარებში: ლაიფციგსა, მიუნხენსა და ბერლინში გაწეული 1912-19 წლების მანძილზე და პირადი შთაბეჭდილებანი ფრანკფურტსა, ვაიმარსა და იტალიაში მოგზაურობის დროს 1919-20 წლებში მიღებული. ბიოგრაფიული თარიღების დადგენისას და XVIII საუკუნის ევროპის ცხოვრების შესაცნობად ხშირად ვიშველიებდი და ანგარიშს ვუწევდი შემდეგ შრომებსაც: შერერ: „გერმანული ლიტერატურის ისტორია“, ჰაინემან – „გოეთე“, გზიმმელ – „გოეთე და კანტი“, დილტაი – „განცდა და პოეზია“, ჰუსტონ სტევარტ ჩემბერლენ: „ცხოვრების გზები“, რ.რიმენ „გოეთედან ექსპრესიონიზმამდე“, მაღამ დე სტალ – „მემუარები“, ლენც – „ნაპოლეონი“, ჩემბერლენ „XIX საუკუნის საფუძვლები“, ტომას მანნ – „ფრიდრიჰი და დიდი კოალიცია“, გუნდოლფ – „გოეთე“. დაუფასებელი სამსახური გამიწია ბრწყინვალე პოეტესას რიკარდა ჰუსის შესანიშნავმა შრომამ: „Ausbreitung u. verfall d. Romantik“ I, II ტ. გოეთეს მეგობრების მოგონებათა კრებულმა, „გოეთე“ - „კალენდარ“. რაიჰერ ფონფონდერ ლაიენის, ბარტელსის და ზორგელის ლიტერატურულ-ისტორიულმა ნარკვევებმა”(გამსახურდია 2010:216,217).

ამრიგად, 1934 წელს, კონსტანტინე გამსახურდიამ „გოეთეს ცხოვრების რომანის“ გამოცემით ქართველ მკითხველ საზოგადოებას წარუდგინა ახალი ფორმის, სხვა ჟანრში დახატული უდიდესი გერმანელი პოეტის ცხოვრება. მან დოკუმენტური სიზუსტე შეინარჩუნა და მოძიებული სხვადასხვა წყარო ერთ საინტერესო ბიოგრაფიულ რომანად აქცია.

## თავი II

### ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“

ვახტანგ ჭელიძე გახლდათ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი. იგი სხვადასხვა დროს რამდენიმე ჟურნალის რედაქტორი იყო, გამომცემელი, ბელეტრისტი, ესეისტი, მთარგმნელი. მან დაწერა წიგნები: „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ (ბიოგრაფიული რომანი), „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, კრებულები: „ძვირფასი სილუეტები“ (ლიტერატურულ-პუბლიცისტური სტატიები), „წერილები“, „ფიქრები ხვალისდელ დღეზე“.

ვახტანგ ჭელიძემ თარგმნა კლასიკური, ასევე, თანამედროვე ინგლისური და ამერიკული ბელეტრისტიკისა და დრამატურგიის ნიმუშები: შექსპირის, მილტონის, დეფოს, სკოტის, დიკენსის, გოლზუორთის, ჰემინგუეის, სტაინბეკის, მილერის, უილიამსის, ლონდონის, სელინჯერის და სხვათა ნაწარმოებები. ვფიქრობ, მეტი თვალსაჩინოებისთვის აუცილებელია, დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“, ერნესტ ჰემინგუეის „მწვიდობით, იარაღო!“, ჯონ სტაინბერკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, ჯერომ სელინჯერის მოთხრობები და სხვანი. ჯანსუღ დვინჯილია ერთ-ერთ წერილში საინტერესო შეფასებას გამოთქვამს აღნიშნულ საკითხზე: „ვახტანგ ჭელიძის თარგმანებმა შექმნეს ერთგვარი ეტაპი. ამ ადამიანის თავაუღებელი შრომით, თარგმანის მაღალი კულტურით და შერჩევის პრინციპით ქართველი მკითხველი ეზიარა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს“ (დვინჯილია 1977:150). ამავე საკითხზე ერთ წერილში ციალა თოფურიძეც მიუთითებს: „მხატვრული თარგმანი რთული შემოქმედებითი პროცესია. მთარგმნელს არა მარტო ფართო განათლება, ენების ცოდნა, დიდი ერუდიცია მოეთხოვება, არამედ მთარგმნელი თავად მწერალი უნდა იყოს. ეს აშკარად ჩანს არა მარტო ჭელიძისეულ მხატვრულ თარგმანებში, არამედ მის ლიტერატურულ კრიტიკულ წერილებსა და მრავალფეროვან პუბლიცისტურ ესეებში, კრებულებში“... (თოფურიძე 2006:37). ვახტანგ ჭელიძეზე, როგორც პიროვნებაზე, ლიტერატორზე, მთარგმნელზე, მწერალზე, რედაქტორზე სხვადასხვა წლებში დაწერილი არაერთი სტატია თუ ლიტერატურული წერილი არსებობს, სადაც ერთხმადაა აღიარებული მისი დვაწლი, დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. თითოეული ადამიანი,

ცხადია, ვგულისხმობ ვერილის ავტორებს, დადებითად აფასებს მის ცხოვრებას, მოღვაწეობას, ნაწერებს. ასევე, მასზე არსებობს მრავალი მოგონება.

„მან ბევრი რამ განსაზღვრა XX საუკუნის ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში და კიდევ დასდო გამორჩეული ღვაწლი მის შემზადებას მსოფლიო სამწერლო პროცესებში ჩასართავად.

ადრე თუ გვიან მისი პიროვნებაც და ცხოვრებაც იქცევა თემად ბიოგრაფიული რომანისათვის, ეპოქის დრამატიზმსაც თვალსაჩინოდ რომ აირეკლავს, რაკიდა ვახტანგ ჭელიძე ყოველთვის ლიტერატურულ და სახელოვნო მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა.

მითუმეტეს, „ივანე მაჩაბლის ცხოვრების“ შექმნით იმის ქრესტომათიული ნიმუშიც დაგვიტოვა, როგორი უნდა იყოს ბიოგრაფიული რომანი”(ჩხეიძე რ. 2007:24).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ ჭელიძემ ბიოგრაფიული რომანი დაწერა ივანე მაჩაბელზე და ვიდრე კონკრეტულად აღნიშნულ ნაწარმოებზე შევჩერდებით, მანამდე ქართველი მთარგმნელის, ჟურნალისტის, ივანე მაჩაბლის ლიტერატურული პორტრეტი გამოვკვეთოთ და გარკვეულწილად წარმოვაჩინოთ.

ივანე მაჩაბელს XIX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში ღირსეული ადგილი უკავია. საკმაოდ მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა ქართულ ლიტერატურაში, კულტურაში. იგი გახლდათ საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კობა წურწუშია წერილში „ივანე მაჩაბელი და ქართული შექსპიროლოგია“ საინტერესოდ წერს მის ღვაწლზე: „იგი აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ საზოგადოებრივი წამოწყებისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრალური საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, იყო „ვეფხისტყაოსნის“ სარედაქციო კომისიის რედაქტორი. დახმარება გაუწია უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისთვის, ასევე მარჯორი უორდროპს და სხვა უცხოელ მთარგმნელებს. სხვადასხვა წლებში იყო ჟურნალ „ივერიის“ თანამშრომელი, ხოლო შემდეგ გაზეთ „დროების“ რედაქტორი. ი. მაჩაბელი თავისი პუბლიცისტური წერილებით აშუქებდა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ჩვეულებრივ გაბედულებითა და პრინციპულობით იცავდა ქართველი ერის ეროვნულსა და სოციალურ ინტერესებს”(წურწუშია 2009:89).

ივანე მაჩაბელმა ქართულ შექსპიროლოგიას ჩაუყარა საფუძველი. ინგლისელი მწერლის, დრამატურგის პიესებს ჩვენშიც თარგმნიდნენ მანამდე, თუმცა ვახტანგ ჭელიძის, პაატა ჩხეიძის, კობა წურწუმიას, ელენე ზურაბიშვილის და სხვათა მოსაზრებით, ისინი შორს იდგნენ სრულყოფილებისაგან. ივანე მაჩაბელმა 1873-1874 წლებში ილია ჭავჭავაძესთან ერთად თარგმნა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“. XIX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში მან დამოუკიდებლად გადმოაქართულა შექსპირის დრატურგიული ნაწარმოებები: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“ და სხვანი. საინტერესოა პაატა ჩხეიძის, თვალსაჩინო მთარგმნელის შეფასება. იგი წიგნში „ივანე მაჩაბლის ტრადიცია“ „მეფე ლირის“ თარგმანზე საუბრისას წერს: „ამ თარგმნით იწყება ახალი ეტაპი არა მარტო ქართულ შექსპიროლოგიაში, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდის, მისი ენის, სტილის და მიგნების გავლენა XXI საუკუნეშიც გადმოჰყვება ქართულ ლიტერატურასა და მთარგმნელობით შემოქმედებას“. ივანე მაჩაბელი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის მთავარი ხაზის გამგრძელებელია – იგი „გამქართულებელია“ (ჩხეიძე პ. 2005:5).

XIX საუკუნის 80–იან წლებში ახლად აღორძინებულ ჩვენს თეატრს თავისი უბადლო თარგმანებით და პრაქტიკული მუშაობით დიდი სამსახური გაუწია ნიჭიერმა, ფართოდ განათლებულმა ქართველმა მოღვაწემ და სათანადო ადგილი დაიკავა ჩვენს ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1954 წლის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაწერილ წერილში შალვა რადიანი საინტერესოდ მსჯელობს ივანე მაჩაბლის მოღვაწეობაზე. ამონარიდი: „იგი ღრმად ჩასწვდა შექსპირის ქმნილებათა სიღიადეს და სიღრმეს. დახვეწილი ლიტერატურული ენით, მრავალფეროვანი ნიუანსებით, მდიდარი პოეტური ხერხებით შესრულებულ თარგმანში შექსპირი პირდაპირ ხელუხლებად არის გაცოცხლებული ქართველი მკითხველისათვის. ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი ლაბორატორიის გაცნობა ნათელყოფს, თუ როგორი მონდომებით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი ამ თარგმანებს...

ივანე მაჩაბელს მეტად გამახვილებული სმენა აქვს. იგი საუცხოოდ გრძნობს წინადადების ინტონაციის ნიუანსებს და მათ ზუსტად წარმოგვიდგენს თავის თარგმანში, მაგრამ ამ სიზუსტით არ წირავს ქართული ენის ბუნებრივ წყობასა და კილოს. ქართული ენის ბუნების განსაკუთრებული ალლო აქვს.

ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად ივანე მაჩაბელს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და დადგენის საქმეში”(რადიანი 1954:2).

ივანე მაჩაბლის ღვაწლზე, მის ნაწერებზე მსჯელობისას უნდა მივუთითოთ, რომ იგი ავტორია არაერთი საინტერესო და საგულისხმო პუბლიცისტური, ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნააზრევი პოეზიასა თუ დრამატურგიული ხელოვნების შესახებ.

ცნობილი პუბლიცისტის, მთარგმნელის „ღვაწლი განიხილება დასავლეთ ევროპული კულტურის კონტექსტში. ილიამ, აკაკიმ და მაჩაბელმა დიდი ძალა და ენერჯია შესწირეს ახლებური აზროვნების დამკვიდრებას ქართულ საზოგადოებაში”(კიკნაძე 2005:22).

ვახტანგ ჭელიძის წიგნი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა” 1955 წელს დაისტამბა გიორგი ლეონიძის რედაქტორობით და მოიცავს დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების ყველა ეტაპს. ბიოგრაფიულ რომანს ახლავს ავტორის მინაწერი: „გულითადად მადლობას ვუძღვნი ივანე მაჩაბლის ქალს, ელენე ჩერქეზიშვილისას, რომელმაც ბევრი საინტერესო რამ მიაჩაბო თავისი დედ-მამის ცხოვრებიდან, მთლიანად გამაცნო მის ხელთ არსებული მასალები და, დამატებითი ცნობებისათვის, მამის ნაცნობ-მეგობარსა და ნათესავს შემახვედრა”(ჭელიძე 1955:2).

წიგნს გამოსვლისთანავე დადებითად გამოეხმაურა იმუამინდელი პერიოდული პრესა. წარმოვადგენთ რამდენიმე რეცენზიას. მივეყვით ქრონოლოგიურად. 1956 წელს დაბეჭდილ ლიტერატურულ წერილში ვკითხულობთ: „გამომცემლობა „ხელოვნებამ” გამოსცა ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანი: „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა”, რომელმაც მკითხველი საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. წიგნი წარმოადგენს ავტორის მრავალი წლის მუშაობის შედეგს. მასში დამაჯერებლად მოთხრობილია ვანო მაჩაბლის ცხოვრებასა და მრავალფეროვან შემოქმედებაზე”(მაღრაძე 1956:34).

კარლო ქილარჯიანი წერდა: „ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა” ერთსა და იმავე დროს ვრცელი მეცნიერული მონოგრაფიაც არის და ბიოგრაფიული რომანიც. მხატვრული ასპექტი, რომელსაც ავტორი მიმართავს, უშუალობას ანიჭებს, გადმოსცემს მასალას, ესთეტიკურად განგვაცდევინებს. იგი გვაახლოებს გმირთან, მის სულიერ ცხოვრებასაც

გადმოგვიშლის და შეგვაგრძნობინებს, რაც თითქმის სრულიად შეუძლებელია მშრალ ისტორიულ-ფილოლოგიურ ნარკვევში”(ქილარჯიანი 1956:16).

საინტერესოა ღია მადრადის მოსაზრება: „უშუალოდ, გულწრფელობით და შემოქმედის მახვილი თვალით არის აღბეჭდილი ვახტანგ ჭელიძის რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“. წიგნში გახსნილია ივანე მაჩაბლის დაუდგრომელი შრომა და ფიცხი ხასიათი, შემოქმედებითი ბუნება, პიროვნული თვისებები. რომანში მოცემულია უამრავი ახალი ფაქტიური მასალა, რომელიც დღემდე უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის, განხილულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგაცვებთან ერთად მაჩაბლის ბრძოლა ერის მომავლისათვის. იქვე გარკვეულია ივანე მაჩაბლის პოლიტიკური მრწამსი და მიზანდასახულება. რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ ავტორის ხანგრძლივი და დაკვირვებული მეცნიერული შრომის ნაყოფია”(მადრადე 1967:16).

ლადო სულაბერიძე წერილში „მრავალმხრივი მოღვაწე“ ზუსტად მიუთითებდა ვახტანგ ჭელიძეზე: „შექსპირის თარგმნას რომ მიჰყო ხელი, ღრმად შეისწავლა დიდი წინამორბედის, ივანე მაჩაბლის არა მარტო მთარგმნელობითი ხელოვნება, არამედ ცხოვრებაც. ვახტანგ ჭელიძისათვის ეს გახდა საბაბი, დაეწერა ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები ივანე მაჩაბელზე, რომან-ქრონიკაში „ივანე მაჩაბლის ცხოვრება“. ვახტანგ ჭელიძემ ამაღელვებლად მოგვითხრო იმ მოვლენებზე, რომელთა ცენტრში იდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი – ილია, აკაკი და ივანე მაჩაბელი. ამ სახელების მხატვრული ხორცშესხმა მწერლის წინაშე დიდ სიძნელეებს ქმნიდა, მაგრამ ვახტანგ ჭელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს სიძნელეები ღირსეულად დაძლია. რომანის მხატვრულ ქსოვილში მრავალი სადავო საკითხია გარკვეული; მან დიდი ინტერესი გამოიწვია თანამედროვე მკითხველში და იგი მუდამ მიიზიდავს თაობებს”(სულაბერიძე 1977:11).

ჯანსუღ ღვინჯილია ლიტერატურულ წერილში „შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის“ წერდა: „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ აგერ რამდენიმე თაობის საყვარელ წიგნად არის ქცეული, არა მარტო იმიტომ, რომ ბურუსით მოცული მწერლის ცხოვრების აღსასრულს ეხება იგი, არამედ უფრო იმიტომ, რომ საინტერესო ბიოგრაფია ცხოვლად არის მოტანილი მკითხველამდე. თითქოს შექსპირული ვნებათღელვის ანარეკლი გამოჩნდა მაჩაბლის ცხოვრების დასასრულში. მაჩაბელში მართლაც დულს შექსპირული ვნებები. საგანგებოდ

მიანიშნებს ამაზე ვახტანგ ჭელიძე ერთ-ერთ წერილში, რომელიც მაჩაბელს ეხება. მისი ცხოვრების ეპიზოდები თავისი დრამატიზმით, თითქოს უზუსტესი პარალელია დიდი ინგლისელი დრამატურგის ტრაგედიებისა. უამრავი მასალის დრამად შესწავლისა და შეჯერების შემდეგ, წიგნში დგას მე-19 საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების დიდი ვნებების დუდილი. მწერლის ფხიზელი თვალი და ლოგიკური მსჯელობა გაუთვალისწინებლად არ ტოვებს არცერთ მნიშვნელოვან დეტალს, რასაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა შექსპირის შეუდარებელი მთარგნელის სულიერ ბიოგრაფიაში”(დვინჯილია 1977:155-156).

2010 წელს გამოცემულ ვახტანგ ჭელიძის თხზულებათა პირველ ტომში, სადაც მწერლის ბიოგრაფიული რომანია დასტამბული, ვკითხულობთ ემზარ კვიციანიშვილის საკმაოდ ვრცელ და სრულყოფილ ლიტერატურულ წერილს. აქ ცნობილი მთარგმნელის, შემოქმედის ცხოვრებისეული ეპიზოდები სხარტად, დამაჯერებლადაა გადმოცემული და ავტორი ძალდაუტანებლად მოგვითხრობს ვახტანგ ჭელიძის შემოქმედებაზე. იგი საინტერესო შეფასებას გამოთქვამს ბიოგრაფიულ რომანზე „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“: „ადრეც აღვნიშნე და ისედაც ცხადია, ვახტანგ ჭელიძემ თუ რა დიდი დრო და კოლოსალური ენერჯია შეაღწია ივანე მაჩაბლის ცხოვრებაზე წიგნის დაწერას. დაუცხრომელმა შრომამ ნაყოფიც შესაფერისი გამოიღო. ეს წიგნი იმთავითვე თამამად დაუდგა გვერდით დოკუმენტური პროზის, ბიოგრაფიული რომანის აღიარებულ ოსტატთა (შტეფან ცვაიგი, ანდრე მორუა, ანრი პერიუშო, ჰელვი ალენი, იური ტინიანოვი, ვიქტორ შკლოვსკი, ლეონიდ გროსმანი...) ქმნილებებს...

„მაჩაბლის ცხოვრებაში” იდეალურად არის შეზავებული შეწონასწორებული დოკუმენტური და მხატვრული პროზის ელემენტები, იგრძნობა ბელეტრისტის დაკვირვებულ თვალი, რეალურ პიროვნებათა ხატვის იშვიათი უნარი და მძაფრი პუბლიცისტური პათოსი, ეს კი, ბევრწილად, მასალამ, უანრის სპეციფიკამ განაპირობა. თუმცა მთავარი მაინც ის არის, როგორ შეასხამ ხორცს წლობით ნალოლიაგებ ჩანაფიქრს. ვახტანგ ჭელიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ უძნელეს ამოცანას”(კვიციანიშვილი 2010:339;341).

ბიოგრაფიულ რომანში ხუთი საკმაოდ ვრცელი თავია და ისინი შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული: „ჯოხისცხენიანი მხედარი”, „To See -видеть, To Hear – слышать”, „მამულო, საყვარელო”, „შვიდწლიანი ომი”, „რ. და ჯ.- 88”. რომანს ახლავს ეპილოგიც.



ნაწარმოების პირველ თავში მოთხრობილია პატარა ვანოს შესახებ, დახატულია სამაჩაბლოს უკანასკნელი მთავრის, ივანე მაჩაბლის პაპის, სვიმონ მაჩაბლის ფიცხი ხასიათი. აქვე ვიგებთ, რომ მომავალ საზოგადო მოღვაწესა და მთარგმნელს წერა-კითხვა პაპიდან ასწავლა. ამონარიდი ბიოგრაფიული რომანიდან: „ვანო პაპიდის ყველაზე საამაყო მოწაფეა. ექვსი წლისაა და უკვე მშვენივრად კითხულობს ხუცურსაცა და მხედრულსაც. ზეპირად იცის ლოცვანი, ფსალმუნები; წაუფორხილებლად აბუღბუღებს სახარებას, ჟამნს, დავითნს, სამოციქულოს... კიკნა ბიჭია, სუსტი და ფერმკრთალი, მაგრამ სწავლით ყოჩაღად სწავლობს. ხმაც სასიამოვნო აქვს; ისე ტკბილად ჩააბუღბუღებს ხოლმე სახარებას, რომ პაპიდა თვალებს მიღულავს და ნახევრად მთვლემარეს, ვინ იცის, იქნებ წმინდა მოციქულებიც ეჩვენება“ (ჭელიძე 2010:11,12).

ვახტანგ ჭელიძე მეცნიერული სიზუსტით მოგვითხრობს მაჩაბელთა გვარის ისტორიას, წარმომავლობას. მწერალი მიუთითებს: „ვახუშტი წერს: „მაჩაბელი, იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას“. ერთი შტო მაჩაბლებისა რაჭაშიც ყოფილა. ბროსეს ცნობით, ამბროლაურის ციხე მაჩაბელს ეკუთვნოდა. ირკვევა აგრეთვე, რომ მაჩაბლების წინაპრები ახალციხეშიც გადასულან და მუსულმანური რჯული მიუღიათ. ერთ-ერთი მათგანი ციხის კომენდანტიც ყოფილა ახალციხეში...“

მაგრამ მთავარი ძარღვი ამ გვარისა დასახლებული იყო დიდი ღიახვის აუზში. რეზიდენციად ჰქონიათ თამარაშენი, ერთ დროს ცნობილი ქალაქი. პლატონ იოსელიანის ცნობით, ეს ქალაქი 1190 წელს დაუფუძნებია თამარ მეფეს. ქალაქის მცხოვრებნი ვაჭრობდნენ ოსებისა და მთის სხვა მოსახლეობასთან. სფერო მათი ვაჭრობისა კარგა დიდი იყო – რაჭასა და იმერეთში აღწევდა. მაგრამ სულ საუკუნე-ნახევარი იარსება ამ ქალაქმა. რუსუდანის მეფობის დროს იგი ერთიან მოსრნა და მიწასთან გაასწორა ჯალალედინმა. მერე, თანდათანობით, ისევ აღმოცენდა ადგილზე ცხოვრება, და როგორც აღვნიშნეთ, მეთხუთმეტე საუკუნის აქეთ თამარაშენი მაჩაბლების რეზიდენციას წარმოადგენს. მაგრამ ქალაქად აღარ მოიხსენიება, ნაქალაქევს ეძახიან, ხოლო უფრო ხშირად სოფელს”... (ჭელიძე 2010:24,25).

ვანო მაჩაბლის ცხოვრება დაკავშირებული იყო მე-19 საუკუნის II ნახევრის საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენასთან, კერძოდ, ბატონყმობის გადავარდნასთან საქართველოში. იგი მიუხედავად მცირე ასაკისა, თვითმხილველი იყო იმ არასახარბიელო ფაქტებისა, რაც გამოიწვია თავადთა

ოჯახებში ზემოაღნიშნულმა ცნობილმა ეპოქალურმა მოვლენამ, უპირველესად საკუთარ სახლში ხედავდა, თუ როგორ წუხდა თავად-აზნაურობა ბატონყმობის გაუქმების შესახებ.

ვახტანგ ჭელიძე ბიოგრაფიული რომანის პირველი თავის ბოლოს წერს ცხრა წლის ივანე მაჩაბელზე, რომელსაც უკვე წაკითხული ჰქონდა ოჯახის საოჯახო მდიდარ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და უფროსი ძმის, ვასოს ხელშეწყობით თბილისში გაემგზავრა სასწავლებლად. სწორედ ამ პერიოდზე წერს ბიოგრაფოსი: „პირველი მასწავლებელი საპატო და საკმაოდ ავტორიტეტული იყო. მან ჩინებულად მოამზადა საფუძველი. წერა-კითხვა შეასწავლა, ქართული ლიტერატურის ძირითადი საგანძური გააცნო და სწავლის წყურვილი აღუძრა ბავშვს.

ახლა განათლების მეორე საფეხური იწყება, ბავშვი მეორე მასწავლებლის – ძმის ხელში გადადის. ახალმა „მოძღვარმა“ მოწიწებით და სიყვარულით ჩაიბარა მოწაფე, რათა გზა გაუკვალოს, ცხრა წლიდან მოკიდებული უნივერსიტეტის დამთავრებამდე უხელმძღვანელოს, ქვეყნის აგ-კარგი შეასწავლოს და ცხოვრებაში გამოიყვანოს, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე”(ჭელიძე 2010:31).

ვახტანგ ჭელიძე დიდი მწერლური ნიჭის წყალობით ხატავს მე-19 საუკუნის 60-იანი წლების თბილისს. იგი ცოცხლად და მიმზიდველად წარმოაჩენს იმდროინდელი საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას: ქარხნები, ურმები, დუქნები, ქუჩები, ვაჭრები, მუშები, მჭედლები, მეურმეები – ის გარემო თუ გარემოცვა, რომელშიც თბილისში ჩამოსული ივანე მაჩაბელი მოხვდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც აქ ცნობილი პოლემიკა იყო გამართული „მამებსა და შვილებს“ შორის. მალე გაიცნო ყმაწვილმა ბიჭმა გრიგოლ ორბელიანი და ხშირადაც სტუმრობდა. ამონარიდი: „ორბელიანების სახლში იმ დროის ყველა დიდად განათლებული და წარჩინებული საზოგადოება იკრიბებოდა. საუბრობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, წარსულზე, მომავალზე, ჟურნალზე, თეატრზე, ენის საკითხებზე და ერთი სიტყვით, ყველაფერ იმაზე, რაც მაშინ ქართველ საზოგადოებას ადევნებდა. აქ ვანო საფუძვლიანად გაეცნო გრიგოლ ორბელიანის პოეზიას და რაც საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ვანოსთვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას”(ჭელიძე 2010:42).

ბიოგრაფიულ რომანში დამაჯერებლადაა გადმოცემული თბილისის გიმნაზიაში არსებული მაშინდელი არცთუ სახარბიელო მდგომარეობა. საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მწერალს მოტანილი აქვს პეტრე მელიქიშვილის ვრცელი მოგონება გიმნაზიაში სწავლებაზე, სხვა „დეტალებიც“ არ რჩება მხედველობიდან, როგორცაა: მოსწავლეების ცემა, დასჯა, მკაცრი წესები, რაც იქ სუფევდა. ბიოგრაფოსი წარმოაჩენს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის პორტრეტს. სწორედ ამ უკანასკნელის დიდ წვლილზე მიუთითებს რომანის ავტორი მომავალი მთარგმნელის ნიჭის განვითარებაში და იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველი სათარგმნი მასალა რუსულიდან სწორედ მან მისცა ვანოს და მისი პირველი შემსწორებელი რედაქტორიც თავად იყო: „იგი არ ერიდება მოწაფისათვის შენიშვნების მიცემას; და ბავშვიც ყურადღებით აკვირდება ყოველ გასწორებულ სიტყვას, იხსომებს და შემდეგ ისე წერს, როგორც მასწავლებელმა გაუსწორა“ (ჭელიძე 2010:48). მისი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ვანოს გიმნაზიაში სწავლებისას განსაკუთრებით შეუყვარდა სცენა, უკვე თარგმნიდა პიესებს და წარმოდგენებშიც მონაწილეობდა.

საოცარი სიციხადით, შთამბეჭდავად და სხარტადაა გადმოცემული პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად მიმავალი 17 წლის ვანო მაჩაბლის ფიქრები. იმედები ადამიანისა, რომელიც უკვე კარგად იცნობდა როგორც რუსულ, ასევე, მსოფლიო ლიტერატურას. მას წაკითხული ჰქონდა მოლიერი, ჰიუგო, პუშკინი, შექსპირი, დიკენსი და შექსპირის ტრაგედიების თარგმნაზე ოცნებობდა.

ყველა ის მნიშვნელოვანი თუ გარკვეული თვალსაზრისით უმნიშვნელო ეტაპი ვანო მაჩაბლის ცხოვრებისა, ძალიან ხელშესახებად, ხატოვნად აქვს გადმოცემული ვახტანგ ჭელიძეს. იგი ცდილობს, რომ უყურადღებოდ არ დატოვოს ქართველი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების გზას რაც ეხმიანება, ყველაფერი წარმოაჩინოს, გადმოსცეს, მიაწოდოს მკითხველსა თუ მკვლევარს.

ნაწარმოებში მწერალი აღწერს პეტერბურგში ახლადჩამოსული ვანო მაჩაბლის შეხვედრას ილია ჭავჭავაძესთან. იგი ბანკის საქმეებთან დაკავშირებით იყო იქ წასული. დიდი მამულიშვილი, „მგზავრის წერილების“ ავტორი გახლდათ ვასო (ვანო მაჩაბლის ძმა-ნ.ხ) მაჩაბლის მეგობარი. ეს ეპიზოდი შესანიშნავად ჩაურთო წიგნში ვახტანგ ჭელიძემ. რომანში ვკითხულობთ: „ვანო ფანჯარასთან ზის, ხელით წიგნის თაროს დაყრდნობია და

ილიას შეჰყურებს. გული უფანცქალებს, მაგრამ ცდილობს, გარეგნულად არ შეიმჩნიოს მღელვარება. სანთლის მკრთალ შუქზე კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანს. ხშირ-ხშირად აიქნევს ხოლმე თავს და შუბლზე გადმოყრილ თმას გაისწორებს.

დღეს შეხვდა იგი პირველად ილია ჭავჭავაძეს. დღესვე მისი პირველი სერიოზული გამოცდაა: დიდი მწერალი ეცნობა ვანო მაჩაბლის თარგმანს, შექსპირის „მეფე ლირის“ ნაწყვეტებს. ვანომ იცის, როგორი მკაცრი კრიტიკოსიცაა ილია ჭავჭავაძე. აგონდება მისი წერილი „შეშლილის“ მთარგმნელ თავად რევაზ შალვას ძე ერისთავზე. ახალგაზრდა მწერალს გული ელევა, მანამ ილიას აზრს მოისმენდეს...

მაგრამ ილია სულაც არ ჩქარობს.

მან დაამთავრა კითხვა, ისევ შეხვდა ვასილ მაჩაბელს, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, სახეზე ვერაფერს შეატყობ კაცი. კვლავ მაგიდასთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა და ახლა უკვე სახეგაბადრულმა წარმოსთქვა: „დიდებულია“.

ამ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ვასოს ესმის კარგად. თან იცის, რომ ილიას არ უყვარს გადაჭარბებული ქება. არც პირში თქმას მოერიდება, ამიტომ ორმაგი ფასი აქვს ილიას შექებას. ვასო იმასაც გრძნობს, რომ ეს სიტყვა არ ყოფილა განზრახ თქმული, ახალგაზრდა კაცის წასაქეზებლად”(ჭელიძე 2010:62).

ნაწარმოებში მწერალი მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივ მუშაობას პიესაზე „მეფე ლირი“. ეს ფაქტი ძალიან ახარებდა ვასო მაჩაბელს. მან ამ მნიშვნელოვანი საქმის შესახებ 1873 წლის 12 ოქტომბერს დაწერა წერილი „დროების“ მკითხველსათვის, რომელიც ბიოგრაფოსმა მხატვრულ ტექსტში გაითვალისწინა:

„... კიდევ სულის საქმე. აქ, პეტერბურგში, ჩვენი ყმაწვილები სთარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „მეფე ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ პირდაპირ დედნიდან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა გადმოაქვთ ქართულ ენაზედ იმ ლექსთწყობილებით, რომელიც აქამომდე ჩვენს ლიტერატურაში არა ხმარებულა, ესე იგი თოთხმეტ მარცვლოვანის ლექსით ურითმით. ამბობენ, რომ ეგეთი ლექსთწყობა ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო. ისიც გავიგეთ, რომ „კრებულის“ რედაქციას მალე გაუგზავნიან დასაბეჭდად ჯერ მარტო პირველ მოქმედებას, იმ აზრით, რომ პირუთვნელმა კრიტიკამ სთქვას, რაოდენად

მთარგმნელები შესწავდნენ შექსპირს და შესაფერი იქნება თუ არა ამგვარად თარგმნის გაგრძელება”(ჭელიძე 2010:68).

მეცნიერული კვლევის უკეთ წარმოსაჩენად ჩვენ მოვიძიეთ ვასო მახაბლის ზემოთ აღნიშნული წერილი გაზეთ „დროებაში” დაბეჭდილი (12/X/1873). ვახტანგ ჭელიძე უცვლელად ტოვებს პირველწეაროს, არ ცვლის ფაქტებსა თუ დეტალებს. წარმოვადგენთ ფრაგმენტს: „კიდევ სულის საქმე. აქ, პეტერბურგში, ჩვენი ყმაწვილები სთარგმნიან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „მეფე ლირს”. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ პირდაპირ დედნიდან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმა გადმოაქვთ ქართულ ენაზე იმ ლექსთწყობილებით, რომელიც აქამომდე ჩვენს ლიტერატურაში არა ხმარებულა, ესე იგი თოთხმეტ მარცვლოვანის ლექსით ურითმით. ამბობენ, რომ ეგეთი ლექსთწყობა ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო. ისიც გავიგეთ, რომ „კრებულის” რედაქციას მალე გაუგზავნიან დასაბეჭდად ჯერ მარტო პირველ მოქმედებას, იმ აზრით, რომ პირუთვნელმა კრიტიკამ სთქვას, რაოდენად მთარგმნელები შესწავდნენ შექსპირს და შესაფერი იქნება თუ არა ამგვარად თარგმნის გაგრძელება”(მაჩაბელი 1873:2).

ბიოგრაფიული რომანის ავტორის მითითებით, „მეფე ლირი” ივანე მაჩაბელმა და ილია ჭავჭავაძემ 2-3 თვეში თარგმნეს, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით, მოწონებით შეეგება იმუამინდელი ქართული კულტურული, ლიტერატურული საზოგადოება და გაზეთებშიც გამოთქვამდნენ შეხედულებებს. ცნობილია, რომ ინგლისელი დრამატურგის შედევრები მანამდეც, 40-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთგზის გადმოაქართულეს საქართველოში, თუმცა მაჩაბლისა და ილიასეული თარგმნილი უკვე სხვა დონის იყო, „ყველა გრძნობდა – შექსპირის თარგმნის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა და ამას გარდა, საერთოდ ახალი ლიტერატურის თარგმნის საქმესაც ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი”(ჭელიძე 2010:72).

ვანო და ვასო მაჩაბლების, ძმების ურთიერთობა საოცრად თბილი და მისაბაძი გახლდათ. ამაზე ბიოგრაფოსიც არაერთგზის მიუთითებს რომანში. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკობრივი სხვაობა თითქმის ათი წელი იყო. სამაგიეროდ, მათ ჰქონდათ საერთო ინტერესები და მისწრაფებები. ორივე დედმამიშვილი სწავლას, განათლებას, ცოდნის მიღებას დიდად აფასებდა და დღენიადაგ მუშაობდნენ, კითხულობდნენ. ვასოს ხელშეწყობით ვანომ ჯერ თბილისის გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ კი სრულფასოვანი განათლება მიიღო

საზღვარგარეთ. უმცროსი ძმა მუდამ არიგებდა მომავალ მთარგმნელს, რომ ისე ეცხოვრა, სამშობლოს სამსახურში ყოფილიყო და ხალხის კეთილდღეობისა თუ უკეთესი მომავლისათვის ეღვაწა. რომანში ბევრი ფრაგმენტია ძმების ერთმანეთთან მიწერილი წერილებიდან, საიდანაც იკვთება, რომ ვანო უფროს ძმას არაფერს უმაღავდა, გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არ იღებდა, მას სთხოვდა ხოლმე აზრის მოწოდებას, რჩევას. რაც აწუხებდა, ძმას უზიარებდა მუდამ.

ევროპიდან მაჩაბელი კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. ვახტანგ ჭელიძე მისი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ეპიზოდზეც შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას. რუსეთში ჩასულმა ქართველმა სტუდენტებმა ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბეს, იკრიბებოდნენ ვანო მაჩაბლის ბინაში და მსჯელობდნენ არაერთ საინტერესო თუ საგულისხმო თემაზე, როგორცაა: პოლიტიკური, ლიტერატურული, ეკონომიკური. ამონარიდი: „ამ წრის ერთ-ერთი ორგანიზატორიც თვით ვასო მაჩაბელია.. წრის მუშაობის ხასიათსა და შინაარსს კი შორიდან ხელმძღვანელობს ილია ჭავჭავაძე. წრის ჩამოყალიბებაც მისი იდეა იყო. 1877 წელს იგი ვასო მაჩაბელს წერდა: „ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინე, მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებ. შენ იცი და შენმა გულშემატკივრობამ ამ ჩემს თხოვნას რა ყურადღებას მიაქცევ“ (ჭელიძე 2010:100). ამ წრის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პეტერბურგში ჩასული ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე იქ მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთად ქართული საზოგადოების ყოველდღიური საჭირობოროტო საკითხების მოგვარებაზე, გადაჭრის გზებზე მსჯელობდნენ. შემდეგ სტუდენტებმა დაიწყეს სხვადასხვა პიესის თარგმნა და წარმოდგენებიც გამართეს, რასაც ძმები მაჩაბლები ჩაუდგნენ სათავეში. ძალიან დიდი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია სპექტაკლმა „მზის დაბნელება“. ვახტანგ ჭელიძის თქმით, ეს იყო პირველი წარმოდგენა პეტერბურგში, რომელსაც ქართული გაზეთებიც გამოეხმაურნენ. მალე კი „სამშობლოს უბრუნდება განსწავლული, საზოგადო საქმისათვის თავდადებული ვაჟკაცი – ივანე მაჩაბელი. ძმისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, იწყება მისი რთული მოღვაწეობა“ (ჭელიძე 2010:103).

ბიოგრაფიული რომანის მესამე თავს მწერალმა ასე უწოდა: „მამულო, საყვარელო“. ვახტანგ ჭელიძე იმ პრობლემებს წარმოაჩენს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა იმ დროს, როცა სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ ილია

ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი თანამოაზრეებთან ერთად. ეს ხანა საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესია მრავალი თვალსაზრისით. პატრიოტმა ქართველებმა, ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა ცხოვრების მიზნად დაისახეს ეზრუნათ, ეღვაწათ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის. ილია ჭავჭავაძეს და ვანო მაჩაბელს ამ დროს ჩვენ ვხედავთ სათავადაზნაურო ბანკში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, თეატრალურ საზოგადოებაში, სასკოლო კომიტეტში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში... კარგადაა ცნობილი, რომ მათ ურთულეს, უძნელეს პირობებში უწევდათ მუშაობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. ამის უმთავრესი მიზეზი კი გახლდათ ცენზურა, რომელიც მრავალ დაბრკოლებას ქმნიდა და დევნიდა ყველაფერ ქართულს, ეროვნულს. ზუსტ შეფასებას გვთავაზობს ვახტანგ ჭელიძე: „ამგვარ მუშაობას სჭირდებოდა, რაც მთავარია, მგზნებარე პატრიოტიზმი და საქმის დიდი სიყვარული, ურომლისოდაც, საერთოდ, არავითარი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება არ შეიძლება.“

მაგრამ მართო ესეც არ კმაროდა: საჭირო იყო მრავალმხრივი და საფუძვლიანი განათლება, შეუპოვრობა, მუყაითობა, განსაკუთრებული ტაქტი და ურთიერთ მხარდაჭერა”(ჭელიძე 2010:105).

მაკო საფაროვასა და ივანე მაჩაბლის სასიყვარულო ურთიერთობაზეც გვიყვება მწერალი, რომელიც არცთუ სახარბიელოდ დამთავრდა. ორივეს ერთმანეთის მიმართ სიმპათია გააჩნდა. მთარგმნელს მოსწონდა ახალგაზრდა ქალბატონი, როგორც მსახიობი, როგორც ქალი, თუმცა სიტყვიერად ამას პირდაპირ ვერ უმუქლავნებდა, ერთხელაც არ დასცდენია, მიყვარხარო. იგი მას სშირად ხვდებოდა თეატრში რეპეტიციებზე, „ამ დროისთვის ბევრი გარეშე პირიც გრძნობდა მაჩაბლისა და საფაროვას ქალის დაახლოებას. რაღა თქმა უნდა, ყველაზე ადრე ამას ვასო აბაშიძე იგრძნობდა, რომელიც თვითონაც არ ყოფილა გულგრილი ახალგაზრდა ქალის მიმართ!“ (ჭელიძე 2010:113). როგორც რომანიდან ცხადი ხდება, ძალიან მალე, როდესაც ქართული თეატრი საგასტროლოდ საქართველოს კუთხეებში გაემგზავრა, ცნობილმა მსახიობებმა – მაკო საფაროვამ და ვასო აბაშიძემ იქორწინეს. ამის შესახებ ივანე მაჩაბელმა „დროებაში“ ამოიკითხა. მწერალი შენიშნავს: „პირველ სიყვარულში დამარცხდა ვანო მაჩაბელი. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ, დიდ გულისტკივილთან ერთად, ერთგვარი შვებაც იგრძნო, თითქოს მძიმე ტვირთი მოხსნესო: იმ იდუმალ ჭიდილში მან თითქოს გაიმარჯვა და

თავის სიტყვას არ გადავიდა. პირადი ცხოვრება არ არსებობს, მთელი ცოდნა და ენერჯია საზოგადო საქმეს უნდა მოხმარდეს!”(ჭელიძე 2010:117).

ვახტანგ ჭელიძე ბიოგრაფიულ რომანში აკაკი წერეთლის პიროვნებასაც წარმოაჩენს. თავდაპირველად პოეტი თხრობაში შემოყვანილია იმ დროს, როცა იგი ვანო მაჩაბელთან, სოფრომ მგალობლიშვილთან ერთად გორს და ამ რაიონის სოფლებს სტუმრობდა. ამონარიდი: „თამარაშენისკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა: წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებოაო, – ამბობდა, ვანოს ედიმებოდა...”

მთელი სოფელი გარეთ გამოფენილიყო და ღობის იქიდან სასოებით შესცქეროდა მაჩაბლის სტუმარს, რომელსაც უდროოდ შეჭადარავებული წვერი კიდევ უფრო უხდებოდა”(ჭელიძე 2010:115;116).

ვახტანგ ჭელიძე ძალიან დაწვრილებით და თანმიმდევრულად წერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ, რომლის პირველ თავმჯდომარედაც დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს. მწერალი მეცნიერული სანდოობით აღადგენს მისი შექმნის ისტორიას, ძირითად მიზნებსა თუ ამოცანებს.

აღნიშნულმა საზოგადოებამ თითქმის ორმოცდაათი წელი იარსება. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი სკოლისა და ბიბლიოთეკის გახსნა, წიგნების დიდი რაოდენობით გამოცემა. ესენია: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „თავდადებულნი ქართველნი“, ვაჟა-ფშაველას „მოთხრობანი“, რაფიელ ერისთავის „ლექსები“, დავით კლდიაშვილის „მოთხრობები“, ილია ჭავჭავაძის „განდებილი“, „მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ნიკო ლომოურის „ქაჯანა“, შიო მღვიმელის „ჩემი ყვავილები“(ლექსები) და სხვა.

ივანე მაჩაბელმა დიდი შრომა და ენერჯია შეაღია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მუშაობას. მან არაერთი კეთილი, ეროვნული საქმე გააკეთა. ვახტანგ ჭელიძე ქართველი მოღვაწის ცხოვრების სწორედ ამ პერიოდსაც აცოცხლებს. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან: „ილია ჭავჭავაძემ ფართო საზოგადოებას წარუდგინა განათლებული და სახალხო საქმისთვის თავდადებული ახალგაზრდა კაცი. ხალხი ვანოს უკვე იცნობდა „მეფე ლირისა”



და მოლიერის კომედიის თარგმანით, აგრეთვე ილიასა და გრიგოლ ორბელიანის რეკომენდაციით. ამიტომ თითქმის არავის გაჰკვირვებია, რომ იმ საზოგადოების გამგეობაში, რომელიც საქვეყნოდ განთქმულ და საზოგადო საქმეებში გამობრძმედილ, ყველასათვის პატივცემულ პირებს აერთიანებდა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ვანო მაჩაბელი დაასახელებს”(ჭელიძე 2010:119).

შეუძლებელია ივანე მაჩაბლის ცხოვრებაზე, ღვაწლზე საუბარი მუდმივი ქართული თეატრის დაარსების და თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბების აღნიშვნის გარეშე. მისი არსებობის აუცილებლობაზე პეტერბურგიდან ახლადდაბრუნებული ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ადრევე საუბრობდა. მის აზრს იხიარებდა იმუამინდელი კულტურული საზოგადოება: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ძმები მაჩაბლები და სხვანი. მათი ოცნება რეალობად იქცა და 1879 წელს მუდმივი ქართული თეატრი დაარსდა. ამასთანავე, ჩამოყალიბდა თეატრალური საზოგადოებაც. ქართველი მთარგმნელის როლზე ამ კუთხით შემდეგს მიუთითებს ბიოგრაფოსი: „ივანე მაჩაბელი შორიდანაც ღებულობდა მონაწილეობას ქართული თეატრის აღორძინებაში, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მით უფრო აქტიური მონაწილე გახდა ამ საქმისა”(ჭელიძე 2010:123).

ცნობილი ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის, სამშობლოსათვის თავდადებული ორი დიდი მოღვაწის შეხმატკბილებულ ურთიერთობას არაერთი ადამიანი სკეპტიკურად უყურებდა, ზოგს შურდა. როდესაც მათ შორის სათავადაზნაურო ბანკის მოგების განაწილების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, საზოგადოების გარკვეულმა ხელი შეუწყო ამ ორი ადამიანის პირადი ურთიერთობის გაფუჭებას. ამ საკითხზე ბიოგრაფიული რომანის ავტორიც საინტერესოდ ჰყვება, ნათლად აღადგენს აღნიშნულ ისტორიას და თავის მოსაზრებასაც წარმოაჩენს: „იმ დიდი ბრძოლის განმავლობაში, რაც მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის გაიმართა, ბევრჯერ ყოფილა წუთები, როდესაც ერთსაც და მეორესაც გულით სდომიათ უკან დახევა, დათმობა, კვლავ სასურველი ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ხელს უშლიდათ, ჯერ ერთი სიამაყე, და, რაც მთავარია, ის წყვილიაღი მოცული საზოგადოება, რომელსაც დიდი ადამიანების შუღლი ართობდა”(ჭელიძე 2010:162). სწორედ იმ პერიოდში ივანე მაჩაბელი გაზეთ „დროების” რედაქტორიც გახდა და სათავადაზნაურო ბანკის დირექტორიც, თუმცა ორივე ეს თანამდებობა

მან მიიღო ილია ჭავჭავაძის სურვილის წინააღმდეგ. ცნობილი მთარგმელი და ჟურნალისტი იმავდროულად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის აქტიური წევრი იყო.

რომანის კითხვისას, მისი გაანალიზებისას ერთი საინტერესო ასპექტი (დეტალი) იკვეთება. ვახტანგ ჭელიძე ბიოგრაფიული რომანში მთავარი პერსონაჟის ღირსებებზე მსჯელობს; ამავე დროს, იგი არ ერიდება ივანე მაჩაბლის უარყოფითი თვისებების, სისუსტეების წარმოჩენასაც. მწერალი ცდილობს, ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემისას რეალურად შეაფასოს ვითარება და ყოველივე აღწეროს, ისე, როგორც სინამდვილეშია. სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად, ასევე, ილია ჭავჭავაძისა და ქართველი მთარგმნელის, ჟურნალისტის პიროვნებათა დახასიათებისთვის მოვიხმობთ შემდეგ ამონარიდს მხატვრული ტექსტიდან:

„გიმნაზიის წლებშივე საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც დიდმა ნიჭიერმა და მცოდნე ყმაწვილმა; მასწავლებელი მას ყრმათა მაგალითს უწოდებდა; დიდი პოეტი ორბელიანი ყოველთვის სიყვარულით მოიკითხავდა ხოლმე და თავის სიმპათიებს ახალგაზრდა მაჩაბლისადმი არ მალავდა; პირველივე მისი ლიტერატურული ნამუშევარი აღფრთოვანებითა და მოწიწებით მიიღო სასიქადულო მწერალმა ილია ჭავჭავაძემ და ჯერ კიდევ საფსებით ახალგაზრდა კაცთან თანამთარგმნელობაც არ ითაკილა, ხოლო ცოტა მოგვიანებით მისი კერძო წერილების გამოქვეყნებაც კი მოინდომა!... ყოველგვარ წრეში, ყველა ქვეყანაში მას პატივს სცემდნენ და აფასებდნენ... და ყველასგან ასეთი მოპყრობით გათამამებულ მაჩაბელს სამშობლოში დაბრუნებისას შიშითა და ყოყმანით კი არ შეუდგამს ფეხი ცხოვრებაში; იგი გაბედულად შეიჭრა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და ერთბაშად ცენტრში აღმოჩნდა, დიდი ილიას გვერდით. ეს მისთვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან წინასწარვე იყო ამისთვის შემზადებული; იგი უდიდეს ძალას და ენერჯიას გრძნობდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს ენერჯია სამშობლოს კეთილდღეობისთვის მოეხმარა. ის იყო ფანატიკოსობამდე მისული სიყვარული სამშობლოსი. მას დიდი რწმენა ჰქონდა საკუთარი თავისა და არასოდეს ყოყმანით არ მოეკიდებოდა საქმეს, ყოველთვის წინასწარვე იყო დარწმუნებული გამარჯვებაში და ყოველგვარი კომპრომისი, დათმობა, მისთვის უცნობი იყო. ამიტომაც იგი ასე გაბედულად ამოუდგა ილიას მხარში და ერთბაშად მოინდომა მისთვის უღელის გაწევა...

ილია „მუდამ დინჯი იყო, მუდამ აუჩქარებელი, საქმის ბევრჯერ ამწონ-დამწონი, დაფიქრებული... ვანო ძალიან ფიცხი იყო, აჩქარებული, სწრაფი, რაც არ უნდა რთული საქმე ყოფილიყო, დიდხანს არ დააყოვნებდა”...

ასეთი განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, მათ ერთი რამ ჰქონდათ საერთო – ორივე ამაყი იყო!”... (ჭელიძე 2010:161,162).

ვრცელი ამონარიდის მოხმობა მოგვიწია, რათა საკვლევი საკითხი თუ თემა დეტალურად წარმოგვეჩინა და ამავე დროს, ვახტანგ ჭელიძის შესანიშნავად დაწერილ სტრიქონებსაც ვერ შეველიეთ.

ბიოგრაფიული რომანის ავტორი დაწერილებით და თანმიმდევრულად მოგვითხრობს ივანე მაჩაბლის მუშაობას „დროების” რედაქტორად. ვახტანგ ჭელიძის თქმით, მისი წერილები, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, გამოირჩეოდნენ პირდაპირობით, გაბედულებით, სამართლიანობით. ბიოგრაფოსი მიუთითებს მრავალრიცხოვან, მნიშვნელოვან და იმ დროისთვის აუცილებელ თემატიკაზე დაწერილ ქართველი მოღვაწის სტატიებზე, რომლებიც ძირითადად სამშობლოს ინტერესების დაცვას ეროვნულ ფასეულობებს, განათლებას, ქართული კულტურის განვითარებას ეხმიანებოდა. ისინი სამეცნიერო თვასაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „სომხეთის ბედი”, „სოფლური ფელეტონი”, „როგორ უნდა გათავდეს ხიზნების საქმე?”, „გუშინ ვამბობდით,” „რით ვერ მოვრჩით?”, „წერილი ქართველ არტისტებთან”, „ქართული წარმოდგენა”, „საექიმო სწავლა ხალხში”. ასევე, ივანე მაჩაბლის მითითებით გაზეთის თანამშრომლები წერდნენ „დროებისთვის” წერილებს საერთაშორისო მდგომარეობაზე, პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, საქართველოს კუთხეებზე და სხვა არაერთ აქტუალურ საკითხზე. თუმცა მეფის რუსეთმა დახურა გაზეთი, რომელიც ოცი წელი ეროვნული ცნობიერების გამოსაღვიძებლად იყო მიმართული. ამ ფაქტმა მეტად დაანადგვლიანა ქართველი საზოგადოება და ცხადია, რედაქტორი ივანე მაჩაბელი. ბიოგრაფიული რომანის ავტორი კარგად აცოცხლებს აღნიშნულ რთულ პერიოდს ქართველი მოღვაწის ცხოვრებაში: „დროების” დახურვამ იმაზე ძალიან დაამწუხრა მაჩაბელი, ვიდრე ამას თვითონვე წარმოიდგენდა. გული მოუკვდა, თითქოს ყველაფრის ხალისი დაკარგა”(ჭელიძე 2010:203). გარკვეული დროის შემდეგ მაჩაბელმა თარგმნა განაახლა და მალევე წიგნად გამოვიდა შექსპირის „ოტელო” და „ჰამლეტი”, თუმცა, როგორც ვახტანგ ჭელიძე მიუთითებს, ამ მნიშვნელოვან ფაქტს სათანადოდ არავინ გამოხმაურებია. ამონარიდი: „ცხოვრების წერილმანებში

ჩაფლულ საზოგადოებას მაშინ არც კი მოჰფიქრებია, რომ ამით იწყებოდა ახალი ერა ქართულს მთარგმნელობითს ლიტერატურაში; მტკიცდებოდა ნიადაგი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, რომელსაც რამდენიმე ხნის წინათ ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი, და მთელი ექვსი-შვიდი საუკუნის შესვენების შემდეგ, ღირსეული მემკვიდრე უზნდებოდა ძველი დროის ჩვენს გამორჩეულ მთარგმნელებს”(ჭელიძე 2010:215,216). შესანიშნავი ქართველი მთარგმნელის, ვახტანგ ჭელიძის ეს უტყუარი შეფასება ადამიანისა, რომელმაც ევროპული ლიტერატურის შედევრები მშობლიურ ენაზე გადმოიტანა და, რაც ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი, შექსპირის ტრაგედიათა მაჩაბლისეული თარგმანების საფუძვლიანი მკვლევრის, აღნიშნული სიტყვები მრავლისმთქმელი, დამაჯერებელი, სარწმუნო და ანგარიშგასაწევია.

როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბელმა თარგმნა ინგლისელი დრამატურგის ცნობილი ტრაგედიები. ესენია: „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“, „მაკბეტი“, „ოტელო“, „ჰამლეტი“, „რიჩარდ III“, „ანტონიუს და კლეოპატრა“, „იულიუს კეისარი“. ამ უკანასკნელის თარგმანით თავად ოლივერ უორდროპიც აღფრთოვანებული იყო და წერილიც მისწერა ვანო მაჩაბელს.

„თქვენს მიერ თარგმნილ „იულიუს კეისრით“ შეგიძლიათ იამაყოთ: ეს თქვენს გენიოსობასაც ამტკიცებს და თქვენი ენის საოცარ სიმდიდრესაც. მე ხელთა მაქვს ამავე პიესის ახალი ფრანგული, გერმანული, რუსული, ბულგარული გამოცემები, მაგრამ თქვენს თარგმანს ვერც ერთი ვერ შეედრება. თქვენ ისეთი საქმე გააკეთეთ, რომ, თუ თანამედროვეები ვერ გაფასებენ სათანადოდ, შთამომავლობა დაგაფასებთ და თაყვანს გცემთ”(ჭელიძე 2010:287).

ბიოგრაფიულ რომანში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ დეტალურადაა მოთხრობილი „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული შესანიშნავი გამოცემის პერიოდი. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ივანე მაჩაბელს, რომელიც გახლდათ უკვდავი ქართული პოემის რედაქტორი, მხატვარი კი – ზიჩი ეროვნებით უნგრელი. სწორედ ამ უკანასკნელზე საინტერესოდ წერს მწერალი ვახტანგ ჭელიძე: „ჩვენმა ხალხმა ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით უნდა მოიხსენიოს ეს დიდებული ადამიანი, რომელმაც ისე შეიყვარა ჩვენი ერი და ჩვენი კულტურა, რომ წლების განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ, მთელი გატაცებით და სიყვარულით იმუშავა ქართველი ხალხის ძვირფასი საგანძურის – „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე... ამ გამოცემის შემდეგ ჩვენი ხალხის შეგნებაში ისევე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს

რუსთაველისა და ზიჩის სახელი, ხოლო პოემის ცალკეული ეპიზოდების გახსენებისას ისევე თვალნათლივ წარმოგვიდგება ხოლმე ზიჩის მადლიანი კალმით დახატული გმირები, როგორც სერვანტესის ხსენებისას მოგვაგონდება ხოლმე დორე და მისი კალმით გაცოცხლებული მწუხარე სახის რაინდი”(ჭელიძე 2010:159).

ბიოგრაფიული რომანის შემდეგ თავში „შვიდწლიანი ომი” თხრობა იწყება ივანე მაჩაბლის სტუმრობით ნიკო დიასამიძის ოჯახში. ეს სადამო მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მოღვაწის ცხოვრებაში. სწორედ აქ მან გაიცნო ქართლის ერთ-ერთი დიდი მემამულის, ალექსანდრე ბაგრატიონ-ქართველიშვილის ქალიშვილები, სამი ულამაზესი ასული, სამეფო გვარის შთამომავლები. შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელმა ისინი გაამხიარულა, კარგად ისაუბრეს. როგორც მწერალი მიუთითებს, ივანე მაჩაბელს მოეწონა ანასტასია, თაფლისფერთვალეა, შავგვრემანი. სწორედ ის ასული, რომლის ხელის სათხოვნელად იყო მისული იმ სადამოს დიასამიძეების ოჯახში პოლკოვნიკი არჯევანიძე, თუმცა ამ უკანასკნელმა საერთო თემა ვერ გამონახა დებთან და მეტად ცუდ გუნებაზე გახლდათ. მოვლენები სწრაფად განვითარდა. ვანო მაჩაბელმა და ტასო (ანასტასია) ბაგრატიონმა ჯვარი დაიწერეს და ერთად განაგრძეს ცხოვრება. ბიოგრაფოსი ძალიან საინტერესოდ აღწერს მათი შეუღლების პირველ პერიოდს, ახალგაზრდა წყვილის თბილ ურთიერთობას: „ერთბაშად შეიცვალა მაჩაბლის ცხოვრების ხასიათი. ახალი მიზნები, ახალი სიხარული და საზრუნავი გაუჩნდა. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ დადებითად შეიცვალა არა მარტო მისი პირადი ცხოვრების, საკუთარი ოჯახის მდგომარეობა და ხასიათი. ცოლის შერთვას დაემთხვა მეორე დიდი ამბავიც: უკიდურესობამდე გამწვავდა და გართულდა ილიასთან ურთიერთობა”(ჭელიძე 2010:234). სწორედ ამ პერიოდს უწოდეს „შვიდწლიანი ომი”. ეს მოხდა დაქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ბანკის დამფუძნებელთა და მსესხებელთა საზოგადო კრებაზე. ცნობილმა მთარგმნელმა ვეღარ გაუძლო იქ არსებულ შუღლს, აზრთა სხვადასხობას, ორპირობას და ბანკი დატოვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თავად ივანე მაჩაბლის წერილიდან ამონარიდი, რომელიც მან პეტერბურგში მყოფ აკაკი წერეთელს მისწერა:

„...გაზეთებიდან შეიტყობდი იმ ამბავს, რაც ბანკში მოხდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა ღირსეულმა „ამხანაგმა”, როგორც ეხლა თავის თავს

ეძახის ბ. თარხნიშვილი, ერთად გამოილაშქრეს ჩემზედ... გამოილაშქრეს და დამამარცხეს კიდევ. მეც თავი დავეუკარ ამ ვაჟბატონებს, ბანკი დავეულოცე და გამოვემშვიდობე. საზოგადოება ერთხმად მთელი ხუთი მინუტის განმავლობაში მთხოვდა დარჩენას, მაგრამ მადლობა მოვახსენე და გადაწყვეტილი უარი ვთქვი... ახლა ვაპირებ ვრცელი წერილები დავბეჭდო, როგორც „ნოვოე ობოზრენიეში“, ისე „ივერიაში“ და გამოვააშკარავო ის მდგომარეობა, რა მდგომარეობითაც იბეჭდება ყველაფერი ბანკის შესახებ... იმედი მაქვს, რომ ვერ დაგვაძაბუნონ და იქნებ ისე გაუხდეს საქმე ილია ჭავჭავაძეს, რომ პიროსსავით წამოიძახოს: ერთი ამისთანა გამარჯვება კიდევ და მე ულაშქროდ დავრჩებიო, მე ძალიან მესიამოვნება, რომ შენ ადევნო თვალყური ჩვენს პოლემიკას...”(ჭელიძე 2010:243). იქვე თავად ვახტანგ ჭელიძე მიუთითებს: „ერთი სიტყვით, ბრძოლის ველიდან წამოსვლა და ომის დამთავრება მოჩვენებითი იყო, რადგან სწორედ ახლა დაიწყო მთელი ძალების დარაზმვა და ახალი დიდი შეტევისთვის მზადება”(ჭელიძე 2010:243).

მეცნიერული კვლევის უკეთ წარმოსაჩენად ჩვენ მოვიძიეთ ზემოთ დასახელებული ვანო მახაბლის წერილი აკაკი წერეთლისადმი (6.VI.1891 –ნ.ხ.). ის გამოქვეყნებულია აკაკი წერეთლის 1963 წელს დასტამბულ „თხზულებანი“ XV ტომში. ასევე, დაბეჭდილია ლიტერატურის მუზეუმის მიერ 2010 წელს გამოცემულ წიგნში „აკაკი წერეთელი“(ტომი II).

საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ავტორმა მითითებული წერილიდან ფრაგმენტების მოხმობისას ფაქტები თუ გარკვეული დეტალები უცვლელად დატოვა. ამონარიდი: „...გაზეთებიდან შეიტყობდი იმ ამბავს, რაც ბანკში მოხდა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა ღირსეულმა „ამხანაგმა“, როგორც ესხლა თავის თავს ეძახის ბ. თარხნიშვილი, ერთად გამოილაშქრეს ჩემზედ... გამოილაშქრეს და დამამარცხეს კიდევ. მეც თავი დავეუკარ ამ ვაჟბატონებს, ბანკი დავეულოცე და გამოვემშვიდობე. საზოგადოება ერთხმად მთელი ხუთი მინუტის განმავლობაში მთხოვდა დარჩენას, მაგრამ მადლობა მოვახსენე და გადაწყვეტილი უარი ვთქვი... ახლა ვაპირებ ვრცელი წერილები დავბეჭდო, როგორც „ნოვოე ობოზრენიეში“, ისე „ივერიაში“ და გამოვააშკარავო ის მდგომარეობა, რა მდგომარეობითაც იბეჭდება ყველაფერი ბანკის შესახებ... იმედი მაქვს, რომ ვერ დაგვაძაბუნონ და იქნებ ისე გაუხდეს საქმე ილია ჭავჭავაძეს, რომ პიროსსავით წამოიძახოს: ერთი ამისთანა გამარჯვება კიდევ და

მე უღაშქროდ დავრჩებიო, მე ძალიან მესიამოვნება, რომ შენ ადევნო თვალყური ჩვენს პოლემიკას...”(წერეთელი 2010:342,343).

თავში „შვიდწლიანი ომი“ ვეცნობით მასალებს 1893 წელს ახალი გამოცემის, გაზეთის „კვალის“ მუშაობის შესახებ. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ივანე მაჩაბელსა და აკაკი წერეთელს. ამ უკანასკნელის ლექსებს ეცნობოდა მკითხველი აღნიშნული გაზეთის ფურცლებიდან, ასევე ცნობილი ჟურნალისტის წერილებსაც. გარკვეული დროის შემდეგ ისინი იძულებულები იყვნენ, დაეტოვებინათ გაზეთი. ამის მიზეზი კი ცრუ ბრალდება იყო მაჩაბლის მისამართით, თითქოს მან რუსთაველის ფონდისთვის გადასაცემად სერგეი მესხის მიცემული ფული უმიზნოდ დახარჯა. ეს იყო ის ცილისწამება, რამაც აიძულა ორი ქართველი რედაქციიდან წამოსულიყო. მთარგმნელმა ბანკის დირექტორად გააგრძელა მუშაობა, რასაც მოყვა ილიას ბანაკისა და მისი მომხრეების, ე.წ. ოპოზიციის შორის შუღლი, ბრძოლა, ცილისწამება, გაუტანლობა. ეს ხელს უშლიდა მაჩაბელს განეგრძო ლიტერატურული მუშაობა და ეთარგმნა შექსპირის პიესები. თუმცა გავიდა დრო და იგი წამოვიდა ბანკიდან, „ომი დამთავრდა და ახლა სინანულით გადახედავს ხოლმე განვლილ წლებს“- წერს ვახტანგ ჭელიძე.

მწერალი ბიოგრაფიული რომანის ბოლო თავში: „რ. და ჯ. - 88“ ქართველი მთარგმნელის, პუბლიცისტის მძიმე სულიერი თუ ფიზიკური ავადმყოფობისა და მისი იდუმალი გაქრობის შესახებ მოგვითხრობს.

რაც შეეხება ნაწარმოების დაქარაგმებული თავის სახელწოდებას, ამას თავად მწერალი ახსნის: „რ. და ჯ. - 88“, ჩუმად ჩაილაპარაკა მაჩაბელმა. მოაგონდა, როდის დაწერა მან ეს. რამდენი ხანია ფიქრობს „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნას, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხებია. ეს პიესა სანეტარო მოგონებებს უკავშირდება, მის გულში ყველაზე ფაქიზ სიმებს აუღერებს.

„- მაშ რომ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?“

- „მთელის გატაცებით!... “

- „მით უფრო, რომ თქვენი თარგმანი იქნება!...“ თითქოს ახლაც ყურში ჩაესმის. მაჩაბლის გაყვითლებულს სახეს ვარდისფერი გადაურბენს, სუნთქვა გაუხშირდება, გული აუჩქროლდება. „შვიდ წელიწადში ერთხელ მოგივლის ხოლმე სიყვარული!“ „შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც გამეხსნას ცა. ერთი ზღაპრისა არ იყოს!...“(ჭელიძე 2010:307,308). ივანე მაჩაბლის მეხსიერებაში გაცოცხლდა მისი ცხოვრებიდან ერთი ლამაზი ისტორია, ეპიზოდი, როდესაც

პეტერბურგიდან ახლადდაბრუნებული შეხვდა 19 წლის ახალგაზრდა მსახიობს, მაკო საფაროვას და დაჰპირდა, რომ თარგმნიდა „რომეო და ჯულიეტას“. მთარგმნელი დაანადგვლიანა პირველი სიყვარულის გახსენებამ.

დიდი მწერლური ნიჭიერებით და ოსტატობითაა დაწერილი ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ მოკლე, სხარტი და ამავე დროს მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველი ეპილოგი. აქ აღწერილია ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, ქართველი მამულიშვილის, შესანიშნავი მთარგმნელისა და ჟურნალისტის, შრომისმოყვარე ადამიანის, ივანე მაჩაბლის დაკარგვით გამოწვეული სევდა, რამაც თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა.

მწერალი ეპილოგში სამი სხვადასხვა ადამიანის განცდებს გადმოსცემს, ცხადია, მაჩაბლის გაუჩინარებით გამოწვეულს. მათი სახელები პირდაპირ არაა შეგნებულად დასახელებული, თუმცა მახვილი თვალი, გონიერი მკითხველი უმაღლესე მისხედება, თუ ვის გულისხმობს ვახტანგ ჭელიძე. ესენი ვახტანგ ივანე მაჩაბლის მეუღლე, მაკო საფაროვა და ილია ჭავჭავაძე.

ივანე მაჩაბლის ცოლის სახეს გვიხატავს მწერალი იმ დროს, როცა ხალხით სავსე სახლში მსახურს წერილი შეაქვს: „დამწუხრებული ქალი ვინ იცის, მერამდენედ უამბობს ამ ცნობისმოყვარე საზოგადოებას ავადმყოფობის ყველა დეტალს. ქალი უცებ გადაიკითხავს წერილს, ამოიოხრებს, ცრემლები გადმოსცვივა და ქაღალდი ძირს დაუვარდება“ (ჭელიძე 2010:311).

საფაროვას ქალი: „წილკნის ქუჩის მეორე თავში ორსართულიანი სახლი დგას. აქა ცხოვრობს გამონჩენილი ქართველი მსახიობი ქალი. იგი თავის ოთახში გამოკეტილა, მაგიდას მისჯდომია და ქაღალდებს ათვალიერებს. ეტყობა, მწუხარე მოგონებებთან უნდა იყოს დაკავშირებული ეს ქაღალდები, რადგან ქალი ყოველი ფურცლის აღებაზე მოიღრუბლება, ამოიოხრებს... კითხულობს, მაგრამ თვალზე მომდგარი ცრემლები ხელს უშლის“... (ჭელიძე 2010:312).

ეპოლოგის ბოლო და ცხადია, ბიოგრაფიული რომანის დასასრულიც უკავშირდება ილია ჭავჭავაძის ემოციებს. იგი ძალიან განიცდიდა მაჩაბლის გაუჩინარების ამბავს: „ივერიის“ რედაქტორს ჩვეულება აქვს: ჩაიკეტება ხოლმე კაბინეტში, მთელ ღამეს თეთრად გაათენებს, პაპიროსს აბოლებს, და სტატიებს წერს... ახლაც ზის და გაზეთისათვის მოწინავე სტატიას ამზადებს. გუშინ ნაშუადღევს რომ ჩაიკეტა, ჯერაც არ გამოსულა. თანამშრომლები კარებთან დაფუსფუსებენ, მაგრამ შესვლას ვერავენ ბედავს, ეშინიათ, ხელი არ



შეუშალონ... თან კი სტატიაც საჩქაროა, ახლავე უნდა გაიგზავნოს სტამბაში. რა იციან, რომ რედაქტორს ჯერ ერთი ბუკარიც არ დაუწერია, თუმცა მთელი დამე თეთრად გაათენა!... გადაუშლია „მეფე ლირი“ და კითხულობს. წაიკითხავს ერთ სტრიქონს, ან ერთ მონოლოგს, და ფიქრობს, საათობით ფიქრობს, ნერვიულად აბოლებს პაპიროსს და ფიქრობს; ეტყობა, ყველა სტრიქონი რაღაც მოგონებას აღძრავს მასში...

კარებზე კაკუნი გაისმის. „შემოდით“, გასძახებს რედაქტორი და „მეფე ლირს“ სწრაფად გააფარებს ქაღალდებს – არ უყვარს თავისი გულის-პასუხის სხვისთვის გაზიარება, გულჩათხრობილი კაცია... გაზეთის თანამშრომელი უხმოდ შეჰყურებს რედაქტორს დაღლილ, სევდიან თვალებში; ვერ უბედავს სტატია მოსთხოვოს, ელოდება, თვითონვე მომცემსო. რედაქტორიც ელოდება, რომ რაღაც ახალს იტყვის თანამშრომელი. იმას, რაზედაც ახლა ყველა ლაპარაკობს ქალაქში, და რაზედაც მას არავისთან არა სურს ლაპარაკი. მაგრამ თანამშრომელი სდუმს; თითქოს ხედება რედაქტორის ფიქრთა დევნას, და მაინც ვერაფერს ეუბნება, არც არაფერი აქვს სათქმელი.

„კიდევ ვერ უნახავთ!“ – გადაწყვეტს რედაქტორი და თავს ნაღვლიანად ჩაღუნავს” (ჭელიძე 2010:313).

ასე სრულდება ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“.

ქვემოთ ზოგადად წარმოვაჩინოთ ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეს. ნაწარმოებში დიდი მწერლური ოსტატობითაა აღწერილი პეიზაჟები. შთამბეჭდავადაა დახატული ზამთრის სურათი:

„თოვს, ბარდნის, მსხვილი ფანტელები ზანტად ეცემიან თეთრად გადაპენტილ ეზოს. ასწლოვანი კაკლისა და თუთის ხეები ჩაბურულან, ტოტები დაბლა დაუხრიათ. დამძიმებული რტო ზოგჯერ შეირხევა, თავს დაიბერტყავს და გასწორდება, მაგრამ ახალი ფიფქები ისევ მალე დაახრევენებენ თავს, მაღალ გაღავანს ადლი თოვლი დასდებია, შორიდან გეგონება პირდაპირ უერთდება გადათეთრებულ ცასაო. ჰორიზონტი შემოზღუდულა. ზამთრის სამარისებულ მყუდროებას ხანგამოშვებით სანადირო თოფის მჭახე ხმა თუ დაარღვევს, ერთს ერუდ დაიგრუხუნებს და ექო სადღაც შორს გადაიკარგება, ღიახვის ხეობაში. დამფრთხალი შაშივი ჭახჭახით გადაიფრენს. კიბის ქვეშ მიყუჟული მთვლემარე ყურმა ერთბაშად ყურებსა ცქვეტს, თავს წამოსწევს, მაგრამ, მოტყუებული, უხალისოდ გააყოლებს თვალს ფრინველის ნადავლს და ისევ მოიყუჟება” (ჭელიძე 2010:7).

ბიოგრაფიულ რომანში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე საუბრისას, საყურადღებოა ივანე მაჩაბლის და ბეჟან წერეთლის რაჭაში, თამარის საყდრის მოსანახულებლად გამგზავრების ეპიზოდი. ამ ამბის გადმოცემისას მწერალი მიმართავს მეტაფორასა თუ ეპითეტს. ფრაგმენტი თხზულებიდან: „მგზავრები ცხენებს მიაჩქარებდნენ, რათა დროულად ჩასულიყვნენ და ტაძრის დათვალიერება მოესწროთ. საცალფეხო გზა დაბურული ტყის ნაპირებს მიჰყვებოდა. მთის გამაცოცხლებელმა ჰაერმა, გარეულ მცენარეთა და ყვავილთა დამათრობელმა სურნელმა, პეიზაჟების სიმშვენიერემ და მთელი ბუნების გრანდიოზულობამ უჩვეულოდ გაახალისა მაჩაბელი. იგი მალიმალ შეაჩერდებოდა ხოლმე ცხენს და გასცქეროდა მზით დაფერილ ჰორიზონტს, რომელიც შორს, შორს თეთრად გადაჰენტილ ღრუბლებს უერთდებოდა. წინ მედიდურად აღმართულიყვნენ მარადი თოვლით დაფარული კავკასიონის ბუმბერაზი მთები, რომლებიც სპეტაკი მწვერვალებით თითქმის ზეცას ებჯინებოდნენ ახლოს”(ჭელიძე 2010:254).

ვახტანგ ჭელიძე, ერთი მხრივ, პეიზაჟების ხატვის ოსტატია და მერე მხრივ, იგი შესანიშნავად აღწერს რომანში ამა თუ იმ მოქმედების ადგილს და ამავე დროს, მთავარი პერსონაჟის პორტრეტსაც ცოცხლად წარმოაჩენს მხატვრული ხერხების საშუალებით. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთ ყრილობაზე წარმოშობილი დაძაბული მდგომარეობის აღწერა. ამონარიდი: „... წამომხტარა ვიღაც თავმომწონედ და საერთო ღრიანცეღში რაღაცას ამტკიცებს, თუმცა კი მისი ღაპარაკი არავის ესმის, თავმჯდომარე განუწყვეტლივ აწკარუნებს ზარს, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, ხალხი თითქოს შეიშალა, ყველა ღრიალებს, ყველა რაღაცას ყვირის...

მაჩაბელი დარბაზიდან გამოდის. ბუნდოვნად ისმის სხდომის ღრიანცეღი. საგონებელში ჩავარდნილა მაჩაბელი, არ იცის, რა იღონოს. ამ ბრბოში, რომელსაც ბანკის მიზანიც ვერ გაუგია და ყველაფერს თავისი შეზღუდული ინტერესებით ზომავს, ფიქრიც შეუძლებელია რაიმე პრინციპულ ბრძოლაზე... მაჩაბელი საკუთარი ყურით ისმენს, თუ როგორ უხსნის ერთი „დამფუძნებელი“ მეორეს ოპოზიციის არსს: „ოპოზიცია იმას ნიშნავს, რომ შენ თუ „ჰოს“ იტყვი, მე „არა“ უნდა ვთქვა; შენ თუ „არას“ იტყვი, მაშინ მე უნდა ვთქვა: „ჰო“...

მაჩაბელს სახე აენტო, წამოწითლდა, თვალებში მტკიცე გადატყვეტილების ნაპერწკალი აუელვარდა. იგი ერთბაშად მოსწყდა ადგილს და სხდომის დარბაზში შეიჭრა”(ჭელიძე 2010:235).

ბიოგრაფიულ რომანში ყურადღებას იქცევს დიალოგები. ისინი ორგანულადაა ჩართული სიუჟეტურ ქარგაში. ერთ-ერთია ვანო მაჩაბლისა და მაკო საფაროვას საუბარი. ამონარიდი:

„საუბარი გადავიდა შექსპირზე. მაკომ განაცხადა, ჩემი ოცნებაა შექსპირის ქალები გაეასახიერო.

– მაინც რა უფრო გიტაცებთ?.. – ჰკითხა ვანომ და საჩქაროდ დასძინა სიცლით, – რა თქმა უნდა, კორდელიას გარდა!

– თუნდაც დეზდემონა, ოფელია, ჟულიეტა...

– მოგწონთ „რომეო და ჯულიეტა“?

– როგორ გითხრათ, მომწონს, როგორც სიყვარულის ძღვეამოსილი ჰიმნი. საბოლოოდ მაინც სიყვარული იმარჯვებს!..

– მაშ რამ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?

– მთელის გატაცებით.

– მით უფრო, რომ ჩემი თარგმანი იქნება, არა?

– სამწუხაროდ, ჩვენი დასი ჯერჯერობით შექსპირს ვერ მოერევა. ისევ მოლიერს უნდა დავეაბულდეთ. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მალე შექსპირიც დავდგათ.

– ხოლო როცა ეს დღე მოვა, მე შეგახსენებთ და სიტყვას არ გადახვიდეთ!

– არ, უსათუოდ გითარგმნით.

– მით უფრო მონდომებით, რომ ჩემს გამო უნდა თარგმნოთ... არა?

– მით უფრო მონდომებით, რომ თქვენს გამო უნდა ვთარგმნო!.. (ჭელიძე 2010:111,112).

გამოიკვეთა, რომ მწერალი ბიოგრაფიულ რომანში მხატვრულ სახეებსა თუ ხერხებს მხატვრული წარმოსახვისთვის ოსტატურად იყენებს. როგორც ცნობილია, პროზაულ ნაწარმოებში აზრის, ჩანაფიქრის გამოხატვისთვის აუცილებელი, ზუსტად შერჩეული სიტყვის პოვნა ჭეშმარიტი შემოქმედის ნიშანდობლივი თვისებაა. ვახტანგ ჭელიძე სიტყვის ხელოვანია. ეს გამოვლინდა თხზულების კვლევისას.

ამდენად, როგორც დავინახეთ, ივანე მაჩაბლის შემოქმედება, ცხოვრება საკმაოდ მრავალმხრივი იყო. იგი მუხლჩაუხრელად იღწვოდა თავისი ქვეყნის, ხალხის უკეთესი მომავლისათვის. არ იშურებდა დროს და ენერგიას, რათა თავისი საქმიანობით თანამემამულეთათვის სასარგებლო, ეროვნული საქმე

გაეკეთებინა. ბიოგრაფიული რომანის ავტორმა, შესანიშნავმა მწერალმა და მთარგმნელმა მიზნად დაისახა, არ გამოეტოვებინა და აღეწერა ივანე მაჩაბლის ცხოვრების მნიშვნელოვანი, საგულისხმო ეპიზოდები, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. ამაში მკითხველი რწმუნდება ბიოგრაფიული რომანის კითხვისას. გარდა იმისა, რომ მწერალმა მდიდარი დოკუმენტური მასალა გამოიყენა: მაჩაბლის თანამედროვეთა მოგონებები, სხვადასხვა წერილი და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი ისე ოსტატურად, ნიჭიერად გაშალა რომანში, რომ ნებისმიერი ინფორმაცია თუ ამბავი ცოცხლად, სხარტად იკითხება და მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს. რა მნიშვნელოვან თემაზეც არ უნდა წერდეს მწერალი, იგი ცდილობს, ერთი მხრივ, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს, მკვლევარს და მეორე მხრივ, ეს არ იყოს მომქანცველი. დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, საუკეთესო ბიოგრაფიულ რომანთა რიცხვშია ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“.

ივანე მაჩაბლის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე არაერთგზის დაწერილა, მაგრამ ამჯერად ჩვენ შევჩერდებით ამ რამდენიმე ხნის წინ, კერძოდ, 2011 წელს როსტომ ჩხეიძის მიერ გამოცემულ პიესაზე: „26 ივნისის საიდუმლო“, რომელსაც სათაურის ქვემოთ მიწერილი აქვს: „მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაკარგული შექსპირელის ტრაგედიაზე“. დრამატურგიულმა ტექსტმა ლიტერატურულ კრიტიკაში დიდი ყურადღება გამოიწვია, დაიწერა რეცენზიებიც – ელგუჯა თავბერიძისა და ქეთევან შენგელიას ავტორობით, ასევე, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში მოხდა წარდგინებაც. არაერთმა ადამიანმა პიესის ქართული თეატრის სცენაზე დადგმის სურვილი გამოთქა.

წიგნს ახლავს საინტერესო ბოლოთქმა, სადაც მწერალი გვაუწყებს, რომ ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ვერსია, რომელიც მან მკითხველს მიაწოდა პიესის მეშვეობით, იცის მამამისის, ოთარ ჩხეიძისა და ვახტანგ ჭელიძისგან, (რომელთაც თავიანთი სიცოცხლის პერიოდში ამაზე ვერ დაწერეს, გარკვეულ მიზეზთა გამო – ნ.ხ). მათ კი შალვა დადიანის, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძისგან მოესმინათ ზემოთ აღნიშნული ამბის შესახებ. ცნობილია, რომ ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია გაჩნდა იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ისინი ურთიერთგამომრიცხავი, დაუჯერებელი, სიმართლისგან შორს იყვნენ. ამასთან დაკავშირებით შესანიშნავად წერს როსტომ ჩხეიძე წიგნის ბოლოსიტყვაში:

„მიოქმა-მოთქმა იმ წლებში სულაც არ ჩამთავრდებოდა და მოგვიანებითაც არაერთხელ იჩენდა თავს მიამიტ, განსაკუთრებით კი სენსაციას დახარბებული მკვლევარების მონდომებით, სხვადასხვა ვერსიას რომ არა და არ ეშვებოდნენ და აშკარა გულუბრყვილო შენათხზსა, ტენდენციურ გამონაგონსა თუ აშკარა ჭორსაც ხელახლა უხსნიდნენ გზას – როგორც კვლევა-ძიებათა ახალ მონაპოვარს.

იღუმალება იწვევს ამგვარ ცთუნებას, მაგრამ სამწუხარო ის გახლდათ, რომ ფსევდოძიებანი ძალიან აზარალებდა ივანე მაჩაბლის სახელსაც და... ილია ჭავჭავაძისაც, ვინც კვლავ გაეხვევოდა სოციალ-დემოკრატიულ ცრუ მოსაზრებათა აბლაბუდაში”(ჩხეიძე რ. 2011:74,75). ოთარ ჩხეიძემ 1973 წელს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო” გამოაქვეყნა ესეი „ანაქრიონიზმები”. მან დაგმო ქართველი მოაზროვნის სიცოცხლის ბოლო დღეებზე არსებული ის ყალბი ვერსიები, რომელზედაც წერდნენ წერილებში. ვახტანგ ჭელიძემ ბიოგრაფიულ რომანში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა” შექსპირის მთარგმელის გაუჩინერებაზე შეთხზულ ამბებზე არაფერი დაწერა. სიმართლის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა როსტომ ჩხეიძემ თავის პიესაში გადაწვევითა და დრამატურული ტექსტის მიხედვით, ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ამბავს ილია ჭავჭავაძე იძიებს და ცდილობს, ნათელი მოჰფინოს ჭეშმარიტებას. ეს მართლაც ასე ხდება, იგი ამ საკითხზე სინამდვილეს იგებს აკაკი წერეთლისგან. ამ უკანასკნელმა კი ეს შეიტყო ტასო მაჩაბლისგან. სწორედ მისი თხოვნა შეასრულა „გამზრდელის” შემქმნელმა და ტასოს მონაყოლი მისი თხოვნისამებრ, ხალხს არ გაანდო, მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს უამბო. ამონარიდი: „...იმ დილაბნელზე ვანო, თავისდასაბედისწეროდ, ფეხზეც წამოდგა და სასტუმრო ოთახშიც გამოლასლასდა. კარი რომ შემოუღია, ოფიცერი მჯდარა, წელზევით გახდილი, ტასო კი მის მუნდირს აუთოვებდა. ერთი-ორი წუთიც და გადაიცვამდა ოფიცერი თავის მუნდირს და ისე გაიპარებოდა ვანოს ბინიდან, როგორც არაერთხელ მოქცეულიყო და გეშიც ვერავის მიეტანა. ვანო გაცეცხლდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა, თუ რამ ძალ-ღონე შერჩენოდა, იმ წუთას ერთბაშად დაუბრუნდებოდა, აიტაცებდა უთოს და თავზემთ შემართავდა, რათა ძლიერად დაეკრა მისი ოჯახის შემარცხვენლისათვის. ოფიცერი წამისუსწრაფესად მოასწრებდა შემართულ მკლავზე ხელი ეტაცა, რათა დარტყმა აერიდებინა. ვანოს დაავადებული სხეული ვედარ გაუძღებდა სამხედრო პირის ნავარჯიშევი ხელის მოჭერას მაჯაზე და... და... უთო

გაუვარდებოდა და თავში დაეცემოდა”... (ჩხეიძე რ. 2011:62,63). ამდენად, დაუძღვრებულნი, მაგრამ საკუთარი ოჯახის ღირსების დამცველი ვანო მაჩაბლის სიცოცხლე საკუთარ სახლში ვიღაც ოფიცერს ეწირება. როგორც როსტომ ჩხეიძე წერს, სოსიკო მერკვილაძემ მაჩაბლის გვამი მალულად დაფერფლა საკირეში. მოლაღატე, დამნაშავე ქალის სახე კი ისე დახატა მწერალმა, რომ მკითხველს არ ეუფლება უკიდურესი ზიზღი, მკვეთრი უარყოფითი ემოციები, რათა მისი „ღირსება გადარჩეს”. სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ იგი დაინდეს და დუმილი არჩიეს, „თორნიკე ერისთავის” ავტორმა სიტყვა არ გატეხა ტასო მაჩაბელთან. ამგვარია, ის ლიტერატურული ვერსია ვანო მაჩაბლის გაუჩინარებაზე, რაც მწერალმა გაგვანდო წიგნში. ამონარიდს მოვიხმობ ბოლოსიტყვაობიდან, სადაც როსტომ ჩხეიძე მკითხველს მიმართავს, იმან გადაწყვიტოს შექსპირის მთარგმნელის გაუჩინარებაზე მისეულ ვერსიას დაეყნოს, თუ არა: „პიესა, საერთოდ მხატვრული ქმნილება, საამისოდ ყველაზე შესაფერისი უანრია – მეცნიერულად ხომ არაფერს ამტკიცებ და საყოველთაო ჭეშმარიტებად დამკვიდრებას ხომ არ ესწრაფი. მხატვრული სინამდვილე ხან თუ შეიძლება უკიდურეს წვრილმანებამდე დაუახლოვდეს ყოფით რეალობას, ხან შეიძლება სრულიადაც დაშორდეს. და შენ, მკითხველს, როგორც გინდა, ისე გჯეროდეს, და დაე ეს იყოს მარტოდენ მხატვრული სიმართლე, მორგებული მხატვრულ კანონებზე”(ჩხეიძე 2011:81,82).

ეფიქრობთ, როსტომ ჩხეიძის პიესა „26 ივნისის საიდუმლო” მრავალი თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი პიესაა. ჩვენ ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანზე მსჯელობისას „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა” საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლედ მაინც გვესაუბრა აღნიშნულ პიესაზე, მით უფრო, რომ ის სწორედ დიდი ქართველი მოღვაწისა და მთარგმნელის გაუჩინარების გამორკვევას ეხმიანება.

### თავი III

#### ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია“

ოთარ ჩხეიძე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი გამორჩეული რომანისტია. მისი რომანები, თითქმის მთელი შემოქმედება, მეოცე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული ისტორიაა.

ჩვენს ქვეყანაში არ არსებულა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და ღირებული მოვლენა თუ ფაქტი, პროზაიკოსს თავისი გამორჩეული სიტყვა რომ არ ეთქვა. მან შექმნა ქართლის ცხოვრების უწყვეტი ქრონიკის ციკლი – „მატიანე ქართლისაი“, რომელიც 24 რომანს აერთიანებს. ოთარ ჩხეიძემ დაგვიტოვა მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. იგი ავტორია რომანებისა: „ტინის ხიდი“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩენი“, „აღმართ-დაღმართი“, „კვერნაქი“, „ლანდები“, „ბორიაყი“ (რომელიც საფუძვლად დაედო რეჟისორ გიორგი შენგელაიას კინოფილმს „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“), „ცხრაწეარო“, „მთაგრეხილი“, „ამაღლება“, „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერძუნის სამკუთხედი“, „მორჩილი“, „ლაზერშოუ“ და სხვა. მის კალამს ეკუთვნის ბიოგრაფიული რომანები: „რომანი და ისტორია“, „იტალიური დღიურები ბაირონისა“. შემოქმედმა ასევე გამოსცა მოთხრობების კრებულები, პიესები, მინიატურები, ესეები, გამოკვლევები, თარგმანები ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან.

იგი იყო რეალისტი ავტორი და მიუხედავად მძიმე ყოფისა, რომელშიც მოუწია ცხოვრება, ის თავის ნაწარმოებებში საქართველოში არსებულ სინამდვილეს აღწერდა. ამის დასტურია მისი რომანები, სადაც ნათლად იგრძნობა კრიტიკული დამოკიდებულება იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილისადმი. ოთარ ჩხეიძემ მწერლური ოსტატობის, სიმართლისმოყვარეობის წყალობით ყველა დროს გაუძლო და არასოდეს გაუწევია ანგარიში პარტიულ-კლასობრივი ინტერესებისთვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი უახლესი ქართული ისტორიის მხატვრული მემკვიდრეა, რომლის შემოქმედების გაცნობის გარეშეც თითქმის შეუძლებელია, გავიგოთ იმდროინდელი ჩვენი ქვეყნის რეალური მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს რუსუდან ნიშნიანიძე

ლიტერატურულ წერილში „ოთარ ჩხეიძე (ლიტერატურული პორტრეტი)“: „ევროპული და ამერიკული კულტურის მკვლევარი საბჭოთა კულტურის სივრცეში ცხოვრობდა, მაგრამ თავად ტრადიციული, ეროვნული მწერლობის წიაღში გაიზარდა. მისთვის უმთავრესი „ქართული საფიქრალი“, საქართველოს ლამის მარადიული, „წყველა-კრულვიანი“ ტკივილი გახლდათ. მან უბიძგა XX საუკუნის „მატიანის“ წერა დაეწყო. არ გამორჩენოდა არცერთი მნიშვნელოვანი თარიღი თუ ფაქტი, რომელთა გავლენა ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. ეს სისტემის მიერ მოტანილი მოვლენები იყო. აქედან ცხადი ხდებოდა, რას უნდა დაპირისპირებოდა მწერალი. პირველი ნაწარმოებების გამოჩენისთანავე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, ხელისუფლებისაც. ისიც უნდა ითქვას, არჩევანის წინაშე არ დამდგარა, არც ყოყმანის და არც ორჭოფობის წუთები ყოფილა გრძელი; ე.წ. „ისტორიის კრიტიკის“ უფლება თვით გადაწყვიტა და სათქმელიც თავისთავად დალაგდა“ (ნიშნინიძე 2011:7).

პროზაიკოსის მწერლურ სტილზე საყურადღებო დაკვირვება აქვს გამოთქმული კრიტიკოს ივანე ამირხანაშვილს: „ოთარ ჩხეიძის პროზის „სიძნელე“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეტისმეტად მთლიანია მისი შემოქმედება, კომპოზიციური ერთიანობის სული მსჭვალავს მისი ნაწარმოებების ყველა ელემენტს, რაც კი შეიძლება მონაწილეობდეს ტექსტის აგებაში“ (ამირხანაშვილი 2003:73).

მან შექმნა მრავალშრიანი მხატვრული ტექსტები, შეეხო ყველაზე უფრო ღრმა, უნივერსალურ თემებს, რომლებზედაც იგი საქართველოსა და ქართული ენის სიყვარულით საუბრობს. „გრიგოლ რობაქიძეს თუ არ ჩავთვლით, ძნელია გავიხსენოთ სხვა მაგალითი გასული საუკუნის ქართულ პროზაში ასეთი გამორჩეული ხმის არსებობისა. კითხულობ და გაიმბობს – თავისი აქცენტებით, ინტონაციით, არასოდეს რომ არ აგერევა სხვაში,“ – წერს ლელა სამნიაშვილი (სამნიაშვილი 2009:45).

არაერთი თვალსაზრისით დიდი კვლევის საფუძველს გვაძლევს ოთარ ჩხეიძის შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა, თუმცა ახლა ყურადღებას გავამახვილებ მის ბიოგრაფიულ რომანზე „რომანი და ისტორია“, რომელიც თავდაპირველად 1965 წელს დაისტამბა, მეორე გამოცემა 1976 წლით თარიღდება. ნაწარმოებში პროზაიკოსი მოგვითხრობს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ვასილ ბარნოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ვიდრე აღნიშნულ ტექსტს გავაანალიზებთ, მანამდე ორიოდ სიტყვა ვთქვათ ქართველ რომანისტზე.



ვასილ ბარნოვის შემოქმედებითი ბიოგრაფია მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. ამ დროიდან მოყოლებული იგი ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესასთან. ის ავტორია არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი რომანისა როგორებიცაა: „მიმქრალი შარავანდედი“, „ტროფობა წამებული“, „არმაზის მსხვერვა“. მწერლის კალამს ეკუთვნის მოთხრობები: „ტკბილი დუღუკი“, „თებერას დანიშნული“, „სადედოფლო სარტყელი“, „განასკეილი სიმი“ და სხვა. მისი თავდაპირველი თხზულებების ტიპაჟიცა და პრობლემატიკაც უმეტესწილად ქართული მწერლობის ტრადიციებით იყო ნასაზრდოები, თუმცა შემოქმედის ადრინდელი ნაწერების გაცნობისას იმ სიახლეთა გამოვლინებასაც აშკარად ვგრძნობთ, რომლებიც სულ მალე მისი მხატვრული ინდივიდუალობის განმსაზღვრელ საფუძვლად იქცნენ. შემდგომ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები თემატიკით ახალ მოვლენას წარმოადგენდნენ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მიუხედავად იმ უთუოდ დიდმნიშვნელოვანი წარმატებისა, რომელიც მან მოთხრობის ჟანრში მოიპოვა, პროზაიკოსის შემოქმედებითი ოსტატობა ყველაზე მეტად მაინც რომანებში გამოიკვეთა.

ვასილ ბარნოვი ღრმად იცნობდა ანტიკურ, ევროპულ, რუსულ და ძველ ქართულ ფილოსოფიურ, ასევე, ლიტერატურულ შედეგებს, მნიშვნელოვან და საგულისხმო თხზულებებს, შრომებს, ნარკვევებს. იგი იყო უნივერსალურად განსწავლული შემოქმედი; ჩვენ ამაში ვრწმუნდებით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობისას.

რომანისტის მწერლური დეაწლის შეფასებისას ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენში რომანის ჟანრის, უფრო კონკრეტულად კი, ისტორიული რომანის კლასიკური სახით ჩამოყალიბება. იგი საოცრად კარგად, დამაჯერებლად აცოცხლებს საქართველოს წარსულს წარმართობის ხანიდან მოყოლებული მისი თანამედროვე საქართველოს ეპოქალური სინამდვილის ჩათვლით. ლიტერატორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მოსაზრებით: „ვასილ ბარნოვმა არა მარტო მაღალი ლიტერატურული ოსტატობით წარმოსახა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სურათები, არამედ ამ ისტორიის ბევრი პრობლემატური საკითხი მეცნიერული სიმართლითაც და მაღალი პროფესიონალიზმითაც გაიაზრა“ (ნიკოლეიშვილი 2002:18). აქვე მივუთითებთ, რომ მწერალმა პროზაულ ნაწარმოებებში შემოიყვანა და დაამკვიდრა ახალი პერსონაჟები. ესენი გახლავთ: ძველი თბილისის მკვიდრნი,

სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, ხელოსან-ამქრები, ინტელიგენცია...

აღიარებული თვალსაზრისით, ვასილ ბარნოვი ჩვენი მწერლობის ისტორიაში რიტმული პროზის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი და დამამკვიდრებელია. ამ ტენდენციამ მის ბელეტრისტიკაში იმდენად ფართო მასშტაბები მოიცვა, რომ თავის მხრივ, მან მომდევნი პერიოდის არაერთი მწერლის შემოქმედებასაც მისცა მძლავრი ლიტერატურული იმპულსი.

რაც შეეხება ვასილ ბარნოვის შემოქმედების ენას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი გარდასულ საუკუნეთა ყოფითი სინამდვილის მხატვრულად წარმოსახვას წარმოადგენს, ავტორი თავისი დროის ცოცხალ მეტყველებასთან კავშირს არასოდეს წყვეტს.

რომანისტის ნაწარმოებებზე მრავალი საინტერესო წიგნი, ნაშრომი, სტატია მომზადებულია. მიუხედავად იმისა, რომ ვასილ ბარნოვმა თავისი პირველი პროზაული ნაწარმოები: „სურათები ხევსურების ცხოვრებიდან“ 1878 წელს გაზეთში „დროება“ დაბეჭდა, მისი მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობის და ცხოვრების მეცნიერული შესწავლა მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ იგი არცერთი იმდროინდელი ლიტერატურული დაჯგუფების თუ მიმდინარეობის წევრი არ ყოფილა. მის ნაწერებზე და ბიოგრაფიაზე საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები გამოთქვეს თედო სახოკიამ, გერონტი ქიქოძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, შალვა რადიანმა, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, აკაკი გაწერელიამ, სერგი ჭილაიამ, ვიოლეტა ცისკარიძემ და სხვებმა. მათი რეცენზიები, წერილები თუ ნარკვევები სხვადასხვა წლებში არაერთ ჟურნალში, გაზეთში და წიგნში ქვეყნდებოდა. თავის მხრივ, საკმაოდ საინტერესოა თითოეული. ჩვენ ზოგიერთ მათგანზე შევხერდებით. თავდაპირველად რამდენიმე ჟურნალში დაბეჭდილ მასალაზე ვისაუბრებთ.

1955 წელს ჟურნალში „მნათობი“, პირველ ნომერში დაისტამბა სერგი ჭილაიას საინტერესო წერილი „ვასილ ბარნოვი“. კრიტიკოსი შესანიშნავად მსჯელობს ქართველი პროზაიკოსის რომანებზე: „მიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“, „ტრფობა წამებული“, ასევე შემდეგ მოთხრობებზე: „არქეოლოგიური ნაშთი“ და „განასკვილი სიმი“. ავტორი ვასილ ბარნოვის აღნიშნული ნაწარმოებების თემატიკასა თუ სტრუქტურაზე თანმიმდევრულად და ამომწურავად საუბრობს, ამასთანავე, იგი მკითხველის ყურადღებას მწერლის

მხატვრულ სტილზეც მიაპყრობს. მოვიხმობთ შემდეგ ამონარიდს: „მის შემოქმედებაში მთელი სიძლიერით გადაიშალა ჩვენი ხალხის შორეული წარსული. უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხლა მან საქართველოს ისტორიული წარსულის სურათები. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნებოდა მართალი, რომ ვასილ ბარნოვი წარსულში გადასახლებულად წარმოგვედგინა. ვასილ ბარნოვი დიდი მხატვარი იყო. ჭეშმარიტმა მხატვარმა კი არ შეიძლება პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის საჭირობოროტო საკითხებს. ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ვპოულობთ ეპოქის აქტუალური საკითხებითაც დაინტერესებას. უმთავრესად ეს შეეხება მოთხრობებს. ყოველივე ამის გამო ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ორი თემატური ხაზი გვაქვს: ერთი – მთავარი და ძირითადი – ისტორიული წარსულია. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს თანამედროვეობის, XX საუკუნის ეპოქის, კონკრეტული სურათების გამოხატულებაც. ვასილ ბარნოვი სამართლიანად შენიშნავს თავისი მოთხრობების პირველი კრებულის წინასიტყვაობაში, რომ „ბევრი ფერადი სურათები მაჩვენა აწმყომ, მაგრამ უფრო მეტი წარსულმაო“. გამოთქმა „უფრო მეტი“ ნათლად არკვევს ვასილ ბარნოვის შემოქმედებითი თემების ბუნებას“(ჭილაია 1995:124).

ვიოლეტა ცისკარიძემ არაერთი ნარკვევი, რეცენზია უძღვნა ვასილ ბარნოვის მხატვრულ შემოქმედებას, მის ნაწერებს. ერთ-ერთი მათგანია 1958 წელს ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ გამოქვეყნებული წერილი: „ვასილ ბარნოვი“. მეცნიერი საინტერესოდ წერს რომანისტის ცხოვრების გზაზე, საგულისხმო ბიოგრაფიულ მომენტებზე, შემოქმედებაზე, მის ნააზრევსა თუ მსოფლმხედველობაზე. ვიოლეტა ცისკარიძე შემდეგ მითითებას გვთავაზობს: „ვასილ ბარნოვი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მკვეთრად დამოუკიდებელ ადგილს იკავებს. იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ლიტერატურულ სკოლას, შევადართოთ რომელიმე მწერალს. იგი ერთსა და იმავე დროს მთელი მრავალსაუკუნოვანი ქართული აზროვნებისა და მხატვრული ტრადიციების მემკვიდრეცაა და ამ მემკვიდრეობის თავისებური ინტერპრეტატორიც, საუკუნის მოქალაქეცა და შორეულ წარსულში შეჭრილი პიროვნებაც“(ცისკარიძე 1958:97).

გიორგი ციციშვილმა ვასილ ბარნოვის შემოქმედებას მიუძღვნა მნიშვნელოვანი წერილი: „ვასილ ბარნოვი და მისი თანამედროვეობა“. ავტორი ცნობილი რომანისტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე საკუთარ

შეხედულებებს მკვეთრად აყალიბებს და დამაჯერებლად, საინტერესოდ წერს მის თხზულებებზე. ამონარიდი: „ვასილ ბარნოვის შემოქმედება თავისი იდეურ-თემატური და მხატვრულ-ფორმალური თვასაზრისით XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენაა. ამ დიდებული ნიჭის, უშრეტო წარმოსახვისა და საოცარი ნაყოფიერების ბელეტრისტმა შექმნა ორიგინალური მხატვრული სამყარო, რომელსაც საფუძვლად დაუდო თავისებური მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, უაღრესად ჰუმანური, კეთილშობილური და თავიდან ბოლომდე განმსჭვალული ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი სწრაფვით”(ციციშვილი 1958:129).

შალვა რადიანის წიგნი „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“ 1945 წელს დაისტამბა. ის რამდენიმე საგულისხმო თავს აერთიანებს, ესენია: ისტორიული რომანის განვითარება, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანების მხატვრული აზრი და სიუჟეტური აღნაგობა, ისტორიული მასალა ვასილ ბარნოვის რომანებში, შემოქმედებითი მეთოდი და მხატვრული სტილი ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანებში, ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობა, ვასილ ბარნოვის ადგილი ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. შალვა რადიანის აღნიშნული წიგნი მეტად მნიშვნელოვანია, თუ მივაქცევთ ყურადღებას გამოცემის თარიღსაც, ეს მით უფრო ანგარიშგასაწევია. ამონარიდი: „ვასილ ბარნოვის რომანებსა და მოთხრობებს გამოქვეყნებისას არ გამოუწვევია კრიტიკაში შეხედულებათა, აზრთა სხვადასხვაობა, შეჯახება. არც სალიტერატურო და არც საისტორიო კრიტიკა სათანადოდ არ გამოსხმურებია ამ შესანიშნავი მწერლის ნაწარმოებებს, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში განავითარეს და განამტკიცეს შემოქმედების უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ჟანრი – ისტორიული მხატვრული პროზა. მხოლოდ იმ ცალკეულ წერილებსა თუ მიმოხილვებში, რომლებიც ვასილ ბარნოვის სიცოცხლის უკანასკნელ ხანს და გარდაცვალების შემდეგ დაიწერა, იგი დახასიათებულია როგორც „დიდად ორიგინალური შემოქმედი“, რომელიც „ფილოსოფიურად ყველაზე უფრო მეტად არის განსწავლული ახალ ქართველ მწერალთა შორის“, რომელსაც „ახასიათებს წარსულის განჭვრეტის განსაკუთრებული ნიჭი და ისტორიული დეტალების ცოდნა“, რომელსაც „გააჩნია თავისებური პოეტური მეტყველება“, რომლის „ოსტატობა ადის მხატვრული პროზის უმაღლეს მწვერვალზე“ და რომელიც „მთელი თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია ძველი ქართული

ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან”. ეს სიტყვები მართებულად განსაზღვრავენ ვასილ ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხასიათსა და მნიშვნელობას”(რადიანი 1945:5).

სერგო ჭეიშვილმა ვასილ ბარნოვის მოთხრობებს საგანგებოდ უძღვნა წიგნი: „ვასილ ბარნოვის მოთხრობები”. წიგნში გამახვილებულია ყურადღება ბელეტრისტის მსოფლმხედველობაზე, მის არაისტორიულ პროზასა და ცხოვრების გზაზე. ავტორის მითითებით: „ვასილ ბარნოვმა თანამედროვეობის ამსახველი ბელეტრისტიკით მკითხველის თვალწინ გადმოშალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სოციალური ყოფის ობიექტური სურათები, მიმავალი წყობილების (ფეოდალური არისტოკრატის) ტრაგედია და მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოების ტლანქი ძალმოსილება... ვასილ ბარნოვი რეალისტია, მაგრამ მის პროზას განსაკუთრებულ სურნელს აძლევს რომატიკული მოტივებიც – აწმყოთი უკმაყოფილება და ამ ნიადაგზე შობილი ღრმა სევდა, გატაცება ისტორიზმით და ასე შემდეგ”(ჭეიშვილი 2001:201;207).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი წიგნში „XX საუკუნის ქართული მწერლობა” ქართველი პროზაიკოსის შემოქმედების განხილვისას წერს: „გალაკტიონის შეფასებით, ვასილ ბარნოვი, „ძველი ქართული ფრესკა” იყო, „უკეთილშობილესი ადამიანი და თავისებური მანერისა და სტილის” პიროვნება. სიმონ ჩიქოვანმა კი იგი „ვეროპულ ტანსაცმელში გამოწყობილ მეუდაბნოეს თუ მეუდრო სენაკში მომუშავე ძველ მწიგნობარს” შეადარა, რომელსაც „ქართული ტაძრის კედლის მხატვრობიდან ჩამოსული წმინდანის თუ მემატიანის სახე” ჰქონდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ვასილ ბარნოვის შემოქმედების უმთავრეს თემად დამკვიდრებულ ისტორიულ წარსულს თითქოს მისი გარეგნობაც შეეცვალა ფიზიკურად და მწერალი მონასტერში შეკედლებული მოძღვრის სახის მქონე ქართველი მემატიანისათვის დაემსგავსებინა” (ნიკოლეიშვილი 2002: 19).

ვასილ ბარნოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე კიდევ სხვა არაერთი კრიტიკული ნარკვევი, წერილი არსებობს. ახლა ყურადღებას გავამახვილებთ იმ მასალაზე, სადაც ბელეტრისტზე მოგონებებია დაწერილი. ერთ-ერთი მათ შორის არის თედო სახოკიას „ვასილ ბარნოვი”, რომელიც 1952 წელს „ლიტერატურის მატთანში” გამოქვეყნდა. ავტორი დიდი სითბოთი და პატივისცემით იხსენებს თავის მასწავლებელს, მასთან დაკავშირებულ

ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ ასპექტებს. ამონარიდი: „ვასილ ბარნოვთან კვირაობა გვქონდა შემოდებული. ყოველ კვირას მისი პატივისცემელნი თუ ნათესავნი საღამოს 8 საათზე თავს ვიყრიდით მწერალთან. ეს კვირაობა ბოლოს და ბოლოს მეტად პოპულარული გახდა, სტუმრად მოსვლა ვისაც უნდოდა, კვირა საღამოს ეწვეოდა და დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შინ ყველანი დაუხვდებოდნენ. მასპინძლებიც თავისუფალნი იყვნენ სტუმრის უდროოდ, მოულოდნელი წვევისაგან. კვირა საღამო საესეებით შეწირული იყო სტუმრებისათვის, მათთან თბილი ბაასისა და ურთიერთ მოკითხვისათვის.

ამ კვირაობას, ტკბილ ბაასში, მწერალი გვიამბობდა თავისი განვლილი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებს. გვიღწერდა ადგილებს, საცა ესა თუ ის ხანა ცხოვრებისა გაუტარებია...”(სახოკია 1952:131).

ვასილ ბარნოვის ქალიშვილმა, ლელა ბარნაველმა თავის დროზე საკმაოდ საინტერესო მოგონება დაწერა მამაზე, რომელიც ასეც დაასათაურა: „მოგონება მამაზე”. ტექსტი რამდენიმე კარგად დაწერილ თავს აერთიანებს: „სოფელი კოდა”, „ვასილ ბარნოვის დედ-მამა”, „ვასილ ბარნოვის ყრმობა”, „ვასილ ბარნოვის წასვლა მოსკოვის აკადემიაში”, „ვასილ ბარნოვის მეუღლე – ნინო ბენაშვილი” და ბოლოს, „მანგლისი”. სათაურების სახელწოდებებიც აშკარად მიგვანიშნებენ, რომ ლელა ბარნაველის მოგონებაში გაცოცხლებულია რომანისტის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი, დაბადებიდან ვიდრე გარდაცვალებამდე და ეს ყველაფერი ეყრდნობა ვასილ ბარნოვის მოგონებებს, ამაზე თავად ავტორიც მიუთითებს, ამასთანავე, მოცემულია საკუთარი შთაბეჭდილებებიც მამაზე, ვასილ ბარნოვზე. ამონარიდს მოვიხმობ, სადაც საუბარია ყრმა ვასილზე. ეს ის პერიოდია, როდესაც მამამისი ტოლათსოფელში მსახურობდა მღვდლად და ოჯახით იქ ცხოვრობდა ერთხანს: „ბუნების წარმტაცი ნაირგვარი სურათები, ზღაპრები, მდინარე-ტყე-ჭაობი, ძველი ქალაქის ნაფუძრები, პატარ-პატარა სამლოცველოები ტრაპეზებით, კოპალ-იახსარის ღვთისმსახურება – წარმართული კულტის ნაშთები, თავის მამის ზაქარია მღვდლის და დეკანოზ კურდელას შეჯახება, იგივე ძველი ქართული წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლაა. ყველა ეს აღიბეჭდებოდა წარუშლელად ბავშვის სულში, უღვიძებდა ფანტაზიას.

ეს შეუცნობლად ათვისებული სიმდიდრე, გულუბრყვილო ბავშვისათვის პირველი შთაბეჭდილებანი შემდეგ თანამედროვე კულტურის უმაღლეს

საფეხურზე მდგომმა ვასილ ბარნოვმა გადმოგვიშალა არა პრიმიტივის სახით, არამედ გამოიყენა საქართველოს წარმართულ, წინაქრისტიანულ კულტურის დასახატავად, ქართული წარმართული პანთეონის გასაცოცხლებლად” (ბარნაველი 1952:116,117).

ეს რაც შეეხება იმ წერილებს, წიგნებს, რომელნიც ვასილ ბარნოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხმიანება. ახლა კი კონკრეტულად ოთარ ჩხეიძის მიერ ბელეტრისტიკაზე დაწერილ ბიოგრაფიულ რომანზე ვიმსჯელოთ.

ოთარ ჩხეიძემ ბიოგრაფიულ რომანში „რომანი და ისტორია“ გადმოსცა მწერლის ცხოვრება, მოღვაწეობა. წიგნში საუბარია ვასილ ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის თაობაზეც, გამოხატულია ავტორის საყურადღებო შეფასებანიც. თხზულების მხატვრულ ქარგაში მოქცეულია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის მდიდარი ისტორიული, დოკუმენტური და ეთნოგრაფიული მასალა.

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში „ავგისტოს შვილები“, რომელიც ოთარ ჩხეიძეს ეძღვნება, ერთ-ერთ თავში: „ალაზნის ველის ისტორია“ გადმოსცემს მამის მიერ დაწერილი ამ წიგნის, „რომანი და ისტორიის“ შექმნის ისტორიას. მისი წაკითხვისას მკითხველი იგებს, თუ როგორ და როდის გაუჩნდა იდეა კლასიკოს მწერალს ქართველი ბელეტრისტი თავის ნაწარმოებში მხატვრულ პერსონაჟად ექცია. ამონარიდი ტექსტიდან: „საგანგებოდ გადაეკითხა კიდევ ერთხელ ვასილ ბარნოვის მოთხრობები და რომანები, მოგონებები მისი და მასზეც, საარქივო მასალებსაც ჩაჯდომოდა, მაშინდელი ჟურნალ-გაზეთებიც შეესწავლა ეპოქის რაობასა და სიღრმეში ბოლომდე გასარკვევად, ხელისგულზე ედო მწერლის პიროვნული ხასიათიც და ცხოვრების ქარგაც, ისტორიული რომანის თავგადასავალიც გულდასმით დაემუშავებინა უოლტერ სკოტიდან მოკიდებული და ერთ მთლიან პროცესადაც გაეაზრებინა სიახლენი მისი განვითარების გზაზე, რადგან ევროპული ფონი ყველაზე უკეთ წარმოაჩენდა ქართველი მწერლის ღვაწლს”(ჩხეიძე რ. 2008:14).

როგორც რომანიდან „ავგისტოს შვილები“ ვიგებთ, ოთარ ჩხეიძე სიყმაწვილიდანვე იყო აღტაცებული ვასილ ბარნოვის ისტორიული მოთხრობებითა და რომანებით, მოსწონდა პერსონაჟთა ხასიათები, სიუჟეტები. იგი თავიდან მისი სტილის გავლენასაც კი განიცდიდა, თუმცა „თანდათან სრულიად დაშორდებოდა, მაგრამ უშუალო შთამაგონებული მაინც ის გახლდათ მოდერნისტული ძიებებისაც და მონუმენტური შენობის აგებისაკენ

სწრაფვისაც”(ჩხეიძე რ. 2008:14). ამდენად, შემოქმედმა დაწერა საყურადღებო ბიოგრაფიული რომანი თავის ერთ-ერთ გამორჩეულად საყვარელ ავტორზე – „რომანი და ისტორია“. ეს წიგნი არის მხატვრულ-მეცნიერული ნაწარმოები, რომელიც მით უფრო საინტერესოა, რომ თხზულება შექმნა ერთმა მწერალმა თავის თანამოკალმეზე – მეორე მწერალზე.

ბიოგრაფიული რომანის პირველ თავს მწერალმა უწოდა „პაექრობანი ტოლაოსოფელში“. აქ ავტორი მოგვითხრობს სხვადასხვა ლეგენდასა თუ თხზულებაზე, ასევე, საინტერესოდ წერს ეკლესიასა და იდუმალებით მოცულ კოშკზე... მხატვრული ტექსტის აღნიშნულ ნაწილშივე ჩნდებიან პერსონაჟები: მღვდელი ზაქარია ბარნაველი, დეკანოზი კურდღელა, პატარა ვასიკო, კურდღელას შვილიშვილი ბახყურა.

„რომანი და ისტორიის“ შესახებ მსჯელობისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო ფაქტი; კერძოდ, ავტორი ნაწარმოების ყოველ ახალ ეპიზოდში აღადგენს, აცოცხლებს იმ ისტორიულ ვითარებას, რომლის დროსაც მოუწია ცხოვრება მწერალს და მისი ნაწარმოებების მოქმედ პირებს. მან უხვად მოიხმო ისტორიულ-დოკუმენტური თუ საარქივო მასალა, სამეცნიერო ლიტერატურა, ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წყაროები. ეს ყოველივე ბიოგრაფიულ რომანს დიდ ღირებულებას, მნიშვნელობას ანიჭებს და სრულყოფილად, ამომწურავად წარმოაჩენს ვასილ ბარნოვის მოღვაწეობას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამასთან დაკავშირებით, მოვიტანო კრიტიკოს ნოდარ ალანის მოსაზრებას: „ისტორიულის, ნამდვილის, არსებულისა და გამოგონილის, ფანტაზიის ნაყოფის ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში გაშლით მწერალი მრავალმხრივად გვიჩვენებს ბარნოვის სულიერ სამყაროს, მისი ზრდის პროცესს”(ალანია 1967:2).

„რომანი და ისტორიაში“ მოთხრობილია ვასილ ბარნოვის ცხოვრების არაერთ ეპიზოდთან ერთად, მისი სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდი და აღწერილია ის გარემო, რაც იქ სუფევდა. ოთარ ჩხეიძე წერს: „ვასილი გაკვეთილებს ადვილად იხეპირებდა, თვით რუსებზე ადვილად იხეპირებდა და შურს იწვევდა. თხზულებებში ხომ უბადლო დადგა, აოცებდა თვით მასწავლებლებსა, მაგრამ გულს მაინც არ უხაროდა, დამძიმებოდა, ჩაპირქვავებოდა”(ჩხეიძე ო. 1976:63). უეცრად სემინარიაში სითბო და სინათლე გამოჩნდა, „გოგებაშვილი, გოგებაშვილი, ხმა გავარდა და გაშუქდა ჩაბინდული დერეფნები. გოგებაშვილით აღტაცებულიყვნენ უფროსკლასელები. და ვასომ



ჯერ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს გვარი, რისგან იყო, რომ სიხარული სიხარულს დაემსგავსა თვით სემინარიაში... ვასოს უკვირდა, უკვირდა და უხაროდა, გოგებაშვილი ყველა მასწავლებელთაგან განსხვავებით, რომ ჩასძახოდა, ბარნაველი ხარო, ჩასძახოდა და აიძულებდა, ეკითხა ქართული წიგნები; უკვირდა ისიც, მოფარებით, მალულად რად მოჰქონდა ქართული წიგნები...”(ჩხეიძე ო. 1976:64). თუმცა მალე „დედა-ენის” შემქმნელი იძულებული გახადეს, სასულიერო სემინარიიდან წამოსულიყო. ამ ფაქტმა მოწაფეები ძალიან დაანადგვლიანა. ყველაზე მეტად ვასილ ბარნოვმა განიცადა ეს ამბავი. იგი ხშირად სტუმრობდა სახლში დიდი პედაგოგს, მის ნათქვამს, ნაამობს ყურადღებით უსმენდა, „დედა ენის” მასალების გადაწერაში ეხმარებოდა, კორექტურას ასწორებდა.

სემინარიაში კვლავ ძველი გარემო დაბრუნდა. მოსწავლეებისთვის იქ დამკვიდრებული წესები რთული, აუტანელი იყო. ყველაზე მძიმე კი ის გახლდათ, რომ ყოველივე ქართულს დევნიდნენ, კრძალავდნენ. ერთ დღეს ვასილ ბარნოვს ინსპექტორმა კუვშინსკიმ აღმოუჩინა იოანე ბოლნელის „ქადაგებანი” და სახარება ჩვენს ენაზე შესრულებული. განრისხებულმა ყმაწვილის თვალწინ ბუხარში დაწვა წიგნები. ოთარ ჩხეიძემ ვასილ ბარნოვის ცხოვრების აღნიშნული ეპიზოდი გააცოცხლა და კომენტარიც დაურთო. ფრაგმენტი მხატვრული ტექსტიდან: „... და იდგა ვასო მხრებჩამოყრილი, თავჩალუნული, მის თვალწინ იფერფლებოდა საგვარეულო სახსოვარი თუ საგანძური. ათას თურქობას გამოვლილი, იფერფლებოდა მისი მიზეზითა, იფერფლებოდა თბილისში, სასულიერო სემინარიაში; თურქობა გამოატარეს წინაპრებმა, საზრდოს დაჰყრიდნენ და ის იყო საზრდო მათი, სამოსს დაჰყრიდნენ და ის იყო სამოსი მათი, მახლობელთ დაჰყრიდნენ და ის იყო სისლხორცეული მათი და აი, ჩაიწვა”(ჩხეიძე ო. 1976:72).

რომანის შემდეგ თავში „შუქი ალაზნის ველზე” ოთარ ჩხეიძე მოგვითხრობს რომანისტის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდგომ პერიოდს. ამონარიდი ნაწარმოებიდან: „გადასაწყვეტი იყო რა გზას დასდგომოდა, აღარ იცოდა, სად უფრო მეტ უნარს გამოიჩენდა, სად გაუმარჯვებოდა? ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიაში, თარგმანებში, მჭევრმეტყველებაში თუ მწერლობაში?... დრო არ იცდიდა, მიჰქროდა ეს დაუდევარი და უღმობელი”(ჩხეიძე ო. 1976:76).

ვიციტ, რომ ვასილ ბარნოვმა მწერლობა აირჩია თავის საქმედ. მისი რომანები, მოთხრობები ჩვენს ლიტერატურაში საყურადღებო თემატიკითა და მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა.

მწერალი საუბრობს ვასილ ბარნოვის მიერ საქართველოს წარსულის ღრმად, საფუძვლიან შესწავლაზე. მან არაერთი ისტორიული წყარო, ხელნაწერი დაამუშავა. იმ დროისთვის ბევრი სამაგალითო გმირი იყო მივიწყებული. ჩვენი სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის დიდი ბრძოლების გახსენება საჭირო გახლდათ მკითხველისათვის. აქ ოთარ ჩხეიძე პარალელს ავლებს ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯასთან“, რომელშიც ავტორმა ნაწარმოების მხატვრული კვანძის გახსნა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებას დააკისრა. ასევე, იგი მსჯელობს მოთხრობაზე „ხევისბერი გოჩა“. ავტორის აზრით, სრული ისტორიული სანდოობით დახატა აღნიშნულ ორ თხზულებაში ვასილ ბარნოვმა ჩვენი ქვეყნის წარსულის რამდენიმე ეპიზოდი, როგორც პროზაიკოსმა.

ოთარ ჩხეიძე ღრმად და დამაჯერებლად ხსნის ბელეტრისტის ისტორიული რომანების შინაგან არსს, მიზანდასახულობას, მათ მხატვრულ-მეცნიერულ ანალიზს გვაწვდის. იგი ამ ჟანრის მსოფლიო და ქართული ნაწარმოებების განვითარების საფეხურებს, მიღწევებს, თავისებურებებს ძალდაუტანებლად წარმოაჩენს თხრობაში და მათზე ვრცლად საუბრობს, ავლებს ლიტერატურულსა და შემოქმედებით პარალელებს. ავტორი გთავაზობს მნიშვნელოვან, ორიგინალურ დასკვნებს.

„რომანი და ისტორიაში“ მწერალი სრულყოფილად გადმოსცემს ვასილ ბარნოვის რომანებზე „მიმქრალი შარავანდედის“, „ტრფობა წამებულის“, „არმაზის მსხვერვის“ და სხვა ამ ჟანრის ტექსტების, ასევე, მისი მოთხრობებზე მუშაობის პროცესს, მათ მხატვრულ-მეცნიერულ ანალიზსაც გვაწვდის, მოჰყავს არაერთი მონაკვეთი აქედან.

ოთარ ჩხეიძე „მიმქრალი შარავანდედის“ შესახებ საუბრისას წერს: „რადგან რომანის ქარგა გურიელის ასულის ბედმა შთააგონა, დიდი ეროვნული ტკივილებიც იმას დაუკავშირა, იმის ოჯახში გადაიტანა. ლევან მეფე აღავსო ამ კურთხეული აზრებითა, ხიდი გასდო კახეთიდან გურიამდისა და ეროვნული ერთობის, ერთიანი, შეუვალი, მტკიცე, დამოუკიდებელი ხელისუფლების იმედები დასახა. ასეთადაც დახატა ლევანი თავის პატარა სამეფოში, დახატა ღირსეულად დიადი მიზნისა, მაგრამ ქართლის ცხოვრებამ სხვანაირად

დაახასიათა, უწოდა სიძვისა და მრუშების მოყვარული, ქართლის ცხოვრების ყველა ვარიანტში ეწოდა ასე...

უარყოფითი ხასიათების მხატვარი რომ ყოფილიყო, ერთ წუთსაც არ შეეყოყმანებოდა, – სიძვისა და მრუშების მოყვარული იყო, ურჩევდნენ ისტორიკოსები? – ურჩევდნენ და გაუგონებდა. მაგრამ არ უყვარდა უარყოფითი, ნაკლოვანი, არ უყვარდა, სიავე, სიბოროტე, არ უყვარდა ისეთი არაფერი, რაც დაამცირებდა ადამიანსა, ყველაფერში კეთილის საწყისს დაეძებდა, ყველგან გულისხმობდა ამადლებულსა, უნდოდა როგორმე დაეხსნა, გაემართლებინა ადამიანი...”(ჩხეიძე ო. 1976:145-146).

თხზულების კითხვისას ვიგებთ, თუ რა გაფაციცებით კითხულობდა, ამუშავებდა ბელეტრისტი „ქართლის ცხოვრებას“, მატიაწეებს, სასულიერო მწერლობას და მხოლოდ ამის შემდგომ ქმნიდა ისტორიულ რომანებს. პროზაიკოსის აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებები არის მხატვრული ისტორია საქართველოსი.

ბიოგრაფიულ რომანში ავტორი საინტერესოდ აღწერს იმ პერიოდს, როცა ვასილ ბარნოვს, რომელმაც თხზულებებში საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების არაერთი ეპიზოდი დახატა, იშვიათად უბეჭდავდნენ ნაწერებს ჟურნალ-გაზეთები. რედაქტორები, გამომცემლები ირიბად ელაპარაკებოდნენ დიდ ბელეტრისტს. საბოლოოდ ოც ტომად შეიკრა რომანისტის ნაწარმოებები, თუმცა მის სიცოცხლეში მხოლოდ ორი ტომი დაისტამბა. ოთარ ჩხეიძე შესანიშნავად ხატავს ვასილ ბარნოვის პორტრეტს და მისი ცხოვრების მძიმე ეპიზოდზე მიაჩვენებს. ამონარიდი: „ეწყო დამთავრებული მოთხრობები თუ რომანები, ეწყო დაუბეჭდავად. რაც იბეჭდებოდა, ისიც აქა-იქა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ფელეტონებადა, ზოგჯერ თვეობით გაიჭიმებოდა გაზეთებში და თავის წამკითხველმა არაფერი იცოდა ბოლოსი, ბოლოს წამკითხველმა თავისა. მკითხველის მოთმინება ვერ შესტოლებოდა ავტორის მოთმინებასა.

მოთმინება გახლდათ თუ რწმენა ძლიერი, სულერთია, გაძლება უნდოდა, უნდოდა და გაუძლო. მერე როგორ გაუძლო. მერე როგორ გაუძლო... მაინცა ჰქმნიდა, ჰქმნიდა მოთმინებითა და იმ სურვილითა, – იცოდეს ხალხმა, რანი ყოფილვართო. მაღალი სურვილი იყო, მაღალი, კარგი, დიდებული, კეთილშობილი...”(ჩხეიძე ო. 1976:321).

„რომანი და ისტორიის” საუკეთესო ნაწილია თავი „მრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ”. აქ აღწერილია უკვე ხანშიშესული

რომანისტის ცხოვრებისეული ეპიზოდები. საოცარი სიტყვებით ახასიათებს მას ოთარ ჩხეიძე. ამონარიდი კვლავ რომანიდან: „მიდიოდა ვითარცა შუქი, ვითარცა სინათლე, მიდიოდა და უნებლიედა ჩერდებოდნენ შემხვედურნი, უკან მომდევნნი ნაბიჯს შეანელებდნენ. ნაცნობნი თავს უკრავდნენ, უცნობნიც უკრავდნენ თავსა, ეთაყვანებოდნენ. ისიცა ხრიდა თავს მოხდენილად, თავმდამბლურად, ამაყად“ (ჩხეიძე ო. 1976:284). აქვე დავძენ, რომ ნაწარმოების მთელი ეს ნაწილი უდიდესი სითბოთია გაუღნითი და ბიოგრაფიული რომანის ავტორს თხრობა კვლავ გადააქვს რომანისტის ნაწარმოებებზე და მათზე საინტერესო, საყურადღებო შეფასებას გვაწვდის. ეს შეფასებაა თანამოკალმის და არა მხოლოდ ბიოგრაფიული რომანის ავტორისა. ამდენად, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ვასილ ბარნოვმა ქართულ ისტორიულ რომანს ახალი, თავისებური უღერადობა მიანიჭა. მან შექმნა საკუთარი, ახლებური სტილი. ოთარ ჩხეიძე ნაწარმოებს ასე ასრულებს: „დიდ განზრახვებს დიდი სტილიც უნდოდა, დიდ სტილს დიდი ჯაფა, თავაუღებელი შრომა უნდოდა, შრომობდა და ამიტომაც არ აღვსილა იმისი ცხოვრება სათაგადასავლო ამბებითა, უცნაური შემთხვევებითა, წარმტაცი მოულოდნელობებითა. ეს სხვა ცხოვრებაა, თავდადებული შრომის ცხოვრებაა, ცხოვრებაა ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა“ (ჩხეიძე ო. 1976:397). ამ ამონარიდიდანაც იკვეთება ერთი მხრივ, ვასილ ბარნოვის პიროვნება, ცხოვრება და მეორე მხრივ, ჩანს მწერლის საოცრად თბილი დამოკიდებულება რომანისტისადმი, ასევე, იმ ფაქტებისადმი, რომლებზეც თხრობამ მოუწია.

ზოგადად გამოვკვეთოთ ბიოგრაფიული რომანის მხატვრული მხარეც. ოთარ ჩხეიძის მწერლური ენა თავისი ბუნებით, არსით, გამოხატვის უნართა თუ შესაძლებლობებით განსხვავებულია ქართველი პროზაიკოსებისგან. მისი თხრობის სტილი, მანერა გამორჩეული ინდივიდუალობით ხასიათდება. ამას ადასტურებს ქვემოთ მოხმობილი ფრაგმენტები ლიტერატურული ტექსტიდან „რომანი და ისტორია“.

ოთარ ჩხეიძე საოცარი მწერლური ოსტატობით აღწერს ტაძრის ეზოს: „ყვავილებით მოჭედებულ სალოცავის მინდორი, ზიმზიმებს მინდორი, ნაირფერადა ზიმზიმებს, ასდის სურნელი, რაღაც უცნაური, გამჭირვალე ნისლიც ასდის, ნისლი თუ თვით სხივთა ცინცხალი, სხივების ნისლი იისფერი და შიგ ასული, მინდვრის ასული გამოხვეულა“ (ჩხეიძე ო. 1976:15). მწერალი პეიზაჟების ხატვის

ოსტატია. ამის დასტურად შემდეგ ნაწყვეტს მოვიხმობთ ბიოგრაფიული რომანიდან: „ტყისპირი ყვავილებით მოქარგულიყო. მზე დახრილიყო, მზე ლივლივებდა ველის ყვავილებში, მზე ლივლივებდა და მზის სხივები აფერადებულყო. ირხეოდა სხივები, ნანაობდა, ბიბინებდა, სიო არხევდა, სიოც აფერადებულყო ათასფერადა; ათასფერ იყო, ფერადფერ იყო, ერთფერ იყო სიოცა; სხივებიცა, მიწაცა, ყვავილთაგან იყო, ოღონდ ყვავილნი სხივებს შენივთებოდნენ, შერწყმოდნენ ნიაგსა, დედამიწა მზისთვის შეებათ, თან მიჰყვებოდნენ უდასაბამო სრბოლასა”(ჩხეიძე ო. 1976:287).

მხატვრული ხერხებისა თუ სახეების: ეპითეტების, შედარებების, მეტაფორების გამოყენების კუთხით საგულისხმოა შემდეგი ფრაგმენტი რომანიდან: „ვასოს სჯეროდა ზაქარიასი, კურდღელასიცა სჯეროდა და სემინარიაში ნაზუთხი საეკლესიო სასწაულები იბურდებოდა იმის გონებაში, იბურდებოდა, იმღვრეოდა, იწეწებოდა და უნდოდა იმ შუქად, კოდის ტაძრის შუქად აღმომხდარიყო, თავს დასდგომოდა ან თუნდაც შორს, შორს ანთებოდა ვითარცა სვეტი, სვეტიცხოველი. უნდოდა, მაგრამ არსაით იყო, არა ჩანდა შუქი, საწინააღმდეგო ფიქრ-გრძნობანი გახლართულიყო. ყლორტი წაეყარა იაკობის ნერგსა, იმის მიერ შერჩეული წიგნების მაღლი სემინარიის პროგრამებით ნაზუთხებში ჩარეულიყო და ვერ მორეოდა, ვერ დაეწმინდა, თვითვე ქარწყლდებოდა, მაგრამ იბრძოდა, წვეთ-წვეთად ბზინავდა გაშლილ-გაბნეული”(ჩხეიძე ო. 1976:87).

ოთარ ჩხეიძე რომანში ამა თუ იმ მოქმედებას, მოვლენას საოცარი ხატოვანი ქართულით აღწერს. იგი ხანშიშესული ვასილ ბარნოვის შესახებ ასე წერს: „სიბერე დასდგომოდა ჭირთ უფრო ძნელი, ხელები უცახცახებდა, მთელი სხეული უთახთახებდა, ქანაობდა კალამი, სწორედ ვეღარ გადიოდა ხაზი, ვეღარც ასოები ინაკვთებოდა ღამაზ-ღამაზადა. მერე უშნოდაც აღარ გამოდიოდა, ასოები აღარ გაირჩეოდა, ზოლებად იქცა, კლაკნილ, აცახცახებულ ზოლებადა. იმ ზოლებსაც რომ ვეღარ გაავლებდა, შვილებს უხმობდა, უკარნახებდა”(ჩხეიძე ო. 1976:235).

ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეზე დაკვირებისას ნათლად გამოვლინდა, რომ ოთარ ჩხეიძის მხატვრული ცნობიერების სფერო ფართო და მრავალმხრივია. მწერლისთვის თითოეულ სიტყვას დიდი დატვირთვა, ფუნქცია აკისრია. იგი თვითმყოფადი შემოქმედია.

დასასრულს ვიტყვით, რომ პროზაული ტექსტი „რომანი და ისტორია“ ვასილ ბარნოვის, რომანისტის, მოაზროვნის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზის ჩვენებაა. მწერალმა წარმოაჩინა კლასიკოსის ცხოვრება, ლიტერატურული მოღვაწეობა და სრულყოფილად დაგვიხატა მისი პორტრეტი, ასევე, იმუამინდელი ეპოქა.

## თავი IV

### რეზო ჭეიშვილის „რკინის სახკომი“

თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა შორის რეზო ჭეიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და თავისთავადი ხელწერის მწერალია. მან პირველი მოთხრობები 1958 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმანახში „პირველი სხივი“. შემდეგ მან დაბეჭდა მოთხრობათა კრებულები: „ბზიანეთი“, „წლევანდელი ზაფხული წყალტუბოში“, „კვამლი“. „ცისფერი მთები“, რომანები: „ჩემი მეგობარი ნოდარი“, მერე ახალი რედაქციით „ქალაქში დინოზავრები დადიან“, ასევე, „დალი“, „მუსიკა ქარში“, „რკინის სახკომი“ და სხვები.

მისი სცენარების მიხედვით შექმნილია კინოფილმები: „განთიადის წინ“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ბზიანეთი“, „გამოადეთ ფანჯრები“, „ზღვის მგელი“ და ასე შემდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, რისთვისაც მწერალს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

შემოქმედის თითოეულ ნაწარმოებში, იქნება ეს მოთხრობა, ნოველა, თუ რომანი, ნათლად შეიგრძნობა ხალასი იუმორი, სატირული ნაკადი და დიდი სევდაც. ყველაფერი ეს მწერლის შემოქმედებითი კრეაია. მისი თხზულებები ცხოვრებისეულ ფაქტებს ასახავენ.

მწერლის მოთხრობებისთვის დამახასიათებელია პერსონაჟთა ფიქრების ავტორისეული გამოსატვა, ცხადი წარმოსახვა-წარმოდგენა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი დიალოგების მეშვეობით და მოქმედებების ჩვენებისას გვიხატავს ნაწარმოების მოქმედ პირთა განცდებს, გადმოსცემს მათ ნაფიქრს მიმდინარე სიტუაციის ამა თუ იმ მომენტში. ამ ყველაფერს ის მწერლისეული მაღალი ოსტატობით აღწერს. ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი გურამ ბენაშვილი წერს: „მისი პროზის გმირები თავისი ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით ბევრად უფრო რთულნი და საინტერესონი არიან, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია... სევდიანი ღიმილით მზირალნი, ისინი მკითხველს ძალუმად აგრძნობინებენ უბრალო ადამიანის მიერ განცდილი ცხოვრების სიტკბოსა და სიმწარეს, სიხარულის წამიერებას და უსასრულოდ გაბმულ სინანულს“ (ბენაშვილი 1995:5).

შემოქმედის პროზაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ იგი თავის ნაწარმოებებში ნაკლებად მიმართავს შედარებებს, მეტაფორებს, მაგრამ როცა მათ იყენებს, იყენებს ზედმიწევნით მაღალოსტატურად. მწერლის თხზულებებში ამბის თხრობა, დიალოგები რეალისტური, ბუნებრივი, სხარტი და სადაა.

დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სერგო ორჯონიკიძეზე საუბარს მცირე ადგილი ეთმობა. ახლახანს გამოვიდა ოთხტომეული, რომლის მეოთხე ტომი ეხება XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას, სადაც ცნობილი ბოლშევიკის სახე იკვეთება 1921 წლის თებერვლის ცნობილი ამბების გადმოცემისას. კერძოდ, როცა ის ახლადჩამოყალიბებული რევკომის წევრების და ფილიპე მახარაძის შემდეგ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა. იმ პერიოდში იგი იყო რკპ(ბ) ცკ-ის კავშიურის თავმჯდომარე და უნდა შეესრულებინა რუსეთის ბელადის დირექტივა დათმობაზე წასვლის, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან კომპრომისის გამონახვის შესახებ. თავისთავად ცხადია, წიგნში ალექსანდრე დაუშვილი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში მის აქტიურ მონაწილეობაზეც წერს. მეცნიერი ამ შემთხვევაში ისტორიულ ფაქტებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაწვდის და სერგო ორჯონიკიძეზეც იმას მიაჩნებს, რაც ალბათ, დღევანდელი გადასახედით საჭიროა, აღვნიშნოს.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რამ გამოიწვია რეზო ჭეიშვილის დაინტერესება ბიოგრაფიული ჟანრის პროზით? წლების განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სერგო ორჯონიკიძე მშრომელი ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლ, დადებით პიროვნებად მიიჩნეოდა. მწერალმა კი გადაწყვიტა, რომ ის სხვა სახით წარმოედგინა, ეჩვენებინა მისი რეალური სახე. მას სურდა, შეცვლილიყო შეხედულება ცნობილი რევოლუციონერის შესახებ და ამ მიზნით დაიწერა ბიოგრაფიული რომანიც.

„რკინის სახკომი“ 1992 წელს დაისტამბა და როგორც ავტორი მიუთითებს: „ეს წიგნი დაწერილია სერგო ორჯონიკიძის უკუღმართსა და ტრაგიკულ ცხოვრებაზე“ (ჭეიშვილი 1992:2). მან ამ თხზულებით შექმნა ხსენებული პიროვნების რევოლუციური საქმიანობის ლიტერატურულ-ისტორიული ქრონიკა.

სერგო ორჯონიკიძე თავდაპირველად იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შემდეგ თავად გახდა. იგი გახლდათ 1905-1907 წლებში რევოლუციის აქტიური



მონაწილე. მალე ის დააპატიმრეს პროკლამაციების გაგრძელების და იარაღის ტარებისათვის, თუმცა როგორც არასრულწლოვანი, გაათავისუფლეს და ემიგრაციაში წავიდა გერმანიაში, სადაც ბოლშევიკ ემიგრანტებს დაუკავშირდა. მერე ხან ბაქოში იმყოფებოდა, ხანაც ირანში. აქ ჩამოსული რამდენჯერმე კვლავ დაატუსაღეს, გადაასახლეს კიდევ. მოგვიანებით მან დიდ დაწინაურებას მიაღწია რუსეთში. იგი იყო უკრაინის დროებითი საგანგებო კომისარი და სასურსათო საქმეთა კომისარიატის სრულუფლებიანი რევიზორი სამხრეთ რუსეთში, წითელი არმიის ხელმძღვანელი, ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე. ამასთანავე, მისი თაოსნობით აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში საბჭოთა მმართველობა გამოცხადდა.

როგორც ითქვა, საქართველოში საბჭოთა მმართველობის დროს, დაიწერა არაერთი წიგნი სერგო ორჯონიკიძეზე, სადაც მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მრწამსი, მიზანსწრაფვა სხვაგვარად იყო შეფასებული და გააზრებული, განსხვავებით, შემდეგდროინდელი სხვა ნაშრომებისაგან. გარკვეული დროის განმავლობაში მას სახელოვან, სახელმწიფოს გამოჩენილ ადამიანს, ხალხთა მომავალი ბედნიერებისათვის მებრძოლთა რაზმის ერთ-ერთ ყველაზე ღვაწლმოსილ წევრს უწოდებდნენ. თუმცა მოგვიანებით, ნათელი მოეფინა ყველა მის ქმედებას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. ჩვენ ვერ ამოვშლით ვერც „რკინის სახკომის“ ცხოვრებას და ვერც მისი მოღვაწეობის მძიმე კვალს ჩვენი უახლესი ისტორიიდან. ეს რეალობაა.

ახლა თანმიმდევრულად მივყვეთ და განვიხილოთ რამდენიმე საგულისხმო, ჩვენთვის მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წიგნი თუ წერილი დაწერილი სერგო ორჯონიკიძეზე. საინტერესოა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის შეფასება მასზე: მისი სიცოცხლის პერიოდში და შემდგომ.

ამჯერად მხედველობაში მაქვს მცირე ფორმის ბიოგრაფიული ნარკვევი: „საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე“ რომელიც სერგო ორჯონიკიძის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა. შემდგენლები გახლავთ ლ. ზამბახიძე და მ. კუპრაძე, ხოლო რედაქტორი – ს. ჩხარტიშვილი. ბროშურა 1956 წლით თარიღდება. აქ მოკლეაა საუბარი „პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებლის“ მოღვაწეობის შესახებ დაბადებიდან გარდაცვალებამდე: წითელარმიელის აქტიური მონაწილეობა მოსწავლეების სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში, კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და

გლქთა რევოლუციურ ბრძოლებში ჩართვა; მისი, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის ჩამოყალიბების პროცესი, ციხეში რამდენჯერმე დატუსაღება, პოლიტიკური მიზნებით გამგზავრება გერმანიასა და ბაქოში, ირანში, საქმიანობა რუსეთში. მონაწილეობა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ახაგაზრდა კონტრრევოლუციური ძალების განადგურებაში, მისი ორგანიზებით ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და სხვა. ნარკვევში საუბარია ორჯონიკიძის „დამსახურებებზე“, მის პიროვნებაზე ზოგადად. ბროშურაში მისი სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნაზე მსჯელობისას საზგასმით აღნიშნულია, რომ „რკინის კაცის“ დაწინაურება ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში განპირობებული იყო წითელი არმიელის ხელმძღვანელის, ორგანიზატორის, მებრძოლი ბუნების ნიჭის წყალობით. წიგნის დასასრულს საგულისხმო დასკვნას ვკითხულობთ, საიდანაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სრულიად ყაღბად, მცდარადაა შეფასებული რევოლუციონერის ცხოვრება, „დამსახურება“ ერის წინაშე: „მთელი თავისი სიცოცხლე სერგო ორჯონიკიძემ მთლიანად შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კაცობრიობის განვითარების საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ყველა მშრომელისათვის მახლობელი და ძვირფასია მისი სახელი, განუყოფლადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სახელოვან განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, მისი სახელი შევიდა სოციალიზმის ისტორიაში პროლეტარული რევოლუციონერების ყველაზე გამირულ სახელებთან ერთად. მისი სახელი საუკუნოდ იცოცხლებს“ (ზამბახიძე 1956:15).

1956 წელს გამოიცა ს. ჩხარტიშვილის წიგნი „გრიგოლ(სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე“. ნაშრომი ბიოგრაფიული ნარკვევის სტილითაა დაწერილი. ის სამ ვრცელ თავს აერთიანებს და მოგვითხრობს ბოლშევიკის პოლიტიკურ მოღვაწეობას, ღვაწლს, რაც მას მიუძღვის „მშრომელთა განთავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში“ (ჩხარტიშვილი 1956:5). წიგნში თანმიმდევრულადაა საუბარი სერგო ორჯონიკიძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მუშაობის პერიოდზე სხვადასხვა მოწინავე თანამდებობაზე: თუ როდის, როგორ დაიწყო და რა მასშტაბები მოიცვა საბოლოოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჩხარტიშვილი არაერთ საქებას სიტყვას უძღვნის დიდ ბოლშევიკ ქართველს და ყოველ მის გადადგმულ ნაბიჯს, მხარს უჭერს და ამართლებს მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამას მოწმობს

თუნდაც შემდეგი ამონარიდი: „სერგოს სახელს სათუთად ინახავენ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან, რომ სერგომ მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მთლიანად და სავსებით მოახმარა მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს... სერგოს სახელი სამუდამოდ უკვდავყოფილია იმით, რომ იგი განუყოფლადაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ხანგრძლივ პერიოდთან, ჩვენი გადამწყვეტი გამარჯვების ისტორიასთან“ (ჩხარტიშვილი 1956: 93-94).

ვფიქრობ, აქ ვრცელი კომენტარი აღარაა საჭირო, მიუთითებ მხოლოდ, რომ წიგნის ავტორის, ს. ჩხარტიშვილის მოსაზრებები სერგო ორჯონიკიძეზე არაფრით განსხვავდება XX საუკუნის მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული მცდარი შეხედულებებისაგან, რაც ბოლშევიკ ქართველზე არსებობდა. მას იზიარებდა და ამგვარადაც აფასებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

1964 წელს ვ. კირილოვისა და ა. სვერდლოვის ავტორობით გამოიცა სქელტანიანი წიგნი „სერგო ორჯონიკიძე(სერგო)“, რომელიც 16 თავს მოიცავს. ის ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტია. ნაშრომი თემატიკითა თუ შეფასებებით ბოლშევიკის ცხოვრებასთან დაკავშირებით არაფრით განსხვავდება მის წინამორბედთაგან. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი დიდი რევოლუციონერის მოღვაწეობა დაბადებიდან: 1886 წლიდან გარდაცვალებამდე – 1937 წლის ჩათვლით. ნაშრომში დაწვრილებითაა გადმოცემული ყველა ის ფაქტი თუ ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენა, რაც უკავშირდება ბოლშევიკურ პარტიას, ამასთანავე, საუბარია გაფიცვებზე, მიტინგებზე, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ამბოხებებზე ამიერკავკასიაში. ავტორები აღნიშნულ მოვლენებს მრავალი დოკუმენტის, წერილის, დეპეშის მეშვეობით აღადგენენ. ისინი სრულყოფილად აღწერენ ჯერ მოსამზადებელ პერიოდს, შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში „რკინის კომისრის“ თაოსნობით. ამონარიდი: „ხელმძღვანელობდა რა რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, სერგო ორჯონიკიძემ მთავარი ყურადღება მიაქცია საქართველოს ბოლშევიკებისათვის დახმარების გაწევას, რომლებიც მეთაურობდნენ ქართველ მუშებსა და გლეხებს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიქმნა ბევრი უპარტიო ორგანიზაცია

„რევოლუციური კომიტეტების“ სახელწოდებით, რომლებშიც მოწინავე გლეხები შედიოდნენ“(კირილოვი, სვერდლოვი 1964:178-179).

ფაქტია, რომ როგორც ჩვენ მიერ განხილულ წიგნში, ასევე, სხვა მრავალ ნაშრომში დადებითადაა შეფასებული სერგო ორჯონიკიძის ის ქმედებანი, რაც მან საქართველოს გასაბჭოებისათვის განახორციელა. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ვ. კირილოვისა და ა. სვერდლოვის შემდეგი წარდგინება: „1921 წლის 19 მაისს სრულიად რუსეთის ცაკმა გ.კ. ორჯონიკიძე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში მამაცობისა და გამირობისათვის დააჯილდოვა უმაღლესი საბრძოლო ჯილდოთი – წითელი დროშის საბრძოლო ორდენით“(კირილოვი... 1964:146). ამასთანავე, იგი დაინიშნა რსფსრ მთავრობის წარმომადგენლად თბილისში და კვლავ დარჩა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელად ამიერკავკასიაში. ეს რეალობაა, ასე დააფასეს „რკინის კომისარი“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გაწეული დიდი მუშაობისა და „ბრძოლისათვის“.

„სერგო ორჯონიკიძე რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი (ორი დიდი თარიღის წინ)“ გახლავთ აკაკი ირემიძის კრიტიკული წერილი, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ 1966 წლის მეათე და მეთერთმეტე ნომერში დაიბეჭდა. სტატიაში გადმოცემულია სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარება. ავტორი ზედმიწევნით დეტალურად აღწერს ყველა იმ ფაქტსა თუ საკითხს, რაც აღნიშნულ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება. ამასთანავე, ვეცნობით სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ მუშათა და გლეხთა აჯანყებებს ამიერკავკასიაში, რასაც ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა.

აკაკი ირემიძე ცალსახად აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას მთავრობას და „რკინის კომისრის“ მეთაურობით სახალხო გამოსვლების მოწყობას მენშევიკური ხელისუფლების მისამართით სავსებით სამართლიანად მიიჩნევს. საინტერესოა 1921 წლის თებერვლის ამბების მისეული შეფასება-გააზრება. ამონარიდი: „საქართველოს ასე სწრაფად და მინიმალური მსხვერპლით განთავისუფლებაში დიდი როლი შეასრულა კავკასიის ბიუროსა და პირადად სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ქართველი კომუნისტების მიერ კარგად მომზადებულმა და განხორციელებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ... ჩვენი პარტია, რომელიც ახლა წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, კავკასიის მრავალფეროვანი ხალხები, დიდად აფასებენ სერგო ორჯონიკიძეს, როგორც კავკასიის ბიუროს

ხელმძღვანელის ბრძოლას კავკასიაში მშვიდობის, ძმობისა და სოციალიზმის დამკვიდრებაში“ (ირემაძე 1966:158). სტატიის თუნდაც ამ მონაკვეთიდანაც თვალნათლივ იკვეთება აკაკი ირემაძის არასწორი დამოკიდებულება, შეხედულება მთავარი კომისრის ჩადენილ სასტიკ ქმედებებზე, რაც მისი უშუალო ორგანიზებით განხორციელდა 1921 წელს საქართველოში და რასაც მოჰყვა დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილის სტატია „ჩვენი სერგო“ 1986 წელს დაისტამბა ჟურნალ „დროშის“ მეათე ნომერში „რკინის კომისრის“ დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით. საქართველო ამ პერიოდში კვლავ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომ გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ ამ მოვლენას პრესის ფურცლებზე მრავალი ადამიანი გამოეხმაურა, დაიბეჭდა სხვადასხვა წერილი. მათი ძირითადი პათოსი და თემა კვლავ უცვლელია: როგორც ადრე, ახლაც ხოტბას, ქება-დიდებას ასხამენ სერგო ორჯონიკიძეს. ამას ადასტურებს ზემოაღნიშნული სტატიაც. ავტორი სამ გვერდზე ატევენ ორჯონიკიძის რევოლუციური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდის გადმოცემას, უწონებს არაერთ პოლიტიკურ ნაბიჯს და დასასრულს შემდეგს აღნიშნავს: „სერგო ორჯონიკიძე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენს პარტიაში და საბჭოთა მშრომელებში. მედგარი ბოლშევიკის სახელი მისსავე სიცოცხლეში მიეკუთვნა ასობით ფაბრიკა-ქარხანას და დაწესებულებას, მრავალი ქალაქის ქუჩას, მოედანსა და პროსპექტს, გემსა და მწვერვალს. ორჯონიკიძის სახელი ერთნაირად ძვირფასია საბჭოეთის ქვეყნის ყველა ხალხისათვის“ (ჩინჩილაკაშვილი 1986:3).

ამგვარად, მეოცე საუკუნეში არაერთი ათეული წლის განმავლობაში სხვაგვარად იყო წარმოჩენილი „რკინის სახკომის“ ცხოვრებისეული ეპიზოდები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები. თუმცა, დაახლოებით უკანასკნელი ოცი წელია, უკვე რეალურად შეფასდა რევოლუციონერის „ღვაწლიცა“ და „დამსახურებაც“ ქართველი ერის წინაშე. მეცნიერები სულ სხვა კონტექსტში განიხილავენ ბოლშევიკის როლს და მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულიდან, კონკრეტულად კი, 90-იანი წლებიდან დაიწყო „დიდი რევოლუციონერის“ ბიოგრაფიის რეალურად ასახვა, გაანალიზება მის მიერ გადადგმული არაერთი საყოველთაოდ ცნობილი ნაბიჯისა. მათ შორის ერთ-ერთია ისტორიკოს გურამ ყორანაშვილის წიგნი: „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“. იგი საინტერესოდ, ამომწურავად

მსჯელობს ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის მკვლევლობაზე და იქვე დამაჯერებელ, ანგარიშგასაწევ არგუმენტებსაც იშველიებს აღნიშნულ მოვლენაზე. ავტორმა უხვად გამოიყენა მრავალი ნარკვევი, ნაშრომი, წერილი, სხვადასხვა დოკუმენტური წყარო და მათი გადმოცემის წყალობით მკითხველი მისი დასკვნების სისწორეში რწმუნდება.

გურამ ყორანაშვილი საყურადღებო აზრს გამოთქვამს ილია ჭავჭავაძის მკვლევლებაზე, ე.წ. „იმერელ ბიჭზე“. მისი მოსაზრებით, სწორედ ის იყო სერგო ორჯონიკიძე. როგორც მეცნიერი მიუთითებს, ამ აზრს თანამედროვეთაგან იზიარებენ; ამასვე წერდნენ: ვახტანგ გურგენიძე, ალექსანდრე სიგუა, გურამ შარაძე და გიორგი ბეზირგანი.

წიგნში „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“ ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს „რკინის კომისრის“ პიროვნებაზე, მის მზაკვრულ ბუნებაზე. ის ჩვენთვის კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტსაც იხსენებს და საინტერესო შეფასებასას გვთავაზობს: „როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული ვაჟა-ფშაველას უფროს ვაჟს, ლევანს დახვრეტას უპირებდნენ, სერგო ორჯონიკიძესთან (იმხანად ბოლშევიკ-კომუნისტური ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი გახლდათ ამიერკავკასიაში) ქართველი საზოგადოებრიობის დელეგაცია მისულა თხოვნით და განუცხადებია: „ნუ დახვრეტ ვაჟა-ფშაველას შვილიაო“. „ტრიუმფატორს“ ამაზე უპასუხია: „შვილი კი არა, თვითონ ვაჟა-ფშაველაც რომ იყოს, იმასაც დაეხვრეტავდიო“. ხომ უადრესად შემადრწუნებელი, შემზარავი ფაქტია: ილიას ერთ-ერთი მკვლელი აცხადებდა, რომ მეორე დიდ ქართველს, ვაჟა-ფშაველასაც დახვრეტდა. ცხადია, ილია და ვაჟა-ფშაველა წარმოშობით სულ სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მთავარი ხომ იყო მათი ერთნაირი სულისკვეთება-მამულიშვილობა და აქედან გამომდინარე, მოვალეობა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა. მაგრამ უბადრუკ სერგო ორჯონიკიძისა და „ძმათა მისთათვის“ მსგავსი მცნებები გაუგებარი დარჩა“(ყორანაშვილი 2003:196).

გურამ ყორანაშვილის შეხედულებას „რკინის კომისარზე“ წიგნში მრავალ ადგილას ვეცნობით. მოვიხმობ მონაკვეთს, სადაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით იკვეთება ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკისადმი: „აი, ასეთი სულიერი წყობისა იყო „რკინის სახკომი“ სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც სტალინთან, ფილიპე მახარაძესთან და სხვებთან ერთად უსაზიზღრესი როლი ითამაშა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. თუ ამას

მაშინ ბევრი ვერ ხედავდა და სათანადოდ ვერ აფასებდა, დროის ისტორიული გადასახედიდან, მსგავს პიროვნებათა „ისტორიული შემონაქმედის“ დიდი კრახის უამს, ახლა ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში იმათთვის, რომელთაც თვალები აქვთ და ყურები, რომ დაინახონ, ხოლო – ენა სინამდვილის გასაცხადებლად“(ყორანაშვილი 2003:200).

მუხრან მაჭავარიანს ერთ-ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც 1995 წელს გამოცემულ ლირიკული ნაწარმოებების კრებულში აქვს შეტანილი, ცხადია, უარყოფით კონტექსტში ჰყავს წარმოჩენილი სერგო ორჯონიკიძის სახე:

მართლმსაჯულების კარს ამაოდ ვებლაუჭებით!-

საქმე იმგვარად დაგვიყენა რადგან სერგომა,-

მკრთალი ნათელი საქართველოს შენარჩუნების,-

მიწის

გვეთვლების

სხვისას

ხელყოფად!

ყოფა გვიტირეს,-

ერთი სიტყვით,-

ქართველთ

ჯერ კობამ!-

მერე სერგომა!“...(მაჭავარიანი 1995:213).

ნოდარ გრიგალაშვილი წიგნში „თანმდევნი სული“ (მეორე ტომი, 2011 წ.) საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემკვეთებზე, შემსრულებლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ის ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოს გურამ ყორანაშვილისგან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს. ის სერგო ორჯონიკიძეს ამ საქმეში ბრალს არ სდებს, მიაჩნია, რომ მას არავითარი კავშირი ჰქონდა ზემოხსენებულ საკითხთან. ამონარიდი: „მთავარი ორგანიზატორი ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა, ცხადია, ბოლშევიკების მთავარი კომიტეტი გახლდათ. ეს არის ფაქტი. 1907 წლის მაისის შემდგომ ცენტრთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია ყოველი თვითმოქმედება. თუ ადრე ძარცვა ბანკებისა თუ სხვა დაწესებულებათა იყო სასახელო საქმე, ახლა იგივე ქმედება ისჯება პარტიული სასჯელით, – მინიმუმ პარტიიდან გარიცხვით და მაქსიმუმ სიკვდილით... პარტიული ტერორისტი შეუთანხმებლად მოქმედებისათვის თავად ისჯება სიკვდილით. ამ ვითარებაში ილიას მკვლელთა

სითამამე განპირობებულია იმით, რომ მათ დავალება პარტიის მთავარი კომიტეტიდან ჰქონდათ“(გრიგალაშვილი 2011:524;527). თავისი აზრის გასამყარებლად მეცნიერი 1907 წლის 13 ივნისს ერევნის მოედანზე მომხდარ მარცვას იხსენებს, როცა სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით კამომ და მისმა ბანდამ ხელყუმბართი ამოხოცეს მცველები და გაიტაცეს ხაზინის ფული 250 000 მანეთი. ამ ფაქტთან დაკავშირებით აურზაური ატყდა და იქვე, ნოდარ გრიგალაშვილი დასძენს, რომ იმ პერიოდში სწორედ იოსებ ჯუღაშვილი გახლდათ ბოლშევიკური ორგანიზაციის ლიდერი, „ერთი სიტყვით, იმ დროს სტალინი იყო ის ფიგურა, რომლის დავალებით ან რომელთან შეთანხმებით ხდება ყველა პარტიული ტერაქტი ან ექსპროპრიაცია და მაინც ვიღაც ფიქრობს, რატომ გაწირავდა ის კაცი ილიას, რომლის პირველი ლექსები სწორედ ილიამ დასტამბა „ივერიის“ ფურცლებზე? არა, თუ დასჭირდებოდა, ილიას რატომ ვერ გაწირავდა? ცალკეულ მკვლევეართა აზრი შესახებ იმისა, რომ სტალინი ილიას მკვლელობის დროს ბაქოში იყო, არაფერს ნიშნავს. გადაწყვეტლების მიღება იქაც შეიძლებოდა. ჩვენ არანაირი ინტერესი არ გვაქვს სტალინის დადანიშნულებისა ილიას მკვლელობაში, მაგრამ ფაქტია ის, რომ პარტიული მკვლელობა მთავარი კომიტეტის ორგანიზებით ხდებოდა, განსხვავებით V ყრილობის შემდეგ. ამ მთავარ კომიტეტს კი ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა“(გრიგალაშვილი 2011:538-539).

რაც შეეხება კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის უშუალო შემსრულებლებს, ამასთან დაკავშირებითაც გამოთქვამს ნოდარ გრიგალაშვილი თავის მოსაზრებას. მისი აზრით, „ერთი იმერელი“ იყო ილიკო იმერლიშვილი, მაშინ დუშეთის მაზრის ერთ-ერთი შეიარაღებული ბანდის ყველაზე სასტიკი მეთაური, ბოლშევიკი, რომელმაც ფშავლიშვილთან და ფეიქრიშვილთან ერთად გამოასალმა ქართველი მწერალი სიცოცხლეს. ამონარიდი: „ფაქტი ერთია, არ არსებობს არგუმენტი, რის გამოც ეჭვი უნდა შევიტანოთ ბოლშევიკთა იდეოლოგიის რაედენ კალაძის მიერ საბჭოთა დროში გამოქვეყნებულ სიტყვებში, ილია „ტყის ძმების“ მეთაურს მოაკვლევინესო. იმ დროს „ტყის ძმების“ ბოლშევიკი მეთაური დუშეთის მაზრაში მხოლოდ ილიკო იმერლიშვილი იყო“(გრიგალაშვილი 2011:542). ასეთია ნოდარ გრიგალაშვილის მოსაზრება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვინაობაზე.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული სხვადასხვა წიგნიდან თუ კრიტიკული წერილიდან ცხადი ხდება, რომ არაერთი ავტორის მიერ გამოთქმული



მოსაზრებანი სერგო ორჯონიკიძის პიროვნებასა თუ მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მრავალფეროვანია.

რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიულ რომანში „რკინის სახკომი“ ყოველგვარი შელამაზების, მხატვრული გამონაგონის, ზედმეტი ფანტაზიის გარეშე დეტალურადაა მხატვრულად დახატული სერგო ორჯონიკიძის პოლიტიკური მოღვაწეობა – დასაწყისი და დასასრული: მონაწილეობის მიღება ნებისმიერი ისტორიული მოვლენის გადაწყვეტაში. აქვე ყურადღება გამახვილებულია რუსეთის დამპყრობლურ, მზაკვრულ გეგმებზე. მკითხველისათვის ამ რომანით გასაგები ხდება საბჭოთა იმპერიის პოლიტიკა.

ივანე ამირხანაშვილის შეფასებით: „რკინის სახკომი“ მწერლის „უცნაურ“ ნაწარმოებთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ იმით, რომ უზარმაზარი ისტორიულ-ინფორმაციული მასალა გატარებულია მხატვრულ ქურაში და სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებაზე შექმნილია ბიოგრაფიული რომანი, რომელიც საინტერესოდ იკითხება, რაც ალბათ, იმის დამსახურებაცაა, რომ აქ გამოვლენილია მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მძაფრი, ზოგჯერ კი შებურული, რაღაცნაირად გაუგებარი ირონია”(ამირხანაშვილი 2003:98).

ლიტერატორი ვაჟა მიქელაძე კრიტიკულ წერილში „რკინის სახკომზე“ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ: „წიგნი ცნობილ დოკუმენტებთან ერთად ეყრდნობა შედარებით უცნობ მასალებსაც – დოკუმენტურ ჩანაწერებსა და ზეპირ გადმოცემებს, რათა მახვილი და ირონიული მზერით თვალსაჩინოდ გაშიშვლდეს არამარტო კერძო პიროვნების ზნეობრივი გადაგვარება, არამედ ამ ეპოქის, იდეოლოგიის ის ნამდვილი სახე, რაც ასეთმა ადამიანებმა შექმნეს და თვითონვე მის ტყვეობაში მოექცნენ”(მიქელაძე 1992:16).

ჩვენი მხრივ აღვნიშნავდით, რომანში „რკინის სახკომი“ დაწვრილებითაა მოთხრობილი ორჯონიკიძის რევოლუციონერად ჩამოყალიბების პროცესი. ნაწარმოების მიხედვით, იგი პარტიის წევრი 1903 წელს გახდა, 17 წლის ასაკში. ის ამ პერიოდისთვის უკვე თბილისში იყო და საფერშლო სასწავლებლიდან აღევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძის და ახალგაზრდა ნოე უორდანიას შორის შემდგარ კამათს მარქსიზმზე, პოლიტეკონომიაზე... მალევე შეეკედლა რუს და ქართველ მარქსისტებს, ამასთანავე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიც გახდა, დაიწყო პროკლამაციების გავრცელება. მან 1906 წელს გაიცნო სტალინი. ამ უკანასკნელს იგი მოსწონებია

და რჩევა-დარიგება მიუცია: ჯერ იკითხე, სწავლა-განათლებას მიეძღვე. განსაკუთრებით კარგად შეისწავლე მარქსიზმი, მისი საფუძვლები, თან წიგნების სიაც მიუცია.

სერგო ორჯონიკიძე უკვე 34 წლის ასაკში კავკასიის მთელ სამხედრო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა. რეზო ჭეიშვილი დაწერს: „სერგოს მეტად უფერული, ინტერნაციონალურ-კავკასიური სახელი სერგო შერჩა ბოლომდე და ამასვე დასჯერდა, გვარისთვის ხელი არ უხლია. რკინის სასკომს ბევრს ეძახდნენ, მათ შორის – ეჟოვს. სერგო ამ წოდებით არცაა ცნობილი, მაგრამ, რადგან მაშინ ყველა სასკომი, თუ კი იგი მავნებელი არ აღმოჩნდებოდა, რკინისა იყო რკინისვედ დავტოვებ – „რკინის სასკომი“ (ჭეიშვილი 1992:234).

მწერალი რომანში იმოწმებს ერთ-ერთ დოკუმენტურ წყაროს, რომელიც შედგენილია მოსკოვის მაშინდელი პოლიტიკური ლიდერების მიერ. მოვიტან ამონარიდს: „ის საკითხები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიას შეეხება, შეუძლია გადაწყვიტოს ვიწრო კოლეგიამ სერგოს დაუსწრებლად. ყველა ის საკითხი კი, რომელიც ამიერკავკასიას შეეხება (საქართველო ჯერ დაპყრობილი არ არის) მხოლოდ მისი თანდასწრებით უნდა გადაწყდეს“ (ჭეიშვილი 1992:10). ვფიქრობ, თუნდაც მხოლოდ ამ სიტყვებიდან უკვე ცხადი ხდება რამხელა უფლებამოსილება აქვს ორჯონიკიძეს თანაპარტილეთა მხრიდან. ამ ბრძანების ავტორებს კარგად მოეხსენებოდათ პარტიის მზაკვრული გეგმები და მიზნები, რა თქმა უნდა, მათი მეშვეობით და მოწადინებით უკვე შემდგომში განხორციელებული.

იმ პერიოდის ერთ-ერთი რთული საკითხია საქართველოს დამოუკიდებლობა. იყო სხვადასხვა მოსაზრება. რომანის ავტორი დაწერს: „ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს და შინაგანი ყოყმანის შემდეგ გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის სეიმმა დაასრულა არსებობა. საქართველოს ისტორიაში ჩამოღვა სახელმწიფოებრივი მმართველობის აღდგენის ახალი, ხანმოკლე ერა“ (ჭეიშვილი 1992:91) და თანმიმდევრულად მოგვითხრობს იმ ამბებს, რაც მოჰყვა აღნიშნულ მოვლენას. ამ ფაქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ბოლშევიკებში: დაიწყეს გაფიცვები, აჯანყებები, ეთნოკრიზისების ორგანიზება. ნოე ჟორდანიას და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ, დაპირისპირებოდნენ მათ. თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობას დიდხანს არ უხეიმიდა.

ბიოგრაფიულ რომანში ვრცლადაა გადმოცემული, თუ როგორ მონღოლებით გეგმავდა და შემდეგ განახორციელა საბჭოთა რუსეთმა კავკასიის ქვეყნების დამორჩილება, თავისი მმართველობის დამყარება. მწერალი ყველა იმ პოლიტიკური ლიდერის სახეს ხატავს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში.

წითელარმიელებთან ბრძოლაში 1921 წლის თებერვალში საქართველოს ჯარი დამარცხდა. როგორც რეზო ჭეიშვილი წერს, 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში გააგზავნა „სამახარებლო, დღეისათვის ისტორიული დოკუმენტი: „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ (ჭეიშვილი 1992:133). საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის დაზუსტება. რუსუდან ნიშნიანიძის წიგნში „საქართველო სამანს აქეთ... და სამანს იქით“... (ტომი I, 2005) ერთ-ერთ თავში: „პოლიტიკური კალენდარი“ გამოქვეყნებულია დეპეშის ორიგინალი, რამაც ცხადყო, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაგზავნის ადგილი ნაცვალად მოსკოვისა, არის ბაქო. მრავალი წლის განმავლობაში ისტორიულ წიგნებში არასწორად იყო მითითებული ხსენებული ფაქტი. ასევე, რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიულ რომანშიც. როგორც უკვე ითქვა, პირველად ამ ისტორიულ სიმართლეს რუსუდან ნიშნიანიძის წიგნში ვეცნობით.

მხატვრულ ნაწარმოებში დეტალურად და ტკივილითაა აღწერილი საქართველის გასაბჭოების პერიოდი. ამონარიდი: „საოცრად წყნარი და მზიანი მარტი იდგა იმ წელს. თოლიების გუნდებით დათეთრწინწკლებული ზღვა ცისფრად ლივლივებდა. იტალიის მტრედისფერი გემები „ვესტა“ და „მარია“ ირწეოდნენ. მზის ამოსვლისას საქართველოსგან ცხვირებშემობრუნებულები გაცურდნენ გასრიალებულ წყალზე. თავგზააბნეული ქართველები იდგნენ გემბანზე გაცრიატებულ გათენებაში, უკანასკნელად ხედავდნენ საქართველოს მთებს და საქართველოს ისტორიას. ერთი მორიგი ტრაგიკული ისტორიის ფურცელიც იხურებოდა“ (ჭეიშვილი 1992:130). ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

როგორც ვთქვით, ბიოგრაფიულ რომანში არაფერია გამოტოვებული, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა აღწერილი ბოლშევიკის ცხოვრების პერიპეტეები. 1926 წელს სერგო ორჯონიკიძე ჩრდილო-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნეს. იგი როსტოვში გაემგზავრა, მალევე იქ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური საკონტროლო კომისიის

კომისრობა ჩააბარეს. ფრაგმენტი რომანიდან: „ასე ამრიგად, დატოვა სერგომ ამიერკავკასია, საქართველო, სადაც ამდენი უსიამოვნება შეხვდა; ბოლშევიკური პარტიის ყველა ბელადის შეწუხება, ხელდახელ ჩხუბი, ტყვიის ენით ლაპარაკი დაჭირდა... წავიდა და დატოვა თვალდახელშეუა შემოდნობილი საუკეთესო წლები, მომჩივანი თანამდებობის პირები და უკმაყოფილო ხალხი”(ჭეიშვილი 1992:191).

ვიდრე რომანის „რკინის სასკომი” სხვა პერსონაჟებზე საუბარს დავიწყებთ, საჭიროდ ვთვლით. ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში ბიოგრაფოსი თავისი ბიოგრაფიული რომანის მთავარ პერსონაჟად ირჩევს ისეთ პიროვნებას, რომლის მოღვაწეობის მიმართაც აქვს რაიმე დადებითი დამოკიდებულება და სურს, წარმოაჩინოს მისი ცხოვრების გზა წიგნის საშუალებით ფართო აუდიტორიის, მკითხველი საზოგადოების წინაშე. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა რეზო ჭეიშვილის პოზიცია ცნობილი რევოლუციონერის, ქართველი ბოლშევიკის შესახებ. მოვიხმობ ამონარიდებს ნაწარმოებიდან, რათა ამ საკითხზე სწორედ მწერალის მიმართება გამოვლინდეს სერგო ორჯონიკიძეზე. ფრაგმენტი რომანიდან: „ღორეშაში დაბადებულმა, ნახევრად უპატრონოდ გაზრდილმა ყმაწვილმა ბევრი ატენა გზაზე და უგზოზე თავისი სიცოცხლის ცხენი... იზრდებოდა ლაღად, უმეტვალყურედ, უყვარდა ნადირობა, ჯირითი...

ჭენებით შემოაკვდა ნათესავის ჭაკი და არ დამალა. მე მოგკალიო განაცხადა. მართალია, სოფელში მოკვლა ცხენისა, რა ვითარებაში არ უნდა შემოგეხარჯოს, იგი არ დაიმალება, მაგრამ დანაშაულის აღიარება, მართლის თქმა ღირსებაა და ასე სიმართლით იარა მთელი ცხოვრებაც ვერ ვიტყვით”(ჭეიშვილი 1992:6). სხვაგან წერს: „სერგოს, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა რომ ჩაიბარა, 34 წელი არ ჰქონდა გასრულებული. 34 წელი ღორეშელი ბიჭი მეფისნაცვლის ადგილში იყო უკვე ჩამდგარი. რამდენიმე ხნის შემდეგ, დღევანდელი გაგებით, ზრდასრულმა სერგომ სხვისი კარნახ-მითითებითა და საკუთარი ინიციატივითაც საგამგებლო სამფლობელოების საზღვრების გადანაწილება დაიწყო, სადაო, სისხლისმღვრელი სამანები დატოვა სანამ ორმოცისა გახდებოდა. 50 წლისამ კი გაასრულა სიცოცხლე. დაღლილს, გატეხილს, დაავადებულს დასასრულის წინ ბევრ რამეზე შეეცვლებოდა აზრი და შეხედულება...

თანამემამულეებთან არ სწყალობდა ბედი, თორემ დიდად აფასებდნენ კომუნისტები, გამოჩენილი პარტიული და საზოგადო მოღვაწენი”(ჭეიშვილი 1992,33-34).

რეზო ჭეიშვილმა ბიოგრაფიული რომანზე მუშაობისას მოიძია არა მხოლოდ საარქივო მასალა სხვადასხვა არქივსა თუ ბიბლიოთეკაში დაცული, არამედ იგი სოფელ ღორეშაში სერგო ორჯონიკიძის ახლობლებსაც შეხვდა. ავტორმა მათგანაც მოისმინა მოგონებები ქართველ ბოლშევიკზე და ერთ-ერთ ხანშიშესულ ნათესავთან, მიხაკოსთან საუბარი დიალოგის ფორმით ჩაურთო თხზულებაში. მწერალს სურდა, რომ „რკინის სახკომში” მხოლოდ დოკუმენტური მასალა არ მოეწოდებინა, რადგან ესაა მხატვრული ნაწარმოები და დიალოგიც ამიტომ შემოგვთვაზა.

მიხაკო იხსენებს რევოლუციონერთან შეხვედრის დღეს თბილისში, როდესაც ის სამსახურის სათხოვნელად მივიდა სერგოს ბიძაშვილითან, გიორგი აბესალომიჩთან ერთად. ამონარიდი: „ხაკის ბლუზა ეცვა სამხედრო, იდაყვებში გადახევამდე გადაცვეთილი, რაა ესო, აბესალომიჩმა უთხრა, რა გაცვიაო. სხვა აქ ვერაფერი დაინახეო, რას მომჩერებხარ ამ ბლუზაზე, რაში გაინტერესებს, ამას აქცევთ თქვენ კიდე ყურადღებას, ამით აფასებთ ადამიანებსო!... გვიყვირა მარა რა გვიყვირა...

– რატომ ეცვა, ბატონო მიხაკო, ძველი ხალათი?

– პატიოსნება იყო, ბატონო მაშინ, პატიოსნება... სერგო ნამდვილი ბოლშევიკი იყო, ასე იყვნენ სხვებიც...

პატიოსანმა ბოლშევიკმა სერგომ, დახეული ხალათი რომ ეცვა, ბატონო მიხაკო, მიახვრიტა ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი, კიტა აბაშიძის ვაჟი, 24 წლის გია აბაშიძე სხვები და სხვები, რომელთა წმინდა და ნათელი ხსოვნის წინაშე თავს ხრის ყველა ქართველი”(ჭეიშვილი 1992:47). აქ კარგად იკვეთება რეზო ჭეიშვილის დამოკიდებულება ორჯონიკიძის მიმართ.

რეზო ჭეიშვილი რომანში ეხმიანება სერგო ორჯონიკიძის წასვლას ჩვენი ქვეყნიდან 1926 წელს. ნაწარმოების ამ ეპიზოდთანაც თვალნათლივ იკვეთება მისი დამოკიდებულება ბოლშევიკის მიმართ თუ რა კრიტიკული და ამასთანავე, რეალისტურია. ფრაგმენტი „რკინის სახკომიდან”: „სერგოს გამგზავრების დროც დადგა. დღე დღეზე დატოვებდა იგი ამიერკავკასიას, დაბეჩავებულ, მორჩილ საქართველოს. ყველა სიგლახეში მიიღო მონაწილეობა, ყველა სიავე დაამკვიდრა სამშობლოში პროლეტარიატისა და ინტერნაციონალიზმის

სახელით. ახალი ტიპის რუსული იმპერიის გასაძლიერებლად იღვაწა, მოსპო ეკლესია-მონასტრები, გაანადგურა საყდრები, წაბილწა წმინდანთა ნაწილები”(ჭეიშვილი 1992:183). მწერალი იქვე იხსენებს 1923 წლის დასაწყისში მომხდარ საზარელ ფაქტებს: „არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს თავის ქალები აბურთავეს ქუთაისში ვალია ბახტაძის მეთაურობით, მოწამეთა ძველები აჩხარუნეს ქუჩებში ბახტაძის თანაკურსელებმა და ეს ფაქტი სერგო ორჯონიკიძემ სიამაყით მოიხსენია:

„... ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში ანტირელიგიური კამპანია გაშალა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კამპანიის შედეგები მალეცხვს წარმოიდგინეთ მაზრები(სენაკისა), არის ისეთი ადგილები, სადაც ერთ ეკლესიასაც ვერ შეხვდებით; ეკლესიები იქ სკოლებად და საავადმყოფოებად გადააკეთეს... დაავიწყდა ეთქვა: თავლებად, საჯინიბოებად, საწყობებათაც”(ჭეიშვილი 1992:183). ვფიქრობ, აქაც ძალიან კარგად ჩანს სერგოს ბუნება და ავტორის პოზიცია.

ახლა რაც შეეხება სერგო ორჯონიკიძის გარემოცვას. რომანში რამდენიმე ჩვენთვის კარგად ცნობილი პერსონაჟია. ისინი ისტორიული პიროვნებები გახლავთ: სტალინი, ფილიპე მახარაძე, ლავრენტი ბერია, ნოე ჟორდანიას... ეს ადამიანები ნაწარმოებში სხვადასხვა ისტორიული მოვლენის აღწერისას გვევლინებიან, იქნება ეს რუსეთის სოციალ-ფედერალისტების აღმავლობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, დაკარგვა, საბჭოთა კავშირის „მიღწევებზე“ მსჯელობა თუ სხვა და ასე წარმოჩინდებიან თხზულებაში.

რეზო ჭეიშვილს ბიოგრაფიულ რომანში საინტერესოდ აქვს დახატული იოსებ ჯუღაშვილი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი. სოსომ სასულიერო სემინარიის სწავლის პერიოდში ნოე ჟორდანიას რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობის თხოვნით მიმართა. ამ უკანასკნელს გახარებია სემინარიელის ხილვა და შემდეგ მისი გაცნობის დღე ასე აღწერა, ამონარიდი რომანიდან: „სანამ რჩევას მივცემდი, მსურდა გამეგო, თუ რა გონებრივი საგზალი აქვს და ჩამოვუგდე საუბარი სხვადასხვა საკითხზე ისტორიიდან, სოციოლოგიიდან. ნახევარსაათიანი მუსაიფის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ამ ყმაწვილს ყველა იმ დარგზე სრულიად ზერელე წარმოდგება აქვს, მთელი მისი საპროპაგანდო ავლა-დიდება ამოიწურება „კვალის“ სტატიებით და კაუცკის „ერფრუტის“ პროგრამით“(ჭეიშვილი 1992:14). თვითგანვითარება ურჩია სოსოს ჟორდანიამ და წასაკითხი წიგნები დაუსახელა, რაზეც დაბოლმდია და მასთან არ გამოჩენილა.

ჯულაშიელმა ცოტა ხანში მესამე დასელთა წინააღმდეგ პროპაგანდა დაიწყო, დიდ კომუნისტად ჩამოყალიბდა.

სტალინი იყო ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელმაც 1921 წელს პოლიტბიუროს წევრებს განუცხადა, სერგო ორჯონიკიძესთვის დაევალებინათ საქართველოს გასაბჭოების ორგანიზება. რომანში ხაზგასმულია, რომ იგი ძალიან აქტიურად, დიდი მონდომებით იყო ჩართული ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილების მიღებაში. რეზო ჭეიშვილი მიუთითებს: „მოდით დრო. არ ადგებოდა საქართველოს დაპყრობას საშველი. ნერვიულობდა ამის გამო ორი ქართველი. ერთი ბაქოში ასკდებოდა გულს, მეორეს მოსკოვში მოსახდენის აუცილებლობაზე ელიმებოდა“ (ჭეიშვილი 1992:114).

რეზო ჭეიშვილი მკითხველს ასეთ დიალოგს შესთავაზებს: სტალინი ორჯონიკიძეს შეეკითხება: „რა ძალები დაგვჭირდება, რომ დავამარცხოთ საქართველო. შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი?“ (ჭეიშვილი 1992:115). საინტერესოა მწერლის თვალთახედვა ამასთან დაკავშირებით. ამონარიდი რომანიდან: „რა უპასუხა კონკრეტულად ორჯონიკიძემ არ ვიცით, რას უპასუხებდა, ვხვდებით. შეეძლო ისე გაეცა გამარჯვების სრული გარანტი და სტალინსაც აღარ გაუტყდებოდა ძილი. არაფერი იყო სანერვიულო, მისი სამშობლოს ბედი გადაწყვეტილი იყო. რუსეთის იმპერიასაც აღარ სჭირდებოდა ამდენი მზადება. სულ თვენახევარში დაადგამდნენ საქართველოს ისევ უღელს, უფრო მაგრად წაუჭერდნენ აპეურებს, ვიდრე ოდესმე“ (ჭეიშვილი 1992:115).

თხზულებაში საინტერესოაა გადმოცემული სერგო ორჯონიკიძისა და სტალინის ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით მწერალს რომანში ჩართული აქვს ორჯონიკიძის ქალიშვილის, ეთერის მოგონებები, რაც ხსენებულ საკითხზე ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს: „მამა აღმერთებდა სტალინს თავდაპირველად. სტალინის უზარმაზარი სურათი ეკიდა კაბინეტში, საწერ მაგიდაზე... სამსახურში რომ მიდიოდა, კრემლიდან გასვლისას, მე სკოლაში მიყავდი, შოფერს მანქანის ჩქარა წაყვანის უფლებას არ აძლევდა: ნელა გაიარე, სტალინი ალბათ მუშაობს, მყუდროება არ დაერღვესო. ბოლოს, პირიქით აკეთებდა: სტალინის ბინის წინ აღმუფლებდა მანქანას, შოფერს უყვიროდა, გახს მოუმატე, ჩქარა წადიო“ (ჭეიშვილი 1992:10).

ლიტერატურული რემინისცენციით იოსებ ჯუღაშვილზე საუბრისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე და მისი ნააზრევი სტალინზე, რასაც ადასტურებს რომანში „ჩაკლული სული“ თავი „სტალინის ჰოროსკოპი“ და მისი გამოსვლები ტრიბუნაზე სხვადასხვა დროს. გრიგოლ რობაქიძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც სიღრმისეულად ჩაწვდა ბოლშევიზმის არსს და წარმოაჩინა მისი შინაგანი საწყისები. ემიგრანტი შემოქმედი დიდი მოაზროვნე გახლდათ, ყველაფერს მახვილი თვალით უყურებდა, მითუმეტეს, თუ საქმე თავისი სამშობლოს ბედს ეხებოდა. ჯუღაშვილმა XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში დიდი როლი შეასრულა და ამდენად, გრიგოლ რობაქიძის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მწერალი საკმაოდ საინტერესოდ ხატავს ჯუღაშვილის პორტრეტს. ფრაგმენტი რომანიდან „ჩაკლული სული“: „სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა, რაღაცას დამალვოდა ან ვინმეს შეუმჩნეველად თავს დასხმოდან... მას ჰქონდა კარგი მეხსიერება – არა მახსოვრობა! – ძლიერი, ცივი ლოგიკა. ის დაშორდა ღმერთს და თავაშვებულ თვითმმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა... სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა. მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იოგებისას გავდა, ხოლო მისი ირონია უბადლო იყო. ნელა, გაუნძრევლად, გულგრილად აღიზიანებდა იგი მოწინააღმდეგეს, აქეზებდა, დასცინოდა, წყობიდან გამოჰყავდა. ის ცილიწამებითა და დამცირებით სპობდა თავის მტრებს. ამაში უმოწყალო და სასტიკი იყო“ (რობაქიძე 2012:566;569).

გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთ ვრცელ წერილში „საუბარი კარდჰუსთან“, რომელიც 1948-1949 წლებით თარიღდება, სხარტად და ლაკონურად „რკინის სახკომის“ მთავარ პერსონაჟზეც წერს, მასთან შეხვედრას იხსენებს: „1930 წელს შემოდგომის მიწურულში, მოსკოვში ვიყავი: ვცდილობდი, რაიმე გზით ნებართვა მიმეღო ევროპაში გამგზავრებისათვის. ვინახულე ორჯონიკიძეც. ვიცნობდი შორიდან – მიცნობდა შორიდან. კარგად მიმიღო, გაიმართა საუბარი. საუბარში უეცრად ჩემმა „ლამარამაც“ წამოყო თავი: მისი ლეგენდალური გამარჯვება სათეატრო ოლიმპიადაზე მოსკოვში, 1930 წელს, ზაფხულში, ჯერ კიდევ არ იყო მინელებული. „რა დაგიწერია, კაცო!“ მომართა მოულოდნელად და თითქო გაჯავრებით. „რაღაც ულტრანაციონალისტური,



ულტრაპატრიოტული!” სახტად დავრჩი – რას მივუგებდი?! შემდეგ გადმოქანდა მთელი ტანით – თითქო მარჯვენათი მოლოლიავება უნდოდა ჩემი – და სილალით გაბადრულმა გადმომძახა ზემო იმერული კილოთი: „კაი კია და!” და ეს „კაი კია და” ეხლა ლითონივით ხმიანობს ხოლმე ჩემს ხსოვნაში მოგონებებისას. აი, კარდუ, შენი ფესვი! ხედავ როგორ „ხარობს” იგი „მამალ” ბოლშევიკშიაც კი!”(რობაქიძე 2012:160). საგულისხმო და მრავლისმთქმელია გრიგოლ რობაქიძის ეს მოგონება ბოლშევიკ ქართველზე.

ვინაიდან გრიგოლ რობაქიძე და მისი შეხედულებები ვახსენეთ სტალინზე, სერგო ორჯონიკიძეზე, წარმოუდგენელია არ ვისაუბროთ აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანზე „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი”, რომელიც სწორედ ქართველი ემიგრანტი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. საჭიროდ ვთვლით, გარკვეულწილად აღნიშნული მხატვრული ტექსტის შესახებაც ვიმსჯელოთ.

აკაკი ბაქრაძე გახლდათ კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, შესანიშნავი მეცნიერი და ორატორი. იგი ავტორია წერილების რამდენიმე კრებულისა, რომლებიც ეხება ქართული თეატრისა და კინოს ისტორიის საკითხებს. ესენია: „კინოკრიტიკული ეტიუდები”, „კრიტიკული წერილები”, „სჯანი” და სხვები. ის განიხილავდა ჩვენი ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, კლასიკოს მწერალთა შემოქმედებას. ამ საკითხებს მან არაერთი წიგნი მიუძღვნა. ბოლო წლებში გამოიცა მისი ნაშრომების რვატომეული, რომელიც სრული სახით წარმოაჩენს მეცნიერის ღვაწლს.

„კარდუ” თავდაპირველად 1999 წელს გამოვიდა, რამაც მკითხველ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. 2003 წელს კი მეორედ დაისტამბა. წიგნს თან ახლავს რედაქტორის, როსტომ ჩხეიძის სიტყვები. მისი მითითებით: „აკაკი ბაქრაძეს განეზრახა, თანდათან მიჰყოლოდა და მთელი ციკლი შეექმნა მონოგრაფიებისა დიდ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე. განზრახვა ისე არ აღსრულებულა, თვითონ როგორც ეწადა და მხოლოდ ოთხი პორტრეტი გამოჰკვეთა – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და გრიგოლ რობაქიძის – მაგრამ რაც მოასწრო, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია თავისი სიღრმით, ექსპრესიით, სტილური არტისტიზმით. ის სამი ნიმუში ბიოგრაფიულ რომანსაც ჩამოჰგავს, გრიგოლ რობაქიძეზე შექმნილი თხზულება კი ნამდვილი ბიოგრაფიული რომანია, მწერლის ტრაგიკული ბედისწერაც

ხელშესახებად რომ წარმოჩინდება და მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონიც – ჩვენი უბედური ქვეყნისაც და ევროპისაც”(ჩხეიძე რ. 2003:4).

გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი დიდი თვალსაწიერი არაერთ თემას მოიცავს. ის გახლდათ ფართო განათლების მწერალი, პუბლიცისტი, რომლის ესეები, მოხსენებები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

გარდა ამისა, იგი ავტორია იმ დრამებისა, რომელთა დადგმითაც ახალმა ქართულმა თეატრმა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა სივრცის ყურადღება მიიპყრო. საქართველოში წიგნად 1926 წელს გამოიცა გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“.

საქართველოში ესოდენ წარმატებით დაწყებული შემოქმედებითი მოღვაწეობა 1931 წლიდან მწერალმა ემიგრაციაში გააგრძელა. სამშობლოდან გადახვეწილმა ნაყოფიერად იმუშავა უცხოეთში: ჯერ კიდევ საქართველოში გერმანულად თარგმნა „გველის პერანგი“, იქ კი დაწერა შემდეგი ნაწარმოებები: „ჩაკლული სული“, „მეგი-ქართველი ასული“, „ქალღმერთის ძახილი“, „წმინდა გრაალის მცველნი“, „დემონი და მითოსი“, „კავკასიური ნოველები“, ლექციებიც წაიკითხა და რადიოთიც არაერთხელ მიმართა ქართველ ერსა და ახალგაზრდობას.

გრიგოლ რობაქიძე პირველი ქართველი მწერალია, ვინც სიცოცხლეშივე გაიკვალა გზა გერმანელი მკითხველისაკენ. მის ნაწარმოებებზე მრავალი ლიტერატურული წერილი, ნაშრომი დაწერილა ქართველი თუ უცხოელი მკვლევარ-მეცნიერების მიერ, სადაც ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. „როგორც ყველა დიდი, დროით განუსაზღვრელი ნაქმი, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მარად აწმყო და უკვდავი”(პოიზერმანი 2006:22).

აკაკი ბაქრაძის წიგნი „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, ფაქტობრივად, პირველი მონოგრაფიაა მწერალზე, მოაზროვნესა და საზოგადო მოღვაწეზე, რომლის სახელსაც გარკვეული პერიოდი ტაბუ ედო და მისი ხსენებაც სახიფათოდ იყო მიჩნეული. ნელ-ნელა ამ ორიგინალური შემოქმედის პიროვნებას ჩამოშორდა თავისებური მისტიკურობა, ხოლო საბოლოოდ, აკაკი ბაქრაძის წყალობით, თითქმის ყველა საიდუმლოს ნათელი მოეფინა.

„კარდუ“ არის გრიგოლ რობაქიძის ყველაზე სრული და ამომწურავი ბიოგრაფია, ამავე დროს დოკუმენტური, ღრმა, ზედმიწევნითი გამოკვლევა მისი მრავალწახნაგოვანი შემოქმედებისა. აქ ყველაფერი ფაქტებზეა დამყარებული და ამდენად, არაფერია გამოგონილი, შეთხზული. ავტორმა დიდძალი მასალა შეისწავლა, დაამუშავა, გაიაზრა, რათა ყველაფერი ერთ სისტემაში მოეყვანა, სათანადოდ დაალაგა და მთლიანი სურათის სახით წარმოუდგინა მკითხველს.

ნაწარმოები დაყოფილია თავებად: „დაბადების თარიღი“, „პორტრეტი“, „სწავლა“, „ოჯახი“, „მოდის გილიოტინა“, „ომი და რევოლუცია“, „გზაჯვარედინი“, „ახალი გრაალი“, „ახალი კერპი“, „მარადიული დაბრუნება“, „მიეროხანი“, „მზის ნარქენი“, „გარდატეხა“, „ჰუნგერჰიუგელ“, „ცდუნება“, „სიმართლე“, „სხვაი ჩემი“, „იზოლაცია“. ეს სათაურები მკითხველს უადვილებს წიგნის ათვისებას.

ნოდარ კაკაბაძის შეფასებით: „აკაკი ბაქრაძე არსად უმღერის დითირამებს გრიგოლ რობაქიძეს – ეს, როგორც შემოქმედს. იგი ობიექტურად, პირუთვნელად ათვალსაჩინოებს გრიგოლ რობაქიძეს, როგორც მოაზროვნეს, ლექტორს“(კაკაბაძე 2000:8).

კრიტიკოსი თენგიზ ჩხაიძე მიუთითებს: „თხრობა აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიული ჟანრის წიგნებისთვის დამახასიათებელი ბელეტრისტულ-ესსეისტური ყაიდისაა, ძირითადად ქრონოლოგიის პრინციპზეა აგებული, თუმცა ავტორი თავს არ იზღუდავს ამ პრინციპების მკაცრი დაცვით: ის საჭიროების მიხედვით გაუსწრებს ხოლმე დანარჩენ მოვლენებს და მერე უკან იხევს, ზოგან კი ცვლის თემისა თუ საკითხის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. მაგალითად, „დაბადების თარიღს“ მოსდევს „პორტრეტი“(ჩხაიძე 1998:6).

„კარდუზე“ საუბრისას კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: წიგნში ცხოვრებაცა და ლიტერატურული მემკვიდრეობაც მჭიდრო მხატვრულ ურთიერთკავშირშია განხილული. აკაკი ბაქრაძე ნაწარმოებში შესანიშნავად წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძის მთელ ცხოვრებას – დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

ბიოგრაფიულ რომანში მრავალი საინტერესო, უცნობი ფაქტია მოთხრობილი. აქ ასევე, გვხვდება მანამდე გამოუქვეყნებელი წერილები, ბარათები. მათი გაცნობის მეშვეობით ბევრ საგულისხმო ამბავს, ცნობას იგებს მკითხველი მწერლის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაზე.

კრიტიკოს მათა ჯალიაშვილის შეფასებით: „კარდუში“ საბოლოოდ გაირკვა გრიგოლ რობაქიძის დაბადების თარიღი. გერმანელი მწერლის ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმისადმი მიწერილ ბარათში გრიგოლ რობაქიძე ინანიებს თავის შეცდომას, რომელიც მან პატივმოყვარეობის გამო ჩაიდინა, სამი წლით „გაიასხალგაზრდავა“ თავი“(ჯალიაშვილი 2002:4). იგი თავადაც წერს: „ასე დაუფიქრებლად დავიკმაყოფილე ჩემი თვითმოტყუება. დღეს ვხედავ, პატივმოყვარეობის დემონს როგორ ადვილად გავეგე ფეხებქვეშ. ეს იმდენად მღრღნის, რომ სიმშვიდეს ვერ ვპოულობ“(ბაქრაძე 2003:7). „საოცარი კი ისაა, რომ გრიგოლ რობაქიძე ამ, მართლაც, უბოროტო შეცდომას დიდ ცოდვად თვლიდა. ეს პატარა ფაქტი წარმოაჩენს ამ პიროვნების სულის სიმაღლეს და გულწრფელობას“(ჯალიაშვილი 2002:4).

ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ ტარტუს უნივერსიტეტის მიტოვების მიზეზი იყო არა გრიგოლ რობაქიძის გარიცხვა გადასახადის გადაუხდელობის გამო, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ სულ სხვა რამ. ეს ირკვევა 1902 წლის 16 იანვრით დათარიღებული ეკატერინე გაბაშვილისადმი მიწერილი წერილიდან, სადაც მწერალი მას ურჩევს, ვაჟიშვილი განათლების მისაღებად უცხოეთში გააგზავნოს და არა რუსეთში, რადგან „აქ რუსეთში მომავალი წლიდან დიდი სისხლისღვრა იქნება. ეს ნამდვილი წყაროებიდან გავიგე. ესეც არ იყოს, იმისთანა ნიჭიერი ყმაწვილისათვის როგორიც რეზიკოა, რუსეთი მხოლოდ ჯოჯოხეთი იქნება“(ბაქრაძე 2003:20).

წიგნის ერთ-ერთ თავში, რომელიც ავტორმა ასე დაასათაურა „მოდის გილიოტინა“, აკაკი ბაქრაძე საუბრობს XX საუკუნის 10-იანი წლების ქართულ საზოგადოებაზე, რომელსაც შეეძლო, ქება-დიდება შეესხა პიროვნებისთვის და მერე დაევიწყებინა. ამონარიდი რომანიდან: „უგზო-უკვლო მოხეტიალე საზოგადოებამ აიყვანა, როგორც „მან წილი“ ამბობს, მოდის გილიოტინაზე გრიგოლ რობაქიძე (ჯერ ხოტბა-დიდებით ეთაყვანებოდნენ და მერე ზურგი უჩვენეს). მოდის გილიოტინა ძალიან ტევადი და მოხდენილი ცნებაა. მისი მსხვერპლი არაერთი და ორი მოღვაწე გამხდარა. გრიგოლ რობაქიძეს მომავალშიც ბევრჯერ მოუწევს გილიოტინაზე ასვლა როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში“(ბაქრაძე 2003:3).

აკაკი ბაქრაძე ვრცლად მსჯელობს დიდი შემოქმედის, მოაზროვნის დეაწლზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომელმაც ახალი ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა-გასავრცელებლად

წაკითხა საჯარო ლექციები; უწინამძღვრა ქართული ავანგარდიზმის შექმნას, ამით ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას; კოლეგებთან ერთად ჩამოაყალიბა საქართველოს მწერალთა კავშირი. იგი ამავე დროს, ხშირად ბეჭდავდა სტატიებს, წერილებს სხვადასხვა საკითხზე.

„აკაკი ბაქრაძე ვრცლად წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძის ჟურნალისტურ მოღვაწეობას გაზეთ „საქართველოსა“ და „კავკაზში“, სადაც იგი გივი გოლენდისა და გ.რობაქიძე-კავკასიელის ფსევდონიმებით ბეჭდავდა წერილებს საერთო სახელწოდებით: „ომი და კულტურა“. მან კავკასიელ მკითხველს გააცნო ევროპელ ფილოსოფოსთა და მწერალთა შეხედულებები ამ პრობლემაზე“ (ჯალიაშვილი 2002:4).

მწერალი ამომწურავად აღწერს ნიცშეს გავლენას ქართველი მწერლის ნაწარმოებებზე. იგი აღნიშნავს, რომ: „გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ფრიდრიხ ნიცშეს გავლენა არსებით ხასიათს ატარებს. თავადაც არ მაღავდა ამას. „დიონისურმა ფენომენმა დამატყვევა – და კიდევ უფრო მეტად, – მარადიული დაბრუნების იდეა“ („ჩემი ცხოვრება“). მაგრამ კმაყოფილი არ ყოფილა იმით, როგორც ხნიდნენ და განმარტავდნენ ამ იდეას“ (ბაქრაძე 2003:100).

ბიოგრაფიული რომანის ავტორი თხზულებაში გვამცნობს, თუ როგორ ცხოვრობდა კლასიკოსი მწერალი საქართველოში, გერმანიაში, მერე შვეიცარიაში, რას წერდა, რას საქმიანობდა.

„კარდუში“ სრულყოფილადაა განხილული გრიგოლ რობაქიძის მდიდარი, მრავალფეროვანი შემოქმედება, მისი პროზაული ნაწარმოებები და პოეზია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა წიგნის შემდეგი თავები: „გზაჯვარედინი“, „ახალი გრაალი“, „ახალი კერპი“, „მარადიული დაბრუნება“, „სხვაი ჩემი“. აქ გაანალიზებულია მწერლის დიდი და რთული მხატვრული სამყაროს რაობა, გარკვეულია ასევე, მისი მსოფლმხედველობის არსი.

დასასრულს ვიტყვით, რომ აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიული რომანი „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და დეაწლი“ უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომია, როგორც სერიოზული ცდა ემიგრანტი ქართველი მწერლის მრავალმხრივი შემოქმედების მთლიანობაში გააზრებისა, მისი რთული მსოფლმხედველობის გარკვევისა.

დავუბრუნდეთ ბიოგრაფიულ რომანს „რკინის სახკომი“. რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, როგორც ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, მას ნაწარმოებში დიდი ადგილი არ ეთმობა. მწერალს ის თხზულებაში შემოჰყავს

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული პროცესების გადმოცემისას, სადაც იკვეთება ავტორის პოზიცია: „საქართველოს ისტორიაში ჩამოდგა სახელმწიფოებრივი მმართველობის აღდგენის ახალი ხანმოკლე ერა. პირკატა ეცათ ბოლშევიკებს. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა დაიწყეს გაფიცვების, აჯანყებების, ეთნოკრიზისების ორგანიზება. მენშევიკურ მთავრობას გარეშე და შინაურ მტრებთან მეომარი რევოლუციური ჯარი არ ჰყავდა და პარტიული გვარდია, ჟორდანიას თაოსნობით რომ შეიქმნა, საჯარისო შენაერთების ფუნქციებს ვერ ასრულებდა. ნოე ჟორდანიამ ვინმე იმნადის ხელმძღვანელობით გურიიდან ჩამოიყვანა ერთგულ გურულთაგან შედგენილი რაზმი, რომელსაც ალექსანდრეს ბაღის ტრაგედიას თუ არ გავითვალისწინებთ, თავი არაფრით გამოუჩენიათ. ხსენებულ ბაღში კი რაც არც კი იყო მოულოდნელი, მენშევიკებმა ბოლშევიკები, ქართველებმა ქართველები დახოცეს. ბოლშევიკებს მათივე მეთოდებით ვუპასუხეთო, განმარტა ჟორდანიამ. მაგრამ საქმე ამით არ გამოსწორებულა, ბოლშევიკები უფრო გააქტიურდნენ“ (ჭეიშვილი 1992:92).

თუ როგორ განვითარდა საქართველოში მოვლენები, ყველას კარგად მოეხსენება, რესპუბლიკის ხელისუფლებამ, მათ შორის მთავრობის მეთაურმაც ჯერ თბილისი, შემდგომ ქვეყანა დატოვა. ამ მოვლენებზე ჟორდანიას მოგონებები აქვს დაწერილი, ამაზე რომანში მწერალიც მიანიშნებს.

„რკინის სახკომში“ ლავრენტი ბერიას ლიტერატურული სახეც იკვეთება. რომანში ვეცნობით მისი და სერგო ორჯონიკიძის არცთუ სახარბიელო ურთიერთდამოკიდებულებას: „სერგოს სძულდა ბერია და ტანითაც პატარა, ასაკითაც „პატარა აზუფსაც“ სძულდა სერგო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სიძულვილს „ნათელმირონობის“ მიუხედავად, ფარავდნენ და ამუღავნებდნენ კიდევ დროდადრო“ (ჭეიშვილი 1995:180).

ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ ლავრენტი ბერია სტალინმა დააწინაურა, საქართველოს პირველ მდივნად და სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად დანიშნა.

ფილიპე მახარაძე, ჩვენს ისტორიაში კიდევ ერთი მოღალატე პირად შერაცხული პიროვნება იხატება ლიტერატურულ პერსონაჟად. იგი 1921 წლის 18 თებერვალს რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად სტალინის დავალებით საქართველოში გამოემგზავრა და დაევალა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელობა. ამ დროს ის რევკომის თავმჯდომრე იყო.

მან სერგო ორჯონიკიძესთან ერთად დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ანექსიისათვის ბრძოლაში. რეზო ჭეიშვილი რომანში ითვალისწინებს მის ერთ-ერთ სტატიას: „რატომ შემოვიდა ჩვენში წითელი არმია“, რომელიც 1921 წლის 13 მარტით თარიღდება. იგი რუსეთის ჯარს სინდისს წმენდა, მთავარია ხალხი და რეგკომიო: „წითელი ჯარი მაშინვე დასტოვებს საქართველოს საზღვრებს, როცა ჩვენში გარეშე საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. წითელი ჯარი წავა აქედან, მას სხვა დანიშნულება აქვს“ (ჭეიშვილი 1992:135).

პროზაულ ნაწარმოებში აღწერილია 1937 წლის ცნობილი სისხლიანი მოვლენები. ამ პერიოდში უამრავ ადამიანთან ერთად სერგო ორჯონიკიძის ნათესავებიც დააპატიმრეს, ნაწილი დახვრიტეს. საინტერესოა თხზულების დასასრული. კიდევ ერთ ფრაგმენტს დავიმოწმებ რევოლუციონერის ქალიშვილის მოგონებიდან: „მამა ბევრს ფიქრობდა ბოლოს და ქართულად ლაპარაკობდა თავისთვის. მივუგდებდი ყურს, გაუგებრად ბურტყუნებდა.

–მამა, ვის ელაპარაკები?

–ეთერა, შენ არ იცი ხო, ქართული?

–მამა, მე საიდან, შენ ხომ არასოდეს გისწავლებია ჩემთვის ქართული!...

–მართალია ეთერა, არ მისწავლებია, მხოლოდ მარტო ჩემი ბრალი არაა ყველაფერი!“ (ჭეიშვილი 1992:250). მრავლისმთქმელია მისი ეს სიტყვები, რომლის ბუნება საზარელიც იყო და იმავდროულად საცოდავიც. ნაწარმოებიდანაც ასე მეტყველად და შთამბეჭდავად რომ წარმოგვიდგება და კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რასაც ნიშნავს უკუღმართად განვლილი ცხოვრების გზა.

შემოქმედმა დოკუმენტური მასალით გაამდიდრა ნაწარმოები, უხვად გამოიყენა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რუსეთის სათათბიროს დადგენილებები, პარტიის ყრილობებზე წაკითხული მოხსენებები, სხვადასხვა იმუამინდელი ქართველი თუ რუსი პოლიტიკური მოღვაწის მოგონებებიდან ფრაგმენტები, სტალინის, ორჯონიკიძის წერილები, დეპეშები... ეს ყველაფერი ავტორმა მოიხმო, რათა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ბიოგრაფიულ რომანში „რკინის სახკომი“ დახატული მთავარი პერსონაჟის ხასიათი, ბუნება, მისი პოლიტიკური ქმედებანი. შესაბამისად, რეზო ჭეიშვილი დაშორდა ჩვენთვის ცნობილი ისეთი ბიოგრაფიული რომანების სპეციფიკას, როგორებიცაა მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი“ თუ თანამედროვე ბიოგრაფოსის როსტომ ჩხეიძის „მზე და მწუხრი“. მათგან სტრუქტურული თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება „რკინის

სახკომი”. ამ უკანასკნელში გამოყოფილი არაა თავები და არც ცალკეულ ეპიზოდებს არ აქვთ თავიანთი სათაურები. საკითხის კვლევამ დაგვარწმუნა, რომ რეზო ჭეიშვილი ბიოგრაფიული რომანს განსხვავებულად გვთავაზობს. ეს იყო მისი პირველი (და ჯერ-ჯერობით ერთადერთი) მცდელობა აღნიშნულ უანრში, თუმცა თხზულებამ თავისი ფუნქცია მაინც შეასრულა; მაშინ როცა ის დაიწერა, 1992 წელს, ქართველი საზოგადოებისათვის თვალის ახელა იყო საჭირო. ვფიქრობ, თავისი მისია წარმატებით შეასრულა კიდევ.

რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიული რომანის „რკინის სახკომის“ შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ავტორმა უცვლელად დატოვა, გადმოიტანა ნაწარმოებში და შეუნარჩუნა ისტორიული სინამდვილე ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ ცხოვრებისეულ ფაქტს, მოვლენას, რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ სერგო ორჯონიკიძის სახელს, არამედ იმ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი იმ ეპოქასთან, რომელზედაც საუბარია მხატვრულ ტექსტში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ რეზო ჭეიშვილი, როდესაც ციტირებებს აკეთებს სხვადასხვა დოკუმენტური წყაროდან, იქნება ეს რომელიმე ბრძანება, წერილი, დეკრეტი თუ თანამედროვეთა მოგონება და ასე შემდეგ, იგი ამონარიდებს სვამს ბრჭყალებში და ისე გვაწვდის რომანში. მწერალი ფაქტებს არ ამახინჯებს. ამისდა მიუხედავად, მეცნიერული კვლევის უკეთ წარმოსაჩენად საჭიროდ ჩავთვალეთ, შეგვედარებინა პირველწყაროსთან ბიოგრაფიულ რომანში მოტანილი სხვადასხვა დოკუმენტური მასალა. შედეგი კი საკმაოდ საგულისხმო აღმოჩნდა: მწერალი ისტორიული სანდოობით, სიზუსტით წარმოაჩენს ყველა იმ მოვლენას, ამბავს, რაც მოთხრობილია რომანში, იქნება ეს ქართველი რევოლუციონერის ცხოვრების გზა თუ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პერიოდი – დამოუკიდებლობის ხანა – 1918-1921 წლები და სხვა. ეს ყოველივე იმაზეც მიანიშნებს, რომ ავტორი საკვლევ მასალას დიდი გულისყურით გაეცნო, რათა მთავარი პერსონაჟის სახე, რომელიც ასე განსხვავებული ასპექტითაა წარმოდგენილი, დამაჯერებელი ყოფილიყო.

რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიული რომანის წერისას უმუშავია როგორც მკვლევარს. მან განუზომლად დიდი, როგორც ქართული, ასევე, რუსულ ენაზე არსებული ისტორიოგრაფიული მასალა გადაამუშავა, შეისწავლა და მხატვრულ ტექსტად წარმოადგინა. დავასახელებთ ზოგიერთი მათგანს: გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი 1917-1925“ (1990წ.), ნოე უორდანიას: „ჩემი წარსული“



მოგონებანი (1990წ.), ზურაბ ავალიშვილი: „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“(1990წ.), „დოკუმენტები სამოქალაქო ომის ისტორიიდან სსრ კავშირში” (ტომი I, 1948წ.), ფილიპე მახარაძე თხზულებათა კრებული (ტ. IV, 1924წ.), იმუამინდელი პრესა: გაზეთები „კომუნისტი”, „პრაედა” და სხვანი.

სათქმელის დასტურად და უკეთ წარმოსახენად დავიმოწმებთ ამონარიდებს ჩვენთვის საყურადღებო წიგნებიდან. თავდაპირველად მხედველობაში მაქვს ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში”(მოგონებანი, ნარკვევები). ერთ-ერთი პირველი ამათგან შეგვიძლია დავასახელოთ აკაკი ჩხენკელის წერილი, რომელიც 1918 წლის 25 მაისს გაეგზავნა გენერალ კვინიტაძეს: „...საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცით შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭიანურება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანიის შუამდგომლობის ცდა არ გამოგვივიდა. დაგვრჩენია ერთი რამ: თურქების შემოტევას დაგუპირისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს უჭერს გერმანია. მისი წარმომადგებელი საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბერგი, რომელიც გამოცხადებისთანავე აუცილებლად სასწრაფოდ უნდა ვცნოთ... ხელმოსაწერად უკვე მზადაა მთელი რიგი დროებითი შეთანხმება გერმანიასთან. ველოდებით აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას”(ავალიშვილი 1990:79).

რეზო ჭეიშვილის რომანშიც არის მოხმობილი აღნიშნული ტელეგრამა: „გადაეცით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი: დაგუპირისპიროთ თურქების შემოსევას გერმანიისაგან ზურგ გამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო... უკვე მომზადებულია ხელმოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმება. ველი სასწრაფო ცნობას აქტზე”(ჭეიშვილი 1992:91).

შემდეგი ფრაგმენტი ზურაბ ავალიშვილის წიგნიდან საქართველოს ისტორიის უკვე სხვა პერიოდს აცოცხლებს: „25 თებერვალს 1921 წ., საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თბილისში; წინ მიუძღვოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ-კომისართაგანი(ავალიშვილი 1990:163).

რეზო ჭეიშვილი მიუთითებს: „...25 თებერ. 1921 წ. საბჭ. ჯარები შედიოდნენ ტფილისში. წინ მიუძღვოდა წითელი ბაირადით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ-კომისართაგანი”(ჭეიშვილი 1992:7).

გიორგი მაზნიაშვილი წიგნში „მოგონებანი 1917-1925” (1990წ.) ერთ ადგილას იხსენებს ქართველ ბოლშევიკთან შეხვედრის დღეს 1921 წელს ბათუმში: „ამხანაგმა ელიავამ წარმადგინა და უთხრა ჩემი ვინაობა. მხ. ორჯონიკიძემ მომმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ იცით, რომ კანონგარეშე იყავით გამოცხადებული და თქვენთან შეხვედრის დროს ყველა კომუნისტს ჰქონდა უფლება მოეკალით იქვე, ალაგობრივ... უნდა გამოგტყდეთ, რომ ჩემს სიცოცხლეში, პირველად დავიბენი და ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხებ.

ამის შემდეგ განვაგრძე ჩემი მოხსენება უკვე ორჯონიკიძის თანდასწრებით. სხვათა შორის, ჩემს მოხსენებაში ვჩიოდი, რომ ბათუმში ცხენების საკვები არაა, რის გამოც მრავალი ცხენი იხოცება, მივაქციე ასევე, სამხედრო კომისრის ყურადღება იმას, რომ ჩემს განკარგულებაში დარჩა ორი ეტლი მშვენიერი ცხენებით, რომლითაც დადიოდნენ ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და სამხედრო მინისტრი ჭიჭინაძე. ამ ცხენების დარაჯობა ბევრ დავიდარაბასა და გაუგებრობასაც იწვევდა, რადგან კავალერიის დივიზიის უფროსი ამხ. ჟლობა კაცს კაცზე გზავნიდა და მოითხოვდა, გადამეცა მისთვის ეტლი და ცხენები”...(მაზნიაშვილი 1990:210-211).

ამ ამბავს რეზო ჭეიშვილიც ითვალისწინებს ბიოგრაფიულ რომანში. ფრაგმენტი თხულებიდან: „ელიავამ წარუდგინა ერთმანეთს ორჯონიკიძე და მაზნიაშვილი.

– შენ თუ იცით, უთხრა მაზნიაშვილს ორჯონიკიძემ, კანონგარეშე რომ იყავი გამოცხადებული?

– ? ? ?

– ... და ყველა კომუნისტს უფლება ჰქონდა მიეხვრიტე ალაგობრივ!

მაზნიაშვილი წერს: „ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიბენი და ხმის ამოღება ვერ მოვახერხებ”. ცხენებზეც ჩამოვარდა ლაპარაკი. მაზნიაშვილის სახელდახელო მოხსენებაც ცხენებს ეხებოდა: „ჩემს მოხსენებაში ვჩიოდი, რომ ბათუმში ცხენების საკვები არაა, რის გამოც მრავალი ცხენი იხოცება, მივაქციე ასევე, სამხედრო კომისრის ყურადღება იმას, რომ ჩემს განკარგულებაში დარჩა ორი ეტლი მშვენიერი ცხენებით... ამ ცხენების დარაჯობა ბევრ დავიდარაბასა და გაუგებრობასაც იწვევდა, რადგან კავალერიის დივიზიის უფროსი ამხ.

ქლობა კაცს კაცზე გზავნიდა და მოითხოვდა, გადაემცა მისთვის ეტლი და ცხენები”(ჭეიშვილი 1992:128-129).

წარმოჩინდა, რომ ბიოგრაფიულ რომანში სიტყვა-სიტყვითი სიზუსტეა დაცული.

გ. კირილოვისა და ა. სვერდლოვის ავტორობით გამოცემულ წიგნში: „სერგო ორჯონიკიძე(სერგო)“, სადაც საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული სერგო ორჯონიკიძის ცხოვრების გზა, იქვე, დაწვრილებითაა მოთხრობილი რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ყრილობებზე მიღებული სხვადასხვა დადგენილების, ბრძანების შესახებ. როგორც ცნობილია, 1920 წლის აპრილში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შექმნა კავკასიის საოლქო ბიურო და დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტი ორჯონიკიძის, კიროვის და სხვათა შემადგენლობით. წიგნში ხაზგასმითაა აღნიშნული: „მთავარი პასუხისმგებლობა ამიერკავკასიაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამხედრო მუშაობისათვის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ სერგო ორჯონიკიძეს დააკისრეს. განუმარტავდა რა სერგოს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა: „კავკასიის მთელ სამხედრო პოლიტიკას ხელმძღვანელობს და კვალავაც უხელმძღვანელებს სერგო, ხოლო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროში „ის საკითხები, რომლებიც მხოლოდ ჩრდილო კავკასიას შეეხება, შეუძლია გადაწყვიტოს ვიწრო კოლეგიამ სერგოს დაუსწრებლად, ყველა ის საკითხი კი, რომელიც ამიერკავკასიას შეეხება, მხოლოდ მისი თანდასწრებით”(კირილოვი, სვერდლოვი 1964:163).

რეზო ჭეიშვილი მხატვრულ ტექსტში „რკინის სახკომი“ წერს: „ბრძანება შემოეთვალათ მოსკოვიდან უფროსებსა:

„კავკასიის მთელ სამხედრო პოლიტიკას (საომარი მდგომარეობა) ხელმძღვანელობს და კვალავაც უხელმძღვანელებს სერგო!“ დადაგენილებას თან მოსდევს ამდაგვარი განმარტება:

„... ის საკითხები, რომლებიც მხოლოდ ჩრდილო კავკასიას შეეხება, შეუძლია გადაწყვიტოს ვიწრო კოლეგიამ სერგოს დაუსწრებლად; ყველა ის საკითხი კი, რომელიც ამიერკავკასიას შეეხება (საქართველო ჯერ დაპყრობილი არაა) მხოლოდ მისი თანდასწრებით უნდა გადაწყდეს”(ჭეიშვილი 1992:11).  
საინტერესოა აღნიშნული დადგენილების შესახებ მწერლის პოზიცია. ფრაგმენტი რომანიდან: „და იგი ხელმძღვანელობს მთელ კავკასიას მაშინდელი უგზობისა და უკომუნიკაციობის პირობებში. მოძრაობს: ბაქოდან როსტოვში,

როსტოვიდან სტავროპოლში, თერგის რესპუბლიკაში, დაღესტანში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში – ვრანგელის დესანტის პირისპირ, ყაბარდოში, ინგუშეთში, ოსეთში, საჩქინოში, თემირხანშურაში, დარღოს ოკრუგში, ისევ უკან ბაქოში, სომხეთში და ასე შემდეგ”(ჭეიშვილი 1992:110).

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ზემოთ ვისაუბრეთ, ამ შემთხვევაში მოხმობილი ამონარიდი სხვა კუთხით გვაინტერესებს. გამოვკვეთეთ ის ფაქტი, რომ ბიოგრაფიული რომანის ავტორი ნაწარმოებში იცავს სიზუსტეს საარქივო მასალის გამოყენებისას.

სხვადასხვა დოკუმენტის შედარებას პირველწყაროსთან აქ დავასრულებთ. მხოლოდ დავასახელებთ იმ დოკუმენტებს, რაც უცვლელად გადმოიტანა რომანში რეზო ჭეიშვილმა: იოსებ სტალინის ტელეგრამა სერგოს (1920 წელი, 2 დეკემბერი), ორჯონიკიძის წერილი სტალინს (1921წელი, 25 თებერვალი), ბოლშევიკური პარტიის დადგენილებები საქართველოში საბჭოთა ჯარების შეყვანისა და ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შესახებ, ფილიპე მახარაძის, იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის ნაციონალურის საკითხის შესახებ XII ყრილობაზე წარმოდგენილი სიტყვები, გიორგი მაზნიაშვილის მოგონება ქართული ჯარის აღკაზმულობის შესახებ... როგორც უკვე ითქვა, პირველწყაროსთან შედარებისას ბიოგრაფიული რომანის ავტორი დოკუმენტური მასალის მოხმობისას ფაქტებს არ ცვლის, არ ამახინჯებს. იგი სიზუსტეს უნარჩუნებს ისტორიულ სინამდვილეს.

ახლა ზოგადად ვისაუბრებთ ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეზე. მოვიხმობთ ამონარიდებს, სადაც ნათლად დასტურდება ეპითეტების, შედარებების, მეტაფორების გამოყენება.

თავდაპირველად მოვიტანთ ფრაგმენტს, სადაც აღწერილია ბოლშევიკური პარტიის მორიგი სხდომა. აქ იხატება მთავარი პერსონაჟის პორტრეტიც: „ზრიალებულ დარბაზში შევიდა დაგვიანებული სერგო „საქორწინო მოგზაურობის” დასასრულს. პეტერბურგი – ბაქო – თბილისი – ქუთაისი – ღორეშა ზინაიდასთან ერთად, უკან იმავე გზით ცალად. შევიდა ჯგლეეთაში და მუჯღუგუნებით გაიკვლია გზა ქანდარისაკენ. ღონივრულად ურტყამდა იდაყვებს დელეგატებს და აბლოყინებულ მასაში მიიწვედა წინ. იდაყვებით და მუჯღუგუნებით იცოდა ხალხში გზის გაკაფვა. „საღდათებში” ჩაეკვება ქანდარაზე, ჩახედა დარბაზს, სცენას, პრეზიდიუმს, ელექტრონის შუქში და

თუთუნის ბოლში გაარჩია პრეზიდიუმში მსხდომთა სახეები” (ჭეიშვილი 1992: 76).

პეიზაჟის დახატვის თვალაზრისით საგულისხმოა შემდეგი ამონარიდი: „საოცრად წყნარი და მზიანი მარტი იდგა იმ წელს. თოლიების გუნდებით დათეთრწინწკლებული ზღვა ცისფრად ლივლივებდა. იტალიის გემები „ვესტა” და „მარია” ირწეოდნენ რეიდზე. მზის ამოსვლისას საქართველოსგან ცხირებშებრუნებულები გაცურდნენ გასრიალებულ წყალზე. თავგზააბნეული ქართველები იდგნენ გემბანზე გაცრიატებულ გათენებაში, უკანასკნელად ხელავდნენ საქართველოს მთებს”(ჭეიშვილი 1992:130).

მხატვრული სახეების გამოყენების კუთხით საინტერესოა შემდეგი ამონარიდიც: „სერგო მდინარე ბერეზინას ნაპირზე დგას, შუბლზე სველი თმით, თმას იქით მიმალული მოწყენილი თვალებით, გაცრიატებულ სივრცეს, ყინვისფერ მდინარეს მიჩერებია”(ჭეიშვილი 1992:98). სხვა მაგალითი: „თბილისი არეული და აფორიაქებულია. აჯანყებას გაავდრებასავით მოელიან”(ჭეიშვილი 1992:73). ან კიდევ: „ზინაიდა ნისლისა და წვიმის ფარდებით დაბურულ გორებს, ბურუსში ჩავარდნილ კვადოურას ხეობას გაჰყურებდა. ატალახებულ შუკებში ჩოჩიალა ურმებს მოათრევდნენ კისერმოღრეცილი, წითელი ხარები, თავზე გააკვირვებულ ტომარადახურული, შარვალაკოტავებული, ფეხშიშველი გლეხები მოაბოტებდნენ აყალოში ხიო, ხიოს ძახილით”(ჭეიშვილი 1992,76).

რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ მწერალი სხვადასხვა ფაქტის, მოვლენის თუ პერსონაჟის დახასიათებისას ზუსტად შერჩეულ მხატვრულ სახეებს იყენებს. ეს აღნიშნული პროზაული ტექსტის კიდევ ერთი დადებითი მხარეა. გაზიარებული თვალსაზრისით, სიტყვები დიდი ესთეტიკურ-იდეური შინაარსის გამომხატველად გვევლინებიან მხატვრულ ნაწარმოებებში. ამის დასტურია ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტები რომანიდან „რკინის სახკომი”.

შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ შესანიშნავი თანამედროვე პროზაიკოსის, რეზო ჭეიშვილის რომანი „რკინის სახკომი” დაწერილია რევოლუციონერზე, იდეურად მებრძოლ ანტიქართველზე. ეს ნაწარმოები ქართულ მწერლობაში შექმნილი ბიოგრაფიული რომანის უანრს, რომელიც ძირითადად დიდებულ მოღვაწეთა ცხოვრების ციკლს ასახავს, ახალ შტრიხს სძენს. ამ შემთხვევაში ანტიეროვნული გმირი-პერსონაჟის შემოყვანით მრავალფეროვან პანორამას ქმნის.

## თავი V

### ელგუჯა თავბერიძის „აირვეი ივერია“

ელგუჯა თავბერიძე – თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საინტერესო მწერალი, ესეისტი და კრიტიკოსი. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. მათ შორისაა შესანიშნავი წერილების კრებული „სიტყვა ვუთხარ და იწყინა“, ასევე „უბედო მამულის ყმა“, რომელიც გიორგი შარვაშიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეძღვნება, ბიოგრაფიული რომანი „აირვეი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“, „ნისლის ტიხარი“, „აკაკის ღანდი“ და სხვა.

იგი წლების განმავლობაში იყო გაზეთ „მოწამეთას“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „სარანგის“ ხელმძღვანელი. მისი თაოსნობით არაერთი კარგი წიგნი გამოიცა. ამასთანავე, ის გახლავთ გიორგი შარვაშიძის, ნიკო ნიკოლაძის, ჟურნალ „ომეგას“, საქართველოს მწერალთა კავშირის 2003 წლის და ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საგურამოს“ 2006 წლის პრემიების ლაურეატი, ხოლო 2013 წლის „საბას“ გამარჯვებულია ვარლამ შალამოვზე დაწერილი წიგნით „კოლიმგრაფი“ – ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა. ელგუჯა თავბერიძე არის ქუთაისის სალიტერატურო-სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური წევრი.

მწერლის ბიოგრაფიული რომანი „აირვეი ივერია“ 2006 წელს გამოიცა, რომელიც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწარმოებია. წიგნი შვიდი თავისგან შედგება. ესენია: „აი, დროშა აშორდია“, „აი, რა დრო ორდარია“, „ძმანი სოლომონისანი“, „დედა შვილსა ელოდება ციხის კარებზეო...“, „დავლონებულვარ ციხესა“, „AFFAIRE ASCORDIA“ და „გაფანტული სხივები“. თითოეულ მათგანს კი ახლავს რამდენიმე ქვეთავი, ზუსტად შერჩეული სახელწოდებებით. ბიოგრაფიულ რომანში ოსტატურად, ნიჭიერადაა გადმოცემული XIX საუკუნის ცნობილი თადლითის, სოლომონ აშორდიას მღელვარე, ათასგვარად ჩახლართული ამბებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება. მას საკმაოდ კარგად იცნობდნენ იმდროინდელ რუსეთში, როგორც ყალბი საბუთების შემქმნელს, მოხერხებულსა და ავანტიურისტს. მისი შემწეობით იმდროინდელ საქართველოში, კონკრეტულად კი, სამეგრელოსა და

იმერეთში ორი ათასამდე კაცი გათავადდა ან გააზნაურდა, ტერმინიც დამკვიდრდა – „აშორდიას აზნაური“. რომანში გაცოცხლებულია ერთი საუკუნის წინანდელი ეპოქა თავისი მრავალფერადი წახნაგებით. ყველაფერი ეს მხატვრულადაა მოთხრობილი დოკუმენტების, სასამართლო საქმეების თუ მემუარების გათვალისწინებით. მწერალმა ზემომინიშნებული მასალა პროზაულ ტექსტად, ხორცშესხმულ სიტყვად აქცია და საინტერესოდ მიიტანა მკითხველამდე. აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ ცნობილი თაღლითის პორტრეტი, არამედ ის საზოგადოებრივი და სოციალური გარემო, სადაც წიგნის მთავარ პერსონაჟს მოუწია ცხოვრება. ელგუჯა თავბერიძემ ქართული პიკარესკული, იგივე თაღლითური რომანის შესანიშნავი ნიმუში შექმნა. ამ ორიგინალური ჟანრის მხატვრული ტექსტის კლასიკური ნიმუშია მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

ელგუჯა თავბერიძის მხატვრულ დოკუმენტური თხზულების – „აირევი ივერია“ წარდგინება, განხილვა თავის დროზე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მოხდა. რომანს გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი წერილები. ჩვენ მათზე ქვემოთ შევჩერდებით, თუმცა თავდაპირველად მნიშვნელოვანია თავად მწერალს მოეუხმინოთ, რათა შევიტყოთ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, სოლომონ აშორდიას პიროვნებით დაინტერესების შესახებ: „აღრე, ალბათ სტუდენტობის დროს, გალაკტიონ ტაბიძის პალინდრომი „აირევი ივერია“ რომ წავიკითხე, სოლომონ აშორდიამ, განსაკუთრებით მისმა გვარმა საოცრად მომხიბლა: უკეთესი რა უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი, გვარს შეაბრუნებ და აი დროშა-დ იკითხება, თუმცა ვერ ვხვდებოდი ივერია უკუღმა და ეს გვარი რა კავშირში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან. მრჩებოდა რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი განცდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ცისფერყანწელები აღფრთოვანებულები იყვნენ აშორდიათი, ლექსებს უძღვნიდნენ, ესეებში ახსენებდნენ, როგორც თავიანთი მსოფლმხედველობის გამჟღავნების საუკეთესო ნიმუშს. თუ ცისფერი ორდენის წევრები ეთაყვანებოდნენ, გალაკტიონმა აირევი ივერიას რატომ დაუკავშირა ეს გვარი-მეთქი, ვფიქრობდი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაბუნდოვანდა ჩემი აზრი აშორდიაზე. მიხეილ ჯავახიშვილს „კვაჭი კვაჭანტირაძე“-ში იგი პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი, აღწერილია „იჩუჩი“ სილიბისტრო კვაჭანტირაძე ყალბი საბუთებით როგორ გაააზნაურა, როგორ დალოცა, სამი დღე იქეიფა, ასაღები

აილო და გაუდგა გზას, უფრო სწორად, „აჩქარდა“ სხვათა გასათავისუფლებლად და გასააზნაურებლად მიმავალი.

ერთი სიტყვით, ერთგან სხვანაირად, მეორეგან კიდევ სხვანაირად იყო მოხსენიებული ეს პიროვნება. გალაკტიონისა და ჯავახიშვილის შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვეოდა, ცისფერყანწელთა – არა. მერე იმასაც მივხვდი, რატომ იყვნენ ეს უკანასკნელნი აღფრთოვანებულნი ამ კაცით, იგი ხომ სხვადასხვა გვარ-სახელით ჩადიოდა დანაშაულს, იყო სოლომონ აშორდია, მაგრამ ამავე დროს გრიგოლ ჟვანიაც, საროლ ჯამბატოვიც, კონსტანტინე ზახაროვიც... ესენიც თვითონ შექმნა, საბუთებიც თვითონვე შეადგინა, სხვადაცეული საკუთარი თავისა და ორეულის ესთეტიკით გატაცებულ ცისფერყანწელებს რატომ არ მოხიბლავდა. აქედან გაჩნდა ინტერესი”(თავბერიძე 2006:3).

სოლომონ აშორდიას შესახებ ცისფერყანწელთა, გალაკტიონ ტაბიძის თუ მიხეილ ჯავახიშვილის შეხედულებანი, დამოკიდებულება საკმაოდ საინტერესოა. მნიშვნელოვანია მათი დაინტერესება აშორდიათი და მათ ნაწერებში, შემოქმედებაში ამ ცნობილი ადამიანის ადგილის გარკვევა. ამაზე ელგუჯა თავბერიძე საინტერესოდ და სრულყოფილად საუბრობს ბიოგრაფიულ რომანში. აღნიშნულ საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც ითქვა, ძირითადად, ბიოგრაფიული რომანის მთავარი პერსონაჟები არიან დიდი მოღვაწეები, თავისი ცხოვრებით მისაბადი პიროვნებები, თუმცა დავინახეთ, არის მშვენიერი გამონაკლისებიც. მეორე ამის მაგალითია ელგუჯა თავბერიძის „აირევი ივერია“, რომელიც ეძღვნება თაღლით, მატყუარა ადამიანს. ამ საკითხზე თავად მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში შემდეგს აღნიშნავს: „ერთი რამ ცხადია, იმაზეც ხშირად უნდა იწერებოდეს, როგორ არ უნდა იცხოვრო, როგორ არ უნდა დახარჯო და გაფლანგო ღვთისგან ბოძებული ნიჭი სიყალბეთა ქმნაში. ამ მხრივ აშორდიას ცხოვრება მართლაც სანიმუშოა – მწერალი თუ არა, დიდებული მხატვარი მაინც გახდებოდა, მან კიდევ ორივეს საბუთების გაყალბება და ბევრი ფული არჩია”...(თავბერიძე 2006:4).

ახლა რამდენიმე ლიტერატორის, კრიტიკოსის მოსაზრება წარმოვაჩინოთ, რომელთაც საკუთარი აზრი გამოხატეს ბიოგრაფიულ რომანზე „აირევი ივერია“. საინტერესოა რუსუდან ნიშნიანძის შეფასება ელგუჯა თავბერიძის ამ ნაწარმოებზე, რომელიც რომანის განხილვისას „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ითქვა: „შემადრწუნებელი სიმართლის თქმა იცოდა კონსტანტინე გამსახურდიამ.



ჩვენში ყველა ნაბიჯგარს აზნაურობა სწადია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა. როცა ასეთი წადილი არის ერში, მაშინ დიდი ადამიანების გვერდით შესაძლოა გაჩნდნენ კვაჭების, ყვარყვარეების, აშორდიების მსგავსი ავანტიურისტებიც. ეს საქართველოს თავგადასავალია, რომელშიც ყველას თავისი როლი აქვს და ადამიანები ირგვლივ ხედავენ სიყალბეს, როცა ხდება საჭიროება, რომ მხატვრულად გაძლიერდეს აშორდიას სახე, ელგუჯა თავბერიძის ეს რომანი ძალზე დროული სათქმელია, რომელიც არაერთ საკითხზე დაგვაფიქრებს”(ნიშნიანიძე 2007:51-52).

როზა დევდარიანი მიუთითებს: „ავტორის დამსახურება სწორედ ისაა, რომ წიგნში აშორდია და აშორდიობა ეპოქის კონტექსტშია მოაზრებული. აშორდიას ჯენტლმენად მოხსენიებით იგი იმ წლების სუნთქვასა და მაჯისცემას შეგვაგრძობინებს, რომლის უმთავრესი არსიც ყოველგვარი უზნეობის კეთილშობილების საბურველში გახვევა გახლდათ; რომლის წიაღშიც ჯენტლმენებად იწოდებოდნენ თერძი, მზარეული, ლაქია... ამდენად, სათაურში მთავარი პერსონაჟის და მისი მშობელი საუკუნის შეფასებაა ჩაქსოვილი”(დევდარიანი 2007:23).

„აირევი ივერიას” განხილვაზე როსტომ ჩხეიძემ ზუსტად მიანიშნა: „როდესაც იცი, რომ ელგუჯა თავბერიძე ჰკიდებს ხელს რომანს, დარწმუნებული ხარ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც სინამდვილეშია. მწერალი არაფერს შეცვლის, არ გააყალბებს, არ შეაღამაზებს. მას შეუძლია ხელთარსებული ყველა მონაცემი მიუკერძოებლად გაიაზროს და წარმოაჩინოს პიროვნების სული. ეპოქისგან მოწყვეტილი მარტოდენ ბიოგრაფია ნაკლებად საინტერესოა, ამიტომ მწერლის ვალია, ეპოქის სულიც ადაღინოს. ელგუჯა თავბერიძემ ეს ჩინებულად მოახერხა და ამიტომაც მიმაჩნია ეს ბიოგრაფიული რომანი მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენი დღევანდელი მისა”(ჩხეიძე 2009:42).

რაც შეეხება მხატვრული ნაწარმოების სათაურს „აირევი ივერია”, მწერალმა გალაკტიონ ტაბიძის პალინდრომიდან აიღო:

„აი რა მზის სიზმარია

აირევი ივერია,

აი, დროშა აშორდია

აერების სიბერეა”(თავბერიძე 2006:6).

ელგუჯა თავბერიძემ ამგვარად გახსნა ლექსის მხატვრული კონცეფცია: „თუ თითოეულ სიტყვას ღრმად ჩავუკვირდებით, ეს სიტყვები სულაც არაა

შემთხვევით მოხმობილი, მათში რაღაც აზრია გაცხადებული. აზრი კი ისაა, რომ ივერია მართლაც აირია, აითქვიფა, აშორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა, ადვილად მისაღწევი გახდა”(თავბერიძე 2006:5). ამ ადამიანების საქმიანობის, თაღლითური, ავანტიურისტული ზრახვების გამოძახილია გალაკტიონ ტაბიძის ზემოთ ხსენებული სტრიქონები.

„ავტორი დამაჯერებლად ნათელყოფს, რომ გალაკტიონის მიერ აშორდიას გახსენება თუ „აირვის” დაკავშირება შემთხვევით არ არის და პალინდრომში ბოლშევიკების ბატონობასთან დაკავშირებული არეგ-დარევაა კოდირებული, აშორდიასდროინდელ სიტუაციასთან მისი მისადაგებაა გაცხადებული. ამ დროს ხომ ისევე განაგებდნენ ჩვენს ქვეყანას ცრუ გმირები – ეროვნებადაკარგული ბოლშევიკები, როგორც 900-იან წლებში სხვადასხვა თანხის სანაცვლოდ წოდება მიღებული აშორდიას აზნაურები”. (დევდარიანი 2007:24).

მხატვრულ ტექსტში ვკითხულობთ აშორდიას მოსწავლეობისდროინდელ პერიოდზე. მის გონებამახვილობაზე მიუთითებს ავტორის მიერ მოხმობილი შემდეგი სიტყვები: „სხვები რომ ერთ თვეს უნდებოდნენ რაიმეს სწავლას, შეთვისებას, ეს ერთ დღეში ასწრებდა. ისინი მდორედ, ზოზინით ეუფლებოდნენ სიახლეს, ეს – უცებ, სწრაფად, ღრუბელივით ისრუტავდა... მისი თანატოლები გუშინდელ ნასწავლს იმეორებდნენ, იზუთხავდნენ ხელმეორედ, ამას ნასწავლი კი არა, ყურმოკვრით გაგონილიც ახსოვდა, გონებაში ჩაკირვოდა”(თავბერიძე 2006:22). სკოლის პერიოდში ნიკოლოზის მანეთიანებს ისე ხატავდა, რომ ნამდვილისაგან, ორიგინალისაგან ძნელად თუ გაარჩევდა ვინმე.

ჩვიდმეტი წლის იყო ნიჭიერი თაღლითი, დანაშაულისკენ რომ წაუცდა ხელი, როცა რამდენიმე ადამიანი გლეხობისგან ყაღბი საბუთების წყალობით გაათავისუფლა. ეს საქმე გაიხსნა მოგვიანებით და რვა თვით ციხეში გაუშვეს. მაშინ გამოცდილება აკლდა, შემდეგ თანდათან „დაიხვეწა”. საინტერესოა მწერლის კომენტარი: „ასეთი რამ მერე თითქმის არასდროს მოხვლია. დანაშაული ჩაიდინა, ადვილად ამოსაცნობი კვალი დატოვა, მერე სუფთად მუშაობდა, თითქმის „უკვალოდ” აყაღბებდა საბუთებს” (თავბერიძე 2006:41).

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის „საქმიანობის” ზედმიწევნით სრულად გადმოცემისათვის მწერალმა მრავალი დოკუმენტური მასალა შეისწავლა და მოიხმო. გაგვაცნო სოლომონ აშორდიასა და აშორდიელთაგან გააზნაურებულ-გათავადებულ გლეხთა სიაც, რომელთა რიცხი 2000-ზე მეტი იყო.

აღნიშნულ ტექსტზე საუბრისას აღსანიშნავია კიდევ ერთი ასპექტი: მიუხედავად იმისა, რომ რომანში გარკვეული ადგილი დათმობილი აქვს წოდების მაძიებელთა ვინაობის აღნუსხვას, გვარების ჩამოთვლას, სოფლებისა და ქალაქების დასახელებას, გაცემული ქრთამის რაოდენობას, სიყალბის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოაშკარაებებს, ეს ყველაფერი არ არის მშრალი ჩამონათვალი. საგულისხმოა, რომ ელგუჯა თავბერიძეს ბიოგრაფიულ რომანში გამოყენებული აქვს სხვადასხვა ხერხი: კომიზმი, ტრაგიზმი, იუმორი, სევდა, ღიმილი, თაღლითური ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი მომენტების მრავალფეროვნება და ცოცხლად ხატავს ამა თუ იმ ეპიზოდს, რაც დიდი ინტერესით იკითხება.

ბიოგრაფიულ რომანში ზედმიწევნით, სრულყოფილადაა გადმოცემული გონებამახვილი თაღლითის თავგადასავალი და ასევე, იმ პიროვნებების საქმიანობა, რომლებიც სოლომონ აშორდიას ეხმარებოდნენ, მისი ჯგუფის „წევრებად“ იწოდებოდნენ (მწერალი მათ ასე მოიხსენიებს–ნ.ხ.) და ხალხს ყალბი საბუთების მეშვეობით აზნაურობას ან თავადობას უბოძებდნენ. ეს ადამიანები ცრუ დოკუმენტებს ქმნიდნენ, რაც წოდების მისაღებად იყო საჭირო, თანაც ყველაფერი საოცრად ჰგავდა ნამდვილს. ამის სანაცვლოდ კი გვარიან თანხას იღებდნენ. ამონარიდი: „მოსახლეობას უმტკიცებდნენ, ვითომ საუკუნეთა მანძილზე მათი წოდებრივი უფლებების დამამტკიცებელი დოკუმენტები დაკარგული იყო, არქივებში შემთხვევით აღმოჩნდა და ურჩევდნენ, ხელიდან არ გაეშვათ სანუკვარი შანსი“(თავბერიძე 2006:20).

ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ სოლომონ აშორდია ერთ დროს სამეგრელოს დროებითი მმართველობის კანცელარიაში მუშაობდა, მერე თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. მას თითქმის ყველა საბუთზე მიუწვდებოდა ხელი. რომელიმე დოკუმენტი თუ დასჭირდებოდა, მოძებნიდა ასლს და ორიგინალს დაახლოვებდა, თუმცა მხოლოდ ამ საქმით არ იყო აშორდია და მისი ჯგუფის წევრები დაკავებული. ისინი არაერთ „საციხო საქმეს“ აკეთებდნენ. რომანში მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული, ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა, ყოველგვარი შელამაზების, შეცვლის გარეშე. ავტორმა მის ხელთარსებული უხვი მასალა მიუკერძოებლად გაიაზრა, გააანალიზა, შესანიშნავად დახატა სოლომონ აშორდიას სახე და სრულყოფილად აღწერა ცნობილი თაღლითის პერიოდის საქართველო.

როგორც ელგუჯა თავბერიძე წერს, სოლომონ აშორდიას და მისი თანამზრახველების მეშვეობით, რომლებიც იყვნენ: ბესარიონ დადიანი, სიმონ ბარკალაია, გრიგოლ ბოკუჩავა, სიმონ შელია და სხვები, ძირითადად სამეგრელოს რაიონის მაცხოვრებლები, გადავიდნენ ერთი წოდებიდან მეორეში, არასასურველიდან სასურველში, თუმცა იყო საქართველოს სხვა კუთხის მოსახლეობაც.

„გეანის ბიჭის“, მისი ჯგუფის წევრების ნამოქმედარის გააზრების დროს ერთი მომენტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: იმ დროს ბრწყინვალე წოდების გარეშე, ანუ თავადი ან აზნაური თუ არ იქნებოდი, ისე ვერაფერს მიაღწევდი. უპირველესად ამით იყო გამოწვეული სწრაფვა ამისკენ და ამის შემდეგ ბევრ გლეხს გზა წინსვლისკენ გაეხსნა.

მწერალი ძალზე შთამბეჭდავად აცოცხლებს სოლომონ აშორდიას ცხოვრების არაერთ ეპიზოდს. ერთ-ერთ მათგანს ვკითხულობთ ქვეთავში „ორი აბასთუმანი“. საქართველოში ორი აბასთუმანია: ერთი – ბორჯომის მხარეში, განუმეორებელი კურორტი, რომანოვთა კუთვნილი სასახლითა და შემოგარენით, მეორე – სამეგრელოს ერთი ჩვეულებრივი სოფელი. მათი შედარება არც შეიძლება, მხოლოდ სახელები ჰქვიათ ერთნაირი. აშორდიამ გაიგო, რომ ვიღაც ფრანგ თუ გერმანელ ფრანც ფრანცის ძე პროტცერს ჩვენს ქვეყანაში საკურორტო ადგილის შეძენა სურდა. ცნობილმა ავანტიურისტმა გადაწყვიტა, ზუგდიდის მაზრის სოფელი, რომლის იმუამინდელი სრულუფლებიანი პატრონი და გამგებელი ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, დავით მინგრელსკი იყო, მიეყიდა პროტცერისათვის. ამის შესახებ მან საქმის კურსში ჩააყენა მისი მფლობელი. ელგუჯა თავბერიძე წერს: „აშორდიამ ისე შეადგინა საბუთები, რომ არსად იყო ნახსენები ეს სოფელი სად, რომელ მხარეში მდებარეობდა, მხოლოდ ის იყო ნათქვამი, მთავრის საკუთრება რომ გახლდათ და აწი პროტცერისა ხდებოდა“ (თავბერიძე 2006:53). ამგვარად, ფრანცმა შეიძინა აბასთუმანი, მაგრამ არა ის, რომელიც ეგონა. ესეც მორიგი თაღლითური ქმედება აშორდიას „მეოხებით“.

ბიოგრაფიული რომანის კვლევა გვარწმუნებს, მიუხედავად დოკუმენტური მასალის უხვად მოხმობისა, მთავარი მაინც ავტორის მწერლური ოსტატობაა, რადგან ელგუჯა თავბერიძის ხელში უბრალო მასალაც კი შესანიშნავ ქმნილებად გარდაიქმნება. ამის დასტურად გავიხსენოთ თუნდაც რომანის ქვეთავში – „გაუმარჯოს ჩვენს მოძმეს“ მოთხრობილი ერთი ეპიზოდი. ორი საუკუნის მიჯნაზე გვარიშვილობასთან დაკავშირებული ორომტრიალის

გადმოსაცემად ელგუჯა თავბერიძეს მოჰყავს მაგალითი ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ისტორიული რომანიდან „ოქროს ბეჭედი“, რომლის მიხედვითაც ერთი შტოს ჩიქოვანებს იმიტომ ვერ დაუმტკიცებიათ თავადობა, რომ მათი საბუთი თავგს სწორედ იმ ადგილას გამოეხრა, სადაც სიტყვა „თავადი“ ეწერა. ჩიქოვანებმა მრავალი მოწმობა მოიძიეს, იწვალეს, თუმცა ვერ დაასაბუთეს, რომ მათი გვარის შტო სახლთუხუცეს ჩიქოვანთა ოჯახს ეკუთვნოდა. ისინი სადეპუტატო კრებამ აზნაურებად კი სცნო, მაგრამ თავადებად არ აღიარა.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ამ გვარის წარმომადგენელი სოლომონ აშორდიას აზნაურებს თურმე ასე ექილიკებოდა: „რა გიჭირს, ჩემო ძმაო, მე ლევან დადიანის ბოძებულები თავადობა თავგმა წამართვა, შენ კი აშორდიასგან ნაყიდი აზნაურობა ხელთ გიპყრია, ჩემს ტოლად გადაქცეულხარ, ფუი ჩვენს საქმესო“ (თავბერიძე 2006:73). ამ მონაკვეთს მწერალი შემდეგნაირ კომენტარს ურთავს. ამონარიდი რომანიდან: „დადიანისგან გათავადებულები ხშირად მართლაც აზნაურებად იცნო დეპუტატთა საკრებულომ, მაგრამ პირიქითაც მოხდა – აზნაური თავადად შერაცხა, უფრო მეტიც: ზოგიერთი ნაღდი, ეჭვშეუვალი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი უსაბუთობის გამო სულაც მოქალაქედ დატოვა... თავგს აბრალებდა უგვანოდ დარჩენას, ნათავარ სიგელ-გურჯს აფრიალებდა წამდაუწუმ თავისი თავის თავადად ან აზნაურად მცნობი კაცი“ (თავბერიძე 2006:73-74).

ეს ის პერიოდია, როდესაც მდაბიოებიც ისწრაფოდნენ მაღალი წოდების მოსაპოვებლად, რადგან უამისოდ ადამიანი ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევდა.

აღნიშნული ქვეთავი შეიძლება ითქვას, ერთი გამორჩეული ადგილია რომანში, კარგად და ნიჭიერად დაწერილი.

არანაკლებ მიმზიდველად მოგვითხრობს ავტორი აშორდიას მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ დატრიალებული სერიოზული მაქინაციების შესახებ. მკითხველისთვის გასაგები ხდება, როგორ დაუმტკიცა სოლომონმა უშიშლიძისგან გადაგებული ბაქოელი ბენდიანის ქონება მის ვითომც მემკვიდრეს, როგორ გაიტანა რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებიდან 110 000 მანეთი სამი დღის განმავლობაში; როგორ დაწერა ბაქოს ციხეში საკუთარი გათავისუფლების ბრძანება და გარეთ გასული როგორ დაემუქრა ზედამხედველს, ჩემს უდანაშაულოდ დაჭერას გაუსაჩივრებლად არ დავტოვებო...

იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, ბევრჯერ თავი დაიძვრინა იქიდან. მან იმპერიის თითქმის ყველა საპყრობილე ინახულა. ის იყო ქუთაისის, ბაქოს, ხარბინის, ომსკის, ვლადივოსტოკის და კიევის ციხეში. თითოეულ აქ დასახელებულ ქალაქში სხვადასხვა სახის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ამასთან დაკავშირებით, ავტორი საოცარი ირონიით წერს:

„უბილეთოდ მეზავრობდა პატიმარი აშორდია“(თავბერიძე 2006:255).

სოლომონის დასახასიათებლად, მისი პიროვნების წარმოსახენად ზუსტადაა შერჩეული ცალკეული ფრაზებიც. ელგუჯა თავბერიძე შესანიშნავად ხატავს აშორდიას პორტრეტს. ამონარიდი რომანიდან: „იცოდა, რა დროს რა ეთქვა, სიტუაციის დარად როგორ მოქცეულიყო, რა გაემხილა, რა დაემალა, რისგან რა გამორჩებოდა. დანაშაულისთვის ბევრჯერ თავარიდებულს ყოველივე გაზომილ-აწონილი ჰქონდა და მოქმედებდა ამ პრინციპით“(თავბერიძე 2006:204).

ახლა ყურადღებას გავამახვილებთ ბიოგრაფიული რომანის შემდეგ თავზე: „კვაჭი და სოლომონი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვაჭი კვაჭანტირაძის მხატვრული სახის ერთ-ერთი პროტოტიპია სოლომონ აშორდია, რაკიდა რომანში „აირევი ივერია“ ავანტიურისტული პერსონაჟის ბიოგრაფია დეტალურადაა აღდგენილი, ავტორი ძალდაუტანლად ადარებს მის ცალკეულ ეპიზოდებს მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების გმირის ცხოვრებასთან: კვაჭი აზოვის ბანკის როსტოვის განყოფილებაში ყალბ პასპორტს და ჩეკს რომ წარმოადგენს, თბილისის ბანკის ანგარიშებით ამ კაცს გარკვეული რაოდენობის თანხა უნდა გადაუხადოთო, ეს აშორდიასთვის ჩვეული ხერხია. მას რუსეთის იმპერიის მრავალი ქალაქის არაერთი ბანკიდან თაღლითური გზით გამოჰქონდა ფული. კიდევ ერთი მომენტი: კვაჭი ლონდონში თითქმის ისევე იქცევა, როგორც სოლომონი ალექსანდროვის ბაღის გაყიდვისას – იქმნის მდიდარი, გავლენიანი კაცის იმიჯს და მასთან გარიგებასაც ადვილად დაყაბუღდებიან. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში ასევე, გაცოცხლებულია შემდეგი ეპიზოდი: კვაჭანტირაძე ვაჭრებს პირდებოდა, როგორც სარეკლამაციო სამხედრო საბჭოს წევრი, დაგეხმარებით საქონლის გაყიდვა-გასაღებაში და ის საქონელი ოქროდ, თვალ-მარგალიტებად რომ იქცევა, მას თითქოს ხელისუფლებისგან მოსდის ბრძანება: მოხდეს ოქროს რეკვიზიციაო, ეს თაღლითური სქემა ზუსტად ჰგავს ხარბინში დატრიალებული სოლომონის ნამოქმედარს; დეტალების მიუხედავად, მისი ხელწერის მსგავსება თვალნათელია.

აქ შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ მხატვრულ სახეში შერწყმულია ორი განსხვავებული, საპირისპირო ხასიათის ადამიანი და „კვაჭი კვაჭანტირაძის” ამ პერსონაჟის ერთ-ერთ პროტოტიპად სოლომონ აშორდიაც თვალნათლივ დასტურდება.

როგორც უკვე მივუთითეთ, ცისფერყანწელები აღფრთოვანებულები იყვნენ სოლომონის ცხოვრების წესით და პიროვნებით, მასში ხედავდნენ „ნიღბების ცვლას” და ეს იტაცებდათ, ლექსებს უძღვნიდნენ, ესეებში მოიხსენიებდნენ, როგორც თავიანთი მსოფლმხედველობის გამჟღავნების საუკეთესო ნიმუშს. ამის თაობაზე ნაწარმოებში მწერალიც ამახვილებს ყურადღებას და მოჰყავს ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკული სტრიქონები, ასევე ამონარიდები სანდრო ცირეკიძის ერთ-ერთი ესეიდან, სადაც აშორდიაა შექმნილი, შეიძლება ითქვას, გაიდიალებულიც კია. საინტერესო და მნიშვნელოვანია ავტორის მიერ ამ ფაქტის შეფასება. ელგუჯა თავბერიძე წერს: „ცისფერყანწელები არა მარტო პოეტთა, სხვების ბიოგრაფიებსაც ეცნობოდნენ, აკვირდებოდნენ და თავიანთ ესთეტიკურ ნააზრევს უსადაგებდნენ. სოლომონ აშორდიაც ერთ-ერთი ამათგანია: ორეულებით, უგვანოთა გააზნაურებით, ვითომ ახალი სინამდვილის შექმნით ცისფერყანწელთათვის საინტერესო გვარ-სახელი” (თავბერიძე 2006:308).

საყურადღებოა რომანის ფინალიც. აქ საგანგებოდაა გამოკვეთილი გვარიშვილობისკენ სწრაფვის პარადოქსული დასასრული: როცა დრო შეიცვალა და ბოლშევიკებმა წარჩინებულთა დევნა-შევიწროება დაიწყეს, ბევრს აღარც სურდა გაემხილა თავისი წოდებრივი მდგომარეობა. ელგუჯა თავბერიძე ხატავს იმ პერიოდს. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან:

„ბოლშევიკებმა თავადაზნაურთა განადგურება რომ წამოიწყეს, მაძიებელ აზნაურად შერაცხულმა გლეხმა იმის გარკვევა მოისურვა, მართლა გახდა თუ არა მამამისი აზნაური, შეიტყო, რომ ექებდა, მაგრამ ვერ გახდა, გაეხარდა არა იმიტომ, რომ სიმართლემ გაიმარჯვა, არა, საკუთარი თავი ახლა ბოლშევიკთა კლანჭებისგან უნდა დაეხსნა – თავადაზნაურობას, როგორც კლასს რომ ანადგურებთ, მე არ გახლავართ მასეთი, გლეხი ვარ და მხარს გიჭერთ, თანაგიგრძნობთ მათ ხოცვა-ჟლეტაშიო”. აქვეა ისევ მწერლის ზუსტი კომენტარი: „ასე იცვლებოდა დროება. ესეც აირვეი ივერია გახლავთ”(თავბერიძე 2006:316). ცნობილია, იმ დროს საქართველოში ისტორიული თვალსაზრით მძიმე პერიოდი იყო. ბოლშევიკებმა მმართველობაში მოსვლისთანავე დიდგვაროვნების

განადგურება დაიწყო. ძველმა თავად-აზნაურობამ ფარ-ხმალი დაყარა, ვეღარ თავადობდნენ და ვეღარც აზნაურობდნენ.

ზოგადად წარმოადგენთ ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეს. ჩვენ მოვიხმობთ ამონარიდებს, სადაც დასტურდება მხატვრული სახეების: შედარებების, მეტაფორებისა თუ ეპითეტების გამოყენება: „ერთი სიტყვით, დაბერილი ჰაერი – ასაკდატყობილი თავადაზნაურობა ვეღარ პატრონობდა სამშობლოს”(თავბერიძე 2006:5). სხვა მაგალითი: „1900 წელი მიიწურა, ახალი საუკუნე, ახალი ასწლეული ჩამოდგა, გათენდა. აშორდიელთათვის ჩამოღამდა, ჩამობნედა, რომ ეგონათ, გაამართლა აფიორამ, თავადაზნაურთა საკრებულომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება, აწი ვინდაა ამ საბუთების მომძებნი და შემმოწმებელიო, სწორედ მაშინ გამჟღავნდა ყველაფერი. როგორც იტყვიან, ძროხის კუდზე გადატყდა დანა”(თავბერიძე 2006:119).

ელგუჯა თავბერიძის რომანში თოვლიანი ქუთაისის ბულვარის პეიზაჟი ასეა დახატული: „1900 წელია. 21 იანვარი. თეთრადაა გადაპენტილი ქუთაისი. ხან თოვს, ხან ცრის, წამოუშენს, მოყინულ თოვლს ააბორბოლებს, დაატრიალებს, ჩაწყნარდება, მერე ისევ აათოვლიანებს. ბულვარში უმეტესი ხე მარადმწვანეა, შუა ზამთრის ოდნავ ჩამუქებული მწვანე ფერი ჭიატობს თოვლში...

ვინმე სალდაძე, მცველ-ყარაული ბულვარისა, ყველაფერს აკვირდება, ზომავს, წონის. სისხამი დილაა, სიცვიემომატებული, გამყინავი, ცოტა ხალისიანი, უფრო გამთოშავი. ბულვარი დუმს, ზამთრის სიწყნარით ჩაჩუმებულია, გაზაფხულისპირს აჟრიაშულდება, გაცოცხლდება”(თავბერიძე 2006:9).

ელგუჯა თავბერიძის ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებში მხატვრული ხერხები გაცილებით მწირადაა წარმოდგენილი, ვიდრე ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანში” ან ვახტანგ ჭელიძის პროზაულ ტექსტში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა”. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ თხზულებაში „აირევი ივერია” დოკუმენტური მასალის მოწოდებას დიდი ადგილი ეთმობა. თუმცა, როდესაც ავტორი მათ მიმართავს, მკვეთრად ვლინდება ბიოგრაფოსის მწერლური ინდივიდუალობა და ოსტატობაც.

ელგუჯა თავბერიძის „აირევი ივერია” ქართული თანამედროვე მწერლობის საყურადღებო შენაძენია. შემოქმედმა მისი სახით შესანიშნავი



ბიოგრაფიული რომანი შექმნა, სადაც წარმატებით დახატა სოლომონ აშორდიას პიროვნება და ამასთან ერთად, დაუფარავად აღწერა ცნობილი ავანტიურისტის პერიოდის საქართველო, ის საზოგადოებრივი და სოციალური გარემო, რომელშიც რომანის მთავარ პერსონაჟს მოუწია ცხოვრება.

სოლომონ აშორდიას ცხოვრების შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ტული აშორდიას წიგნი „სოლომონ აშორდია – ზუგდიდელი ქართველი ავანტიურისტის თავგადასავალი“. ის 2009 წელს დაისტამბა.

წიგნის „სოლომონ აშორდია – ზუგდიდელი ქართველი ავანტიურისტის თავგადასავალი“ შემდგენელ-გამომცემლის მალხაზ აშორდიას მითითებით: „წარმოდგენილი გამოკვლევა, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დაწერილია სოლომონის ძმისშვილის, ტული მიხეილის ძე აშორდიას მიერ გასული საუკუნის სამოციან წლებში. იმ დროს მისი გამოქვეყნება შეუძლებელი იყო გასაგები მიზეზების გამო. ამიტომაცაა, რომ წარმოდგენილი მასალა ოთხ ათეულ წელზე მეტია ვერ იხილა ქართველმა მკითხველმა. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სოლომონის შესახებ გავრცელდა და გამოქვეყნდა პრესის ფურცლებზე მრავალი არასწორი ინფორმაცია – ჭორი და ლეგენდა. მიხანი ჩვენი ძალისხმევითა სწორედ ისაა, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით მიიღოს უტყუარი ინფორმაცია სოლომონ აშორდიას შესახებ..“

ამ წიგნის პირველი ვარიანტი გადამუშავებულ იქნა ჩვენ მიერ, გარკვეული კორექტივებითა და დამატებებით”(აშორდია 2009:3).

ტული აშორდია თაღლითის ძმისშვილი გახლდათ. წიგნი ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათისაა და მოთხრობილია მსოფლიოში ცნობილი ყაღბისმქმნელის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება და საქმიანობა. ნაშრომი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ავტორმა მოიძია ავანტიურისტის ყველა სასამართლო პროცესის დოკუმენტური მასალა თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, უფის, ბაქოს და სხვა ქალაქების არქივებში დაცული, გაეცნო იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესას, რომელიც ეხმიანება სოლომონსა და მის საქმეებს. ისინი საკმაოდ ბევრია, ეს არცაა გასაკვირი, რადგან აშორდია თავისი საქმიანობით მუდამ იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. ავტორმა თითქმის სრულად მოიხმო ფაქტიურად არსებული მასალა, რაც გაზეთებში, ჟურნალებშია დაბეჭდილი, იქნება ეს: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ცხოვრების სარკე“, „სახალხო გაზეთი“,

„დროება“, „მომავალი“, „მეოცნებე ნიამორები“, „მნათობი“, „ჩვენი მწერლობა“ და სხვა ქართულ, რუსულ პრესაში გამოქვეყნებული. აქვე უნდა მივითითოთ, რომ ავტორმა უყურადღებოდ არ დატოვა სოლომონ აშორდიას შესახებ ქართულ პოეზიასა და მხატვრულ პროზაში არსებული დიდი მასალა და ბიბლიოგრაფიის სახით მოგვაწოდა; ამასთანავე, ტული აშორდიამ თავი მოუყარა სოლომონ აშორდიაზე არსებულ ნათესავეებისა და თანამედროვეთა მოგონებებს და მის წერილებსაც. აქ სოლომონ აშორდიას პიროვნება, ერთი ნიჭიერი ქართველისა, წარმოჩენილია დადებითი და უარყოფითი მხარეებით, „რომელმაც თავისი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა ჭეშმარიტი მიმართულებით“(აშორდია 2009:134).

მნიშვნელოვანია, რომ მალხაზ აშორდია ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანზეც მოკლედ, თუმცა კარგად წერს. საყურადღებოა შემდეგი ამონარიდის მოტანა: „ამ ბოლო დროს გამოვიდა ელგუჯა თავბერიძის შესანიშნავი წიგნი „აირევი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“. ავტორი, კარგი გაგებით, შეყვარებულია ამ წიგნის გმირზე, ისტორიულ-დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, მაღალმხატვრული ფორმით საინტერესოდ გადმოგვცემს სოლომონის ცხოვრებასა და საქმიანობას“...(აშორდია 2009:11).

ამდენად, როგორც დავინახეთ სოლომონ აშორდიას პიროვნება საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევდა, როგორც მეოცე საუკუნეში, ასევე დღევანდელ თანამედროვე საზოგადოებაშიც, ამის მთავარი მიზეზი მისი ცხოვრება, საქმიანობა გახლდათ.

## თავი VI

### როსტომ ჩხეიძის „ბედი პავლე ინგოროყვასი“

როსტომ ჩხეიძე – მწერალი და მკვლევარი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ხელმძღვანელი, ავტორია ორმოცდაათამდე მონოგრაფიისა, მათგან თხუთმეტი ბიოგრაფიული რომანისა: ალექსანდრე ორბელიანზე, ელიზბარ ერისთავზე, იასე ფალავანდიშვილზე, იაკობ გოგებაშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, არჩილ ჯორჯაძეზე, შიო არაგვისპირელზე, პავლე ინგოროყვაზე, ოთარ ჩხეიძეზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მიხაკო წერეთელზე, ალექსანდრე ბატონიშვილზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, გურამ დოჩანაშვილსა და და რევაზ გაბაშვილზე. ასევე, მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნარკვევი, ლიტერატურული სტატია, ქართული და უცხოური (უმთავრესად ინგლისური და ამერიკული) მწერლობის თემატიკაზე, რელიგიისა და საქართველოს ისტორიის უმწვავეს პრობლემებზე. მათი ერთი ნაწილი შესულია წიგნებში: „ბილიკები“, „ირლანდიური მელოდიები“, „მზის ამოსვლის წინ“, „როცა შვიდნი ვართ“, „იდუმალ წამთა ათინათი და სხვა ესეები“. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას მიეძღვნა მისი ორი წიგნი, საერთო სახელწოდებით „დაწყველილი თაობა“- 1942 წლის შეთქმულებასა და სამანურ მოძრაობაზე. ასევე, თარგმნილი აქვს (პაატა ჩხეიძესთან ერთად) ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ლიტერატურული და პოლიტიკური ესეები, ნოველები, ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“, კურტ ვონეგუტის პიესა.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები უმთავრესად მოიცავს XIX-XX საუკუნეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების პანორამას. მწერლის აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებებში გათვალისწინებულია საარქივო დოკუმენტები, რეალური ფაქტები და თანამედროვეთა მოგონებები. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანებში დახატულია არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟის ცხოვრების გზა, არამედ წარმოჩენილია ისტორიული სინამდვილე, ეპოქა, რომელშიც არაერთი ცნობილი პიროვნება მოღვაწეობდა.

ქართველი მკითხველი მრავალ ბიოგრაფიულ რომანს როსტომ ჩხეიძის ავტორობით გაეცნო. თითოეული მათგანი გამორჩეული და საინტერესოა პერსონაჟებით, გეოგრაფიული სივრცით და იმ ისტორიული მოვლენების არეალით, რომელშიც გმირები მოქმედებენ. ერთი ნაშრომის ფარგლებში

შეუძლებელია ამ რომანების სერიოზული განხილვის წარმოდგენა. ამდენად, ზედაპირულ მსჯელობას რომ ავარიდოთ თავი, ჩვენ გამოვყავით სამი განსხვავებული ბიოგრაფიული რომანი, ვგულისხმობთ მთავარი პერსონაჟებით განსხვავებულს – მეცნიერი პავლე ინგოროყვა, პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი და მწერალი შიო არაგვისპირელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამორჩეულ გაანალიზებას ითხოვს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მიხეილ წერეთელზე, რევაზ გაბაშვილზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანები, რომლებშიც მოქმედება იშლება საქართველოში, შემდეგ უკვე უცხოეთში ანუ ემიგრაციაში.

ბიოგრაფოსის შემოქმედების შესახებ თავის საინტერესო დაკვირვებას წარმოაჩენს სალომე კაპანაძე: „როსტომ ჩხეიძისთვის სახელმძღვანელო ჭეშმარიტებაა, რომ ისტორიულ პირთა ფენომენი ეპოქისეული სულიერი განწყობილებებით, ტრაგიზმითა და მისიით ერის თვითგახსნისა და სასიცოცხლო რესურსის კონცენტრაციისათვის უდიდეს როლს თამაშობს. ამ ჭეშმარიტებაზეა აგებული მისი თითოეული მხატვრული ტექსტი, რომელიც თავისი მხატვრული და ეროვნული მნიშვნელობით დროის მიღმა დგას“ (კაპანაძე 2012:2).

გასათვალისწინებელია გონა კუჭუხიძის შეფასება როსტომ ჩხეიძის რომანებზე: „როსტომ ჩხეიძე თავისთვის უსაყვარლეს პიროვნებაზე წერისას მის სისუსტეებსა და შეცდომებსაც წარმოაჩენს, რადგან იცის, რომ შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს, მწერალს სულიერი სიღრმეები აინტერესებს, ცდილობს, ჩაწვდეს ამ სიღრმეებს, იგი პიროვნებისადმი ინტერესს აღვიძებს, ამ ენერგეტიკითაა დაწერილი მისი ბიოგრაფიული რომანები“ (კუჭუხიძე 2009:47).

პავლე ინგოროყვას ცხოვრება და შემოქმედება დიდი სიყვარულით, ცოდნითა და ერუდიციით აქვს წარმოდგენილი როსტომ ჩხეიძეს წიგნში „ბედი პავლე ინგოროყვასი“.

პავლე ინგოროყვა გახლდათ ქართველი მეცნიერი. ის 1912-1915 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქციის განყოფილების გამგე. იგი რედაქტორობდა ჟურნალ „კავკასიონს“, „სვეტიცხოველს“. მან დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი“. პავლე ინგოროყვა განაგებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას.

მისი ფუნდამენტალური ნაშრომი „ძველი ქართული სასულიერო პოეზია VIII-X საუკუნეებისა“ ქართული სასულიერო პოეზიის შესწავლისა და გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. მეცნიერის გამოკვლევები ჩვენი მწერლობის, კულტურის, ისტორიის საკითხებზე იბეჭდებოდა სხვადასხვა კრებულსა და პერიოდულ ორგანოში: „ძველი საქართველო“, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, „ენიმკის მოამბე“, „კავკასიონი“, „მნათობი“.

პაველე ინგოროყვას მნიშვნელოვან ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ ფაქტობრივად განხილულია V-X საუკუნეების ქართული სასულიერო პოეზია, გამოქვეყნებულია მანამდე უცნობი პოეტ-ჰიმნოგრაფების თხზულებანი. მან ჩვენს ლიტერატურაში აღმოაჩინა ეგრეთწოდებული, რიტმული პოეზიის ნიმუშები, სცადა ძველი ქართული სანოტო სისტემის გაშიფვრა.

მკვლევარმა ორჯერ გამოსცა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. იგი ავტორია მონოგრაფიებისა: „რუსთაველიანა“, „შოთა რუსთაველი“, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „აკაკი წერეთელი“, „ილია ჭავჭავაძე“. მან დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული, ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის თხზულებანი. მისივე რედაქტორობით დაისტამბა გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, ასევე „ჩვენი საუნჯის“ VI ტომი. იგი თანარედაქტორია „შაჰნამეს“ II ტომის, „ვისრამიანის“ და „ქილილა და დამანას“ გამოცემებისა. მან დაბეჭდა ორი მცირე მოცულობის, თუმც მნიშვნელობით უადრესად აქტუალური ნაშრომი: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ და „კავკასიონის ქვეყნების ტერიტორიული გამოიჯვნის გამო“. ამასთანავე, მის კალამს ეკუთვნის არაერთი სხვა საინტერესო გამოკვლევა.

დიდ ქართველ მეცნიერზე სხვადასხვა წლებში დაწერილია არაერთი წერილი, ესე, მოგონება... ახლა სწორედ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„პაველე ინგოროყვა ღრმა ცოდნაზე დაფუძნებული დიდი ნიჭიერებით, მეცნიერული პრინციპულობით, მამულიშვილური იდეალების თავგადაკლული, ფანატიკური მსახურებით, XX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელების და სულხან-საბას ტაბის მოღვაწედ წარმოგვიდგება“, – აღნიშნავს კრიტიკოსი თეიმურაზ მადლაფერიძე წიგნში „მარად აწმყო“(მადლაფერიძე 2003:361). სწორედ ამიტომ იყო, რომ ოციანი წლების ქართულ კულტურულ წრეებში იგი

განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. მას უსმენდნენ, მისი სჯეროდათ, ზოგჯერ კი, პოეტური შთაგონების წყაროდაც გადაიქცეოდა ხოლმე, ამის დასტურია პაოლო იაშვილის ლექსი „პავლე ინგოროყვას“(1921 წელი):

„გადამეტებით, ტანჯულ დღეებით  
წარსული ჰკივის უკუღმართული:  
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით  
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.  
საუკუნენი ცხელ თავანებით  
ჩვენი სამშობლოს მზეში დნებიან,  
მაგრამ ჯერ კიდევ ქარავანები  
სცლიან ოქროებს ძველ მადნებიდან.

მიწა მსუქანი სისხლის დაღვევით  
შენ შეგვათვისე იმედიანი,  
და გულში გივლის მკივან ალივით  
შენ რუსთაველის მერიდიანი.  
ძმავ ინგოროყო! ჩვენება არი და  
ტკბილის ტანჯვით მოსაგონები  
მწველ ინდუსტანში ქართველი ჯარი  
და ტრაპიზონში გარნიზონები.  
დაგვიბრუნდება ეს ნეტარება  
ამაყ დღეების გადაჩვეულებს?  
თუ პოეზია შეედარება  
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს?  
ძმავ ინგოროყო! პოეტო ადრე  
და მერმე დარდო წარსულ დიდების:  
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს  
და სისხლს-დაპყრობა პირამიდების” (იაშვილი

1961:87).

გუგუელი მგელაძემ 1990 წელს გამოსცა წიგნი „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა წმინდა სახება“. ნაშრომში წარმოჩენილია პავლე ინგოროყვას პიროვნება. ავტორმა უხვად გამოიყენა ჭეშმარიტი მამულიშვილის, მეცნიერის მეგობრების წერილები, მოგონებები, ნაწერები, რომელთა მეშვეობითაც მისი შესანიშნავი

პორტრეტი გამოკვეთა. იგი შემდეგს მიუთითებს: „ეს არის პირველი ცდა იმის ჩაწერისა, რისი მომსწრეც ვარ. რაც გადმოცემით ვიცი, რაც ზეპირად მახსოვს, რაც უცებ მაგონდება დიდი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან. ზოგჯერ ყოფითი ხასიათის დეტალიც ხატავს პიროვნების სახეს, სრულყოფს მის პორტრეტს.

მინდა ყველაფერი დოკუმენტური სიმართლით გიამბოთ, რაც წლების მანძილზე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში... ყოველგვარი ქრონოლოგიის გარეშე, ისე, როგორც მაგონდება”(მგელაძე 1990:4).

წიგნში გაცოცხლებულია მისი სხვადასხვა ცხოვრებისეული ეპიზოდი. აქვე საუბარია იმ თბილ ურთიერთობაზე, პატივისცემასა და სიყვარულზე, რაც პავლე ინგოროყვას კონსტანტინე გამსახურდიას, ექვთიმე თაყაიშვილსა და სიმონ ყაუხჩიშვილს ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ. ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი პავლე ინგოროყვა, როგორც მეცნიერი, მწერალი, პატრიოტი ადამიანი, მეგობარი, პაპა. ამ ყველაფერზე დამაჯერებლად წერს ავტორი.

1979 წელს პავლე ინგოროყვას 85 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით გრიგოლ აბაშიძემ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო” გამოაქვეყნა წერილი: „დიდი შემართება, ფართო ინტერესი”. ის შესანიშნავად მსჯელობს მეცნიერის დვაწლზე, შრომებზე, წიგნებზე და ხაზგასმით მიუთითებს: „პავლე ინგოროყვა თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ემსახურება მშობლიურ მწერლობასა და მეცნიერებას. იგი არის სქელტანიანი ტომების ავტორი, რომელთაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი. გასაოცარ ფანტაზიასა და ადლოსთან ერთად მას აქვს მაღალი მწერლური ნიჭი. იგი შესანიშნავი სტილისტია და ყველაფერი, რაც დაუწერია, მუდამ შეუნელებელი ინტერესით იკითხება... პავლე ინგოროყვა ფართოდ განათლებული, მრავალმხრივი ინტერესის მქონე მოღვაწეა. მას მარტო წარსულით არ უცხოვრია და ყოველთვის თავისი თანამედროვეობის შუაგულში ტრიალებდა”(აბაშიძე 1979:3).

რევაზ თვარაძე პავლე ინგოროყვას 85 წლის იუბილეს გამოეხმაურა წერილით „პავლე ინგოროყვა”. ავტორი საინტერესოდ განიხილავს მეცნიერის წიგნებს და ზუსტ აქცენტებს აკეთებს მის დვაწლთან დაკავშირებით. ამონარიდი: „მეოცე საუკუნის ქართული კულტურის ისტორია რომ დაიწერება, მემატიაზე უეჭველად ხანგრძლივ მზერას შეაჩერებს ერთ უნიკალურ

პიროვნებასა და მეცნიერზე, რომლის ღვაწლის სრულად შეცნობა მომავალ თაობათა ხვედრია”(თვარაძე 1979:105).

1983 წელს შეუსრულდა პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 90 წელი და იმავე წელს გარდაიცვალა. ამ თარიღებს სხვადასხვა მწერალმა, ლიტერატორმა მიუძღვნა წერილები. ესენი გახლავთ: ოთარ ჩხეიძე, გიორგი ნატროშვილი, რევაზ მარგიანი, ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ჯავახიძე, ნოდარ დუმბაძე, სერგო კლდიაშვილი, მამუკა წიკლაური, ლევან ბრეგაძე, თეიმურაზ დოიაშვილი, როსტომ ჩხეიძე და სხვანი. ეს ადამიანები იზიარებენ, რომ პავლე ინგოროყვა იყო უდიდესი ქართველი მეცნიერი, რომელიც თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა ქართულ კულტურას, მწერლობას, რომლის დამსახურებაცაა ქართული ლექსთწყობის განვითარება, ძველი ქართული პოეზიის შესწავლა, რუსთველოლოგიის ჩამოყალიბება, დაფუძნება, XIX საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის კვლევა, პოპულარიზება, ჩვენი ეროვნული, მნიშვნელოვანი ხელნაწერების მოვლა-გამოცემა.

გურამ ასათიანმა ბრწყინვალედ წარმოაჩინა პავლე ინგოროყვას პორტრეტი ერთ პატარა ესეში, სადაც იგი წერს: „პავლე ინგოროყვას რომ მეცნიერის უმძიმესი უღელი არ ამოერჩია, მისი ელვარე ნიჭი მაინც გამონახავდა რაიმე ისეთივე სიმძიმეს, ასეთსავე კეთილშობილურ ტვირთსა და ადრე თუ გვიან, მაინც აიტანდა ამ ახალ აღმართზე, მისი მამოძრავებელი მუდამ ერთი იყო: ქართველი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოსხივებული სასწაულმოქმედი ენერჯის, მისი საკაცობრიო კულტურული წვლილის მთელი სიდიადით წარმოჩენა”(ასათიანი 1983:115).

ის, როგორც მეცნიერ-ფილოლოგი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი ფრიად უნიკალური ფენომენი გახლდათ, მისი სამეცნიერო შრომები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ განხილული და შეფასებული, ასევე, გამოსაქვეყნებელია ლიტერატორის ზოგიერთი გამოკვლევა.

„ბედი პავლე ინგოროყვასი” ავტორმა თავდაპირველად 1994 წელს გამოსცა, 2003 წელს კი მისი შევსებული გამოცემა დაისტამბა. „ამ ბიოგრაფიული რომანის პირველი გამოცემისას უკვე მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოიკვეთა XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის პორტრეტი, იმ პავლე ინგოროყვასი, ვისი ცხოვრებაც უშუალოდ გადაჯაჭვოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, როგორც ინტელექტუალურს, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურს. ამ რომანის გმირი უკვე



მაშინ წარმოსახებოდა სიმბოლოდ ზნეობრივი მოღვაწეობისა, იმის ნიმუშად, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი გაუსაძლისი პირობებიც კი, რომელსაც შეეძლოს ჩაკლას სწრაფვა ამადლებულისაკენ, იმ სულიერი ღირებულებებისაკენ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კაცობრიობის ცხოვრება”, – შენიშნავს წიგნის რედაქტორი ოთარ ჩხეიძე(ჩხეიძე ო. 2003:2).

როსტომ ჩხეიძის ნაწარმოებზე „ბედი პავლე ინგოროყვასი” ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა, მას აღფრთოვანებით შეხვდა ქართველი მკითხველი.

წიგნის მეორე გამოცემა შევსებულია მემუარული ჩანაწერებით, ეპისტოლეებითა თუ სხვადასხვა დოკუმენტური მასალით, რამაც მნიშვნელოვანწილად, სრულად წარმოაჩინა გამორჩეული მოღვაწის, პავლე ინგოროყვას ბიოგრაფიაც და მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-ისტორიული ფონიც.

„ბედი პავლე ინგოროყვასი” ოცდაცამეტი თავისგან შედგება. ეს არის მრავალპერსონაჟიანი, ისტორიულ-დოკუმენტური ფაქტებით გაჯერებული ბიოგრაფიული რომანი, რომელიც არაერთ საზს აერთიანებს და მხოლოდ პავლე ინგოროყვას პიროვნებით და მოღვაწეობით არ შემოიფარგლება.

ლიტერატორ ლელა ოჩიაურის შეფასებით: „როსტომ ჩხეიძის ამ რომანში არაფერია ილუზორული, წარმოსახული, გადაჭარბებული. ავტორს მოჰყავს ის „საეჭვო”, ლეგენდადქცეული, ხალხის სურვილით ფრთაშესხმული, საზგასმულად გმირული საქციელის, თუ ნათქვამის ამსახველი ფაქტებიც კი, მაგრამ ამტკიცებს, იმას, რომ რაც პავლე ინგოროყვამ ქართველი ერისთვის გააკეთა, შელამაზება არ სჭირდება”(ოჩიაური 2004:9).

დოკუმენტალიზმის მიუხედავად, ესაა ცოცხალი, ემოციითა და მხატვრული ენით დაწერილი რომანი, რომელიც საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ბედის ხორცშესხმულ სურათად წარმოსდგება. ნაწარმოებში თავმოყრილია მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთი ეპიზოდი, რომელიც მწერლის მიერ ეპიგრაფად წამძღვარებულ გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებში ზუსტად იკვეთება:

„ეშვება ფერი ბინდის,  
ზღვა შლის წვიმების ფანტელს,  
მიყვარ მხოლოდ სინდისს  
მხოლოდ სიმართლის კანდელს”.

ჭეშმარიტად, მკვლევარის მთელი სიცოცხლის გზა მხოლოდ სინდისითა და სიმართლის კანდელით სვლა იყო.

„ყვავ-ყორნებივით დამესივნენო, ესღა უთქვამს, შინ რომ მობრუნებულა... ბევრად და ბევრად უარესებიც გადაეტანა, მაგრამ ეს უამური რაღაცით მაინც სხვა იყო. ბედისწერას წინ ვედარაფერი აღუდგებოდა: ვერც მისი ხასიათის სიმტკიცე, ვერც ნებისყოფა, ვერც ინტელექტი, ვერც სულიერი თავისუფლება, ვერც თავგამეტების უნარი... არა, ბედს მაინც არ შეურიგდებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ ამო მცდელობა და სულ უფრო და უფრო რეალურად შერჩებოდა ხელთ გატეხილი და გაბიაბრუებული სახელი”(ჩხეიძე რ. 2003:3). ამ ეპიზოდით იწყებს თხრობას როსტომ ჩხეიძე, შემდეგ საწყისს უბრუნდება და პავლე ინგოროყვას ბიოგრაფიას აცოცხლებს, აჩვენებს მის სამყაროს, რომელშიც მართლაც წამებულ მამულიშვილს მოუწია არსებობა.

ექვთიმე თაყაიშვილის, თავისი მოძღვრისა და სულიერი მეგობრის მზრუნველობით, პავლე ინგოროყვა პეტერბურგში წავიდა განათლების მისაღებად, სადაც იგი სწავლობდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ნაწარმოებში მწერალს მოტანილი აქვს საქართველოს მოჭირნახულე, დიდბუნებოვანი პიროვნების მიერ ნიკო მარისთვის მიწერილი ბარათის ფრაგმენტი, რომელიც პავლე ინგოროყვას დიდ ნიჭიერებაზე, გონიერებაზე მიუთითებს. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან: „სექტემბრისთვის ერთ სტუდენტს გამოგიგზავნით ინგოროყვას, – წინასწარვე მიუხარებია ნიკო მარისთვის ბარათში, – სწორედ გვასახელებს, ისეთი ნიჭის პატრონია, მაცადინი და მუშაკი... ამან თუ ფილოსოფიური სწავლა მიიღო, შესანიშნავი მკვლევარი იქნება და შენი ადგილი მარტო მაგას შეეძლება დაიჭიროს”(ჩხეიძე რ. 2003:66). დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებს. როგორც დავინახეთ, მან არ დაიშურა საქებარი სიტყვები პავლე ინგოროყვაზე და ამასთანავე, ვარაუდი გამოთქვა, შენი ადგილი შეიძლება დაიკავოსო.

გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პავლე ინგოროყვას, დიდტანიანი გამოკვლევების შემქმნელს, არანაირი ჯილდო, წოდება თუ სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონია. ეროვნული მრწამსი, გზა, რომელიც თვითონ აირჩია, პირწმინდად გამორიცხავდა თვითმპყრობელური რეჟიმის ეპოქაში მისი ღვაწლის დაფასებას ოფიციალური წრეების მხრიდან, ხელისუფლება მხოლოდ დევნა-შევიწროებით აჯილდოებდა, რასაც გაუთავებლად განიცდიდა და როსტომ ჩხეიძე წერს: „რა ვუყოთ: ეს ყოფილა მისი და მისთანათა ხვედრი და ყველაფერს უდრტვინველად უნდა შეხვედროდა”(ჩხეიძე რ. 2003:51).

იყო პერიოდი, როდესაც მკვლევარის სახელი აღზევდა, თუმცა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ეს ვერ მოითმინა. მას ლიტერატურული პრესის ფურცლებიდან გაუთავებლად, მიზანდასახულად თავს ესხმოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ პავლე ინგოროყვას მეცნიერული კვლევებისას შეცდომები მოსდიოდა; იოლად წაშალეს მისი დეაწლი ქართული კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე, მაგრამ არსებობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც გვერდში ედგნენ მკვლევარს და როსტომ ჩხეიძის თქმით: „ყველაზე თავგამოდებით მაინც სიმონ ყაუხჩიშვილი იცავდა მის შეხედულებებს, ცდილობდა, ყველასთვის ყველაფერი ნათლად განემარტა და ზედაპირულ შეფასებათა უარყოფით მის ნაშრომთა ნამდვილი მეცნიერული ღირებულება დაესაბუთებინა”(ჩხეიძე რ. 2003:24).

მწერალს საინტერესოდ აქვს გადმოცემული ეპიზოდი პავლე ინგოროყვას მოღვაწეობის ერთი ხანიდან, როდესაც იგი შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო ზეიმზე მხოლოდ რიგით მონაწილედ აქციეს. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ: „1937 წელს გადახდილი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლის იუბილევ პავლე ინგოროყვას თავგამოდებული გარჯის წყალობით აღინიშნა: „წამომწყებიც თვითონ იყო და მთავარი მომხსენებელიც და, საერთოდ, იუბილეს ორგანიზაციული მხარე მთლიანად მას დააწვა და წარმატებითაც გაართვა თავი”(ჩხეიძე რ. 2003:10). ახლა კი, როდესაც ის მთავარი ფიგურა უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში მარტო პოეტის ძეგლის გახსნას დაესწრო ახალციხეში, ისიც ხალხში ჩაკარგული, გამტკნარებული, შორიდან უმზერდა თეთრი ქსოვილის ჩამოხსნას. ამონარიდი რომანიდან: „ზეიმობდა ყველა, დიდი თუ პატარა და ზოგმა არც იცოდა, ზოგმა კი რატომღაც მიივიწყა ამ დღეების ნამდვილი შემოქმედი. თუ ვინმე მოისაკლისებდა, ან იმით რა იცვლებოდა, მხოლოდ სინანულითა და მწუხარებით გაივლებდნენ გულში, რომ საშველი არ იყო და არც იქნებოდა.

ესეც კარგია, რომ ვიღაცეებს ახსოვდათ და უთანაგრძნობდნენ, მარტო პიროვნებას კი არა, კერძო კაცს – პავლე ინგოროყვას, საერთოდ მოღვაწის ბედს უთანაგრძნობდნენ”(ჩხეიძე რ. 2003:37).

მწერალი მკითხველისთვის შესაფერის აქცენტს აკეთებს. იგი ამ ამბის მოყოლით პოლიტიკურ ზეწოლას უსვამს ხაზს. ავტორს სურს, ჩვენი ყურადღება მაშინდელი ხელისუფლების ცენზურაზე მიაპყროს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თანაგრძნობაში, რომელიც ადამიანთა გარკვეულმა ნაწილმა ქართველი

მეცნიერის მიმართ გამოხატა, როსტომ ჩხეიძე წიგნის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ მკითხველებსაც გულისხმობს. მკითხველებს, რომელთაც „რუსთველიანას“ ავტორის მიმართ გამოხატული უსამართლობა გვაღელვებს.

შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში უამრავი სტუმარი ეწვია საქართველოს, დელეგაციას დელეგაცია ემატებოდა. ჩამოდიოდნენ იმპერიის სხვადასხვა კუთხიდანაც და უცხოეთიდანაც, მონაწილეობდნენ საყოველთაო ზეიმში. მათ სხვა მოხსენებებთან ერთად მოისმინეს მწერალთა კავშირის თავჯდომრის, ირაკლი აბაშიძის მოხსენებაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად 1960 წელს იერუსალიმში სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობდა. სწორედ მაშინ აღმოაჩინეს რუსთაველის ფრესკა ჯვრის მონასტერში. ქართველმა პოეტმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს და მის პოემას არაერთი შესანიშნავი სტრიქონი უძღვნა. მათგან აღსანიშნავია ლექსების ციკლი: „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა!“

პავლე ინგოროყვამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის დადგენას მიუძღვნა წიგნი „შოთა რუსთაველი“. მონოგრაფიის წინასიტყვაობაში მეცნიერი საკვლევ თემაზე საუბრობს. ფრაგმენტს მოვიხმობთ: „ჯერ თუმცა ნაადრევია საუბარი რუსთაველის პრობლემის მთელი კომპლექსის გადაჭრის შესახებ (ეს ჯერ კიდევ მოითხოვს რუსთაველის ეპოქის ხანგრძლივსა და გაღრმავებულ კვლევით მუშაობას), მაგრამ მაინც რიგი საკითხებისა, და კერძოდ ავტორის ვინაობის საკითხი, ძირითადში უკვე ამოხსნილად უნდა ჩაითვალოს. რუსთაველი აღმოჩენილ იქნა მას შემდეგ, რაც შესაძლო გახდა გაშიფრვა იმ ცნობებისა, რომლებიც დაცულია ერთ ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში („ჟამთა-აღმწერლობა“), რამაც მოგვცა დასაყრდენი რუსთაველის პიროვნების ამოსაცნობად.

ცნობები ამ ძირითადი საისტორიო წყაროსი, მე-14 საუკუნის საისტორიო ძეგლისა, და ამის გვერდით ის ჩვენებანი, რომლებსაც იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და თვით პოემის ტექსტის რეალიები, აგრეთვე მთელი რიგი ფრაგმენტული ცნობებისა, რომლებიც შერჩენილა სხვადასხვა ძველ-ქართულ ძეგლებში, – ყველა ამ წყაროების ჩვენებანი ეთანხმებიან და ავსებენ ერთიმეორეს, ანალიზი ამ წყაროებისა იძლევა საშუალებას ამოვიცნოთ პოეტის ვინაობა, – აღვადგინოთ ძირითად ხაზებში პოეტის ბიოგრაფია და

გადავწყვიტოთ თვით ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები” (ინგოროყვა 1938:6).

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში იმ დღეს აცოცხლებს, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომაზე პავლე ინგოროყვას მონოგრაფიის „შოთა რუსთაველის” განხილვა მოეწყო. ამონარიდი რომანიდან: „და ეს მოხდა სამსჯავროზე, რომელიც თავიდან არავითარ სამსჯავროს არ ჰგავდა, სულ სხვა შინაარსის სადამო უნდა ყოფილიყო, მშვიდი, წყნარი, ვნებათღელვას სრულიად განრიდებული, ასეც დაიწყო, მაგრამ დამსწრეთათვის და, მათ შორის, პავლე ინგოროყვასთვის, მოულოდნელად იცვალა იერი და სულ სხვა ხაზით წარიმართა: პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნაღვაწის, მისი მეცნიერული მოღვაწეობის საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა და მეხთატეხა გაუმართა”(ჩხეიძე რ. 2003:28).

ბიოგრაფიულ რომანში ნაჩვენებია მეცნიერის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი აქტივობები. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მრწამსსა და სულისკვეთებას იზიარებდა. მისმა მეგობრებმა, ადამიანებმა, ვის მიმართაც პატივისცემით იყო განმსჭვალული, იქ მოიყარეს თავი. ესენი გახლდნენ: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი და სხვები, მაგრამ თვითონ არ გაწევრიანდა. ამის თაობაზე რომანში ავტორი შემდეგნაირად ხატავს და მეითხველის წარმოუჩენს მომავალ მკვლევარს: „მეგობრობით იმეგობრებდა, სულიერადაც მათ გვერდით იქნებოდა და მათ გაზეთშიც – „საქართველო” – ითანამშრომლებდა როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ-პუბლიცისტური სტატიებით და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაშიც მიიღებდა მონაწილეობას, როგორც მიწვეული ორატორი” (ჩხეიძე რ. 2003:151). პავლე ინგოროყვამ ტრიბუნიდან გამოკვეთა კარდინალური პრობლემები ქართული მიწა-წყლისა და იმსჯელა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებზე.

მეცნიერის პოლიტიკაში ჩართვა არ გულისხმობდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას: კრებებზე სიარულს, პროკლამაციების დარიგებას, მოწოდებების გავრცელებას. იგი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს სამეცნიერო საქმიანობით აკეთებდა, ადგენდა საქართველოს საზღვრებს, საუბრობდა ამ საკითხზე. ეგებ, ეს იყო ბევრად უფრო შედეგის მომტანიც.

როსტომ ჩხეიძეს მხატვრულ ტექსტში საინტერესოდ და სრული ისტორიული სანდოობით, არაერთი მოგონების, მეცნიერული ნარკვევის, დღიურის თუ გაზეთში დაბეჭდილ მასალაზე დაყრდნობით აქვს აღწერილი 1918 წელს ტრაპიზონში რევოლუციის და პაველ ინგოროყვას წასვლა, მონაწილეობა იქ გამართულ კონფერენციაზე, რომლის ძირითად არსს, რუსეთის მიზანდასახულ მცდელობას: ამიერკავკასიის ეთნოგრაფიულად აჭრელებას, სახელმწიფოებრივ-კულტურულ დაკნინებას მეცნიერი წინასწარ გრძნობდა და მიუთითებდა კავკასიის მთიელებთან დაახლოების მნიშვნელობაზე. აქვე ყურადღება გაგამახვილოთ ერთ ასპექტზე: კონფერენციაზე, როდესაც პაველ ინგოროყვამ ჯოხით ხელში რუკაზე მიანიშნა ერთი მხარე საქართველოსი და მსმენელთათვის უთქვამს: „ეს გახლავთ კახეთი!“-ო, ამაზე აკაკი ჩხენკელს, ქართველთა დელეგაციის მეთაურს გაოცება ვერ დაუმაღლავს და უთქვამს: – „ქე დიდი ყოფილა!“. პაველ ინგოროყვას პიროვნული ბუნების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი თავისებურება გახლდათ: ერთდროულად – თანამედროვეობის უმწვავეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემებისა და ჩვენი ისტორიის წინაშე დგომა, რაშიც ამ ამბის მოხმობამაც დაგვარწმუნა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გავლენიანი ფიგურის პოლიტიკური ცხოვრების აღნიშნულ ეპიზოდზე საინტერესო კვლევა შემოგვთავაზა რუსუდან ნიშნიანიძემ ლიტერატურულ წერილში: „აკაკი ჩხენკელი – საქართველოს ელჩი საფრანგეთში – დოკუმენტური პროზის პერსონაჟი“. მეცნიერი წერს, რომ ქართველი პოლიტიკოსის კონფერენციაზე ცნობილი რეპლიკის გამო რევოლუციის დაბეჭდილმა ყურადღება გაამახვილა წიგნში „რაც მახსოვს“, გუგული მგელაძემ მონოგრაფიაში – „წმინდა სახება მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა“, ხოლო როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიულ რომანში. რუსუდან ნიშნიანიძე აღნიშნავს: „პირველ შემთხვევაში, რევოლუციის დაბეჭდილი აკაკი ჩხენკელის პორტრეტს ხატავს, მეორეჯერ – ავტორის, გუგული მგელაძის მიზანია, ახალგაზრდა მეცნიერის (პაველ ინგოროყვას) სურათი წარმოუდგინოს მკითხველს; როსტომ ჩხეიძის შემთხვევაში, მწერალი თავად მოგონების ავტორის, რევოლუციის დაბეჭდილის და მისი სულიერი შეჭირვების თაობაზე შეაჩერებს მკითხველის მზერას. რევოლუციის დაბეჭდილის ნაამბობ ეპიზოდს მარჯვე დროს შეურჩევს და დაფიქრებული ივარაუდებს:

„ამ სურათს არავითარი კომენტარი აღარ სჭირდება და თუ მოგონების ავტორი თავს მაინც ვერ იკავებს („და აი, ასეთი დელეგაციის ასეთი მცოდნე

მეთაური მიდიოდა ტრაპიზონში, საქართველოს ინტერესების დასაცავად... და კავკასიისადაც”), ალბათ იმიტომ, რომ სულიერი ტკივილი და სინანული, არა მარტო კერძო ფაქტით, არამედ საერთო ატმოსფეროსთვის ნიშანდობლივი განწყობილებით გამოწვეული, ამდენი წლის გავლის მერეც მოურჩენლად შეახსენებს თავს”(ნიშნინიძე 2011:239-240).

რომანში დეტალურად და ამომწურავადაა გადმოცემული ყველა ის ეპიზოდი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას რომ უკავშირდება, თავისუფლების მოპოვება 1918 წელს, ასევე, მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის შემდგომი პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობა: წითელარმიელების შემოსვლა და სამშობლოს დაპყრობა რუსეთის მიერ, რაც მთავარია, ამ მოვლენებში პავლე ინგოროყვას მოქმედება და მისი სიტყვები, როცა თბილისის დატოვება მოუხდათ ქართველებს:

„– რას მოვესწარით, ძმებო, რას მოვესწარით! თბილისს ვტოვებთ! არ შემძლია ამის ატანა”. დავეძენ, რომ როსტომ ჩხეიძე ზემოაღწერილი ფაქტების სრული სურათის დასახატად ითვალისწინებს გიორგი მაზნიაშვილის, ვიკტორ ნოზაძის, რევაზ გაბაშვილის, სამსონ ფირცხალავას და სხვათა მოგონებებს. მრავალთაგან ერთი ასეთი ეპიზოდია: შავ ჩოხებში ჩაცმული ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია და პავლე ინგოროყვა 1924 წელს დაღუპულ მამულიშვილთა და დამონებული ქვეყნის ბედისგან გამოწვეულ მწუხარებას ამ ფორმით გამოხატავდნენ. ეს ყველაფერი ნათლად მეტყველებს, თუ რამხელა სულიერი ძალის პატრონი იყო პატრიოტი ქართველი მეცნიერი.

ბიოგრაფიულ რომანში პერსონაჟებად გვევლინებიან „ცისფერყანწელები”. პავლე ინგოროყვა ამ ლიტერატურული დაჯგუფების უშუალო წევრი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მეგობრობდა პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, სხვებთანაც, მეტ-ნაკლებად. საკმაოდ ახლოს იყო ამ სიმბოლისტური მიმდინარეობის სულისჩამდგმელთან და იდეურ მოძღვართან, გრიგოლ რობაქიძესთან. მათთან ყოფნა, საუბარი მას ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა, თუმცა ბოჰემურ ცხოვრებას გაურბოდა და მათ გადაბმულ ქეიფებსაც ამიტომ ერიდებოდა. როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში პავლე ინგოროყვას პორტრეტს ასე დახატავს: „თავისთვის ჩუმად ლექსებს რომ წერდა, მხოლოდ პაოლოს გაუმხელდა და უკითხავდა კიდევ. იმას მოსწონდა და აქეზებდა,

მიკვირს, რატომ არ ბეჭდავ, მომეცი, თუ გინდა მე მივხედავო, მას საკმარისად მიაჩნდა პაოლოს რომ უკითხავდა და ცდილობდა გამოქვეყნებაზე აღარ ეფიქრა”(ჩხეიძე რ. 2003:249). როსტომ ჩხეიძემ მეცნიერის პიროვნებას ლირიკული შტრიხი შემატა.

პავლე ინგოროყვა „ცისფერყანწელების” თაოსნობით მოწყობილ პოეზიის სადამოებშიც მონაწილეობდა. რამდენიმე ლექციაც წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის” შესახებ. ისინი ხშირად საუბრობდნენ ლიტერატურაზე, კულტურაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე. როსტომ ჩხეიძე წერს: „ქართული მწერლობა ევროპული რადიუსით უნდა გაიმართოსო, ამტკიცებდა ტიცციანი და სხვებთან ერთად პავლე ინგოროყვაც ეთანხმებოდა, უთუოდ აუცილებელია ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზაციაო. ოღონდ იმასაც გაიხსენებდა, რომ ბარათაშვილს თავის დროზე ეს გზა აერჩია და მისი პოეტური მემკვიდრეობა ამიტომაც აღბეჭდილიყო ევროპეიზმის მძლავრი ნიშნით.

ცისფერყანწელებს ეს უკვე მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდათ და შეედავებოდნენ: ისინი ხომ სრულიად უარყოფდნენ ტრადიციულ პოეტურ აზროვნებასა და მხატვრულ ფორმებს...

ხოლო პავლე ინგოროყვასთვის ევროპეიზაცია იმას გულისხმობდა, რომ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას უთუოდ უნდა შეეთვისებინა ევროპული ნაკადი, რათა ახალი ელფერით გამდიდრებულიყო და რაღაცით მეტი სრულყოფილება შეეძინა, ოღონდ თავისთავადი ღირებულება და განვითარების შინაგანი ენერგია მას – უძველესს, მრავალფეროვანსა და ცხოველყოფელს – ისედაც ჰქონდა”(ჩხეიძე რ. 2003:254-254). ამ ფრაგმენტიდან ვლინდება ერთი მხრივ, პავლე ინგოროყვას ურთიერთობა „ცისფერყანწელებთან” და მეორე მხრივ, მისი მოსაზრება ჩვენი მწერლობის ევროპეიზაციაზე.

რომანში ქართველი მკითხველი წაიკითხავს გრიგოლ რობაქიძის პიესის „ლონდას” პრემიერის დღეებში, 1923 წელს გრიგოლ რობაქიძის ბარათს. ადრესატი გახლავთ პავლე ინგოროყვა. წერილი საკმაოდ შთამბეჭდავია. აქ იგი მაღალ შეფასებას აძლევს მის ნაშრომებს. ნონა კუპრეიშვილი სტატიაში „სულის ისტორია” აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას და წერს: „გრიგოლ რობაქიძე პავლე ინგოროყვას „ქართული სიტყვის ზენიტს” უწოდებს და საუბრობს იმ „მისტიურ პასუხისმგებლობაზე”, რომლის საკუთარ თავზე ადება კიდევ დიდხანს დარჩება ამ მოღვაწე-ლიტერატორთა დაუძლეველ უპირატესობად”(კუპრეიშვილი 2004:14).



მწერალი სხვა ასპექტითაც ხატავს თავის პერსონაჟს, პავლე ინგოროყვას, როგორც რედაქტორს. იგი გახლდათ ჟურნალის „კავკასიონი“ რედაქტორი, ხოლო კოლეგიის წევრები იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და ირაკლი ტატიშვილი. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. ამდენად, ჟურნალს დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული: კრებული ხალხის სულიერი თუ ზნეობრივი სრულყოფილებისათვის, ეროვნული ცნობიერების გადრმავეებისათვის ზრუნავდა. მეცნიერი რუდუნებით, დიდი მონდომებით კრებდა მასალებს. ის ძალღონეს არ იშურებდა, რათა „კავკასიონი“ გამორჩეული პერიოდული ორგანო ყოფილიყო. შედეგმაც არ დაახანა და მის შესახებ მრავალი რეცენზია დაიბეჭდა, სადაც ხოტბას ასხამენ, აქებენ ჟურნალს.

წიგნში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ გადმოცემულია ისტორია მეცნიერის მიერ დაარსებული ბეჭდვითი საქმის კოოპერაციული საზოგადოების – „ქართული წიგნის“ შესახებ, რომლის დანიშნულებაც, ბუნებრივია, იყო კლასიკური, ასევე, ჩვენი თანამედროვე რჩეული და ევროპული სიტყვაკაზმული მწერლობის, სამეცნიერო ხასიათის ტექსტების, უცხოური თარგმანების გამოცემა. უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ მან უძიმეს პირობებში ილია ჭავჭავაძის ნაწერების ათტომეული დაბეჭდა. ამონარიდი რომანიდან: „ეს გახლდათ ილიას მკვდრეთით აღდგომა ქართული სულის გადასარჩენად, ჩვენი ეროვნული ცნობიერების გასამთლიანებლად და განსამტკიცებლად“ (ჩხეიძე რ. 2003:319). როსტომ ჩხეიძე, როგორც თავადაც რედაქტორი, ზედმიწევნით იცნობს იმ სივრცეს და ამდენად, პავლე ინგოროყვას მუშაობას ამ კუთხით სათანადოდ აფასებს. „რუსთველიანას“ ავტორი დაჯილდოვებული იყო რედაქტორისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებებით. ეს თვალსაჩინოდ გამოკვეთა მწერალმაც.

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტსაც ხატავს. იგი ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟია. როგორც უკვე ითქვა, ქართველი პოეტი პავლე ინგოროყვას რედაქტორობით გამოცემული ჟურნალის „კავკასიონი“ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი იყო. თუმცა მალევე დატოვა რედაქცია. ამის შესახებ უბის წიგნაკში ჩანაწერიც გააკეთა, რომელიც 1924 წლით თარიღდება. მან წამოსვლის მიზეზად დაასახელა რედაქტორის გვერდის ავლა სარედაქციო კოლეგიისადმი და კიცხავს პავლე ინგოროყვას არაკოლეგიალობისათვის: „სარედაქციო კოლეგიამ არაფერი იცოდა, ასე წარმოიდგინეთ, იმის შესახებაც კი, რომ ჟურნალს დაერქვა „სულ ვართ ორი

მილიონი”. ამ სახელის შესახებ სარედაქციო კოლეგიაში საკითხიც კი არ დასმულა. მე არ ვამბობ, რომ უკეთესი სახელი მოიძებნებოდა. მე გამოვდივარ უბრალო ფაქტიდან, რომ ასეთი საქმის შესახებ, როგორცაა ჟურნალის სახელწოდება, სარედაქციო კოლეგიამ არაფერი იცოდა... ჩემი როლი ამ საქმეში, ჟურნალის საქმეში თავმჯდომარეს ესმოდა ასეთნაირად: ჩემგან, გალაკტიონ ტაბიძისგან იგი მიიღებს ერთ ლექსს, სამაგიეროდ მომცემს ერთი ლექსის ჰონორარს, მორჩა და გათავდა. ესაა მისი კოლეგიის წევრობა და ყველაფერი. მე კი ასე არ მესმის ეს საქმე: ასე არ მსურდა: რადგან კოლეგიის წევრი ვიყავი, მე მინდოდა მეც მიმეღო მონაწილეობა, რამენაირი მონაწილეობა მაინც ჟურნალის შინაარსსა და გარეგნულ მხარეებზე. თუ პასუხისმგებლობა დამეკისრა, მე მინდოდა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება”(ჩხეიძე რ. 2004:282,295). აღნიშნულ საკითხზე რომანის ავტორი ზუსტად წერს: „შესაძლოა, ეს მხოლოდ საბაბი იყო და გალაკტიონი სხვა მიზეზთა გამო (როგორც რევოლუციონერთა ოჯახის, ოკუპაციების სიძე და ლოიალურად განწყობილი ახალი პოლიტიკური რეჟიმისადმი) უფრო მორიდებოდა ამ სულისკვეთებისა და მიმართულების ჟურნალში აქტიურ თანამშრომლობას...

ეგაა, გალაკტიონ ტაბიძე განაწყენდებოდა და სარედაქციო კოლეგიაც მიეტოვებინა და აღარც თანამშრომლობა სურდა.

მთავარი მიზეზი ვიცით – რედაქტორისაგან განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი.

სხვა მოტივებიც: სეპარატიული მუშაობა რედაქტორისა და გვერდის ავლა კოლეგიისაგან, და ამისთანანი”(ჩხეიძე რ. 2003:283,293).

ვახტანგ ჯავახიძეც წიგნში „უცნობი” საუბრობს გალაკტიონ ტაბიძის 1924 წლით დათარიღებულ ზემოაღნიშნულ ჩანაწერზე და შესაბამისად, აქედან მასაც მოჰყავს ამონარიდები. ჩვენ ეს ფრაგმენტები (ბიოგრაფიული რომანიდან „ბედი პავლე ინგოროყვასი”–ნ.ხ.) და ასევე, როსტომ ჩხეიძის მოსაზრებაც წარმოვაჩინეთ. ახლა საყურადღებოა, თუ რა წერს ვახტანგ ჯავახიძე დიდი პოეტის პავლე ინგოროყვასთან დაპირისპირების გამო: „ვინც ბატონი პავლეს მუშაობის უკიდურესად ინდივიდუალურ სტილს იცნობს, აუცილებლად დაეთანხმება გალაკტიონის საყვედურს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს იქნებოდა ერთი კაცის ჟურნალი, ოდენ რედაქტორის ჟურნალი”(ჯავახიძე 1996:139). ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ ქართველი მგოსნის „კავკასიონიდან” წამოსვლის მიზეზი ვერ გახდებოდა მხოლოდ მეცნიერის სარედაქციო კოლეგიის

გვერდის აგლა და მოქმედება ერთპიროვნულად, ამას ერთვოდა საქართველოში ახალი პოლიტიკური რეჟიმის არსებობა (1924 წელია- ნ.ხ), ამ საკითხზე პავლე ინგოროყვასა და გალაკტიონ ტაბიძის განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. როგორც გამოვლინდა, ამასთან დაკავშირებით ბიოგრაფოსმა ნაწარმოებში ზუსტი აქცენტები გააკეთა.

30-იან წლებში საქართველოში დაჭერების, რეპრესიების და რბევის ახალი ტალღა აგორდა, ბევრად უფრო სასტიკი, შემზარავი, ვიდრე 20-იან წლებში: მწერალთა კავშირში „წმენდა“ დაიწყო, „აკადემიური ასოციაცია“ დაშალეს. მის წევრებს ათასგვარი ცილი დასწამეს, მოღვაწეობის ასპარეზს ჩამოაცილეს. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 1931 წლის 17 მაისს გაიმართა, პავლე ინგოროყვა, მასთან ერთად სხვა საზოგადო მოღვაწეებიც მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს. ქართველ მკვლევარს „რეაქციონერი“ და „შოვინისტი“ უწოდეს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძეს რომანში უამრავი საინტერესო, მნიშვნელოვანი მასალა თუ ცნობა აქვს წარმოდგენილი, რაც სრულყოფილად აღადგენს იმდროინდელ სურათს.

ბიოგრაფიულ რომანში ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება ივანე ჯავახიშვილი. როსტომ ჩხეიძეს ქართველი მწერალი თხრობაში შემოჰყავს უნივერსიტეტის პედაგოგიურ ინსტიტუტებად დაშლაზე წერისას. ეს ის პერიოდია, როდესაც ზემოთ დასახელებული უმაღლესი სასწავლებლიდან სიძველეთსაცავის ფონდები გამოაძევეს და ივანე ჯავახიშვილს ხელნაწერთა მუზეუმის ნახევრად ბნელ ოთახში მიუჩინეს ოთახი. პავლე ინგოროყვაც ამ შენობაში მოღვაწეობდა. ისინი ხშირად საუბრობდნენ. ისტორიკოსმა მძიმედ გადაიტანა უნივერსიტეტიდან გამოშვება, მისი დაშლაც, სადაც მოძღვართა ადგილი „წითელმა პროფესურამ“ ჩაიგდო ხელში და უცებ შეიცვალა, გადასხვაფერდა იქაურობა. ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწს უღმობლად მოეპყრნენ. სასოწარკვეთილი, გულმოკლული მეცნიერი, პავლე ინგოროყვასთან მიდიოდა. როსტომ ჩხეიძე რომანში წარმოაჩენს ამ ორი გამორჩეული მოაზროვნის იმუამინდელ ურთიერთობას: „თანაგრძნობას რომ ეძიებდა, სხვა არავინ გაასხენდებოდა, სხვას ვერავის შესწივლებდა გაუსაძლის ტკივილს. თუნდაც უბრალოდ მსხდარიყვნენ დიდხანს, ამას მხოლოდ ის ეთქვა, თუ ამოეტირა: პავლე, უნივერსიტეტიდან გამომაგდეს, – და იმასაც კრინტი რომ არ დაეძრა, დუმილი უფრო მჭევრმეტყველი იქნებოდა. ასეა თუ ისე, ივანე ჯავახიშვილი

იქიდან განადგურებული ადარ წამოვიდოდა, იმედი ჩაესახებიდა... ისევ ოცნებას მოებლაუჭებოდა – დღეს თუ არა, ხვალ იქნებ გვეშველოს რაღაცო”(ჩხეიძე რ. 2003:377).

ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ პავლე ინგოროყვა დიდი მონდომებით, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურად იკვლევდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტობიოგრაფიული ხასიათის ხელნაწერებს. ამასთანავე, ესწრაფვოდა რომანტიკოსის სულიერი ცხოვრების მართალ, მღელვარებით აღსავსე ისტორიის ამოცნობასაც, მისი ლექსებიდან და პირადი ბარათებიდან, „იგი გულდასმით უტრიალებდა პოემისა და ლირიკის მხატვრულ ხვეულებში გამჟღავნებულ ეროვნულსა და პოლიტიკურ შეხედულებებს”(ჩხეიძე რ. 2003:359). ლიტერატორი სტუმრებთან საუბრისთვის ვეღარ იცლიდა და მათ ქეთევანი, მისი სათნო და გულისხმიერი მეუღლე ემუსაიფებოდა. გადასახლებული მეგობრის, ვახტანგ კოტეტიშვილის ქალ-ვაჟს ის უქარვებდა დარდს. რომანში ვკითხულობთ: „პავლე უეცრად წამოხტებოდა და აჩქარებული გამოიჭრებოდა თავისი სენაკიდან: „ქეთო, ბავშვებს ტკბილები!“... ბავშვები უკვე გამრიელად იკოკლოზინებდნენ ყელს და ისიც – სტუმრებს რომ მოუბოდიშებდა, კვლავ თავის უზარმაზარ საწერ მაგიდას მიუბრუნდებოდა”(ჩხეიძე რ. 2003:467).

რომანში დაწვრილებითაა მოთხრობილი პავლე ინგოროყვას თავაულებელი მუშაობა ძველ ქართულ ხელნაწერებზე, თხზულებებზე, ჩვენი ანბანის წარმოშობაზე, დაკვირვება სალექსო ფორმებზე, ეროვნული კალენდრის წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესწავლა. ასევე, სასულიერო პოეზიის და საგალობელთა გაანალიზება-გაშიფვრა.

ავტორი საგანგებოდ დიდხანს ჩერდება და ყურადღებას ამახვილებს მეცნიერისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წიგნზე „გიორგი მერჩულე“, გადმოსცემს მისი შექმნის ისტორიას, გამოკვეთს ამ ნაშრომის მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში, გვიამბობს იმ ტრაგიკულ ბედზე, რაც ნაწერებს ხვდა წილად. აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით მხატვრულ ტექსტში ერთი საგულისხმო პასაჟია მკვლევარის დიდბუნებოვანი პიროვნების, ერისკაცის წარმოსახენად. ციალა ქაროსანიძე იხსენებს, რომ, როდესაც „გიორგი მერჩულე” იბეჭდებოდა, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი” იმხანად მძიმე ფინანსურ გასაჭირში ყოფილა ჩავარდნილი; მწერლისთვის კუთვნილი ჰონორარის გადახდა სტამბის დახურვას მოასწავებდა, მაგრამ ამის შესახებ პავლე ინგოროყვას რომ გაუგია, ლიტერატორს ჰონორარის აღებაზე უარი უთქვამს.

როსტომ ჩხეიძეს ბიოგრაფიულ რომანში გათვალისწინებული აქვს თითქმის ყველა გამოხმაურება, რეცენზია ამ წიგნზე, რაც დაიწერა საქართველოში, თუ უცხოეთში. აქვე მას მოჰყავს გრიგოლ რობაქიძის შეფასება ნაშრომზე: „კითხულობ მას და ხედავ: საქართველო იზრდება, ვითარ ცოცხალი არსი, ვრცელდება თანდათან, მკვიდრდება ნელი-ნელ, დგინდება, მტკიცდება, წიგნი ციხე-სიმაგრედაა აღმართული, ისეთ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს”(ჩხეიძე რ. 2003:517).

წლების გასვლის შემდეგ კვლავ იფეთქა განუკითხაობის, დაუნდობლობის ტალღამ მეცნიერის მიმართ. „რუსთველიანას” და „რუსთველიანას ეპილოგის” თვალწინ „გადაფხრეწის” მერე „გიორგი მერჩულეს” გადახევაც მოინდომეს. აფხაზებმა განაცხადეს: პავლე ინგოროყვამ ამ წიგნით ისტორია გაგვიყალბაო და მისი აკრძალვაც მოითხოვეს. ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. ამონარიდი რომანიდან: „ეს მეტად არაჯანსაღი აჟიოტაჟი განსაკუთრებით აფხაზეთში შეექმნათ, და ტენდენციურად განწყობილ, გარუსებულ აფხაზ მეცნიერებსა და პარტიულ წრეებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აეყოლიებინათ, თავიანთ აზრებს პავლე ინგოროყვას მიაწერდნენ და ხალხს ჩააგონებდნენ, ჩვენი აყრა და გადასახლება გადაუწყვეტიათ და „გიორგი მერჩულე” ამის იდეურ საფუძველს ამზადებსო... პავლე ინგოროყვას მთელი ცხოვრება არ მოჰკლებია ათასგვარი ცილიწამება და ახლა ესეც მიმატებოდა...”(ჩხეიძე რ. 2003:524).

„მწერალი ყველა პავლე ინგოროყვას ჩაქოლვის ისტორიას საზოგადოების მიერ და არა აქვს მნიშვნელობა, დაქირავებული „მკვლევები” დარბაზში სხედან თუ პრეზიდენტში, ხელისუფლების სკამებზე თუ მეცნიერთა წრეების კარს მიღმა მოყუჩებულან, ისინი ერთხმად მოითხოვენ, რომ პავლე ინგოროყვამ „ისტორიის დამახინჯებაზე” პასუხი უნდა აგოს”(ოჩიაური 2002:9).

ნაწარმოების დასასრულს კი, როსტომ ჩხეიძე საუბრობს იმ ღვაწლის დაუფასებლობაზე, რაც ლიტერატორმა განიცადა. მის შესახებ არაფერი წერია წიგნებში, სადაც ძველი ქართული მწერლობის ლიტერატურული მემკვიდრეობაა განხილული, „ნარკვევებში კი გაიელვებს ერთი-ორგან მისი სახელი და მიგვანიშნებს, რომ თურმე ასეთი მკვლევარიც არსებულა, მაგრამ ყოველთვის უარყოფით კონტექსტში იხსენიება”, – მიუთითებს ბიოგრაფიული რომანის ავტორი.

ვისაუბროთ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ მხატვრულ მხარეზე. ამ საკითხის კვლევისას გამოვლინდა, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში სხვადასხვა ფაქტის, მოვლენის, მოქმედების გადმოსაცემად არაერთგზის იყენებს ზუსტად შერჩეულ ეპითეტებს, შედარებებს, მეტაფორებს. სათქმელის დასტურად მოვიტანთ ფრაგმენტებს: „შებინდა თუ არა, ჯერ ნელი და შემდეგ უფრო და უფრო ძლიერი დეღვა ატყდა. ზღვა ნავს კაკლის ნაჭუჭივით ხან ტალღის ქედზე მოიქცევედა და მგზავრები აქეთ-იქით უფსკრულს ჩასცქეროდნენ, ხან სადღაც ჩასრიალდებოდნენ სიღრმეში და გარშემო ცამდე აზიდული წყლის მთები დაჰყურებდნენ“ (ჩხეიძე რ. 2003:158). სხვა მაგალითიც: „კარლ კარლი“ წყნარად და გედივით შესცურდა ბათუმის ყურეში. პაერიც კი თითქოს რაღაც მოლოდინის სიჩუმეს მოუცავს“ (ჩხეიძე რ. 2003:165). შემდეგი ფრაგმენტი: „სიცოცხლით თრგუნავდა სიკვდილს, უფლის ნებიერი ლაზარესავით გამოვიდოდა მღვიმედან და ვალერიან გაფრინდაშვილისათვის რომ დაგეჯერებინათ – ჩიტების სიმღერით მოჯადოებული ლურჯ პეპელასაც გაეკიდებოდა“ (ჩხეიძე რ. 2003:502).

მხატვრული ხერხების გამოყენების თვასაზრისით საყურადღებოა მწერალთა კავშირში პავლე ინგოროყვას მონოგრაფიის, „შოთა რუსთაველის“ განხილვის ეპიზოდი. ეს ის დღეა, როდესაც მეცნიერი სასტიკად გააკრიტიკეს „ვეფხისტყაოსანზე“ და მის ავტორზე გამოხატული დებულებების გამო. ფრაგმენტი რომანიდან: „გამომსვლელთა „აბსოლუტური უმრავლესობის“ გმობა-მუქარას დარბაზში მოკალათებული კლაკიორები ასდევდნენ ომახიანი შეძახილებით, აქეზებდნენ, ამხნევებდნენ, ყველაზე მძაფრ გამოთქმებს ტაშისცემით ეგებებოდნენ და თავიანთი მხრივ არანაკლები სიმძაფრით დაჰკიჟინებდნენ, „პასუხი უნდა აგოს პავლე ინგოროყვამ, გამოვიდეს და პასუხი აგოს ხალხის წინაშე“...

იგი იჯდა გამტკნარებული და გაფითრებული, მხრებში მოხრილი და თავჩაქინდრული, შინაგანად დათრგუნული და გაუმწეოებული, გაოგნებული... გონება ვეღარ ახერხებდა ცალკეულ შთაბეჭდილებათა დანაწევრებას და ასე აღქმას, ყოველი ბრალდების, ყოველი მუქარის გაცნობიერებას, ერთი მთლიანი და მიიმე შთაბეჭდილება შემოხვეოდა გარს და გაეთანგა“ (ჩხეიძე რ. 2003:36). ამონარიდიდან გამოიკვეთა, რომ როსტომ ჩხეიძემ შესანიშნავად დახატა მთავარი პერსონაჟის პორტრეტი და ამასთანავე, სხდომის გარემო, სადაც პავლე

ინგოროყვას წიგნის განხილვა მოეწყო. ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების მეშვეობით ავტორი მხატვრულ ჩანაფიქრს ზედმიწევნით სწორად გადმოსცემს.

პროზაული ნაწარმოების მხატვრული მხარის კვლევისას გამოვლინდა, რომ როსტომ ჩხეიძე ქართული სიტყვის ოსტატია, მწერლური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი. პროზაიკოსის ინდივიდუალობა მხატვრული ენის თვასაზრისით ჩვენს მიერ განხილულ ბიოგრაფიულ რომანში თვალნათლივ წარმოჩინდა.

„როსტომ ჩხეიძის მიერ დანახული პავლე ინგოროყვა, „საქართველოს სულის“ გზებით განმცდელი კიდევ ერთი მოღვაწეა, რომლის მიერ დაწერილი ლიტერატურის ისტორია, სხვა არაერთი საკითხი, თავის კანონიკურ სააზროვნო სივრცეში ასე თამამად აღდგენილი, ფაქტიურად, ქართული სულის ისტორიაა“ (კუპრეიშვილი 2004:14).

ამგვარად, როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ აღწერა ქართველი მეცნიერის, ერისკაცის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მისი კეთილდღეობისათვის მზრუნველი, დიდი მამულიშვილის უცნაური, მეტად რთული ბედი, ცხოვრების გზა და ამასთანავე, მისი განსაკუთრებული ღვაწლი. მწერლის მიერ სხვადასხვა არქივსა თუ სამუხეუმო საცავში მოძიებული დოკუმენტები საინტერესოდაა შერწყმული წიგნში, რომელიც დარჩება, როგორც განსაკუთრებული, საყურადღებო პროზაული ტექსტი თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. ის ამ ბიოგრაფიული რომანებიდან ერთ-ერთი სრულიად გამორჩეული წიგნია.

## თავი VII

### როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“

როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიული რომანის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ გამოცემის შემდეგ დაწერა ამ ჟანრის მხატვრული ტექსტი „ყაზბეგინა“, ხოლო 2007 წელს - ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა). ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ მოცემულ თავში. წიგნის რედაქტორი არის ოთარ ჩხეიძე, მხატვარი – კარლო ფაჩულია.

იაკობ გოგებაშვილი ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი, საბავშვო მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი გახლავთ. მას დიდი წვლილი მიუძღვის მშობლიური ენის დაცვისა თუ განვითარების, საყმაწვილო მწერლობის აღორძინების, ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების, გადამუშავებისა და ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

1865 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა პირველი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ამას მოჰყვა „ბუნების კარი“ და „დედა ენა“. ეს უკანასკნელი, ჩვენი ერისთვის ფასდაუდებელი, უძვირფასესი წიგნი 50 წლის განმავლობაში შეუწყვეტლად გამოდიოდა.

იაკობ გოგებაშვილმა შექმნა შესანიშნავი საბავშვო მოთხრობები, მათ შორის საგანგებოდ გამოსაყოფია საყოველთაოდ ცნობილი „იანანამ რა ჰქმნა?“<sup>1</sup> იგი განუწყვეტლივ ცდილობდა და ამას საკმაოდ წარმატებითაც ახერხებდა, რომ მისი ყოველი წიგნის ახალი გამოცემა ყოფილიყო გადამუშავებული, შევსებული საინტერესო მასალით, ილუსტრაციებით.

ეროვნული მოღვაწის შემოქმედებაზე საუბრისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ავტორია მრავალი საყურადღებო პუბლიცისტური მწერლისა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ღვაწლი ამით არ სრულდება. დიდი მოაზროვნე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამის დასტურია, რომ იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“.

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ახალი სალიტერატურო ენის სტრუქტურის დამკვიდრება და გავრცელება დაიწყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაოსნობით. მათ რიცხვს



თავის დროზე იაკობ გოგებაშვილიც შეემატა და ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი. აღნიშნულ საკითხზე წერს შოთა ძიძიგური: „იაკობ გოგებაშვილის მუშაობა ლიტერატურული ენის დარგში ორი მიმართულებით წარიმართა. პირველ ყოვლისა, გოგებაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებს ახალი სალიტერატურო ენის უფლებათა თეორიულ დახასიათებაში, ლიტერატურული ნორმების დადგენისა და მოწესრიგების საქმეში, თავგამოდებით იბრძვის ენის სიწმინდის დაცვისთვის, ახალი ნორმების გამომუშავებისა და დრომოჭმული ფორმების უკუგდებისათვის.

მეორე მხრივ, იაკობ გოგებაშვილი პრაქტიკულად ხელს უწყობს ახალი სალიტერატურო ენის შექმნასა და დამკვიდრებას თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოებით და მრავალი ორიგინალური ნაწარმოებით – მხატვრული თუ ისტორიული ხასიათის თხზულებებით”(ძიძიგური 1990:76).

იაკობ გოგებაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად მუდამ ილაშქრებდა ქართული ენის დასაცავად, როცა ამის აუცილებლობა დადგებოდა ხოლმე ჩვენი ერის წინაშე.

„იაკობ გოგებაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქართული ენა მუდამ ცოცხალ ენად დარჩენილიყო, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე შევსებული და გამდიდრებული უძველესი ენა, ჟამთა სვლამ რომ ვერაფერი დააკლო... იაკობ გოგებაშვილის მხატვრული პროზა, სახელმძღვანელოები და პუბლიცისტური წერილები მშობლიური ენის დაცვის სამსახურში იდგა” (ბოცვაძე 1991:5).

იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოების შედგენისას სარგებლობდა ქართული მხატვრული ლიტერატურის საგანძურით, განსაკუთრებით XIX საუკუნის, თავის თანამედროვე შემოქმედთა ნაწარმოებებით, იყენებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს. როგორც ცნობილია, პედაგოგი დიდი ინტერესით, გულისყურით ეკიდებოდა შესარჩევ მასალას და ფორმით, შინაარსით გამართულ თხზულებებს არჩევდა. ამით ხელს უწყობდა ქართველ მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციას.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების შესახებ მრავალი საინტერესო და ანგარიშგასაწვეი წიგნი, ნაშრომია დაბეჭდილი. თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა მისი ღვაწლის წარმოსახენად შექმნილი წერილები. ამდენად, საჭიროთ ვთვლით, მოკლედ შევრჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ქურნალ „განათლების“ რედაქციამ 1913 წელს, პედაგოგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, გამოსცა სპეციალური კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, რომელშიც 81 წერილია დასტამბული. მათ შორის: ნიკო ლომოურის, გრიგოლ ბურჯანაძის, ილია ნაკაშიძის, შალვა დადიანის, ილია ბახტაძის, ლევან ბოცვაძის, ალექსანდრე მიქაბერიძის, შალვა გოგებაშვილის და სხვათა წერილები. აღნიშნულ წიგნში ვკითხულობთ შიო მღვიმელის, გ. ქუჩიშვილის, ვ. რუხაძის, მ. უხნაძის მიძღვნილ ლექსებს ცნობილი საზოგადო მოღვაწისადმი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წერილების კრებული „იაკობის სამრეკლო“, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ 1990 წელს დასტამბა. შემდგენლები არიან: ჯუმბერ თითქერია და ზურაბ ჩილაჩავა. წიგნი ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს. აქ თავმოყრილია სხვადასხვა ავტორის საკმაოდ საყურადღებო წერილები ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის შემოქმედებასთან დაკავშირებით. ამავე კრებულში მკითხველი ეცნობა 1913 წლის გამოცემიდან („იაკობის სახსოვრად“) ცალკეულ მასალებს.

1991 წლით თარიღდება ზურაბ ბოცვაძის წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“, სადაც წარმოდგენილია ქართველი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა თუ შემოქმედების იმ დროისათვის ნაკლებად შესწავლილი საკითხები. ამასთანავე, კრებულში ვკითხულობთ იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეთა მოგონებებს.

2003 წელს გ. გიორგაძის, ნ. გურგენიძისა და მ. საჯაიას ავტორობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“. როგორც ნაშრომის წინათქმაშია მინიშნებული, აქ წარმოდგენილია ქართველი პედაგოგის ცხოვრებასა თუ მოღვაწეობასთან დაკავშირებული საინტერესო საკითხები, რომელთაც გარკვეული ღირებულება გააჩნიათ ამ დიდი ადამიანის პიროვნების გამოსარკვევად.

2001 წელს გამოიცა წიგნაკი გიორგი გოგოლაშვილის „დედა ენა - წიგნთა წიგნი“, 2003 და 2011 წლებში მისი წიგნები: „დედა ენა – ძველი სამარადისო“ და „ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა“. ავტორი პედაგოგის ცხოვრებაზე, ღვაწლზე და წიგნის „დედა ენა“ უდიდეს როლსა თუ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს.

იოსებ სრესელმა, პედაგოგის ნათესავმა, ცნობილმა ექიმმა და მწერალმა 1946 წელს დაწერა მცირე მოცულობის წიგნი „რამდენიმე ეპიზოდი იაკობ

გოგებაშვილის ცხოვრებიდან”, ხოლო 2011 წელს გამოაქვეყნა – „ეტიუდები იაკობ გოგებაშვილზე”.

ახლა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე „ბურჯი ეროვნებისა” ვიმსჯელოთ, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკას წარმოადგენს. წიგნის წინასიტყვაობაში წერია, რომ აღნიშნულ მხატვრულ ტექსტში „ლიტერატურული, ისტორიული და ფსიქოლოგიური სიღმითაა გადახსნილი „დედა ენის” შემოქმედის პიროვნული ხასიათიც, ცხოვრების შინაგანი დრამატიზმიც და ეპოქის სულიც”(ჩხეიძე ო. 2007:2).

„ბურჯი ეროვნებისა” 2007 წელს გამოიცა ოთარ ჩხეიძის რედაქტორობით. წიგნი ეძღვნება ავთანდილ ჩხეიძეს, იაკობ გოგებაშვილის იდეების დამცველს და მქადაგებელს. როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს: „ბიძაჩემია შთამაგონებელი ამ ბიოგრაფიული რომანის დაწერისა და ამიტომაც სწორედ მას ეძღვნება ეს წიგნი”(ჩხეიძე ო. 2008:40).

უნდა მივუთითოთ, რომ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“-ს წარდგინება თავდაპირველად მოხდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის” სალონში, შემდეგ – საქართველოს საპატრიარქოს ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში გორში, ზუგდიდის IV საჯარო სკოლაში, ბორჯომის II საჯარო სკოლაში... აღნიშნულ შეხვედრებზე არაერთმა ადამიანმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება როგორც ავტორის, ისე წიგნის მთავარი პერსონაჟის მიმართ. საჭიროდ ვთვლით, ვიდრე წიგნზე ჩვენს მოსაზრებას გამოვხატავთ, ვიმსჯელებთ და ჩვენეულ დაკვირვებას წარმოვანხნოთ, მოვიხმოთ ფრაგმენტები, საიდანაც იკვეთება სხვადასხვა პიროვნების შეხედულება როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე. ეს მით უფრო ანგარიშგასაწევი და საგულისხმოა, ვინაიდან მეცნიერული გამოკვლევა მხატვრულ ტექსტზე ჯერ-ჯერობით არ დაწერილა:

მეუფე ანდრია: „ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა იმ მონოგრაფიათა შორის, რაც იაკობ გოგებაშვილის შესახებ შექმნილა ათწლეულების განმავლობაში”(მეუფე ანდრია 2008:40).

დოდო ბიძინაშვილი: „შეუძლებელია ისაუბრო ყველა იმ ღვაწლზე, რაც დაკავშირებულია იაკობის სახელთან, მაგრამ ბატონი როსტომი ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწევს თვალს მის ნაკვალევს და ჩვენ, მკითხველებს, დამაჯერებლად გადაგვიშლის მისი მოღვაწეობის სურათს. თანმიმდევრობით გადმოგვცემს, თუ

როგორ შეიცვალა მისი ძალისხმევით აღზრდის სისტემა და შეწყდა ფიზიკური დასჯა სკოლაში.

წიგნში უხვად არის მოხმობილი იაკობის ენასთან დამოკიდებულების ამსახველი პასაჟები. ბატონ როსტომს „დედაენა“ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მთავარ ბურჯად მიაჩნდა, რადგან მისი ღრმა რწმენით, ამ წიგნს უნდა შეესრულებინა გადამწყვეტი როლი გარუსების გზაზე მდგარი ქვეყნის შემოსაბრუნებლად, ხოლო გენიალური მიგნება – „აი ია“ – სავიზიტო ბარათი უნდა გამხდარიყო ქართულ სამყაროში შესაღწევად” (ბიძინაშვილი 2008:41).

თამილა გოგოლაძე: „იაკობ გოგებაშვილის შესახებ ბევრი სამეცნიერო შრომა არსებობს, მაგრამ როსტომ ჩხეიძის წიგნი „ბურჯი ეროვნებისა“ განსაკუთრებულია როგორც ფორმით, ისე შინაარსით. თუ გინდა გოგებაშვილი დაინახო, ეს წიგნი უნდა წაიკითხო” (გოგოლაძე 2008:41).

ვანო ჩხიკვაძე: „როსტომ ჩხეიძის წიგნი არ არის მხოლოდ ფაქტების აღწერა, ანალიზი, განსჯა და განხილვა, ეს არის რომანი, რომელშიც გვესაუბრება მწერალი და არა მკვლევარი” (ჩხიკვაძე 2008:42).

ესმა გაბისონია: „როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ გვიჩვენებს ხელდასხმული ადამიანის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზას უძძიმეს ვითარებაში... იაკობ გოგებაშვილის ხასიათი წიგნში ისეა აღწერილი, გგონია, მოქმედების თანამონაწილე ხდები და იმ სიხარულს იზიარებ, რასაც მისი შეგირდები განიცდიდნენ... მომავალი პედაგოგებისათვის ეს წიგნი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა ღირსეული საქმიანობის, გამთლიანებული წარსულის, აწყმოსა და მომავლის გასაცნობიერებლად” (გაბისონია 2012:4).

ჩვენი მხრივ კი აღვნიშნავთ, რომ როსტომ ჩხეიძის „ბურჯი ეროვნებისა“ (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა) მოიცავს დიდი ქართველი მამულიშვილის, პედაგოგის ღვაწლის ასახვას. მწერალი გვიყვება მოაზროვნის ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან ეტაპზე, წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე, იმ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე გზაზე, რომელიც გაიარა ამ გამორჩეულმა მოღვაწემ.

წიგნში მოცემულია ოცდაერთი ვრცელი თავი, თითოეულს თავისი სათაური აქვს: „არჩევანი“, „იოსებ მამაცაშვილის სალონი“, „გასწორაძე“, „ხომალდები ბუხარში“, „იის სურნელი, იის საიდუმლო“, „ზოგიერთნი იქ

რადაცას ცელქობენ”, „ვიდრე მისია აღსრულდებოდეს”, „ილია და იაკობი: შრომის განაწილება”, „პოლიტიკოსად პედაგოგიკაში”, „ჩემი პირველი მოთხრობა”, „დალატი ენის – დალატი ქვეყნის”, „ეს აუხსნელი გზანი უფლისანი”, „საქართველოს საყმაწვილო ისტორია - ფრაგმენტებად”, „მოკვდა ენა? მოკვდა ხალხიც”, „საქართველოს ექსარხოსი” მაინც ერქვა”, „რობესპიერის ლანდიან მიფრინავენ კალოშები”, „ჩაქრა ლამპარი დიდებული”, „ათასი ელვის ისარი”, „ზრუნვა, ზრუნვა... საფლავისათვის”, „რაც აზრი მქონდა, ავასრულე”, „მეფე ერეკლეც რომ ცოცხალი ყოფილიყო”. რომანს უძღვის წინათქმა და ახლავს ეპილოგიც.

როსტომ ჩხეიძე ნაწარმოებში ძალიან დაწვრილებით და თანმიმდევრულად აღწერს იაკობ გოგებაშვილის განათლების მიღების პერიოდს. ბიოგრაფიული რომანიდან ირკვევა, რომ მშობლებს, ნათესაებს სურდათ, იაკობი ბერად აღკვეცილიყო. ყმაწვილს კი სწავლის მიღება სწყუროდა. ამ სურვილის აღსრულებაში მას დაეხმარა ივანე, უფროსი ძმა და იაკობმა დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და სემინარია. მწერალი შთამბეჭდავად აღადგენს პედაგოგის ცხოვრების ამ ხანას. ამონარიდი რომანიდან: „სემინარიაში ღვთისმეტყველებას ღვთისმეტყველებად შეისწავლიდა და წმინდა მამათა ცხოვრებათაც ხელიდან არ უშვებდა. იმათ ბიოგრაფიაში თავის იდეალს და თავისი მოღვაწეობის ერთადერთ გზად ბერობა ესახებოდა. უბრალო ბერობა კი არაო, გაუმხელდა ნიკო ლომოურს, არამედ – ბერობა-მესვეტეობაო. და იმას სულაც არ უკვირდა, იაკობს ყველაზე უფრო ძნელი და მომჭირნი მოღვაწეობა რომ აერჩია თავის გამოსაცდელად”(ჩხეიძე რ. 2007:81).

იაკობ გოგებაშვილმა წარმატებით დაამთავრა სემინარია და სახელმწიფო ხარჯით კიევის სასულიერო აკადემიაში გააგზავნეს, ავადმყოფოს გამო კურსის დასრულება ვერ შეძლო, თუმცა მისცეს ერთწლიანი სწავლის წარმატებით დამთავრების მოწმობა უმაღლესი ატესტაციით.

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში მწერალი აცოცხლებს იაკობ გოგებაშვილის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში ზედამხედველად დანიშვნის პერიოდს. როგორც ვიცით, იმ დროს შეგირდებს ხშირ შემთხვევაში სცემდნენ. თუმცა ეს სისასტიკე აიკრძალა პედაგოგის მისვლისთანავე, ცხადია, მისი მეშვეობით და მოწადინებით. მოსწავლეები დამშვიდნენ, იმედით აღივსნენ. როსტომ ჩხეიძე შესანიშნავად აღწერს იმ ხანას. ფრაგმენტი თხზულებიდან: „და კომმარული სიზმარივით ამოიშლებოდა ყმაწვილთა გონებიდან ის ხანა,

როდესაც დღის განმავლობაში ნახევარი კლასი მაინც გაიწკეპლებოდა ხოლმე. განსაკუთრებით, ცხადია, წვრილფეხობა. ზევით-ზევით კლასებში თანდათან იშვიათდებოდა ცემა-ტყეპა, მაგრამ აცდენით არც მათ აცდებოდათ”(ჩხეიძე რ. 2007:12).

იაკობ გოგებაშვილს სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველად მუშაობა იმ დროს შესთავაზეს, როცა ეს სასწავლებელი სავალალო მდგომარეობაში იყო. პედაგოგმა ამ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარი თქვა, რადგან მას ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უწყობდა ხელს. ამასთანავე, იგი უკვე სახელმძღვანელოების გამოცემაზე მუშაობდა და მისი მოსაზრებით, ზედამხედველად მუშაობა დიდად დააბრკოლებდა მის პედაგოგიურ მოღვაწეობას. თუ როგორ წარიმართა ამ კუთხით მდგომარეობა, ამასთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძე წერს ბიოგრაფიულ რომანში:

„ეს თუ მტკიცედ დაიჟინებდა, ისინიც არანაკლებ სიმტკიცეს გამოიჩენდნენ და სამღვდელოების ყრილობა მის კანდიდატურას წამოაყენებდა და გადაიყვანდა კიდეც.

ასეთი თავისნათქვამა კაცი არაფრისდიდებით არ დათანხმდებოდა სამღვდელოების მოთხოვნილებას, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა, უჩემოდ მართლა ვერაფერს გაართმევენ თავს, სასწავლებელი კიდეც უფრო თავქვე დაექანება და მერე რამეს გამოსწორება იქნებ სრულიად შეუძლებელიც შეიქმნასო. იღუმალის ხმა კარნახობდა, ნუ ურჩობ, იცოდე, სხვა გზა არ გაგაჩნიაო.

იმათ უკვე გაემეტებინათ და ესეც... თავს გაიმეტებდა”(ჩხეიძე რ. 2007:33). ჩვენს მიერ მოხმობილი ამონარიდიდან თვალნათლივ იკვეთება, თუ როგორ მოხდა იაკობ გოგებაშვილის ზედამხედველად დანიშვნა. ამ ფაქტს ზუსტად გადმოსცემს „ბურჯი ეროვნებისა“-ს ავტორი და თან თავის დამოკიდებულებასაც აფიქსირებს.

ბიოგრაფიული რომანის მესამე თავში „გასწორაძე“ როსტომ ჩხეიძეს საოცარი სიმძაფრით და შთამბეჭდავად აქვს გადმოცემული იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი და ამავე დროს, რთული პერიოდი. კონკრეტულად კი ხანა, როდესაც ცრუ ბრალდებით უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის რწმუნებული კერსკი გამოავზავნეს საქართველოში.

მას მიზნად ჰქონდა დასახული – პოლიტიკური ორგულობის დადასტურება იაკობის მიმართ. მისი სასწავლებლიდან გამოძევება განიზრახეს. მხატვრულ

ტექსტში ეს ამბავი საოცარი სიმძაფრითაა გადმოცემული, ცილისწამება დიდი პედაგოგის მისამართით. თუმცა ყოველივე ამას წინ უძღვოდა მანამდე, ცოტა ხნით ადრე უკრაინელი რევიზორის დადებითი დასკვნა იაკობ გოგებაშვილის ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, როგორც ზედამხედველზე, „გულდასმით რომ შეისწავლიდა ყოველივეს, საყვედური ეკადრებინა კი არა, აღტაცებული დარჩებოდა. – ჩინებულიაო, – გაიძახოდა, – ამ ტიპის საუკეთესო სასწავლებელს არ ჩამოუვარდება შიდა რუსეთშიო... განათლების მეთაურიც, რუსეთში, თავის მოხსენებაში იმპერატორის სახელზე იაკობ გოგებაშვილს სრული ქებით მოიხსენიებდა და... შურისმაძიებელთ ერთხანს ნირს დაუკარგავდა.

ერთხანს, თორემ ეს ქუჩა ახალ მტრებსაც შემატებდა, შური უკიდურესობამდე გამძაფრდებოდა ბეზლობის წერილს ბეზლობის წერილები მისდევდა კვალდაკვალ – პოლიტიკურად ორგული და სეპარატისტო”(ჩხეიძე რ. 2007:63). მართლაც, თბილისში სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობის შესასწავლად ჩამოსული ახალი რევიზორი კერსკი ჭორ-მართლით დაღალეს და როგორც მწერალი მიუთითებს, კანცელარიაში საბუთები საგანგებოდ აურიეს, შემოსავალ-გასავალის წიგნებიც მოიპარეს, სასწავლებლის თანხების მითვისება-გაფლანგვის დასადასტურებლად სხვადასხვა საბუთიც დამალეს და ასე დაახვედრეს რევიზორს იქაურობა. ამავე დროს, უამრავი ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს გოგებაშვილის საქმიანობის შესახებ, როგორც პედაგოგზე და როგორც სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველზე. იგი პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებადაც გამოაცხადეს... რევიზორმაც არ დააყოვნა და სინოდის სახელზე მოხსენება დაწერა. ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან: „პოლიტიკური ორგულობა და სეპარატიზმი, რაც ბრალად წაუყენებიათ იაკობ გოგებაშვილისთვის, მის მკაცრ შერისხვას გულისხმობდა და რევიზორი ისე მოხსნიდა სამსახურიდან, მიზეზის დასახელებას პირადად მისთვის და თავის მართლების მოსმენას არც მიიჩნევდა აუცილებლად.

ზურგს უკან უწმინდესი სინოდი იდგა, რომლის შეუვალობასაც ვერც ვერაფერი შეარყევდა და ვერც ვერაფერი გაარღვევდა”(ჩხეიძე რ. 2007:64). ამას მოჰყვა იაკობ გოგებაშვილის თვითმკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატებოდა მტკვარში გადაგარდნით, თუმცა სანდრო ცხვედაძის წყალობით გადარჩა და მეგობრებმა სულით ავადმყოფთა თავშესაფარში მოათავსეს. მისი სულიერი მდგომარეობა მალე გამოსწორდა და განაგრძო ფიქრი, მუშაობა სახელმძღვანელოების შედგენაზე. ამ პერიოდში მან ყველა ის საბუთი დაწვა,

რაც მის განათლებას და სამსახურს უკავშირდებოდა. ამასთან დაკავშირებით მეგობრისთვის, ნიკო ცხვედაძისთვის გაუმხელია: „ვამ თუ, მაგის წყალობით შემდეგ, როდისმე გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო“ (ჩხეიძე რ. 2007:72).

ამდენად, რომანის ეს თავი თავისი შინაარსით, მწერლის მხატვრული გადმოცემის მანერით, დრამატიზმითაა სავსე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მწერალმა აქ გააცოცხლა დიდი ქართველი მამულიშვილის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და წინააღმდეგობებით მოცული ეპიზოდი.

ბიოგრაფიულ რომანში იოსებ მამაცაშვილის სალონის შესახებ გრძელდება საუბარი. მასპინძლის ოჯახში XIX საუკუნის 60-იან წლებში იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენცია, რუსები და გაქართველებული სომხებიც. აქ ხშირად სტუმრობდა იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, დოქტორი გეგე მაღალაშვილი, ანტონ ფურცელაძე, პედაგოგი სიმონოვიჩი მეუღლითურთ და სხვანი. იოსებ მამაცაშვილის სალონის ძირითად არსა, მნიშვნელობასა და საქმიანობაზე მწერალი საინტერესოდ გვიყვება. ფრაგმენტი რომანიდან: „დარბაისლურ საუბარს კამათი ცვლიდა, თემები შემოზღუდული არა ჰქონიათ და უამრავ სატკივარს გადაწვდებოდნენ, რეფერატებსაც წაიკითხავდნენ, რჩეულ სტატიებსაც და წიგნებსაც კი. დებატებსაც მართავდნენ და სალონური ყოფა სამეცნიერო კონფერენციის იერსაც ღებულობდა, თითქოს უიმისოდ არტახებში გამოტყედილა და მეტ სივრცეს მიეღტვისო“ (ჩხეიძე რ. 2007:42). იოსებ მამაცაშვილის სალონზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ აქ, ამ წრეში გაჩნდა იდეა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა.

რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ დაწვრილებითაა მოთხრობილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების, წესდების შექმნისა და თავმჯდომრის შერჩევის საკითხის შესახებ. იაკობ გოგებაშვილის თხოვნით ვახტანგ თულაშვილმა წესდება სიმამრს რუსეთიდან გამოაგზავნინა და მის საბოლოო ვარიანტზე იმუშავეს დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს, ნიკო ცხვედაძემ, იაკობ გოგებაშვილმა. მათ მეფისნაცვლის კეთილგანწყობა მოიპოვეს, ხელნაწერები შეკრიბეს, რასაც მოჰყვა დამტკიცება და გამგეობების შეკრება. ზემოთ დასახელებული



პიროვნებების მეშვეობით, ძალისხმევითა და მოწადინებით თანდათან დაიწყო საქართველოს კუთხეებში სკოლების დაარსება, ასევე, რეგიონებში გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებანი, რომელთაც თავიანთი საგანმანათლებლო თუ კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, განხორციელება ევალებოდათ და იქ მკვიდრი მოსახლეობისათვის ამ კუთხით ინფორმაციის გავრცელება ეკისრებოდათ, რათა მეტი ადამიანი ჩართულიყო ამ საქმიანობაში.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზის ჩვენებისას როსტომ ჩხეიძე მის პორტრეტს საინტერესოდ ხატავს. ფრაგმენტი რომანიდან: „გაზეთების კითხვისას ხმამაღლა გამოხატავდა თავის განცდებს – აღშფოთებას თუ უსიამოვნო ცნობას ამოიკითხავდა, განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების დევნის თაობაზე; სასიამოვნო ცნობებისას ღიმილით უცისკროვნდებოდა სახე და ამ ცალკეულ პასაჟებსაც, ლექსებსაც და სულაც პუბლიცისტურ წერილს ხმამაღლა წარმოთქვამდა – თითქოს სცენაზე გამოსულიყოს. ბუნებითაც მოსდგამდა არტისტული ნიჭი და ამდენ კითხვაში ისეთი გამოცდილებაც შეეძინა, დახელოვნებულ დეკლამატორებს ტოლს არ უდებდა“ (ჩხეიძე რ.2007:139).

ბიოგრაფიულ რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ მრავალი საინტერესო პერსონაჟია. ერთ-ერთი მათგანია არტურ ლაისტი, რომელსაც ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ქართველ პედაგოგთან. იგი დიდად აფასებდა იაკობ გოგებაშვილის დეაწლს, მის შემოქმედებას, წიგნებს, გონიერებას, პატიოსნებასა და გულკეთილობას. მან 1887 წელს გერმანიაში გამოსცა ქართული პოეზიის კრებული, რომელსაც დაურთო წინასიტყვაობა. არტურ ლაისტმა იქაურ მკითხველს ზოგადად გააცნო ჩვენი ქვეყანა, მისი ღამაზი ბუნება და ესაუბრა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პიროვნებაზეც. როსტომ ჩხეიძე გერმანელი შემოქმედის წიგნის წინასიტყვაობის ყველაზე საინტერესო ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას და იგი ქართველი პედაგოგის შესახებ ლაისტის მოსაზრებას წარმოაჩენს. ფრაგმენტი ნაწარმოებიდან: „ქართველებს აქვთ სახელმძღვანელო წიგნები, გოგებაშვილის მიერ შედგენილი, რომელიც გინდა ევროპის ლიტერატურას რომ დაამშვენებდაო. მას კი მიუწვდებოდა ხელი ევროპულ სახელმძღვანელოებზე, გერმანულზე და სხვაზეც... იაკობ გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი მწვერალი, თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდაო – ამ საგულისხმო დაკვირვებასაც

გაგვიზიარებს და, რომ ჩაუფიქრდება, ვერ გაიხსენებდა ერთ დღესაც, იაკობი კითხვას ან წერაში რომ არ ყოფილიყოს გართული, რამდენიმე წლის მანძილზე, თითქოს ყოველდღე ათ საათსა და ზოგჯერ მეტსაც მუშაობდა. ხშირად გვიან ღამითაც მინახავს თავის საწერ მაგიდასთან მომუშავეო”(ჩხეიძე რ. 2007:215;219).

აღნიშნული ამონარიდიდან კარგად იკვეთება გერმანელი თანამოკალმის შეფასება იაკობ გოგებაშვილზე. მკითხველი იგებს, თუ როგორი პიროვნება ყოფილა იგი და რა თვისებებით იყო შემკობილი.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფი ქართველი მწერლისა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობაზე ამხვეილებს ყურადღებას. ორ ადამიანს მეგობრული დამოკიდებულება აკავშირებდათ, ისინი ერთმანეთის ღვაწლს ჯეროვნად აფასებდნენ, საჭირო დროს ერთადაც იდგნენ ქვეყნის სამსახურში და ეროვნულობას იცავდნენ. როსტომ ჩხეიძე წერს, რომ თვალსაჩინო მოღვაწეთაგან ილიას პოლემიკა არ გაუმართავს იაკობ გოგებაშვილთან და ვაჟა-ფშაველასთან. რომანში ვკითხულობთ: „იაკობის ცხოვრების სტილი უშუალოდ გადაჯაჭვოდა ილიასას, ბევრი საერთო საქმე ჰქონდათ და რა გასაკვირია, სადღაც რაღაც უნებრად წაცდენოდა ან ერთს, ან მეორეს... მაგრამ არა... ილია ჭავჭავაძე ხშირად რომ აქებდა იაკობის ნიჭსა და მოღვაწეობას, არტურ ლაისტსაც გაუზიარებდა ხოლმე თავის შეხედულებებს იაკობზე: დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მის მოღვაწეობას საბავშვო მწერლობის დაფუძნებისთვისო. ამ საქმეში სრულიად დამოუკიდებელიაო...

მაგრამ ვერც იმას უმაღავდა, რომ მასთან ურთიერთობისას ძალიან უნდა გეფრთხილა, უეცრად რომ არ აფორიაქებულიყო ან ისე არ დაეჟინა რაღაც, ფეხი არა და არ მოეცალა ერთხელ ნათქვამიდან. დიპლომატიის ხელოვნების გამოყენება მიხდებაო, – ილიამ”(ჩხეიძე რ. 2007:177).

ბიოგრაფიულ რომანზე „ბურჯი ეროვნებისა” საუბრისას შეუძლებელია არ ვთქვათ, რომ ეგნატე ნინოშვილი ერთ-ერთ საინტერესო პერსონაჟად გვევლინება ნაწარმოებში. როსტომ ჩხეიძე აცოცხლებს მწერლის და დიდი მოაზროვნის, პედაგოგის ცხოვრებიდან საკმაოდ მნიშვნელოვან, საყურადღებო პასაჟებს. როგორც თხზულებიდან ხდება ცხადი, იაკობ გოგებაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეგანტე ნინოშვილის მოთხრობამ „ჩვენი ქვეყნის რაინდი”, ამავე დროს, შემოქმედის მძიმე ავადმყოფობითა და სოციალური მდგომარეობითაც დაინტერესდა და გადაწყვიტა, დახმარებოდა მატერიალურად,

თუმცა ისე, რომ მწერლის თავმოყვარეობა არ შეეღაზა და უხერხულობა არ ეგრძნო. ეს ყველაფერი იაკობ გოგებაშვილის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს, მის ხასიათზე. ამის დასტურად მწერალი იხსენებს იმ ბარათის შინაარსს, რომელიც გაუგზავნა პედაგოგმა მწერალს. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან: „1894 წლის 22 იანვარს ვრცელ წერილს მისწერდა სნეულ ბელეტრისტს და ამცნობდა, ძლიერი შთაბეჭდილება დაგვიტოვა „ჩვენი ქვეყნის რაინდმა“ ყველა იმ მკითხველსა და, მათ შორის, მეცო, თუმც არც იმას დაუმაღავდა, რომ მოთხრობის მეორე ნაწილმა მოლოდინი ვერ გაუმართლა. ასეა თუ ისე, დარწმუნებით განუცხადებდა, საჭირო ხარ სამშობლო ლიტერატურისათვის და თავს ძლიერ უნდა გაუფრთხილდეო. ცხადია, მარტო რჩევა-დარიგებას არ იკმარებდა და თავის საკუთარ ფულსაც გაუგზავნიდა – 5 თუმანს, თანაც მის თავმოყვარეობას იმ მაღამოს წააცხებდა, ურომლისოდაც ვაითუ, თანხა უკანვე დაბრუნებოდა: ეს მცირეოდენი ფული ჩათვალეთ პაწია სამაგიეროდ იმ დიდი კმაყოფილებისა, რომელსაც მაგრძნობინებს თქვენი მოთხრობების კითხვა, მეტად მასიამოვნეთო; თუ არადა, რა გაეწყობა, შერაცხეთ ვალად, რომელსაც მაშინ გადამიხდით, როდესაც მორჩებით და სახსარსაც იშოვნითო”(ჩხეიძე რ. 2007:246). წერილიდან ცხადი ხდება, რომ იაკობ გოგებაშვილი ეგნატე ნინოშვილს აიმედებდა, მისი თხზულებების გამოცემას უახლოეს მომავალში თავად უხელმძღვანელებდა.

ბიოგრაფიულ რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ მწერალი ნიჭიერი ბელეტრისტის, ეგნატე ნინოშვილის საპასუხო წერილზე მოგვითხრობს, რომელიც სავსეა მოწიწებით, უდიდესი პატივისცემით, მადლიერებით იაკობ გოგებაშვილისადმი. ამის შემდეგ მწერალს დიდხანს აღარ უცოცხლია და დიდმა მოაზროვნემ საკუთარი ხარჯით დაკრძალა იგი. თუმცა მანამდე გაუგზავნა იაკობს „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ შევსებული და შესწორებული ეგზემპლარი. „კვალის“ რედაქციის „წყალობით“ ეგნატეს ბიძა და ბიძაშვილი ალექსი ინგოროყვა აუმხედრდნენ იაკობ გოგებაშვილს და აუკრძალეს ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა კრებულის გამოცემა. ფრაგმენტი რომანიდან: „ასე ამოიყრიდნენ იაკობის ჯავრს, ისედაც გულზე აწვათ მისი არსებობა, ისედაც ილია ჭავჭავაძის გვერდით რაცხდნენ და ამისთანა მარჯვე შემთხვევა როგორ გაეშვათ ხელიდან წყლის ასამღვრევად. მემკვიდრეს ვეღარ აიყოლიებდნენ? მაინც ძალად მოსარჩლედ დაუდგებოდნენ და სტატიას უწყინარ სათაურს რომ შეურჩევდნენ – „ნინოშვილის თხზულებების გამოცემის გამო“ – ისეთ ეპიგრაფს

წამყვანებთან ხალხური ლექსიდან – „საწყალი დედაბრისასა თავნი ყანასა მკიანო” – შეურახმყოფელადაც რომ გამოჩნდებოდა გამჭირვალე მინიშნებით და მკითხველსაც უამურ გუნებაზე დააყენებდა: თავის სასარგებლოდ დაუწყიათ ოხვრად დარჩენილი ნინოშვილის ყანის მკაო”(ჩხეიძე რ. 2007:256).

ადვილად გასაგებია, ეს წერილი „კვალის” რედაქციის მეშვეობით იყო შედგენილი და დაბეჭდილი იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ მიმართული. პედაგოგს გაუჭირდა აეხსნა, თუ რატომ აუმხედრდნენ და გადაწყვიტა, ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის საქმეში არ ჩარეულიყო.

ბიოგრაფიულ რომანში სხვა საინტერესო საგანმანათლებლო საკითხებთან ერთად ასევე, მოთხრობილია საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის” დაარსების შესახებ, რომელიც იმუამინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ყოფაში არცთუ უმნიშვნელო ფაქტი იყო. იაკობ გოგებაშვილი სიხარულით შეეგება და დადებითად გამოეხმაურა ყოველთვიური პერიოდიკის გამოსვლას. ქართველმა პედაგოგმა თავადაც შეიტანა წვლილი მის დაარსებაში. იგი თვლიდა, რომ პატარა მკითხველებს დიდად წაადგებოდა „ნობათის” გაცნობა, წაკითხვა განათლების ამადლების თვალსაზრისით.

ცნობილი ფაქტია, რომ იაკობ გოგებაშვილი თავისი წიგნების შედგენისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რომლებიც ვარიანში შეკრიბა. მისი მოსაზრებით, ამას ყმაწვილის აღზრდისათვის, სწავლა-განათლებისათვის სარგებელი უნდა მოეტანა. ფრაგმენტი ბიოგრაფიული რომანიდან: „ზოგჯერ თუ პირდაპირ გადაიტანდა ხალხურ პოეტურსა თუ პროზაულ ნიმუშს სახელმძღვანელოს ფურცლებზე, ხან საგანგებოდ ჩაუჯდებოდა მათ გადაკეთებას და აღმზრდელობით მიზანს მიუსადაგებდა. ამას ფაქიზი გემოვნება და ოსტატობაც სჭირდებოდა, შეცვლა თვალშისაცემი რომ არ გამხდარიყო და დიდაქტიკა ძალდატანებითი”(ჩხეიძე რ. 2007:185).

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური და ესთეტიკური თვალთახედვით სახელმძღვანელოების შრიფტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჭეშმარიტი პედაგოგი ყმაწვილთათვის წიგნების შედგენისას ყურადღებას აქცევდა არა მარტო სახელმძღვანელოში შესატან მასალას, მის დალაგებას, არამედ შრიფტსაც. მას სურდა, წასაკითხი ტექსტები ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო. ამიტომაც ბიოგრაფოსი საჭიროდ თვლის აღნიშნულ საკითხზე შეახერხოს მკითხველის ყურადღება. ამონარიდი ბიოგრაფიული რომანიდან: „იმეათი

გემოვნებით შედგენილი „დედანი ქართული წერისა“ ისედაც მიგვახვედრებს, თუ როგორ ელოლიავებოდა იაკობი უკეთეს ნიმუშებს კალიგრაფიისა და შრიფტისა, ეფერებოდა თვითუელ გრაფიკულ მონასმს, ერთმანეთს დაუსრულებლად უდარებდა და ფარული ნიუანსებიც არ გამორჩებოდა”(ჩხეიძე 2007:200). იაკობ გოგებაშვილს სურდა, წიგნი რაც შეიძლება ლამაზად, ფაქიზად, უშეცდომოდ დაბეჭდილიყო, ჯილდოც გამოაცხადა კორექტურული შეცდომების აღმოჩენისათვის, ბეჭდვისას არცერთ ნაკლოვან ფურცელს არ უშვებდა, გარეკანიც, ყდაც მოხდენილი ჰქონდა მის წიგნებს და აქ დავძენ, რომ მათ გავრცელებაზეც თავად ზრუნავდა.

იაკობ გოგებაშვილის, როგორც თანამედროვე პედაგოგიის ფუძემდებლის თეორიები ბავშვის აღზრდის კუთხით დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი. მან თავისი შეხედულებანი გამოთქვა, ჩამოაყალიბა მშობლიური ენისა და უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებით, ენისა და ეროვნულობის დაცვაზე, შენარჩუნებაზე, საქართველოს ისტორიულ ყოფაზე, წარსულზე... კარგად მოგვეხსენება, ამას დიდ ყურადღებას აქცევდა „დედა ენის“ შემოქმედი. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა, როდესაც მშობლები ბავშვებს ერთი უცხო ენის ნაცვალად, ორ ან სამ ენას ერთდროულად ასწავლიდნენ. ამ ფაქტს გმობდა იგი და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შვიდი წლის განმავლობაში ქართულ ოჯახში ყოველი პატარა ქართველს მხოლოდ დედა ენაზე უნდა ესაუბრებოდნენ.

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიული რომანის თავში „მოკვდა ენა? მოკვდა ხალხიც“ საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს აღადგენს, როდესაც სამრევლო სკოლების საოლქო ზედამხედველმა, კოსტორგოვმა რუსული ენის გაძლიერება დაიწყო, რასაც მოჰყვა ქართული ენის გაკვეთილების გაუქმება, იმავე დროს, დედა ენა უნდა ამოღებულიყო სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში სწავლეებიდანაც, მიზეზად კი ადგილობრივი კილოკავების გამოყენება დასახელდებოდა. ფრაგმენტი რომანიდან: „თითქოს ამ კუთხეების სიკეთით მოხდიოდათ. ჭკუამჩატობით, მაგრამ მაინც კეთილი განზრახვით. არადა, მიზანი მზაკვრული – დედა ენის გამოდევნა გახლდათ და მეგრულიც და სვანურიც რუსულის უნებლიე მოკავშირედ სურდათ გამოეყვანათ. დაადწიეთ თავი რუსული ენის მოძალადეებს, თქვენი ბუნებრივი მეტყველება გერჩინოთ, იმათ ცალკე ჩასჩინებდნენ და რუსულ პრესაშიც გადიგამოდიოდა მეგრელთა და სვანთა „მხურვალე დაცვის“ წადილით შთაგონებული სტატიები”(ჩხეიძე რ.

2007:326). იაკობ გოგებაშვილს ამ კუთხით დიდი ბრძოლა მოუწია, იგი სხვადასხვა წერილს წერდა, აქვეყნებდა, რათა მშობლიური ენა დაცული ყოფილიყო, ეროვნულობა არ დაკარგულიყო ჩვენს ქვეყანაში. ამის დასამტკიცებლად იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, ყველანაირად ცდილობდა ქართული ენის მნიშვნელობის განსაზღვრას და სათანადო ადგილის მიჩენას.

ქართველი მოაზროვნისა და მამულიშვილის ქველმოქმედებაზე არაერთი მისი მეგობარი, ახლობელი მიუთითებდა. სწორედ ასეთი, სიკეთის მკეთებელი ახსოვდა იგი ვანო ავალიშვილს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მომუშავე ადამიანს. იგი საკმაოდ ახლოს იცნობდა პედაგოგს. მისი თქმით, იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოების შემოსავლის დიდ ნაწილს თვითონ საზოგადოების ძირითად ფონდში ტოვებდა, სტიპენდიებზეც ზრუნავდა, საქველმოქმედო საზოგადოებათა დასახუქრებაზეც, ახლობლებზეც და თავისთვის მხოლოდ მცირე ნაწილს იტოვებდა.

რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ იაკობ გოგებაშვილის პირადი ცხოვრებაცაა გაცოცხლებული. როგორც თხზულებიდან ცხადი ხდება, დიდი პედაგოგი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხშირად ფიქრობდა იმაზე, რომ უმემკვიდროდ დარჩა. ამ საკითხზე მას აკაკი წერეთელთანაც უსაუბრია, რომელსაც გაუმხნევებია:

– „მაგაზე რას დარდობ, მთელი საქართველოს ბაღლები სულ შენი შვილები არ არიან?“ იმ წუთას მართლაც გამოხალისდებოდა იაკობი: ამდენი შვილი სხვას ვის ეყოლებაო, – ხუმრობითვე გამოიღებდა თავს და გაოცებული აღმოაჩენდა, რომ დარდი სადღაც უკვალოდ გამქრალიყო; მაგრამ... მაგრამ გამოსცდებოდა აკაკის და კვლავ რაღაც მოუჭერდა გულზე ჭანგივით”(ჩხეიძე რ. 2007:363)

როსტომ ჩხეიძე იაკობ გოგებაშვილის პირად ცხოვრებაზე საუბრისას აღწერს იოსებ მამაცაშვილის სალონსა და მის წევრებს. მასპინძელს სამი ქალიშვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთ-ერთი, დარო მოსწონდა ბიოგრაფიული რომანის მთავარ პერსონაჟს. როგორც იმუამინდელი თანამედროვეთა მოგონებებიდან ირკვევა, ქალბატონსაც იგივე გრძნობა გააჩნდა, საზოგადოება ელოდა მათი სასიყვარულო ურთიერთობის დაგვირგვინებას, შეუღლებას, თუმცა ეს ასე არ მოხდა. მთავარ მიზეზად ასახელებდნენ იაკობის ავადმყოფობას, თუმცა ამ საკითხზე პირადად მასთან ვერავინ ბედავდა საუბარს, კითხვის დასმასაც კი.

1906 წლის თებერვალ-მარტის გაზეთებში გაკეთდა ერთ-ერთ მთავარი განცხადება, ახალ ამბავზე წერდნენ. პრესა იუწყებოდა, რომ „თბილისში არსდება ლეგალური პარტია. პარტიის მეთაურად არიან ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი”(ჩხეიძე 2007:388). მათ ერთად არაერთი სასიკეთო რამ გააკეთეს ქართული სკოლის გადაარჩენასთან დაკავშირებით თუ სხვა ამგვარი საქმე. ბიოგრაფიული რომანის მთავარმა პერსონაჟმა იმ პერიოდში საჭიროდ ჩათვალია ილია ჭავჭავაძის გვერდით ყოფილიყო და პოლიტიკურ პარტიაში, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეწოდა, დამფუძნებელთა შორის აღმოჩნდა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ და არ გახლდათ მარტივი ამის გაკეთება, ვინაიდან იმუამინდელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში საშიში იყო. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და არა ისე, როგორც ამას პარტიის ლიდერები თუ წევრები მოიაზრებდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსება-დამკვიდრება გაჭიანურდა და თან მთავარი საყრდენი, ილია ჭავჭავაძე წიწამურთან მოკლეს. პოლიტიკური ვითარება სხვაგვარად წარიმართა. ფრაგმენტი მხატვრული ტექსტიდან: „ანტინაციონალური დრო ჭამდა და ხვერპდა ყველაფერს და იაკობი მეტი ჟინით გადაჰფარებოდა სკოლებსაც და ქართული ენის სახელმძღვანელოებსაც, მათ შენარჩუნებასა და განმტკიცებას, აქამდე მომიტანია თავდაუზოგავი გარჯით და მაინდამაინც ახლა არ გამიქრეს ხელიდან და ამოდ არ ჩაიწრიტოს რაც მიბრძოლია და მიჯახირიაო. თავისას ცდილობდა იაკობი. თავისას ითხოვდა ანტინაციონალური დრო, ნთქავდა ყმაწვილებს ჯონათან სვიფტის ესეის („მორიდებული წინადადების“) პერსონაჟებით და თანდათან ამკვიდრებდა თავდაყირა სინამდვილეს, სადაც ბოროტებას სიკეთე ერქვა, სიცრუეს სიმართლე, გლოვას სიხარული და წყვიდადს მზე”(ჩხეიძე რ. 2007:393).

ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ თავში: „რაც აზრი მქონდა, ავასრულე” როსტომ ჩხეიძე მოგვითხრობს პედაგოგის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. ლოგინადჩავარდნილმა მასთან მოსანახულებლად მისულ ვასილ ბარნოვს უთხრა: „რაც აზრი მქონდა, ავასრულე, ქართულ სკოლას საფუძველი ჩავუყარე”(ჩხეიძე რ. 2007:476). ამონარიდი: „თითქოს წუთისოფლის კარიბჭე კიდევ გაეგლო და იქიდან გამოჰყურებდეს საამქვეყნო მოღვაწეობას, რაც გულნაკლულობის გრძნობასაც უჩენდა, მაგრამ ეამაყებოდა, რომ იმ მთავრისთვის მაინც მიეღწია, ქართული სკოლა რეალობაში მკვიდრად გადმოეტანა და ახლა პირმშოსავით

აბარებდა შთამომავლობას, ვასილ ბარნოვის სახეში გასიმბოლოებულს” (ჩხეიძე რ. 2007:477).

იაკობ გოგებაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ყველაფერს წინასწარ გეგმავდა, ითვალისწინებდა და ავადმყოფობის ეამს უკანასკნელი ძველშესალაგისთვის ზრუნვაც თავად გადაწყვიტა. სწორედ პედაგოგის ცხოვრების ამ პერიოდს ასახავს ნაწარმოების ბიოგრაფიული რომანის ბოლო თავი: „მეფე ერეკლეც რომ ცოცხალი იყოს”. ეს ის დროა, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მან მეგობარს, ლუარსაბ ბოცვაძეს სთხოვა, ენახა დეკანოზი თალაკვაძე და ეთხოვა ნიკო დოღობერიძეს საფლავის გვერდით, დიდუბის პანთეონში, გზის პირას დაეტოვებინა ადგილი მისთვის. ამონარიდი: „მეგობრები ნელ-ნელა რომ შემოეცლებოდნენ ხელიდან, სიკვდილის სუნთქვას სულ უფრო ახლოს იგრძნობდა და სტოიკურობით რომ შეეგუებოდა მისი ფრთის შეხებას, ლაისტიც სწორედ ამას გვამცნობს:

–აღსასრულს, როგორც ნამდვილ ბრძენს შეშვენის, დამშვიდებითა და უშფოთველობით მოელოდა...

მისია უკვე აღსრულებულიყო.

ქართული სკოლის საძირკველი მკვიდრად გაჭრილიყო”... (ჩხეიძე რ. 2007: 486,492).

ახლა ბიოგრაფიული რომანის მხატვრული მხარის შესახებ ვიმსჯელებთ. მოვიხმობთ ამონარიდებს როსტომ ჩხეიძის პროზაული ნაწარმოებიდან, სადაც იკვეთება მხატვრული ხერხების: მეტაფორის, ეპითეტის თუ შედარების გამოყენება. ფრაგმენტი: „ქარმა კი უდმერთო ქროლა იცოდა და ნესტიც ჭამდა და ხრავდა იქაურობას. ამიტომაც გაურბოდა მშობლიურ კერას იაკობი. მონატრება იზიდავდა, მაგრამ შავი აჩრდილივით ადევნებული ჭლექი გამორიდებას აიძულებდა”(ჩხეიძე რ. 2007:5). სხვა მაგალითი: „ესე დალოცვილი გახდა მისი შემოსვლის დღეო – ცის გახსნასავით გამოარჩევდა მისი გამოჩენის წუთებს ვასილ ბარნოვი და მის ჩინებულ მასწავლებლობასაც სანიმუშოდ შემოგვინახავდა”(ჩხეიძე რ. 2007:20). მხატვრული სახეების გამოყენება დასტურდება შემდეგ ამონარიდშიც: „გასაქანს ეძიებდა გრიგოლ ორბელიანი, დასაკლავი ხარივით შეზმუვლებდა გიმნაზიასაც და სემინარიასაც... და იაკობ გოგებაშვილი იმ ლამის უიმედოდ დახშულ სივრცეს შეწყდომოდა გულით, კიდევ ბევრჯერ შეაწყდებოდა, ოღონდ... ოღონდ ჯერ მტკვრის ტალღებში უნდა დანთქმულიყო”(ჩხეიძე რ. 2007:29).



როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში დიალოგებსაც გვთავაზობს. ამჯერად ერთ მათგანს მოვიხმობთ, რომელიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების მორიგ მნიშვნელოვან ეპიზოდს უკავშირდება. კერძოდ, მისი საბუთების, დოკუმენტების დაწვას. მხატვრული ტექსტის მიხედვით, დიდი პედაგოგთან სტუმრად მისული მეგობრები ნიკო ცხვედაძე და ნიკო ლომოური მოულოდნელად ზემომითითებული ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. ამონარიდი მხატვრული ტექსტიდან:

– „როგორა ხარო, – კარიდანვე რომ შემოსძახებდა ნიკო ცხვედაძე, პასუხად იაკობი:

– აი, ეს წყეულები მაწუხებენ, მინდა თავიდან მოვიშოროვო.

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მაგიდიდან წამოკრეფდა მთელ ბლუჯა დაწერილ ქაღალდებს და გაჯავრებით შეჰყრიდა გაძლიერებულ ბუხარში.

– რა იყო, იაკობ? რა ქაღალდები უთავაზე ამ ჩვენს მხიარულ ბუხარსა? – ღიმილით ჰკითხავდა ნიკო ცხვედაძე იმას, რაც მისი სეხნიასაც ენის წვერზე ეკიდა, მაგრამ თქმა ვერ გაბედა...

– დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს.

– გემებიო?

– ნეტა რა გემებიო?

– ატესტი სემინარისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები ყველანი ცეცხლს მივართვი ძღვნად. ვაი თუ, მაგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო.

თუნდ უჩვეულოც იყოს, რაღაც ასეთს მისგან ეტყობა, ელოდნენ და ამიტომაცაა, რომ შემსწრენი შეცბუნებით მაინცდამაინც არ შეცბუნდებიან.

ნიკო ცხვედაძე აღცაცებითაც კი შესძახებს:

– გაუმარჯოს იაკობს, გაუმარჯოს!(ჩხეიძე რ. 2007:72).

ნაწარმოების მხატვრული მხარის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ბიოგრაფოსი ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია. ბიოგრაფიული რომანის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილულ პროზაულ ტექსტში როსტომ ჩხეიძე დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა და ჩვენც მათ წარმოჩენას მივანიჭეთ უპირატესობა, თუმცა ზოგადად მაინც აღვნიშნეთ თხზულებაში გამოკვეთილი მხატვრული სახეების შესახებ და ავტორის ინდივიდუალობას გავუსვით ხაზი.

ამდენად, როგორც თვალნათლივ დავინახეთ, როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიულ რომანში „ბურჯი ეროვნებისა“ შესანიშნავად წარმოაჩინა ქართველი პედაგოგის, მოაზროვნის, ჭეშმარიტი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა. საინტერესოდ დახატა მისი პორტრეტი. ნაწარმოებზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ მწერალმა საკმაოდ სრულყოფილად, ზედმიწევნით და ამომწურავად გადმოსცა „დედა ენის“ შემოქმედის ნაკლებად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ასპექტები. მხატვრულ ტექსტში ვრცლადაა მოთხრობილი იაკობ გოგებაშვილის იმ დამსახურების შესახებ, რაც მას ქართული საზოგადოების წინაშე მიუძღვის.

ბიოგრაფიულ რომანზე „ბურჯი ეროვნებისა“ დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მწერალმა განუზომლად დიდი მასალა დაამუშავა, იქნება ეს თავად იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილი თუ სხვადასხვა წიგნი, ნაშრომი ან სტატია და სხვათა ნააზრევი პედაგოგზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებისადა შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ როსტომ ჩხეიძემ შეძლო სრულყოფილად დაეხატა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზა.

განვიხილეთ იაკობ გოგებაშვილზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“. ქართველი პედაგოგის წმინდანად შერაცხვის შესახებ ბოლო რამდენიმე წელია საუბრობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ამდენად, იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებაზე, ღვაწლზე დაწერილი ნაწარმოების განხილვისას, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი წმინდანად შერაცხვის საკითხზე დაწერილი წერილები, წიგნაკები გაგვეანალიზებინა და კვლევისას წარმოგვეჩინა. ამ უთუოდ მნიშვნელოვან საკითხზე ედიშერ ჭელიძემ 2011 წელს გამოაქვეყნა წიგნაკი: „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“. ვსარგებლობთ ინტერნეტ გამოცემით <http://library.church.ge/>.

ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს, რა ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს ერის კაცმა, რომ იგი წმინდანად შერაცხოს ეკლესიამ. ამავე დროს, უმნიშვნელოვანესია ამ ადამიანის დამოკიდებულება მართლმადიდებლობასთან, ქრისტიანულ დოგმატიკასთან. აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის, გაანალიზებისათვის ედიშერ ჭელიძემ იაკობ გოგებაშვილის პუბლიკაციები შეისწავლა და დაასკვნა:

„I. სსენებული მოღვაწე ფაქტობრივად უარყოფს საქართველოს ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობას, მიიჩნევს მას მხოლოდ IV საუკუნეში წარმოშობილად.

II. იაკობ გოგებაშვილისთვის სრულიად უცხოა ერთი წმინდა მართლმადიდებლური ეკლესიის ცნება, იგი საქართველოს ეკლესიას ყველგან, ყველა შემთხვევაში განიხილავს მხოლოდ როგორც ეროვნულ დაწესებულებას, რომელსაც ავტორის რწმენით, IV საუკუნიდანვე ირგვლივ შემოსჯარვია მისდამი უაღრესად მტრულად განწყობილი სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები, როგორც მისი ეროვნულობის აღმოფხვრის მოწადინე “უცხო, გარეგანი ძალები”.

III. ავტორს სწამს, აგრეთვე, სხვადასხვა აღმსარებლობათა სრული განურჩევლობა, მისთვის, კერძოდ, სომხური მონოფიზიტური სარწმუნოებაც „მაღალი“ და „წმინდაა“.

IV. ქართველი ერისთვის, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, იაკობ გოგებაშვილის ურყევი აზრით, ქრისტიანობა მხოლოდ გარეგან აღმსარებლობად დარჩენილა, ოდნავადაც ვერ შეუღწევია მის სულში, ქართველებს რეალურად არასოდეს ჰქონიათ წმინდა წერილი.

V. იაკობ გოგებაშვილი არაერთგზის დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ეკლესიის მომავალი მის დემოკრატიზაციაშია, რაც ჯერ არჩევითი სისტემის დანერგვას გულისხმობს, საბოლოოდ – „იდეალურს თავისუფლების სინდისისას“ (<http://library.church.ge/>)

ედიშერ ჭელიძე ამ პუნქტებს, თუ შეიძლება, ასე ვუწოდოთ, თანმიმდევრულად მიჰყვება და განიხილავს იაკობ გოგებაშვილის თხზულებანის III ტომის მიხედვით (ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის), რომელსაც უპირისპირებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაზე დაწერილ ლიტერატურას. ავტორი „დედა ენის“ შემოქმედის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობას გამოირიცხავს და ამაზე იგი საუბრობს მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატიკის მიხედვით, კანონიზების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ედიშერ ჭელიძის ნააზრევს იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის საკითხთან დაკავშირებით გამოეხმაურა გიორგი გოგოლაშვილი. მისი ავტორობით შურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის მე-12 ნომერთან ერთად გამოვიდა წიგნაკი(ჩანართი): „არა ცილი სწამო!“ მისი შეფასებით, ედიშერ ჭელიძე არასწორად მსჯელობს იაკობ გოგებაშვილის ნააზრევის ირგვლივ, მის მსოფლმხედველობაზე და კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის შეხედულებას

„დედა ენის” შემოქმედის შესახებ. ამონარიდი: „ეს არის დიდი ქართველი მოღვაწის – იაკობ გოგებაშვილის – შეურაცხყოფელი ნაშრომი, ცილისმწამებლური ბრალდებანი; არასწორი, განგებ დამახინჯებული წაკითხვა იაკობ გოგებაშვილის ტექსტისა; ამბიციური და ამპარტავნული დამოკიდებულება კოლეგების მიმართ; „ყველაფრისმცოდნის” შეგონებანი და ქედმაღლური თითისქნევა „მავანთა” (ალბათ გულისხმობს იაკობ გოგებაშვილის დამფასებლებს - გ.გ.) მიმართ... ერთიც უნდა ითქვას, ედიშერ ჭელიძის მსჯელობას ვერ ჩავთვლით „ცდომილებლად” – ეს არის მიზანმიმართული გაყალბება ფაქტებისა, არასწორი ინტერპრეტაცია იაკობ გოგებაშვილის აზრისა”(გოგოლაშვილი 2012:62).

ამას მოჰყვა ედიშერ ჭელიძის საპასუხო 90 გვერდიანი წიგნაკი: „ოდეს სამართალმან დაგასამართლოს”. მეცნიერი გიორგი გოგოლაშვილის წერილში: „არა ცილი სწამო!” გამოხატულ აზრებს აკრიტიკებს. იგი ქართველი მოღვაწისა და დიდი მოაზროვნის წმინდანად შერაცხვას მტკიცედ ეწინააღმდეგება, უფრო მეტიც, პირდაპირ მიუთითებს: „იგი, იაკობ გოგებაშვილის სულზე ყოველმხრივი ძალმომრეობით ცდილობს მართლმადიდებლურად, წმინდანისათვის შესაფერისად წარმოაჩინოს ის პოზიცია, რაც პრინციპულად არამართლმადიდებლურია და არანაირად არ შეესაბამება მართლმადიდებელი წმინდანი კატეგორიულად ითხოვდეს ერისგან მართლმადიდებლობის უარყოფას წაყენებული არამართლმადიდებლური მოთხოვნის (მღვდელმსახურთა სახალხო არჩევნების დაკანონების) შეუსრულებლობის შემთხვევაში.

იაკობ გოგებაშვილი პირდაპირ უთითებს, რომ მისი კონცეფცია მეტ-ნაკლებად რეალიზებულია არამართლმადიდებლურ გარემოში (სომხებთან, სხვა სარწმუნოების ხალხებთან). ცხადია, მას რომ მართლმადიდებლობაშიც ჰქონოდა რაიმე სახის ნიშეში, როგორც აღვნიშნეთ, უთუოდ მიუთითებდა კიდევ (ვალდებული იყო), გოგოლაშვილი კი გვიმტკიცებს, რომ სწორედ ისაა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, სადაც იაკობ გოგებაშვილის მოთხოვნებია დაკმაყოფილებული და რისთვისაც იაკობი იბრძოდა, ხოლო „ასეთი” მართლმადიდებლობა, ანუ მართლმადიდებლობა, რაც იაკობის დროს (და მარადიულად) რეალურად არსებობს, „შავი ჭირია” და „ფორმალური” (ჭელიძე 2011:40). მას მოჰყავს უამრავი იგავი და ცნობილ მოღვაწეთა შეგონებანი. იგი უხვად იყენებს სხვადასხვა უარყოფითი ემოციის თუ მნიშვნელობის სიტყვა-გამონათქვამს ოპონენტის, გიორგი გოგოლაშვილის მისამართით, რაც თვალში

გვხვდება. მაგალითად, როგორცაა: „ჩვენს ძვირფას ოპონენტს მოლანდებია (დაავადებული გონებისათვის ეს სრულიად ბუნებრივია...) (ჭელიძე 2011:4); ან კიდევ: „თუ ოდესმე მოხდება და ჩემს რაიმე ნაწერს ხელში აიღებ, მუდამ გახსოვდეს, რომ როგორც იქ წერია, იმგვარადვე გაიგე. ქვეტექსტებისა და ფარულ „ზრახვათა“ ძიებას, ტვინის ჭყლეტასა და „იკანკლედობას“ (მიმოკლაკენას) განერიდე, რადგან, იცოდე, იმას ვწერ, რასაც ვფიქრობ. სხვათა შორის, ამასვე გირჩევ იაკობთან დაკავშირებითაც, მისი სიტყვებიც ისე გაიგე, როგორც წერია, შენი ჭკუისამებრ გადაღვლარჯნას ნუ ეცდები“ (ჭელიძე 2011:34) და სხვა.

ამდენად, როგორც დავინახეთ, ედიშერ ჭელიძე გიორგი გოგოლაშვილისგან განხვავებულად ფიქრობს „დედა ენის“ შემქმნელის მსოფლმხედველობის თაობაზე, მის ნააზრევზე ქართული ეკლესიის შესახებ და მათი პოლემიკაც სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს ეხმიანება.

აქ არ სრულდება პოლემიკა. ჟურნალი „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის №18 ნომერში ვკითხულობთ გიორგი გოგოლაშვილის საპასუხო წერილს ასეთი სათაურით: „კიდევ ერთხელ ედიშერ ჭელიძეზე, ამპარტავენებასა და უკიდევანო ამბიციებზე“. ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ იაკობ გოგებაშვილი მხოლოდ წმინდა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდევარი და აღმსარებელი იყო. ამის უკეთ წარმოსაჩენად და დასამტკიცებლად გიორგი გოგოლაშვილმა კათოლიკოს-პატრიარქი – კალისტრატე ცინცაძის სიტყვები დაიმოწმა, რომელმაც წარმოსთქვა 1912 წელს, ქაშვეთის ეკლესიაში იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის დღეს. ამასთანავე, ავტორს უყურადღებოდ არ რჩება და მოგვითხრობს, იმ ურთიერთდამოკიდებულების, პატივისცემის შესახებ, რაც არსებობდა გაბრიელ ეპისკოპოსსა და „დედა ენის“ ავტორს შორის. ამონარიდი: „კიდევ ერთხელ დავსვამთ კითხვას, რომ მომდევნო საპასუხი წიგნაკში მაინც გაგვცეს პასუხი ედიშერ ჭელიძემ: ეპისკოპოსმა გაბრიელმა და კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ვერ შენიშნეს იაკობში „მოჩვენებითი მართლმადიდებლობა“ და ედიშერ ჭელიძემ შენიშნა? გჯერა, მკითხველო, ედიშერ ჭელიძის მსჯელობის ჭეშმარიტებისა?“ (გოგოლაშვილი 2011:31). მათი პოლემიკა საკმაოდ მწვავეა და პიროვნული დაპირისპირებაც აშკარად იკვეთება, ამაში შემდეგი ამონარიდის წაკითხვაც გვარწმუნებს: „არ ვიცი, ღირს თუ არა საერთოდ ასეთ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ედიშერ ჭელიძის უკიდევანო ამბიციების მაგალითად ესეც შეიძლება გავიხსენოთ: ედიშერ ჭელიძე

წერს: – „ერთი წუთითაც არავინ დაიჯეროს, თითქოს იაკობ გოგებაშვილის საკითხი აღელვებდეს ჩვენს გიორგის, ოდნავადაც რამედ უღირდეს ხსენებული მოღვაწის სახელი ანთუ რაიმე ეროვნულობისთვის მოსაგრეობდეს. არა, მიზეზი სულ სხვაა, „მამხილებელი კალამი“ ხელში სულ სხვა ადრულობამ ააღებინა“...

ე.ი. გიორგი გოგოლაშვილს 20-მდე პუბლიკაცია რომ აქვს იაკობ გოგებაშვილის თემაზე (მათ შორის სამი წიგნი), ეს არაფერი, ეს უმნიშვნელო ფაქტიაო!... მთავარი კი, აი, რა ყოფილა: თურმე გიორგი გოგოლაშვილს დიდი ხანია შურდა ედიშერ ჭელიძის წარმატებებისა და საბაბს ეძებდა... კი, ასე წერს: „ეჭვი არაა, საქმე გვაქვს მის სულში (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მის სულში) წლობით ნაგროვებ თხრამლთან, რასაც უამი დაუდგა (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ჩათვალა, რომ „დადგა უამი“) „გადმოღინებისა“ (გოგოლაშვილი 2011:34).

როგორც წარმოჩინდა, გიორგი გოგოლაშვილისა და ედიშერ ჭელიძის შორის არსებულ პოლემიკა თავდაპირველად დაიწყო ერთი საქმიანი წერილით, ამას მოჰყვა მეორე და ისინი პირად შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. ამის მაგალითები ზემოთ ჩვენ უხვად მოვიყვანეთ. როცა იაკობ გოგებაშვილს უწუნებ მართლმადიდებლობას, საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც XIX-XX საუკუნის ქართულ პედაგოგიკას ჩაუყარა საფუძველი, შექმნა „დედა ენა“, არ უნდა იყო უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი. ეს არაა მართლმადიდებლობა. ეს არ გახლავთ ლიტერატურული წერის შესაფერისი ტონი.

გიორგი გოგოლაშვილისა და ედიშერ ჭელიძის პოლემიკას იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის თაობაზე გამოეხმაურა ლია კუხიანიძე წიგნში „ძახილი ნისლში“ წერილში: „ვინ შეაჩერებს ჟორდანიებს, ანუ რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს“. კრიტიკოსი ვრცლად მსჯელობს იაკობ გოგებაშვილს ღვაწლზე, მის დამსახურებაზე ქართული პედაგოგიკის ისტორიაში, წინააღმდეგობებით, ცილისწამებით აღსავე ცხოვრებაზე და ამავე დროს საუბრობს იმ წერილებსა თუ წიგნაკებზე, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ესენია: ედიშერ ჭელიძის: „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“, „ოდეს სამართალმან დაგასამართლოს“ და გიორგი გოგოლაშვილის: „არა ცილი სწამო!“ და „კიდევ ერთხელ ედიშერ ჭელიძეზე, ამპარტავნებასა და უკიდევანო ამბიციებზე“. ლია კუხიანიძე მკვეთრად ემიჯნება იმ მოსაზრებებს თუ შეხედულებებს, რაც ედიშერ ჭელიძის წიგნაკებში გამოიხატა და მათ, როგორც სიმართლესმოკლებულს, ისე

განიხილავს. შემდეგ წერს: „რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზებას, პირველ რიგში, რაც ღმერთს სურს, მაინც ის ასრულდება, თუ წმინდანობისთვის აუცილებელ იმ ნიშნებსაც გავითვალისწინებთ, XVII საუკუნეში რომ ეუწვა კონსტანტინეპოლის პატრიარქს ნექტარის:

- I. ჭეშმარიტი მართლამადიდებლობა (სწორი ცხოვრება),
- II. სიცოცხლის ფასად დაცვა და მსახურება ქრისტიანული ღირებულებებისა,
- III. ღმერთის ნების გამოვლენა ნიშნებითა და სასწაულებით (თუმცა ეს საგაღდეულო არაა),
- IV. ხალხის გამორჩეული პატივისცემა და სიყვარული სიცოცხლეშივე,
- V. დროის გასვლა,
- VI. და კიდევ ერთხელ გადავაგვლებთ თვალს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ამ საკითხზე კამათის უსაგნობაში ეჭვიც არ შეგვეპარება...

რატომ ერჩიან იაკობ გოგებაშვილს, ვფიქრობთ, ისეთივე ცხადია, როგორც უკვდავება ქართველი ერისა”(კუხიანიძე 2012:282;284).

ეს რაც შეეხებოდა მოკლედ იმ პოლემიკას, რაც ჩვენს თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში არსებობს იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის საკითხთან დაკავშირებით.

როსტომ ჩხეიძის „დედა ენის” ავტორზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანის მსჯელობისას აღნიშნულ თემაზე შეჩერება საჭიროდ ჩავთვალეთ. დასკვნის სახით კი მივუთითებთ, რომ „ბურჯი ეროვნებისა” ეს არის იაკობ გოგებაშვილის დეალოზე დაწერილი სრულყოფილი, ამომწურავი ცხოვრების ქრონიკა. აქ არამარტო „დედა ენის” შემოქმედის ბიოგრაფიული მომენტებია დამაჯერებლად გადმოცემული, არამედ შესანიშნავადაა წარმოჩენილი მისი უდიდესი დამსახურება ქართული პედაგოგიკის, საყმაწვილო ლიტერატურის ისტორიაში, ამავე დროს, მწერლის მუსხლიაუხრელი ბრძოლა ჩვენი სკოლის გაქართულებაში და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებისეული მომენტები ყოველივე ქართულის დასაცავად. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი მრავალი თვალსაზრისით საყურადღებო და მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებია.

## თავი VIII

### როსტომ ჩხეიძის „მზე და მწუხრი“

როსტომ ჩხეიძემ 2008 წელს გამოსცა ხუთი ბიოგრაფიული რომანი: „აგვისტოს შვილები“, „წერილები იტრიის წისქვილიდან“, „იასე იანუსი“, „მდინარესა ზედა ქსნისასა“ და „მზე და მწუხრი“. ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანი ეს უკანასკნელი ლიტერატურული ტექსტია. ის მოიცავს შიო არაგვისპირელის ცხოვრების ქრონიკას. წიგნის რედაქტორი გახლავთ მაკა ჯოხაძე.

შიო არაგვისპირელი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ქართულ კლასიკურ მწერლობაში. მის სახელს უკავშირდება არაერთი ნოველა, ეტიუდი, ესკიზი და საერთოდ, მცირე ფორმის თხრობითი ნაწარმოები.

ქართველმა მწერალმა მკაფიოდ გამოკვეთა ნოველის ფორმა და შემდგომ განავითარა, ესაა მისი დამსახურება ჩვენს ლიტერატურაში. მან ადამიანის ბუნების სირთულე მკაფიოდ გააცნობიერა და უშუალო მიზნად მისი ხასიათის, შეხედულების შესწავლა დაისახა. ყოველ მის ნაწარმოებს საფუძვლად უდევს პიროვნების ფსიქოლოგიის ცოდნა, დაკვირვება. ნოველისტის შემოქმედების ძიებათა ერთი უმთავრესი საყრდენი ფსიქოლოგიზმისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, მოქმედების გადატანა ადამიანის შიდა სამყაროში, მისი ფსიქიკის კვლევა აღმოჩნდა ერთგვარი სიახლე მაშინდელ ქართულ მწერლობაში.

საინტერესო იყო ის ლიტერატურული ატმოსფერო, რომელიც შიო არაგვისპირელის სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენის უამს სუფევდა. ხსენებულ პერიოდში მომწიფდა ახალი ლიტერატურული პრობლემებისა და ფორმების წარმოშობა. ახალგაზრდა შემოქმედისათვის სათქმელის გამოსახატავად ყველაზე მოქნილი, ტევადი უანრი ნოველა აღმოჩნდა.

იშვიათად ღირსებია ჩვენში ახალგაზრდა მწერალს ისეთი დიდი ინტერესი, რაც წილად ხვდა ბელეტრისტს. ვასილ ბარნოვმა მას, ყოფილ მოსწავლეს, „ფრთიანი სიტყვის ოსტატი“ უწოდა

ქართველ მწერალზე სხვადასხვა წლებში დაწერილია არაერთი წიგნი, წერილი, დისერტაცია, მოგონება. ახლა სწორედ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.



ვახტანგ კოტეტიშვილმა 1915 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№13) გამოაქვეყნა ლიტერატურული წერილი: „შავი წიგნი (შიო არაგვისპირელის შემოქმედება)“. იგი საინტერესოდ მსჯელობს ბელეტრისტის ნაწარმოების ძირითად თემატიკასა თუ მოტივებზე და ასკვნის: „შიო არაგვისპირელი ადამიანის „შიშველი სულის“ მწერალია. უმთავრესად იგი ადამიანის გარშემო ტრიალებს, მისი „ბედისწერა“ აღონებს და აწუხებს, მისი შინაგანი ვითარების გაგება სწეურია. პრობლემა პიროვნული, მისი უფლებები, ღირებულება, მისი დამოკიდებულება მსოფლიოსთან, – აი, ის მწვავე კითხვები, რომლებსაც სვამს მწერალი და ითხოვს პასუხს“ (კოტეტიშვილი 1915:6).

შიო არაგვისპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ცხოვრებისეული ეპიზოდები და ამავე დროს, ის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ყოფა, როცა ნოველისტს მოუწია მოღვაწეობა საკმაოდ დაწვრილებით, ამომწურავად სრულყოფილად და თანმიმდევრულად აქვს განხილული, გაანალიზებული სერგი ჭილაიას წიგნში: „XX საუკუნის ქართული მწერლობა“. წერილი საკმაოდ დიდია მოცულობით. კრიტიკოსი მწერლის მრავალფეროვანი თემატიკიდან შემდეგ ძირითად საკითხებს გამოყოფს. ესენია: ადამიანის რაობის და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულის საკითხი, სიყვარულის ცნებასთან დაკავშირებული მოტივები, გლეხკაცის უუფლებო, დაბეჩავებული მდგომარეობის თემა, „ეროვნული თვითშეგნების“ პრობლემა. ავტორი სწორედ ამ კუთხით აანალიზებს, ვრცლად საუბრობს შიო არაგვისპირელის პროზაულ ნაწარმოებებზე და დასასრულ, საკმაოდ დამაჯერებელ, ანგარიშგასაწევ, საყურადღებო დასკვნას გვთავაზობს: „ქართული მწერლობისაგან მიღებული დიდი ტრადიცია შიო არაგვისპირელმა გააგრძელა და მას ორიგინალური, ინდივიდუალური ხმა შემატა. შიო არაგვისპირელი მისმა ფსიქოლოგიურმა ნოველებმა და ეტიუდებმა გამოარჩიეს, როგორც უბრწყინვალესი ოსტატი მცირე ფორმის პროზისა. უთუოდ ამას გრძნობდა აკაკი წერეთელი, როდესაც იგი შიო არაგვისპირელს ახალი სკოლის მეთაურად თვლიდა. ის არა მარტო ფორმით იყო ახალი საფეხური ქართულ პროზაში, არამედ თემატიკითა და იდეითაც... შიო არაგვისპირელის ძალა, როგორც მწერლისა, იმაში გამოიხატა, რომ იგი თავისი ეპოქის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს შეეხო. ის, რაც აფიქრებდა და აღელვებდა 900-იანი წლების ქართულ აზროვნებას, გამოხატულებას პოულობდა არაგვისპირელის ნაწერებში; გამოსახულების საშუალებად კი არჩეული იყო

სრულიად ახალი ლიტერატურული ფორმა – ფსიქოლოგიური ნოველა“(ჭილაია 1956:132-133).

1967 წელს გაზეთში „სახალხო განათლება“ 20 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ერემია ქარელიშვილის წერილი შიო არაგვისპირელზე: „ჩვენი თანამედროვე“. ავტორი დამაჯერებლად და საინტერესოდ საუბრობს პროზაიკოსის როლსა თუ მნიშვნელობაზე ქართულ ლიტერატურაში, ამავე დროს, საგულისხმო მოსაზრებასაც აფიქსირებს ნოველისტის შესახებ: „შიო არაგვისპირელის შემოქმედება მრავალფეროვანია, იგი ერთი რომელიმე მოტივით არ ისაზღვრება, თანაბრად ეხება ყველა იმ საკითხს, რაც მაშინდელ საზოგადოებას აწუხებდა. ეროვნული და სოციალური, ჰუმანური და მორალური იდეები მწერალს ერთნაირად იზიდავდა და აინტერესებდა. როგორც პატრიოტი – მშრომელთა ჩაგვრის მოსპობაზე ფიქრობდა, სოციალური და ჰუმანური თვალსაზრისით აშუქებდა სატრფიალო მოტივებსაც. მწერლის ნაწარმოებების მხოლოდ სათაურების გახსენებაც საკმარისია, რომ მთელი სისავსით თვალწინ დაგიდგეთ ის იდეური და ფსიქოლოგიური სიმძაფრე, რომლითაც იგი თავისი დროის სურათებს ხატავს“(ქარელიშვილი 1967:2).

წიგნი „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“ 1984 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. აქ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით თავმოყრილია მეოცე საუკუნის ჩვენი მწერლებისა და პოეტების ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზი სხვადასხვა მეცნიერის მიერ. შიო არაგვისპირელის შემოქმედებასა და ბიოგრაფიულ ეპიზოდებს საკმაოდ საინტერესოდ, ვრცლად გვაწვდის თეიმურაზ მაღლაფერიძე. იგი წერს: „შიო არაგვისპირელის არაჩვეულებრივი მწერლური პოპულარობა თავის დროზე, უპირველეს ყოვლისა, მისი შემოქმედების პრობლემატიკით იყო განპირობებული, პესიმიზმი, ადამიანის არსისა და სიყვარულის გრძნობა, ქართველი მწერლისათვის უჩვეულო გაგება, გარდა ამისა, რომ მართლაც ატარებდა სიახლის იერს, ძალზედ ესადაგებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ განწყობილებასაც და ამ ფაქტით მართლაც ბევრი რამის ახსნა შეიძლება“(მაღლაფერიძე 1984:130).

როგორც წარმოჩინდა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კლასიკოსი მწერლის პროზაულ მემკვიდრეობაზე არაერთი კრიტიკული წერილი, ნაშრომი თუ წიგნი დაწერილა. მრავალფეროვანია ავტორთა შეფასების კრიტერიუმი. ახლა განვიხილოთ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი შიო

არაგვისპირელზე. „ეს წიგნი არის შიო არაგვისპირელის ცხოვრებისა და დვაწლის ის ქრონიკა, რომელიც ერთი პიროვნების მაგალითზე საქართველოს დრამატულ ბედისწერას უტრიალებს“, - შენიშნულია რომანის წინასიტყვაობაში. ნაწარმოებში ამომწურავად, სრულყოფილად და მხატვრულადაა წარმოჩენილი ბელეტრისტის ბიოგრაფიის ლიტერატურული ვერსია.

„მზე და მწუხრი“ დაწერილია შიო არაგვისპირელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. წიგნი თავებადაა დაყოფილი და თითოეულს თავისი სათაური აქვს. ავტორი შიოს მოღვაწეობის არაერთ ეპიზოდს ხატავს. აქ გათვალისწინებულია მრავალი უცნობი, (მიჩქმალული) დოკუმენტი, ასევე, თედო სახოკიას, ალექსანდრე მიქაბერიძის, ნათელა დედაბრიშვილის და სხვათა მოგონებები, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს შიო არაგვისპირელის ცხოვრების გზას, ბიოგრაფიულ მომენტებს, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ყოფას. იგი სრულყოფილად განიხილავს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და მკითხველს შესანიშნავად ერთ კონტექსტში წარუდგენს მთავარ პერსონაჟთან ერთად მის ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც.

შიო არაგვისპირელი მორიდებული ადამიანი გახლდათ. თედო სახოკია, მისი უახლოესი მეგობარი ჩაერია შემოქმედის გზის არჩევაში. სწორედ მას ანდო მწერალმა თავისი ნაწერები. მან მიაკითხა რედაქციას თავდაპირველად შიოს სამი ნოველით და ორი პიესით. როსტომ ჩხეიძე წერს: „ნეტა შიო არაგვისპირელი თუ გამოარჩევდა შეუმცდარად თავის უკეთეს ნაწერებს? თვითონ როგორ ეგონა – ბელეტრისტი სჭარბობდა დრამატურგს თუ დრამატურგი ბელეტრისტს? და პროზაულ ქმნილებათაგან მცირე ფორმის თხზულებებს უნდა დაეახლებოდა, როგორც მისი ტალანტისა და მწერლური თავისებურებისათვის უფრო შესაფერის, თუ უნებურად იზღუდავდა თავს, ვრცელ ეპიკურ ქმნილებებში რომ არ ეძებდა მხატვრულ წარმოსახვათა სრულყოფილ გაშლას?“ (ჩხეიძე რ. 2008:62).

იმ ორი კომედიიდან არცერთი არ დაიდგა თეატრის სცენაზე, არც რედაქციები შეხვედრიან მის ნოველებს აღტაცებით. სულ რამდენიმე წელში შიო საუკეთესო მწერალთა შორის აღმოჩნდა და მკითხველიც გაფაციცებით ელოდა ყოველი ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებას. ამონარიდი რომანიდან: „შიო ირწმუნებოდა: შავი პირი არასოდეს მქონიაო. გონებაში მას უკვე ჩამოსხმული ჰქონდა სიუჟეტიც, ხასიათებიც, დიალოგებიც - ასე ერჩივნა, ერთი ჩაჯდომით

დაეწერა და რაკიდა საგულდაგულო სწორებანი არა სჭირდებოდა მის ხელნაწერებს, გადათეთრებას არად დაგიდევდა და იმ სახითვე უგზავნიდა რედაქციებს, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩასწორებულს და თუკი რედაქციაში დაიკარგებოდა, როგორც არაერთხელ მომხდარა, გადათეთრებას მაინც ვერ უდებდა გულს“ (ჩხეიძე რ. 2008:63).

ნოველისტმა პირველივე გამოქვეყნებულ მხატვრულ ტექსტებს არაგვისპირელი მიაწერა და შერჩა ფსევდონიმად. არასოდეს დაუბრუნებია მას საკუთარი გვარი ლიტერატურულ გარემოში. იგი ამაზე ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში შემდეგს წერს: „ფსევდონიმი მხოლოდ იმისთვის გამოვიგონე, რომ ვინაობის გამჟღავნება არ მინდოდა“ (ჩხეიძე რ. 2008:64). საგულისხმოა მისი სიტყვები. როგორც წესი, იყვნენ მწერლები, რომლებიც არ ამჟღავნებდნენ საკუთარ გვარებს არაერთი მიზეზის გამო და სხვადასხვა ლიტერატურული მეტსახელით იცნოდა მათ საზოგადოება. ბელეტრისტმა კი მოკრძალების გამო გადაწყვიტა ფსევდონიმის გამოყენება. მწერალი წერს, რომ პროზაიკოსის ნოველები მკითხველმა გამოქვეყნებისთანავე შეიყვარა და მათ სურდათ, გაეგოთ, ვინ იდგა არაგვისპირელის უკან. თედო სახოკიამ ხალხის წადილი გაითვალისწინა და სიმართლე გაამჟღავნა.

როსტომ ჩხეიძემ რომანში შთამბეჭდავად, სრულყოფილად წარმოაჩინა ბელეტრისტის, როგორც კლასიკოსი მწერლის სახე, თუ როგორ შემოვიდა ის სალიტერატურო ასპარეზზე, რა გამოსმაურებანი მოჰყვა მის ნაწარმოებებს ქართული კრიტიკის ფურცლებზე, გადმოსცა მისი წერის თავისებურებანი ტექსტზე მუშაობისას. ამონარიდი: „შიო არაგვისპირელის სკოლა უკვე ხელშესახებად იკვეთებოდა და ამ გარემოებას თუ ვინმე მიაქცევდა ყურადღებას, ერთი პირველთაგანი სწორედ აკაკი წერეთელი...“

ერის მამად შერაცხული კაცი ახალგაზრდა შემოქმედს ამაღლებულ შარავანდედში დაინახავდა და განათლებულ საზოგადოებას აღტაცებას გაუზიარებდა იმ გულგადახსნილობით, დიდბუნებოვან კაცთ რომ სჩვეიათ:

„როდესაც ჩვენში მწერლობა  
თანდათან იშრიტებოდა,  
შენ მოგელოდი „ხედ-წმინდად“  
და ნახვა მენატრებოდა.  
მოხველ თავმდაბლად და ამბობ:  
„გიახველ ახალ დვრიტაო“.

და მეც რას გეტყვი მოხუცი,  
თუ არა: „ჭეშმარიტადო“?! (ჩხეიძე რ. 2008:19).

როგორც გამოიკვეთა, აკაკი წერეთელი შიო არაგვისპირელის, ახალგაზრდა ნოველისტის ნაწერებს დიდი აღტაცებით შეხვდა. პოეტი მოიხიბლა ბელეტრისტის მწერლური ნიჭით და რაც მთავარია, იმ სიახლით, რაც მის ნაწარმოებებში მკვეთრად გამოიხატა. ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ ნოველისტიკაში.

ბიოგრაფიულ რომანში „მზე და მწუხრი“ პერსონაჟებად გვევლინებიან არჩილ ჯორჯაძე, თედო სახოკია, იოსებ ლალიაშვილი, შიო მღვიმელი, ალექსანდრე მიქაბერიძე, ასოციაციურად ჩნდებიან ჯონ რიდი, ჯერომ სელინჯერი, კიდევ უამრავი ადამიანი. ეს არის ერთი პიროვნების გარშემო შექმნილი სივრცე. მწერალი თითოეულს ხატავს „მსხვილი პლანით“, რომ ის შინაგანი მოძრაობანი, რომლებიც ისახება სიტყვაში, გამოთქმაში, ქცევაში – ძალიან ახლოდან შეგვაგრძნობინოს.

რომანში საოცრადღაა დახატული ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის, თედო სახოკიას სახე. პიროვნება, რომელიც არის უდავოდ დიდი მოღვაწე. აქ ავტორმა წარმოაჩინა მისი საოცარი ჰუმანიზმი. ის სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა და მუდამ გვერდში ედგა მეგობარს. ამონარიდი რომანიდან: „უმცროსი თედო მამასავით უპატრონებდა და მხოლოდ მისი შემწეობით მოახერხებდა შიო დედაბრიშვილი ვარშავაში საბეითლო ინსტიტუტში სწავლას და თუ კურსის დამთავრებაში დატუსაღება შეუშლიდა ხელს, თედოს აქ რაღა ელონა“ (ჩხეიძე რ. 2008:98).

თბილისში თედო სახოკია აქცევდა ყურადღებას ბელეტრისტის ნოველებისა და ეტიუდების გამოქვეყნებას, ის ამცნობდა, რა შთაბეჭდილება ტრიალებდა რედაქციებსა თუ მკითხველებში მისი ნაწარმოებების ირგვლივ: „თედო რომ არ გამოსჩენოდა შემწედ, იქნებ დასაწყისშივე აღკვეთილიყო ის გასაქანი. ოდნავი დაეჭვებითაც რომ შეეხედა მეგობრის ნაწერებისათვის, იმისი უნდო გონება საკუთარი თავის მიმართ გადამეტებული კრიტიციზმი მაშინვე ეჭვს მოეჭიდებოდა, დაითრგუნებოდა და ველარავითარი ძალა ველარ აადებინებდა კალამს ხელში. თბილისშიც აკი ისე გაყუჩებულიყო, ისე ამოფარებოდა თავის ფსევდონიმს, თავის გამოყოფა ესიკვდილებოდა და არც მკითხველის მოწონების ხმები მიწვდებოდა ასე ადვილად.

მაშინაც თედო ჩამდგარიყო მას და რედაქციებს, მას და მკითხველს შორის და, აღტაცების ხმებს რომ მოუბრუნებდა, ცოტა მაინც გამოუკეთებდა გუნებას, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც, კალამს მალევე წასტანებოდა“(ჩხეიძე რ. 2008:172).

არცაა გასაკვირი, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი ლიტერატურული პორტრეტების წიგნში - „ჩემი საუკუნის ადამიანები“ - ერთ პატარა თავში სწორედ შიო არაგვისპირელის შესახებ წერს: „პირველ ნახვაზე იმდენად შიში მომგვარა, რომ გაგუბოდი მასთან შეხვედრას. წარმოვიდგენდი კია, რომ ეს ადამიანი განმარტოებული, გულჩათხრობილი, სულ მოკლე ხანში ჩემი მეგობარი გახდებოდა... შიოს ლაპარაკი საერთოდ, ემძიმებოდა თოთოეული სიტყვა ჭაპანწყვეტით ამოხდებოდა ხოლმე პირიდან. ასე იყო ახლგაზრდობაში, ასევე დარჩა სიკვდილამდე. ჩვენი დაახლოება გადაიქცა მტკიცე, ურყვეველ, სამარის კარამდე გაყოლილ მეგობრობად და ძმურ დაუვიწყარ სიყვარულად“(სახოკია 1969:203).

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში გვიხატავს ფართო გეოგრაფიულ არეალს. თხზულებაში წარმოჩენილია ყველა ის ადგილი - საქართველოში თუ საზღვარგარეთ, რასაც მთავარი პერსონაჟის ცხოვრებისეული ეპიზოდი უკავშირდება. მწერალი შიო არაგვისპირელის ვარშავაში სასწავლებლად წასვლის შესახებაც წერს. ფრაგმენტი მხატვრული ტექსტიდან: „საზოგადოდ პოლონელები ძალიან სიმპატიური ხალხია. პირველ შეხედვაზედვე შეატყობ, რომ სამშობლო ძალიან უყვართ და ამ სიყვარულს პირდაპირ, დაუფარავად აცხადებენო, – მოსწერდა ვანოს, თავის ძმას, თუმც იქვე დასძენდა: ამ სიყვარულით გატაცებულნი ძალიან აშლაშებენო”(ჩხეიძე რ. 2008:107).

შიო არაგვისპირელი ვარშავაში ძალიან დაუახლოვდა ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებულ ალექსანდრე მიქაბერიძეს, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია. ისინი ერთხანს ერთადაც ცხოვრობდნენ და თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ, მუდამ გულახდილად საუბრობდნენ. „ეს მეგობრობა მწერლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ოდნავადაც არ დაჩრდილულა, თორემ შერყევსა თუ დაშლის საშიშროება არასოდეს გაჩენილა“ – აღნიშნავს ბიოგრაფიული რომანის ავტორი.

ალექსანდრე მიქაბერიძემ შთამბეჭდავი სახეებით დამშვენებული მოგონებათა და ლიტერატურულ პორტრეტთა მთელი ციკლი შექმნა. ესენია:

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, შიო ჩიტაძე, ეკატერინე გაბაშვილი და აქვეა ჩართული უაღრესად საგულისხმო ცნობებით დატვირთული შიო არაგვიპირელის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტიც. საუბარია მეგობრის მოგონებაში ვარშავაში ერთად ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდზე. ამას წიგნში დიდ ყურადღებას უთმობს ალექსანდრე მიქაბერიძე. გამოვყოფთ შემდეგს, ამონარიდი რომანიდან: „უბის წიგნაკი ყოველთვის თან დაჰქონდა. იქ იყრიდა თავს ყოველდღიური შთაბეჭდილებანიც და ლიტერატურული თემებიც. ჩანაწერებს საიდუმლოდ სულაც არ ინახავდა. ცხადია, ყველას არ გააცნობდა, მაგრამ ალექსანდრე მიქაბერიძესაც და ერთ-ორ უახლოეს ადამიანსაც ხშირად უკითხავდა ორივე რკალს – შთაბეჭდილებებსაც და დასაწერ თემებსაც...”

გინდ შიო იხსენებდეს თავისი წერის მანერას და გინდ ალექსანდრე მიქაბერიძე, ვისაც დღისითაც და ღამითაც შეეძლო ედევნებინა თვალი მეგობრის მუშაობის სტილისთვის.

წერა დამდამობით ჰყვარებია.

– მთელ თავახ ქაღალდზე აქა-იქ თუ წააწყდებოდი თითო-ორილა გადახაზულ სიტყვას და სამაგიეროს ზედ-წარწერილს; კაცს ისე ეგონებოდა, თითქოს ეს ნაწერები თავიდან გადაუთეთრებიათო. ამასთანავე, შიოს ღამაში და მოხდენილი ხელი, სიტყვების მრგვალი და ღამაში ასოების მოხაზულობა უნებლიეთ იქცევდა მნახველის ყურადღებას“ (ჩხეიძე რ. 2008:127).

ალექსანდრე მიქაბერიძეს კარგად ახსოვდა მწერლის მოსაზრება საკუთარ ნაწერებზე. ამაზე წერს მემუარისტი ბელეტრისტზე დაწერილ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტში. ამ საკითხს წარმოაჩენს როსტომ ჩხეიძე და ამასთანავე, მისეულ მოსაზრებასაც ურთავს:

„ – შეიძლება ჩემი ლიტერატურული შემოქმედება დიდი ღირსების არ იყოს, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა. ყოველ ჩემს ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ადამიანის ხასიათი, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა და დაკვირვება.

ალექსანდრესთან საუბრისას წარმოითქმის შიოს მხატვრული მრწამსი, მის შემოქმედებით ძიებათა ერთი უმთავრესი საყრდენი – ფსიქოლოგიზმისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, მოქმედების გადატანა ადამიანის შიდა სამყაროში, მისი ფსიქიკის დეტალური, გამოწვლილვითი კვლევა, რაც აღმოჩნდებოდა სიახლე მაშინდელ ქართულ მწერლობაში და მიმდევრებიც და მიმბაძველებიც ამ სიახლეს აჰყვებოდნენ“ (ჩხეიძე რ. 2008:176).

რომანში ვკითხულობთ შიო არაგვისპირელის და შიო მღვიმელის მეგობრობის ამსახველ საინტერესო პასაჟებს. ამდენად, რომანში პერსონაჟად საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელიც გვევლინება. ეს უკანასკნელი იმხანად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა. მას არაერთი ადამიანი აკითხავდა ახალი გამოცემის სანახავად, მოსაკითხად, გამოსალაპარაკებლად. მწერალმა შესანიშნავად გამოკვეთა შიო არაგვისპირელის მეგობრის სახე: „დაუზარელი გახლდათ შიო მღვიმელი, გულგახსნილიც, ღიმილიანიც, მიმზიდველად მოლაპარაკეც, უამრავი ახალი ამბის მცოდნე, სალიტერატურო და საზოგადოებრივ პროცესებში ყოველმხრივ გათვითცნობიერებული. ყველას ამიტომაც მიუხაროდა აქეთ და მაღაზიის ერთბეწო ოთახი მაშინდელი თბილისური ყოფის გულისგულად გარდაქმნილიყო ასე ერთბაშად და თავისუფლად.

ეს უნდო, განდგომას დაშურებული შიო დედაბრიშვილიც როგორ შეთვისებოდა!...(ჩხეიძე რ. 2008:89).

შიო არაგვისპირელი ხშირად სტუმრობდა სახლში თავის სეხნიას, რომელიც მწერლობაში ახალი ფეხმედგმული იყო და თავის პოეტურ ნაწარმოებებს უკითხავდა ხოლმე მეგობარს. ნოველისტი მას ამხნევებდა, იმედს აძლევდა. ამ ორ ადამიანს საერთო ინტერესები ჰქონდა, გულმართალნი იყვნენ, ერთად ატარებდნენ დიდ დროს, თუმცა წლების შემდეგ ისე წარიმართა მათი ცხოვრება, რომ ისინი შემთხვევით შეხვედრისას მხოლოდ მისალმებით შემოიფარგლებოდნენ ხოლმე. ამ ყოველივეს მიზეზზე საუბრობს როსტომ ჩხეიძე რომანში. საქმე იმაში გახლავთ, რომ შიოს ძმიშვილს, თამარს შეუყვარდა შიო არაგვისპირელი, რომელიც დასავით უყურებდა გოგონას და მის სიყვარულს ვერ იზიარებდა. თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, თამარმა მწერლის ქორწილის დღეს თვითმკვებლობით დაასრულა სიცოცხლე, იგი მტკვარში დაიხრჩო.

მრავალი რამ დაწერილა იოსებ ლაღიაშვილის მიერ სემინარიის რექტორის, პავლე ჩუდუცკის მკვლელობაზე, წაგვიკითხავს ეს ისტორია, მაგრამ რომანში „მზე და მწუხრი“ სხვაგვარი ემოციითაა მოწოდებული, გაშლილი ყმაწვილი სემინარიელის განცდები, ჩუდუცკის ფსიქოლოგია, მისი სოცოცხლის ბოლო წუთები, ეს ყველაფერი ისეა დახატული, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნაწარმოებში ერთ-ერთი არაჩვეულებრივი პასაჟია პერსონაჟების ფსიქოლოგიის ახსნის, საქციელის ლოგიკის თვალსაზრისით. ფრაგმენტი



მხატვრული ტექსტიდან: „ბედისწერას თავისი განაჩენი გამოუტანია და მის აღსასრულებლად დეკანოზ ჩუდეცკის გონებაზე აუცილებლად ბინდი უნდა გადაეფაროს, თორემ ბედისწერის ჩარევა რომ არა, უსათუოდ ამოიცნობდა, ჭაბუკი იმას კი არ ევედრებოდა, სასიკვდილოდ ნუ გამწირავო, არამედ: შენს თავს ნუ გამამეტებინებ სასიკვდილოდ... და მაშ მოხდეს, რაც მოსახდენია, სოსოს ერჩინა და ძალიანაც ერჩინა, რომ სიტყვას გაეჭრა, მაგრამ რაკილა სიტყვა უძღური აღმოჩნდა, სატევარს გააკვეთინა ქვის გული“ (ჩხეიძე რ. 2008:47).

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „მზე და მწუხრი“ აღდგენილია შიო არაგვისპირელის ცხოვრების ის ეპიზოდი, როდესაც მას დიდი გრძნობასიყვარული აკავშირებდა ვეტა (ელისაბედ) ყიფიანთან, თუმცა მათი ურთიერთობა არათუ არ გაგრძელებულა, არც დაწყებულა. საკმაოდ მორიდებული მწერალი პირადად ვერ უმხელდა სიყვარულს საყვარელ ქალს და წერილების მიწერით შემოიფარგლებოდა, რომლებიც არ იყო ჩვეულებრივი, მარტივი და ერთგვაროვანი. ამის დასტურად მოვიხმოთ ფრაგმენტი რომანიდან შიო არაგვისპირელის ერთ-ერთი პირველი წერილის ვეტა (ელისაბედ) ყოფიანისადმი მიწერილი: „პირველ ნახვაზევე მოვიხიბლე და იღუმალი ხმა დღემუდამ ჩამწურჩულებს მას შემდეგ ერთსა და იგივეს: „გ არის, რომელსაც შეუძლიან შენი ჭირი და სიხარული გაგიშალოს“. მრწამს, გეფიცები, ელისაბედ, მრწამს ამ სიტყვების სინამდვილე, მაგრამ ეს სულ მეტია. მიყვარხართ!.. აი, პირველი და უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ყოველთვის მოისმენთ ჩემგან. მგონი ეს საკმარისია თქვენთვის, მიხედეთ, რისი თქმაც ასე მიძნელებოდა აქნობამდის“ (ჩხეიძე რ. 2008:245).

რომანის ერთ პატარა ეპიზოდში იაკობ ნიკოლაძის სახეც იკვეთება. მან პარიზში სასწავლებლად წასვლამდე ქართველ მწერალთა თუ ხელოვანთა სახეები ქვაში გამოკვეთა და შექმნა ლადო ალექსიძის, აკაკი წერეთლისა, შემდგომ შოთა რუსთაველის ბარელიეფური პორტრეტები. სამშობლოში კი, მეტად დახელოვნებული, განსწავლული დაბრუნდა, უკვე ინტერესიც გაუმრავალფეროვნდა, თუმცა მწერალთა, ხელოვანთა გაღერის გაგრძელებასრულების განზრახვა არ ასვენებდა, მათ ტიპაჟს არჩევდა. საფრანგეთიდან ჩამოსულს თვალში მოხვდა შიო არაგვისპირელის არაჩვეულებრივი სილამაზე. ამონარიდი რომანიდან: „ამ სურვილს რომ გამოთქვამდა, ურჩევდნენ: ტყუილუბრალოდ ნუ სთხოვ, არ დაგყაბულდებო.“

გული რატომ უნდა გასტეხოდა მოქანდაკეს, პირველივე შეთავაზებაზე რომ გააწბილებდნენ.

კეთილისმყოფელნი გააფრთხილებდნენ შიოს პიროვნული ხასიათი ვისაც კარგად მოეხსენებოდათ.

იაკობი არ დაიშლიდა. ისევ გაწბილება ერჩივნა სინანულს, იქნებ დამთანხმდებოდა და ასეთი ჩინებული შემთხვევა ხელიდან რამ გამაშვებინაო.

არ იყაბულებსო და... ის კი დათანხმდებოდა; რატომ ვიმარჩიელოთ, რა გახდა მიზეზი. დათანხმდა კია. და სახელოსნოში რომ მოადგებოდა, ისე აღტაცდებოდა მასპინძელი: გუმანმა გამიმართლაო“(ჩხეიძე რ. 2008:301). ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ბელეტრისტი მხოლოდ ორჯერ ეწვია ნიკო ნიკოლაძეს, თუმცა მოქანდაკემ მაინც მოახერხა შიო არაგვისპირელის პორტრეტის დასრულება. მნახველთა მოსაზრებით, მასში მწერლის სულიერი სამყარო შესანიშნავად და შთამბეჭდავად იკვეთებოდა.

კიდევ ერთი საგულისხმო ასპექტი: „მზე და მწუხრის“ კვლევისას ვრწმუნდებით, რომ როსტომ ჩხეიძე არა მარტო მწერალია, არამედ მეცნიერიც. ეს ნათლად იგრძნობა რომანის შემდეგ თავებში: „ნამსხვრევები ნოველის ისტორიიდან“ და „სხვა ნამსხვრევები ნოველის ისტორიიდან“. ეს ფაქტიც საგანგებოდ აღინიშნა რომანის გამოსვლის შემდეგ. „ავტორს გადმოცემული აქვს ნოველის ისტორია სრული მეცნიერული საანდობით, ეს არის გამოკვლევა, რომელიც ძალდაუტანლად, თავისუფლად შემოდის ბიოგრაფიულ რომანში, რომელიც თითქოს ფონია ამ წიგნისთვის“ (კალანდარიშვილი 2010:37).

შიო არაგვისპირელს სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ხშირად ადარებდნენ ევროპულ მწერლებს, გამსაკუთრებით კი გი დე მოპასანს. ტიპოლოგიურად ქართველი ბელეტრისტის ნოველები ფრანგ შემოქმედთან სიახლოვეს ამუღავნებს იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის რეალიზმის ბოლო ეტაპთან. ამაზე მიუთითებდნენ ლიტერატურის მკვლევარნი, რომელთა შორის იყვნენ: კიტა აბაშიძე და ალექსანდრე ხახანაშვილი. „მზე და მწუხრში“ მწერალი ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას, დამაჯერებლად საუბრობს და საინტერესო დასკვნასაც გვთავაზობს. ამონარიდი: „შიო არაგვისპირელს ხელთ უკვე ამ უანრის მიღწევანი ეპყრა. ერთმანეთზე უკეთესი ნოველები ჩამომწერივებულებიყო და ემატებოდა და ემატებოდა. ეგაა, იმხანად გი დე

მოპასხანს მოეპოვებინა განსაკუთრებული პოპულარობა და საზომად მის შედეგებს ამიტომაც მოიმარჯვებდნენ მკითხველებიც და კრიტიკოსებიც.

შიოსაც მის გავლენას დასწამებდნენ, იოლად და ჰაი-ჰარად...

მდუმარედ მოისმენდა შიო გაკილვასაც და შექებასაც და მხოლოდ მოგვიანებით გაუმხელდა შვილებს: ეს ხმაური რომ ატყდა და მოპასხანის სახელს დამაკავშირეს, მისი ერთი სტრიქონიც არ წამეკითხა, ხშირმა ხსენებამ ძალიან დამაინტერესა, რასაც მივწვდი, აღარაფერი დამიტოვებია წაუკითხავი, და დიდად მოვიხიბლეო.

მაშინ კი ამის მტკიცებას რა აზრი ჰქონდა, მაინც არავინ დაუჯერებდა, ის კი არა, ეჭვითაც შეხედავდნენ: მართალი კაცის სახელი აქვს და რისთვის სჭირდება თავის მოკატუნება თუ ჩვენთვის თვალის ახვევა, აღიაროს როგორც არისო... და კვლავაც მოპასხანი ეყოლებოდათ საზომად შიო არაგვისპირელის და სხვათა ნოველებისაც – ნეტა სადამდე უახლოვდებიანო“(ჩხეიძე რ. 2008:78).

აღნიშნულ საკითხზე საუბრობს თანამედროვე კრიტიკოსი ნესტან კუტივაძე წერილში: „შიო არაგვისპირელისა და გი დე მოპასხანის ნოველათა ურთიერთობისათვის“. მეცნიერის მოსაზრებით, შიო არაგვისპირელისა და გი დე მოპასხანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ცხადად იკვეთება აღნიშნული მწერლების თხზულებების კითხვისას, ამავე დროს: „მიწაას“ ავტორის ნაწარმოებთა პრობლემატიკა, მხატვრული ასახვის თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, მწერლის მიერ ქართულ ლიტერატურაში სიახლეების შემოტანასთან ერთად ტრადიციის განგრძობასა და განვითარებაზე მიგვანიშნებს და თავისი თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიური ყოფით შეჭირვებულ, მისი გაუმჯობესებისათვის დაფიქრებულ და მებრძოლ მამულიშვილს წარმოადგენს... განსხვავდება მათი გადმოცემის ფორმა. ორივე მწერლისთვის უმთავრესი თავისი სამშობლო, თავისი თანამედროვე საზოგადოების ტკივილია. ამ თვალთახედვითაა გააზრებული ყველა ის პრობლემა, რომლებიც ერთნაირად წამოიჭრება ხოლმე სხვადასხვა ერის ცხოვრებაში“ (კუტივაძე 2005:217;219).

ამჯერად ყურადღებას გაგამახვილებთ შემდეგ ბიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ თავზე: „ოდეს ვპოულობთ უფალს“. აქ შიო არაგვისპირელის ცხოვრების ბოლო დღეებია გადმოცემული. მწერლისეული საოცარი მანერით, სიღრმითაა დაწერილი: „შევიდოდა შვილების ოთახში, ხარბად ათვალიერებდა იქაურობას, ვიდაცას ეძებდა, ვერავის კი ვერ ხედავდა, ნუნუს უკვირდა, როგორ ვერ მამჩნევსო, ელოდა, თვითონ შემეხმიანებო. შიო სადღაც გაიცქირებოდა,

ნუნუს მიღმაც, ოთახის მიღმაც, მერე ღუმელს მიუახლოვდებოდა, მზერა დაუმშვიდდებოდა“(ჩხეიძე რ. 2008:384).

ახლა გამოგვევლინოთ ბიოგრაფიული რომანის „მზე და მწუხრის“ მხატვრული მხარე. ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ ამონარიდებს ბიოგრაფიული რომანიდან, რომლებიც მხატვრული ხერხების საინტერესო ნიმუშებია:

„მისი მეტისმეტი შავგვრემანობა ყოველთვის თვალშისაცემი გახლდათ, განსაკუთრებით მაინც ზამთრობით – თოვლის ფონზე შავ ბრინჯაოსავით იკვეთებოდა“(ჩხეიძე რ. 2008:24);

„შიოსათვის ფსევდონიმი თითქოს ჯავშანივით იყო, კუს ბაკანივით, რომლის მიღმაც ვერავის ვერაფერი უნდა დაენახა“(ჩხეიძე რ. 2008:64);

„შემოგარსულა ბურუსით ეს თავზეხელაღებული სწრაფვა შინისკენ“(ჩხეიძე რ. 2008:217);

„ავად იგრავებოდა შიოს თავზე შავი ღრუბლები – ქალაქის გამგეობა დაპირისპირებოდა და მის გახლართვას ლამობდა“(ჩხეიძე რ. 2008:231);

„მწერალი მწარე, გულისმომკველელ ფიქრებში იხლართებოდა“(ჩხეიძე რ. 2008:269);

„სად სიყვარულის აღმურში გახვეული ბარათები და სად ეს მკრთალი გრძნობით აღბეჭდილი ჩანაწერი“(ჩხეიძე რ. 2008:279).

როსტომ ჩხეიძე პეიზაჟებს შესანიშნავად ხატავს. რომანში მწერლური ოსტატობის წყალობით, ხატონდაა მოთხრობილი შიო არაგვისპირელის ცხოვრების ის ეპიზოდი, დუშეთისკენ მიმავალ გზაზე გაყინვას რომ გადაურჩა. ბიოგრაფოსი წერს:

„1898 წლის ზამთარია. მცხეთიდან ორცხენიანი ჯაგვით დასდგომია გზას. ზამთარიც არის და ზამთარიც – ის მაინც ძალიან სუსხიანი გამომდგარა, თოვდა და ყინვაც ძვალ-რბილში ატანდა. სოფლებებს შორიახლოდან თვალის მოუკრავთ მომავალი „ლინეიკისათვის“ და მიხვედრილან, ალბათ საქონლის ექიმი მოდისო და გახარებულნი დალოდებიან.

სადამოს პირია და ისეთი ქარიშხალი ამოვარდებოდა, მეზავრი თვალთავან დაიკარგებოდა... შეწუხებოდნენ ჩირდილიანთკარელები: ნეტა რატომ დაუგვიანდა მოსვლა, ვაითუ სადმე თოვლში ჩაიფლოო. ზოგი ახმაურდებოდა: წავიდეთ, მოვძებნოთო. ზოგიც შეფიქრიანდებოდა: ჩვენც უარესი დღე არ დაგვადგეს ამ კორიანტელშიო. ბოლოს მაინც მოძებნა უმჯობინებიათ. მორიჟრაჟდებოდა და „ლინეიკასაც“ გადააწყდებოდნენ ბაზალეთის ტბასთან –

მგზავრი შებუნდულიყო და წამოწოლილიყო, მეეტლე კოფოზე გადაწოლილიყო გაფიხსებული. დამზრალი ცხენები საცოდავად ცახცახებდნენ”(ჩხეიძე რ. 2008: 298).

ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ მხარეზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ მწერალი ლიტერატურულ ტექსტში მხატვრულ სახეებსა თუ ხერხებს მხატვრული წარმოსახვისთვის დიდი ოსტატობით იყენებს. აღსანიშნავია, პროზაულ ნაწარმოებში ჩანაფიქრის გამოხატვისთვის ზუსტად შერჩეული სიტყვის პოვნა ჭეშმარიტი შემოქმედის თვისებაა. როსტომ ჩხეიძე სიტყვის ხელოვანია. ეს გამოვლინდა ჩვენს მიერ განხილული თხზულების კვლევისას.

როსტომ ჩხეიძემ რომანში „მზე და მწუხრი“ გააცოცხლა შიო არაგვისპირელის ცხოვრება, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა სხვადასხვა დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით და სრულყოფილად დაგვიხატა ქართველი კლასიკოსი მწერლის დრამატული ცხოვრება, სადაც ერთმანეთს ერწყმის ბიოგრაფიული ასპექტები და ლირიკული წიაღსვლები.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ცნობილი ინგლისელი ბიოგრაფის მაიკლ ჰოლროუდის აზრი ზოგადად ამ ყაიდის ტექსტების, ანუ ბიოგრაფიული რომანის შესახებ. მისი მოსაზრებით, აღნიშნული ჟანრის ნაწარმოებში დაწერილებითაა აღწერილი ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების გზა, საუბარია ადამიანებზე, რომელნიც მის გვერდით ტრიალებენ, ასევე, გამახვილებულია ყურადღება იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, რომელიც მან შეიძინა, თუმცა იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ნაწარმოებში ჩართულია მწერლის მხატვრული ფანტაზია, გამონაგონი. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როსტომ ჩხეიძის „მზე და მწუხრი“ ყველა ეს ზემომინიშნებული კომპონენტი ზედმიწევნითაა დაცული, ისევე, როგორც თითქმის ყოველ მის ნაწარმოებში.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ბიოგრაფიული რომანის შექმნა მკვლევარის და თავად მწერლის ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედს ძალუძს. მხოლოდ ასეთ პიროვნებას ხელეწიფება დოკუმენტური სიზუსტე შეუნარჩუნოს ბიოგრაფიულ მასალას და არც ის ყოველდღიური ხიბლი დაუკარგოს, რომელსაც ერთდროულად ატარებს ყოველი ჭეშმარიტი მწერალი.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „მზე და მწუხრი“ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, არა მხოლოდ კონკრეტულად შიო არაგვისპირელის ცხოვრების მხატვრულად გააზრების თვალსაზრისით, არამედ უფრო ფართოდ, ამ ჟანრის განვითარების პერსპექტივითაც.

## ნაშრომის ძირითადი დასკვნები

სადოქტორო ნაშრომში განვიხილეთ XX საუკუნის ქართული ბიოგრაფიული რომანების გამორჩეული ნიმუშები. როგორც წარმოჩინდა ამ ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებში მხატვრულადაა აღწერილი გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრება და მოღვაწეობა დამყარებული მოვონებებსა, ისტორიულ წყაროებსა თუ საარქივო მასალებზე. ასეთ ნაწარმოებებში ნაჩვენებია კონკრეტული, რეალური ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, გამოკვეთილია მისი ხასიათი, დადებითი თუ უარყოფითი შტრიხები, ზნეობრივი მხარე. ბიოგრაფიულ რომანში შერწყმულია მწერლის წარმოსახვის ცოცხალი ნიჭი და მკვლევარის სიზუსტე. ავტორი წესისამებრ, ქმნის საინტერესო, დამაჯერებელ ფაბულას. იგი ისტორიაში ცნობილ პიროვნებაზე წერისას მის ცხოვრებას აცოცხლებს, მხატვრულად წარმოაჩენს და შესაბამისად, ამ ყაიდის ნაწარმოებში მხოლოდ „მშრალი“ ფაქტები არაა მოწოდებული.

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული რომანის „გოეთეს ცხოვრების რომანის“ კვლევისას გამოიკვეთა, რომ მწერალი საინტერესოდ გადმოსცემს გერმანელი მოაზროვნის, მწერლის, გოეთეს ბიოგრაფიასა და შემოქმედებას, ქრონოლოგიურად ეხება მისი ცხოვრების მრავალ ეპიზოდს.

ვახტანგ ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანზე „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ დაკვირვებამ ცხადყო, რომ აქ დამაჯერებლადაა მოთხრობილი ცნობილი მწერლის, მთარგმნელის ივანე მაჩაბლის ცხოვრება, საინტერესო ბიოგრაფია.

ოთარ ჩხეიძის ნაწარმოების „რომანი და ისტორია“ გაანალიზებისას გამოვლინდა, რომ აღნიშნული ბიოგრაფიული რომანი ვასილ ბარნოვის, რომანისტის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზის ჩვენებაა. თხზულების მხატვრულ ქარგაში მოქცეულია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მდიდარი ისტორიული, დოკუმენტური და ისტორიული მასალა.

რეზო ჭეიშვილის თხზულების „რკინის სახკომის“ განხილვისას წარმოჩინდა, რომ მწერალს ბიოგრაფიული რომანის წერისას უმუშავია როგორც მკვლევარს. მან განუზომლად დიდი, როგორც ქართული, ასევე, რუსულ ენაზე არსებული ისტორიოგრაფიული მასალა გადაამუშავა, შეისწავლა და მხატვრულ ტექსტად წარმოადგინა. რეზო ჭეიშვილმა საყურადღებო ბიოგრაფიული რომანი დაწერა სერგო ორჯონიკიძეზე, რევოლუციონერზე, იდეურად მებრძოლ ანტიქართველზე.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანზე „აირევი ივერია“ დაკვირვებამ დაგვანახა, რომ აქ გადმოცემულია თაღლითის, ავანტიურისტის, სოლომონ აშორდიას თავბრუდამხვევი ამბებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება. წიგნში დაუფარავადაა აღწერილი იმ ეპოქის სინამდვილე, როცა ის მოღვაწეობდა.

ჩვენი კვლევისას გამოვლინდა, რომ როსტომ ჩხეიძემ ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ გადმოსცა დიდი მამულიშვილის, მეცნიერის, პავლე ინგოროყვას მეტად რთული ცხოვრების გზა და განიხილა ლიტერატურული მემკვიდრეობა.

როსტომ ჩხეიძის მიერ იაკობ გოგებაშვილზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ პროზაულ ტექსტში გაცოცხლებულია „დედა-ენის“ შემქმნელის მოღვაწეობა, კარგადაა წარმოჩენილი წინააღმდეგობებით სავსე არაერთი ბიოგრაფიული ასპექტი და მისი დიდი როლი ქართული პედაგოგიის, ამავე დროს საყმაწვილი ლიტერატურის ისტორიაში.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე „მზე და მწუხრი“ დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ბიოგრაფმა სხვადასხვა დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გააცოცხლა ცნობილი ქართველი ნოველისტის, შიო არაგვისპირელის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა.

ამრიგად, კვლევისას გამოვლინდა, რომ დისერტაციაში ჩვენს მიერ გაანალიზებულ ბიოგრაფიულ რომანებში (კონსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი“, ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, ოთარ ჩხეიძის „რომანი და ისტორია“, რეზო ჭეიშვილის „რკინის სასკომი“, ელგუჯა თავბერიძის „აირევი ივერია“, როსტომ ჩხეიძის სამი რომანის: „ბედი პავლე ინგოროყვასი“, „ბურჯი ეროვნებისა“, „მზე და მწუხრი“) დაწვრილებით, სიღრმისეულადაა წარმოჩენილი მთავარ პერსონაჟთა ცხოვრება და მოღვაწეობა. საკვლევად შერჩეული ბიოგრაფიული რომანების მეცნიერული ანალიზისას გამოიკვეთა, რომ თითოეულ ჩვენს მიერ განხილულ მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებულია დოკუმენტური, ისტორიული თუ საარქივო მასალა, მოგონებები, მემუარები, წერილები და პირადი ბარათები. ასევე, ვეცნობით მკითხველი საზოგადოებისთვის მანამდე გამოუქვეყნებელ საინტერესო მასალას, რომელთა მეშვეობითაც ამომწურავად იკვეთება ამა თუ იმ პიროვნების ლიტერატურული პორტრეტი და ცხოვრება.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია XX საუკუნის ბიოგრაფიული რომანები. როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანს თანამედროვე ქართულ მწერლობას არაერთი ბიოგრაფიული რომანი შეემატა. განსხვავებული პერსონაჟებით და ვთქვათ ასეც, მხატვრულ ქსოვილში მოქცეული უმთავრესი სათქმელით, აქცენტებითაც. შესაბამისად, მასშტაბებიც სხვადასხვაა – საქართველოსა და ევროპის რომელიმე სახელმწიფოში განვითარებული მოვლენები და მხატვრული „გამონაგონის“ სიზუსტე. ავტორის პასუხისმგებლობა – ზუსტად წარმოაჩინოს მოღვაწე და ეპოქა, ან უბრალოდ, ცნობილი პიროვნების შესახებ მხატვრული ქარგა მოიფიქროს. თუმცა, ეს სამომავლო საქმეა, რომელიც ერთი ნაშრომის ფარგლებში ვერ ჩაეტეოდა და ვფიქრობთ, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ამ ჟანრს კიდევ უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობს.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე გრ., „დიდი შემართება, ფართო ინტერესი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1979.
2. აბაშიძე კ., ჩვენი ახალგაზრდობა, ჟურნ. მოამბე, №10, 1897.
3. აბაშიძე კ., 1899 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, ჟურნ. „მოამბე“, №2, 1900.
4. ავალიანი ლ., კონსტანტინე გამსახურდია კენისბერგში (ევროპაში განსწავლისა და მოგზაურობის დასაწყისი), ჟურნ. ქართული მწერლობა, №1, 1990.
5. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი: საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1990.
6. ალანია ნ., ხინთიბიძე ა., დუდუჩავა მ., დობორჯგინიძე, ჭოლოკავა ნ., ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1966.
7. ალანია ნ., სიტყვა თავდადებულის გამო: გაზ. ლიტერატურული საქართველო, 8 დეკემბერი, 1967.
8. ამირხანაშვილი ი., ტკივილის დიალექტიკა, თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2003.
9. ამირხანაშვილი ი., პროცესი როგორც პროცესი: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №24, 2006.
10. ამირხანაშვილი ი., „პეგე გნოსეოს – წყარო ცოდნისა“, (რეპორტაჟი) ჩვენი მწერლობა, №6, 2008.
11. ანთაძე მ., ირვინგ სტოუნი და მისი ბიოგრაფიული რომანი, წიგნში: სტოუნი ი., „წყურვილი სიცოცხლისა“, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.
12. არსენიშვილი ა., იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ჟურნ. მნათობი, №3-4, თბილისი, 1932.
13. ასათიანი გ., თანმდები სულები, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1983.
14. ანთაძე მ., ირვინგ სტოუნი და მისი ბიოგრაფიული რომანი, წიგნში: ირვინგ სტოუნი, „წყურვილი სიცოცხლისა“, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

15. აშორდია ტ., სოლომონ აშორდია –ზუგდიდელი ქართველი ავანტიურისტის თავგადასავალი, თბილისი: სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
16. ბარნაველი ლ., „მოგონებანი მამაზე“, „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი VI, თბილისი, 1952.
17. ბაქრაძე ა., კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 2003.
18. ბენაშვილი დ., შიო არაგვისპირელი, ჟურნ. მნათობი, №8, 1958.
19. ბენაშვილი გ., პროზის დიდოსტატი: გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 16 მაისი, 1995.
20. ბიძინაშვილი დ., „პეგე გნოსეოს – წყარო ცოდნისა“, (რეპორტაჟი ივანე ამირხანაშვილის), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №6, 2008
21. ბოცვაძე ზ., იაკობ გოგებაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1991.
22. გაბისონია ე., როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“, ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №4 (ჩანართი), 2012.
23. გოგოლაძე თ., „პეგე გნოსეოს – წყარო ცოდნისა“, (რეპორტაჟი ივანე ამირხანაშვილის), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №6, 2008.
24. გამსახურდია კ., „გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე“, გაზ., „სოციალისტ-ფედერალისტი“, ივლისი, 1921.
25. გამსახურდია კ., გოეთე თუ მისტიკოსი, ჟურნ. ილიონი, №1, 1922.
26. გამსახურდია კ., იოჰან ვოლფგანგ გოეთე, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, აგვისტო, 1949.
27. გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი, ტ.VII, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965.
28. გამსახურდია კ., თხზულებანი ათ ტომად, ტ.VII, „გოეთეს ცხოვრების რომანი“, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2010.
29. გოგოლაშვილი გ., „არა ცილი სწამო!“ ჟურნ. ჩვენი მწერლობა (ჩანართი), №12, 2011.
30. გოგოლაშვილი გ., „კიდევ ერთხელ ედიშერ ჭელიძის ამპარტავნებასა და უკიდევანო ამბიციებზე“, ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №18, 2011.
31. გოეთე ი. „ჩემი ცხოვრება, პოეზია და სინამდვილე“, თარგმანი ეკუთვნის დალი ფანჯიკიძეს, ჟურნ. საუნჯე, №2, 2000.

32. გრიგალაშვილი ნ., თანამდევნი სული, ტ. II თბილისი: თბილისი: გამომცემლობა „ახალი საქართველო“, 2011.
33. დედაბრიშვილი ნ., მოგონება შიო არაგვისპირელზე (ჩაიწერა ზ. მჭედლურმა), ჟურნ. მნათობი, №7-8, 1993.
34. დევედარიანი რ., „ერთი პალინდრომის კვალდაკვალ“ ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №4, 2007.
35. ეკერმანი „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“, ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1988.
36. ვაჩნაძე ბ., „აი, დროშა აშორდია საუბარი ელგუჯა თავბერიძესთან, (ექსპრეს ინტერვიუ), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №11, 2006.
37. ზამბახიძე ლ., კუპრაძე მ. საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის მოღვაწე, თბილისი: საქმთავარპოლიგრაფის გამომცემლობა, 1956
38. თავბერიძე ე., აირევი ივერია, ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2006.
39. თავბერიძე ე., „აი, დროშა აშორდია (საუბარი ელგუჯა თავბერიძესთან, (ექსპრეს ინტერვიუ, ესაუბრა ბიძინა ვაჩნაძე), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №11, 2006
40. თვარაძე რ., პავლე ინგოროყვა, ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1979.
41. თიბილაშვილი ლ., შიო არაგვისპირელის სულიერი ბიოგრაფიული მომენტების ასახვა მის შემოქმედებაში: შიო არაგვისპირელის მიმოწერა დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილ ვეტა ყიფიანთან, ჟურნ. კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, №7, 2004.
42. თოფურიძე ც., სანიმუშო ბიოგრაფიული რომანი (ვახტანგ ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, №4, 2006.
43. იაშვილი პ., ლექსები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.
44. ინგოროყვა პ., შოთა რუსთაველი, თბილისი: ფედერაციის გამომცემლობა, 1938.
45. ირემაძე აკ., რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი (ორი დიდი თარიღის წინ), ჟურნ. მნათობი, №10-11, 1966.
46. კაკაბაძე ნ., პირველი და ფუნდამენტური მონოგრაფია გრიგოლ რობაქიძეზე: გაზ. ეკო დაიჯესტი, 26-27 იანვარი, 2000.

47. კალანდარიშვილი ე., ნოველა ევროპული რანგისა(როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „მზე და მწუხრი“ განხილვა, რეპორტაჟი ეკა ბუჯიაშვილის), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №3, 2010.
48. კაპანაძე ს., ზნეობის მარადიული გაკვეთლები, ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №12, 2012.
49. კვიციანიშვილი ე., „მოდვარი“ (ვახტანგ ჭელიძის „სამუშაონი და დღენი“), წიგნში: ვახტანგ ჭელიძე ტ. I, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2010.
50. კიკნაძე მ., ივანე მაჩაბელი თეატრალური მოღვაწე, ჟურნ. თეატრი და ცხოვრება №3-4, 2005.
51. კირილოვი ვ., სვერდლოვი ა., სერგო ორჯონიკიძე(სერგო), თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.
52. კოტეტიშვილი ვ., შავი წიგნი (შიო არაგვისპირელის შემოქმედება ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, №13, 1915.
53. კუპრეიშვილი ნ., სულის ისტორია, გაზ. 24 საათის დამატება „წიგნები“, 13-26 მარტი, 2004.
54. კუტივაძე ნ., „შიო არაგვისპირელისა და გი დე მოპასანის ნოველათა ურთიერთმიმართებისათვის“, ჟურნ. ქართველური მემკვიდრეობა, №9, 2005.
55. კუხიანიძე ლ., ძახილი ნისლში, ქუთაისი: გამომცემლობა „ქუთაისი“, 2012.
56. კუჭუხიძე გ., წერილები ნიტრიის წისქვილიდან: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №4, 2009.
57. ლაშქარაძე დ., გოეთე ქართულ ლიტერატურაში, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.
58. ლობჯანიძე გ., „ვინ ჰყვარებია ფიროსმანს და ვის უყვარს ფიროსმანი“, ჟურნ. ცხელი შოკოლადი, №89, 2013.
59. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი 1917-1925, ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1990.
60. მადლაფერიძე თ., შიო არაგვისპირელი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.
61. მალრაძე ე., წიგნი ივანე მაჩაბელზე, გაზ. კომუნისტი, 31 მარტი, 1956.
62. მალრაძე ლ., ვახტანგ ჭელიძე, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, №6, 1967.

63. მაჩაბელი ვ. „დროების“ კორექსონდენცია პეტერბურგიდან, გაზეთი დროება, 12 ოქტომბერი, 1873.
64. მაჭავარიანი მ. გიკვირს?! ნუ გიკვირს!, თბილისი, 1995.
65. მეუფე ანდრია (რეპორტაჟი ივანე ამირხანაშვილის – როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ განხილვა), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №6, 2008.
66. მინდიაშვილი ა., სტილი და მწერალი: გაზ. ლიტერატურული საქართველო, 8 ივნისი, 1984.
67. მიქელაძე ვ., უკუღმართი ცხოვრების ქრონიკა: გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 31 ივლისი, 1992.
68. მგელაძე გ., მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა წმინდა სახეზე, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1992.
69. მორუა ა., „სამი დიუმა“, გრანგულიდან თარმნა დ. კახაბერმა, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1982.
70. მოსულიშვილი მ., შესაძლებლობის მწერლობა: ჟურნ. ლიტერატურული პალიტრა, №2, 2005.
71. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
72. ნიშნიანიძე რ., კოსტანტინე გამსახურდია, წიგნში: საქართველოსთვის, საქართველოსთვის, თბილისი: გამომცემლობა „ციცინათელა“, 2002.
73. ნიშნიანიძე რ., „ზუგდიდელი თაღლითის პატიოსნება“ (რეპორტაჟი ეკა ბუჯიაშვილის, ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის განხილვა) ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №17, 2007.
74. ნიშნიანიძე რ., ოთარ ჩხეიძე (ლიტერატურული პორტრეტი), ოთარ ჩხეიძე–სამეცნიერი კონფერენცია, თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2011
75. ნიშნიანიძე რ., აკაკი ჩხენკელი – საქართველოს ელჩი საფრანგეთში – დოკუმენტური პროზის პერსონაჟი, კრ. ქართული დიპლომატია (წელიწდეული), XV, თბილისი, 2011.
76. ოჩიაური ლ., ბედი პავლე ინგოროყვასი – იგივეა, რაც ბედი საქართველოსი, გაზ. რეზონანსი, 3 აპრილი, 2004.
77. რადიანი შ., ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1945.

78. რადიანი შ., ივანე მაჩაბელი, გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 5 თებერვალი, 1954.
79. რადიანი შ., ქართული ნოველის მამამთავარი, გაზ. თბილისი, 16 დეკემბერი, 1967.
80. რობაქიძე გრ., წ.I, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, 2012.
81. რობაქიძე გრ., წ.IV, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, 2012.
82. სამნიაშვილი ლ., ეს გზა უფლისკენ მიდის: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №5, 2009.
83. სახოკია თ., ვასილ ბარნოვი, ლიტერატურის მატიანე, წ. VI, თბილისი, 1952.
84. სახოკია თ., „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1969.
85. სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, ტ.III, თბილისი, 2003.
86. სიგუა ს., ქართული სული – ევროპული თვალთახედვით, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2013.
87. სამნიაშვილი ლ., ეს გზა უფლისკენ მიდის: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №5, 2009.
88. სტოუნი ი., „წყურვილი სიცოცხლისა“, ინგლისურიდან თარგმნა მანანა ანთაძემ, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 1974.
89. სულაბერიძე ლ., მრავალმხრივი მოღვაწე, ჟურნ. დროშა, №8, 1977.
90. ფიფია ნ., სულის პურისთვის – ოთარ ჩხეიძის შეუფარავი რეალიზმი: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №4, 2008.
91. ქარელიშვილი ე., ჩვენი თანამედროვე, გაზ. სახალხო განათლება, 20 დეკემბერი, 1967.
92. ქილარჯიანი კ., „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, ჟურნ. დროშა, №1, 1956.
93. ქურიძე ალ., ერთი ჟანრის სპეციფიკის გამო: აღმანახი კრიტიკა, №1, 1981.
94. ღვინჯილია ჯ., შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის, ჟურნ. კრიტიკა, №9, 1977.
95. ღონდაძე თ., მწერალს უარყოფელი სიჩუმე კლავს: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, სალიტერატურო ჩანართი გაზეთისა ახალი ეპოქა, №25, 2003.
96. ყორანაშვილი გ., წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო, თბილისი, 2004.

97. შენგელაია დ., „ღრმად ხალხური და ადამიანური“, გაზ. კომუნისტი, 16 დეკემბერი, 1967.
98. შუხარტი მ., გოეთეს ბიოგრაფიის მოტივები, გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბეჟაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „აწმყო“, 2010.
99. ჩინჩილაკაშვილი ტ., ჩვენი სერგო, ჟურნ. დროშა, №10, 1986.
100. ჩიქოვანი ნ., ბოლოსიტყვაობა, წიგნში: ირვინგ სტოუნი, „მეზღვარი უნაგირზე“, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1969.
101. ჩოჩია ვ., (რეპორტაჟი მოამზადა ანა ბერძენიშვილმა: „მეცხოვნე – წარდგინება როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა მისაკო წერეთელზე“), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №9, 2011.
102. ჩხაიძე თ., რომანი გრიგოლ რობაქიძეზე: გაზ. სალიტერატურო გაზეთი, აგვისტო, №12, 1998.
103. ჩხარტიშვილი ს. გრიგოლ (სერგო) კონტანტინეს ძე ორჯონიკიძე, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“ 1956.
104. ჩხეიძე ო., რომანი და ისტორია, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1976.
105. ჩხეიძე პ., ივანე მაჩაბლის ტრადიცია, თბილისი: გამომცემლობა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2005.
106. ჩხეიძე რ., ბედი პავლე ინგოროყვასი, თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 2003.
107. ჩხეიძე რ., წინასიტყვაობა აკაკი ბაქრაძის რომანზე „კარდუ“, წიგნში: ბაქრაძე, „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“, თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 2003.
108. ჩხეიძე რ. „ბურჯი ეროვნებისა“, თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2007.
109. ჩხეიძე რ., ახლაც ვეკითხებით რჩევას (ვახტანგ ჭელიძის მონატრება), ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №8, 2007.
110. ჩხეიძე რ., „მზე და მწუხრი“, თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2008.
111. ჩხეიძე რ., „აგვისტოს შვილები“, თბილისი: გამომცემლობა: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. თბ., 2008.

112. ჩხეიძე რ., ახლაც ვეკითხებით რჩევას (ვახტანგ ჭვლიძის მონატრება),  
ჟურნ. ჩვენი მწერლობა, №8, 2007.
113. ჩხეიძე რ., („თაღლითი რომანის გმირად“ ელგუჯა თავბერიძის წიგნის  
განხილვა, რეპორტაჟი მოამზადა დარინა ყურუამ), ჟურნ. ჩვენი მწერლობა,  
№7, 2009
114. ჩხეიძე რ., „ბიოგრაფიის ხვედრი და ვალი (სილუეტი იონა მეუნარგიასი)  
წიგნში: იონა მეუნარგია, თხზულებანი, ტ.I, თბილისი: გამომცემლობა  
„არტანუჯი“, 2010.
115. ჩხეიძე რ., „26 ივნისის საიდუმლო“, თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის  
საზოგადოება, 2011.
116. ჩხიკვაძე ვ., (რეპორტაჟი ივანე ამირხანაშვილის – როსტომ ჩხეიძის  
ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ განხილვა), ჟურნ. ჩვენი  
მწერლობა, №6, 2008.
117. ცისკარიძე ვ., ვასილ ბარნოვი, ჟურნ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958.
118. ციციშვილი გ., ვასილ ბარნოვი და თანამედროვეობა, ჟურნ.  
ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI 1958.
119. ცვაიგი ს., „ბალზაკი“, თბილისი: გამომცემლობა თარგმნა აკაკი  
გელოვანმა, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1963.
120. ძიძიგური შ., იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, წიგნში: იაკობის  
სამრეკლო –წერილები, ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150-ე  
წლისთავს, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1990.
121. წერეთელი აკ., აკაკი წერეთელი, წიგნი II, თბილისი: ლიტერატურის  
მუზეუმის გამომცემლობა, 2010.
122. წურწუშია კ., ივანე მაჩაბელი და ქართული შექსპიროლოგია, სამეცნიერო  
შრომების კრებული (დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „გორგასალი“)  
თბილისი, №1, 2009.
123. ჭეიშვილი რ., რკინის სახკომი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1992.
124. ჭეიშვილი ს., ვასილ ბარნოვის მოთხრობები, ქუთაისი: ქუთაისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.
125. ჭელიძე ე., „ოდეს სამართლამან დაგასამართლოს“, თბილისი, 2011.
126. ჭელიძე ვ. „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, თბილისი: გამომცემლობა  
„ხელოვნება“, 1955. გამომცემლობა „ხელოვნება“, 1955.



127. ჭელიძე ვ., „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2010.
128. ჭილაია ს., შიო არაგვისპირელი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 19 იანვარი, 1940.
129. ჭილაია ს., ვასილ ბარნოვი, ჟურნ. მნათობი, №1, 1955.
130. ჭილაია ს., შიო არაგვისპირელი, წიგნში: XX საუკუნის ქართული მწერლობა, წ.I, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1956.
131. ჭილაია ს., კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემის გამო, ჟურნ., მნათობი, №1, 1968.
132. ხაეთასი გ., კონსტანტინე გამსახურდია-„გოეთეს ცხოვრების რომანი“ ჟურნ. მნათობი, თბილისი, №9, 1934.
133. ხაეთასი გ., საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959.
134. ხოტივარი ა., დისერტაცია: გერმანული თემა და გერმანულენოვანი ლიტერატურა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, თბილისი, 1976.
135. ხოტივარი ა., გერმანულენოვანი ლიტერატურის ნიმუშთა კ.გამსახურდიასეული თარგმანი, ლიტერატურული ურთიერთობანი, კრ. VII, 1978.
136. ჯავახიძე ვ., უცნობი, თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1996.
137. ჯალიაშვილი მ., „საუკუნეებს ველაპარაკები“: ჟურნ. ჩვენი მწერლობა, სალიტერატურო ჩანართი გაზეთის ახალი ეპოქა, №22, 2002.
138. ჰოიხერმანი თ., Amor fati ბედისწერის სიყვარული, მთარგმნელები: ლამარა ნაროუშვილი და ლამარა რამიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „თანამედროვეობა და მემკვიდრეობა“, 2006.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

<http://theatrehistory.com/>

<http://library.church.ge/>